ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ი
1984

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

12
675-ი

1.1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის,
არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი

ТБИЛИСИ

1.1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 29.12.1983; შეკვ. № 4024; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.05.1984; ანაწყობის ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,7;

უე 07947; ტირაჟი 900;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

17.874

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი (1984 წლის 13 თებერვალი) . . . . . . . . . . 5
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა 6
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა . . . . . 12
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო . . . . . . . . 14
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს 15

## წერილები

ა. სონღულაშვილი, იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები თანამედროვე ეტაპზე . 17
ა. ბაბილაია, საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის საქმიანობა პარტიის რიგების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის . . . . . 27
მ. ვაჩნაძე, რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დასაწყისში . . . . 37
ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ჭელიძე, სამხრეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ზოგიერთი განმსაზღვრელი ნიშნის შესახებ ძვ. წ. VI—IV ათასწლეულში 52

## ცნობები და შენიშვნები

დ. კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთის მშრომელთა მონაწილეობა დიდ სამამულო ომში . 68
მ. ჰასანოვი, საშოვარზე სიარულის როლი დაღესტნისა და საქართველოს ხალხების ეკონომიკურ ურთიერთობაში . . . . . . . . 80
ო. ცქიტიშვილი, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში . . . . . . . . 92
ნ. ხაზარაძე, სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის . . . . 105
მ. კანდელაკი, ამანათობა და „ჭარ-ქვაბით შეყრის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში . . . . . . . . 117
ი. ელიზბარაშვილი, რუისპირის ყველაწმინდის ეკლესია . . . . . 130

## დისკუსია და განხილვა

დ. გოგოლაძე, კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი . . . . . 145

## საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

ო. ჯაფარიძე, დიდი მეცნიერის ხსოვნას . . . . . . . 173

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კ. იუზბაშიანი, ახალი წიგნი იოსებ ორბელის შესახებ . . . . . . 178
ვ. შამილაძე, მ. ქანთრია, ყბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან . . . . 184
ლ. ფაშაევა, კ. კ. ქურდოევი, ზ. ა. იუსუპოვა, ქურთულ-რუსული ლექსიკონი (სორანი) 189

## ქრონიკა და ინფორმაცია

მ. ჩხარტიშვილი, ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ლენინგრადში . . . . . . 190

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ


Внеочередной Пленум Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза (13 февраля 1984 года) . . . . . . . . . 5

Речь Генерального Секретаря Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза товарища К. У. Черненко . . . . . . 6

Речь Председателя Совета Министров Советского Союза, члена Политбюро Центрального Комитета КПСС товарища Н. А. Тихонова . . . . 12

Константин Устинович Черненко . . . . . . . . . . . 14

Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу . . . . . . . . . . . . . . . 15

**СТАТЬИ**

А. СОНГУЛАШВИЛИ, **Вопросы идеологической борьбы на современном этапе** . 17

А. ГАБИЛАЯ, **Из истории деятельности Абхазской организации КП Грузии по идейному и организационному укреплению рядов партии** . . . 27

М. ВАЧНАДЗЕ, **К вопросу о революционной ситуации в Грузии в конце 70-х и начале 80-х годов XIX века** . . . . . . . . . 37

Т. ЧУБИНИШВИЛИ, Л. ЧЕЛИДЗЕ. **К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры Южного Кавказа в VI—IV тыс. до н. э.** . . . . . . . . . . . . . . 52

**СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ**

Д. КОЖОРИДЗЕ, **Участие трудящихся Самцхе-Джавахети в Великой Отечественной войне** . . . . . . . . . . . 68

М. ГАСАНОВ, **Роль отхода в экономических взаимоотношениях народов Дагестана и Грузии** . . . . . . . . . . . . 80

О. ЦКИТИШВИЛИ, **Ахмад Ибн Асам Ал-Куфи о первых военных походах арабов в Грузию** . . . . . . . . . . . . 92

Н. ХАЗАРАДЗЕ, **К интерпретации одного сообщения Страбона («География», XI, 2, 17)** . . . . . . . . . . . . . 105

М. КАНДЕЛАКИ, **Аманатство и обычай «складства быком и котлом»** (по этнографическим данным горцев Восточной Грузии) . . . . . . 117

И. ЕЛИЗБАРАШВИЛИ, **Церковь богородицы в Руиспири** (из истории раннехристианского зодчества Кахети) . . . . . . . . . 130

**ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ**

Д. ГОГОЛАДЗЕ, **Еще раз о жалованной грамоте Симона I 1594 года и некоторые вопросы грузинской дипломатики** . . . . . . . 145

**ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ**

О. ДЖАПАРИДЗЕ, **Памяти Б. А. Куфтина** . . . . . . . . 173

**КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ**

К. ЮЗБАШЯН, **Новая книга об И. А. Орбели** . . . . . . . 178

В. ШАМИЛАДЗЕ, **М. Кантария, Из истории Кабардинского хозяйственного быта** . . . . . . . . . . . . . . 184

Л. ПАШАЕВА, **К. К. Курдоев, З. А. Юсупова, Курдско-русский словарь** (Сорани) . . . . . . . . . . . . . . 189

**ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ**

М. ЧХАРТИШВИЛИ, **Научная сессия, посвященная проблемам историографии средневекового Ближнего Востока** . . . . . . . . 190

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი

1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო!**

გულითად მადლობას მოვახსენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისათვის — ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვუთქვამ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა გავამართლო ნდობა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გეზი, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიასა და პოლიტიკაში ლენინიზმის ერთგულება, ახლის მახვილი გრძნობა და მასების ცოცხალი გამოცდილების აკუმულირების უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა, ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმების გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეიარაღების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულისკვეთებასთან მის შესაბამისობას დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს მთელი ხალხი. პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ!

მაგრამ ჩვენ ყველას გვესმის, ამხანაგებო, რომ ამ გზით სიარულისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტო დავსახოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვილვწოდეთ კიდეც მათი მიღწევისათვის და ყოველნაირ სიძნელეებს ვძლევდეთ. რეალისტურად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს, არც ვაზვიადებდეთ და არც ვაკნინებდეთ მას. მხოლოდ ასეთი მიდგომა აგვარიდებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ დავინახოთ, როგორც ლენინი ამბობდა, „სახელდობრ რა „დავამთავრეთ“ და რა არ დაგვიმთავრებია“.

ხანმოკლე, გულსატკენად ხანმოკლე აღმოჩნდა, ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიგრძნობთ უმისობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როცა დიდი და დაძაბული მუშაობა გვაქვს გაჩაღებული იმისათვის, რომ მძლავრად დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის განვითარება, დავძლიოთ სიძნელეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა 70—80-იანი წლების მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ იშვა და დამკვიდრდა პრაქტიკულად. განვაგრძოთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ წავწიოთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა. — აი საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჯეროვანი პატივი მივაგოთ მის ხსოვნას, უზრუნველვყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა. მისი არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეუჩერებლივ ვიაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს, შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ენერგიას ვახმარდეთ გადასაწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და მომავლის საკვანძო პრობლემებს. და ეს ყველა ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნარი, რომ განავითაროს და წარმართოს მასების შემოქმედებითი აქტიურობა, იდეურად და ორგანიზაციულად შეაკავშიროს ისინი ნაცადი ლენინური პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბოლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-ერთი მათგანია პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ამოცანების მკაფიო გამიჯვნა, მათს მუშაობაში დუბლირების აღმოფხვრა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას, აქ ყველაფერი ჯეროვნად არ არის მოგვარებული.

ხდება ხოლმე რომ საბჭოების, სამინისტროების, საწარმოების მუშაკები ჯეროვან დამოუკიდებლობას არ იჩენენ, პარტიულ ორგანოებს აკისრებენ საკითხებს, რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ. სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობის პრაქტიკა ხალისს უკარგავს კადრებს. უფრო მეტიც, იგი პარტიული კომიტეტის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოს, როლის შესუსტების საფრთხეს შეიცავს. პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძღოლა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების გაძღოლას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო! თვე-ნახევრის წინათ, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ჩვენ ყოველმხრივ შევაფასეთ საქმის ვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთავარია შევინარჩუნოთ დაჩქარებული ტემპი, ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საერთო განწყობილება, განუხრელად ავამაღლოთ ეკონომიკისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, სტაბილური ხასიათი მივანიჭოთ მათ. ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრულად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულებანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს: პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან მისი კავშირი, მილიონობით მშრომელის მოქალაქეობრივი აქტიურობა, წარმოების საქმეებისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი მათი მზრუნველი მიდგომა.

კომუნისტთა პარტიის მოვალეობაა თავის კურსს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედებას დღენიადაგ ამოწმებდეს უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის აზრის, მისი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუმანის მიხედვით.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდად აფასებდა მუშაკაცის პირდაპირობას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ მსჯელობას, ფხიზლად ადევნებდა თვალს მის აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პასუხს ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე.

ყურად იღოს მუშათა წრიდან, სოციალისტური მშენებლობის წინა ხაზიდან მოსული სიტყვა, ეთათბირებოდეს მშრომელ ადამიანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული კომუნისტი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა, უდიდესი შინაგანი მოთხოვნილება.

შეგვეძლოს დროულად შევნიშნოთ და წავახალისოთ ხალხის ინიციატივა, თანაც, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სამუშაო ადგილზე საქმისადმი ყაირათიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით დაწყებული და სახელმწიფოს, საზოგადოების მართვაში აქტიური მონაწილეობით დამთავრებული, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშრეტი რეზერვი. ყოველ თავის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს თაოსნობას, მათს საკუთარ, როგორც იტყვიან, შემხვედრ გეგმებს უნდა უმადლოდეს.

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამოხმაურება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მიაღწიონ 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პატრიოტული აღმავლობა, ენერგია და გერგილიანობა, რომლებითაც მშრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ვფიქრობ, ღირს იმ საკითხის განხილვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სახსრები და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოვახმაროთ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს სავსებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკის უმაღლეს მიზანს — ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვას.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობანი, ნოვატორობა უკეთ წავახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საბჭოთა წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრელად იყოს დაცული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასი და პრემიები, ბინებისა თუ საგზურების განაწილება, დაჯილდოება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თითოეული ადამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომითს კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ უკეთ ვიყენებთ ჩვენი წყობილების უპირატესობებსა და შესაძლებლობებს. მათ, რა თქმა უნდა, განეკუთვნება მასების ორგანიზებულობა და შეგნება. სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მილიონობით საბჭოთა ადამიანს. და სავსებით კანონზომიერია, რომ ჭეშმარიტად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებულმა დანერგვამ, დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველივე ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც, უეჭველია, ბევრ სასარგებლო რამეს მოგვცემს, დაგვეხმარება გადავწყვიტოთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდით, ჩვენს თავს ვკითხოთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ელის და ამ მოლოდინით სურს შენიღბოს თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის სურვილი? რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსაგები საქმეა. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი ბრძნული ანდაზაც: შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს იმათ, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაუწიოს შეცვლილ პირობებს, ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ ყველა დონეზე, გაბედულად ეძიონ, თუ საჭიროა, გამართლებული რისკიც გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — აი რას მოველით ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან.

მოგეხსენებათ, რომ შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეული ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შინაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ვწყვეტთ, ამით წანამძღვრებს ვუქმნით მომავალში გაცილებით უფრო მაღალი მიჯნების მიღწევას. იქნებ, ჩვენს ხვალინდელ დღეზე, მეთორმეტე ხუთწლედზე დეტალურად ლაპარაკი ჯერ ნაადრევიც კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრობლემები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ხუთწლედი უწინარეს ყოვლისა წარმოებაში ღრმა თვისებრივი ცვლილებების დასაწყისი, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის ხუთწლედი უნდა გახდეს. თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.

ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ახლა იმას, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკას ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შევქმენით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წანამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შეგნების განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავეყრდენით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნავდეთ ახალი სამყაროს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის. როგორც მოგეხსენებათ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიაზროთ ეს ამოცანები კომპლექსურად, დავსახოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გრძელვადიანი სტრატეგია, წარმოვაჩინოთ კომუნისტურ პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმეების კავშირი — აი რა უნდა მოგვცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომზადებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგეხსენებათ, რთული და დაძაბულია. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პირობებში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კურსი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მუდამ იყო იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან აიცილოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადავუხვევთ.

სავსებით ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიური, მიზანსწრაფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უაღრესად დაინტერესებული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მისაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. ყოველმხრივ ვავითარებთ და ვაღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორიც ეკონომიკაა — ამით დიდი წვლილი შეგვაქვს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენ მივმართავთ მოძმე ქვეყნებს და ვამბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავაც გეყოლებათ საიმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხებთან, რომლებიც იგერიებენ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების იერიშებს, იმპერიალიზმისა, რომელიც სისხლიანი ძალადობისა და ომის ხანძრების უაღრესად საშიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. იყო ხალხთა სამართლიანი საქმის მომხრე, იღვწოდე ასეთი კერების მოსპობისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საჭირო და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილურია, და ჩვენ მას განუხრელად დავიცავთ.

ახლა, რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. დიდმა ლენინმა გვიანდერძა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგული ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სჭირდებათ ხალხებს. სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ხელმძღვანელს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოდეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უგუნური, ავანტიურისტული მოქმედება, — და ამას საქვეყნოდ ვამბობთ, რათა მთელი დედამიწის ხალხთა ყურადღება მივაპყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო უპირატესობა, არ ვაპირებთ სხვებს ვუკარნახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის დარღვევის უფლებას არავის მივცემთ. და დაე, ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს საკმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დავაცხროთ ომის მოტრფიალე თავფიცხელი ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წანამძღვარია.

საბჭოთა კავშირს, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებული ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ჩვენ გვსურს სერიოზული, თანასწორუფლებიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადავწყვიტოთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მხარში ამოუდგება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ვთქვათ, იმათ, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საამისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთიც, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ საბჭოთა კომუნისტებს გულწრფელად გვახარებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მხარდამხარ მივაბიჯებთ მილიონობით კლასობრივ ძმებთან, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმპათიითა და ღრმა პატივისცემით ვეკიდებით ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად განვამტკიცებდეთ მათთან კავშირს.

აი რა მინდოდა მეთქვა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გეზის შესახებ. და დარწმუნებული ვართ, რომ მას სულითა და გულით მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანები განუხრელად უკავშირებენ პარტიის საქმია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას. მასების უსაზღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვიჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტიანი, გამოცდილი, მცოდნე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები. თქვენ, ამხანაგებო, გვინდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მოვალეობების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიმდინარე, უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დარწმუნებულია, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამრეწველო წარმოების ზრდის სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მასების შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი პასუხსაგები პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ.

ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწესი. ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომთხოვნ განაწესს პარტია გადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალაა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად ვლინდება მაშინ, როცა, როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცი“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. ეს საშუალებას გვაძლევს ვიღებდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირს, საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალ-ღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადეს. აღარ არის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მოკლე ვადის, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც განუხრელად მისდევდა და შემოქმედებითად ამდიდრებდა XXVI ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იური ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იური ვლადიმერის ძის ღრმაშინაარსიანი გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოსვლები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაჭრის მკაფიო პროგრამა.

იგი მარჯვედ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობას, რათა დაერაზმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ეყრდნობოდა კოლექტიურ გამოცდილებას, ზუსტად უღებდა ალღოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებს და დიდ პირად წვლილს მატებდა პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცე მოგერიების კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი ღრმად განვიცდით დიდ უბედურებას, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალია კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, განამტკიცონ პარტიის და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყევ მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კურსით.

განუხრელად და მიზანდასახულად განხორციელდება გეზი, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველვყოთ წარმოების ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულებენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტბიურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკითხი და ერთსულოვნად დამავალა პლენუმს შემოვთავაზო ავირჩიოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან იცის ძნელი გლეხკაცური შრომაც და ჯარისკაცული სამსახურიც, სოფლის რაიკომის ყოველდღიური მუშაობაც.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა პარტიული მუშაობის პასუხსაგებ უბნებს კრასნოიარსკის, პენზის, მოლდავეთის პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტინის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების ნიჭიერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად, ჩვენი დიადი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევ მებრძოლად.

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინური ტიპის ისეთ ხელმძღვანელთა ერთგულ თანამოსაგრეს, როგორებიც იყვნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განვითარება-დამკვიდრებისათვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო საკითხთა ღრმა გაგება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი, მაღალი მომთხოვნელობა კადრების მიმართ და ამასთანავე კეთილმოსურნე დამოკიდებულება მათდამი, მშრომელთა ინიციატივასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნარით ფრთა შეასხას ადამიანებს თავისი ენერგიით, ნებისმიერი საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგები ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისათვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი მუდმივი მოთხოვნილება იქონიოს მასებთან ცოცხალი ურთიერთობა, მისი ყურადღება ყოველი ადამიანის ბედისადმი — იქნება ეს ნიჭიერი მეცნიერი თუ წარჩინებული მეტალურგი, ჯარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო როლი ეკუთვნის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უაღრესად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად.

ჩვენმა სამხედრო მუშაკებმა იციან, თუ რამდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტინის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობასთან.

პოლიტბიუროს სწამს, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, ხელთ აქვთ ზუსტი და მკაფიო სამოქმედო პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შეიმუშავეს, ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყონ ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

**კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო** დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7—10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერნენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (ჰელსინკი. 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუნდვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სკკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

## კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიადი საქმის თავდადებული სამსახურის ნიმუშია. ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარელიაში დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხსაგებ უბნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

ხანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურღვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარებული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდია იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების უკუგდების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნავად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევია. პარტია აღჭურვილია სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განახორციელებს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფხიზლე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფართო მასები, რომლებიც თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ილვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ და განუხრელად განახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტიურად ვითანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან პატიოსნად და კონსტრუქციულად იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად აფასებს ხალხის ნდობას და თავისი საქმიანობის უმაღლეს მიზნად მიაჩნია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი ყოველთვის დარჩება როგორც მარქს-ენგელსლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახლოებული, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ყველაფერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩენენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულობას, თავიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდასახული, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები

ავთანდილ სონღულაშვილი

## იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები თანამედროვე ეტაპზე

### (სკკპ ცკ 1983—1984 წწ. პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე)

17.874

ლენინური პარტიის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო მუდამ იყო და დღესაც არის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომლის უშუალო მიზანია მშრომელთა სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება და მისი მუდმივი ამაღლება, ჩვენი საზოგადოების მშენებელთა აღზრდა მაღალმორალური თვისებებითა და კომუნისტური იდეალებისადმი უანგარო თავდადების სულისკვეთებით. სოციალისტური სახელმწიფო, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ძლიერია მასების შეგნებით[1] და პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სრულყოფისათვის[2]. „პარტია იღწვის იმისათვის, რომ ჩვენში ადამიანი იზრდებოდეს არა უბრალოდ გარკვეული ცოდნის მატარებლად, არამედ უწინარეს ყოვლისა სოციალისტური საზოგადოების მოქალაქედ, კომუნიზმის აქტიურ მშენებლად, მისთვის იდეური მიზანდასახულობით, მორალითა და ინტერესებით, შრომისა და ქცევის მაღალი კულტურით“[3]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეოლოგიურ მუშაობას სრულიად არ ახასიათებს თვითმიზნური ხასიათი, პარტიამ კარგად იცის, რომ მასების შეგნებულობის დონეზე დიდადაა დამოკიდებული ახალი საზოგადოების მშენებლობის ტემპები. ამიტომ გასაგებია, რომ კიდევ ერთხელ განიხილა ლენინური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად იდეოლოგიური საკითხები 1983 წლის ივნისის პლენუმზე. აუცილებელი იყო უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანასა და საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, კლასობრივ და ეროვნულ ურთიერთობათა დარგში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებათა გათვალისწინება, განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე პარტიის სტრატეგიული გეგმისა და ამოცანების განსაზღვრისათვის, რომლებიც პარტიის მუშაობის გრძელვადიან ორიენტირებას წარმოადგენენ.

თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხასიათს განსაზღვრავს საერთაშორისო მდგომარეობა. „მთელ პლანეტაზე მიმდინარეობს ბრძოლა მილიარდობით ადამიანის გონებასა და გულის დასაპყრობად. და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე“[4]. იმპერიალიზმის, პირველ რიგში ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ მოქმედებათა შედეგად მსოფლიოში

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 297.

[2] კ. უ. ჩერნენკო მოხსენება სკკპ ცკ 1983 წლ,ის ივნისის პლენუმზე, თბ., 1983, გვ. 21.

[3] ი. ვ. ანდროპოვი, სიტყვა სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, თბ., 1983, გვ. 34.

[4] ი. ვ. ანდროპოვი, სიტყვა სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, გვ. 8.



კ. მარქსის ს. ს. ს[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რაც საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, არამედ საერთოდ კაცობრიობას. გააჩაღა რა გამალებული შეიარაღება და სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ გამოაცხადა „ჯვაროსნული ლაშქრობა", ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს ასეთი გზით შეაჩეროს სოციალისტური პროგრესი, ჩაახშოს რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ მსოფლიოში, უზრუნველყოს ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობა.

ამ ავბედითი გეგმების განხორციელების მთავარ რგოლად იქცა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული ატომური რაკეტების განლაგება, რომელიც დამიზნებულია სოციალისტურ ქვეყნებზე[5]. ამავე დროს „თავისი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იმპერიალიზმს — აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე — „ფსიქოლოგიური ომი" მიაჩნია. ამ ომს დასავლეთი ეწევა ყველაზე მაღალ, შეიძლება ითქვას, ისტერიულ, ანტისაბჭოურ, ანტიკომუნისტურ ნოტზე. მოწინააღმდეგემ ნამდვილ ყაჩაღობას მიჰყო ხელი ეთერში. ჩვენ საქმე გვაქვს ცდებთან, მოაწყონ ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილი ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ინტერვენცია, გადააქციონ რადიო და სატელევიზიო არხები სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და ძირგამომთხრელი აქციების მოწყობის იარაღად"[6].

მიმდინარე ეტაპზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს 150 ორგანიზაცია და 200-ზე მეტი საუნივერსიტეტო კათედრა, რომელთა მუშაობის მთავარი მიზანია ინფორმაციის შგროვება და ვითარების ანალიზი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სკკპ და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესწავლა, სხვა სოციალისტური ქვეყნების მოვლენებზე თვალყურის დევნება. გფრ-ში ასეთი სახის ცენტრები 100-ზე მეტია[7]. მასობრივი ინფორმაციის მრავალ საშუალებასთან ერთად ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური იდეოლოგიის აგრესიას კოორდინაციას უწევს და წარმართავს ამერიკის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო, რომლის საპროგრამო ამოცანაა სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება ე. წ. დისიდენტებისა და ანტისოციალისტური ჯგუფებისადმი მხარდაჭერა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა გამოყენება და სხვ. აღნიშნული სააგენტო წელიწადში ნახევარ მილიარდ დოლარს ხარჯავს და დასაქმებული ჰყავს 7 800 თანამშრომელი, 195 ქვეყანაში მოქმედებს მისი 201 განყოფილება[8].

დღემდე ამერიკის პრეზიდენტი, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, ყოველ წელს აწყობს „ჩაგრულ ხალხთა კვირეულს". ჩაგრულ ხალხთა შორის ჩამოთვლიან საბჭოთა რესპუბლიკებს[9], და საგულისხმოა, რომ მათ შო-

---

5 გაზ. «Правда», 1984 წ. 6 იანვარი.

6 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წლის 14—15 ივნისი, თბ., 1983, გვ. 61.

7 В. С. Комаровский, Ложь на экспорт, М., 1983, გვ. 27.

8 Г. Вачнадзе, Заговор против Польши? Тб., 1983, გვ. 56.

9 А. Кокорев, «Ястребы» не унимаются..., М., 1981, გვ. 206—207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის არ ახსენებენ პალესტინელებს, ჩილელ ხალხს, სალვადორის, გვატემალის, გრენადისა და სხვ. მოსახლეობას!

ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგები სარგებლობენ იმით, რომ საბჭოთა მოქალაქებს შორის აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან ობივატელები, რომელთაც დაუკარგავთ ობიექტური რეალობის აღქმის უნარი და ემოციების ტყვეობაში არიან, რომელთაც ბრმად სჯერათ იმპერიალისტური პროპაგანდის ზღაპრები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი ვერასდროს გაუთანაბრდება დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში, რომ მანქანები, სამრეწველო მოწყობილობა, რომელთაც ჩვენ ვამზადებთ, თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყოველთვის ჩამორჩებოდა და მომავალშიც ჩამორჩება დასავლეთის ნაწარმს და ა. შ.

ისინი, რა თქმა უნდა, ჩქმალავენ, რომ ჩვენ პირველებმა გავუშვით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომ ჩვენი საბჭოთა ადამიანი იყო პირველი კოსმონავტი. იმაზე, თუ ვისი დაზგები, დანადგარები ან ელექტროხაზები უკეთესია, შეუძლია განსაჯოს მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრემ, მაგრამ, რაც შეეხება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოებას აქ ჯერ კიდევაა ჩვენს წინაშე სიძნელეები. ეს გასაგებიცაა, ვიმყოფებოდით რა დიდი ხნის მანძილზე მტრულ გარემოცვაში, ჩვენ პრაქტიკულად არ შეგვეძლო სათანადოდ მიგვექცია ყურადღება მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის. თუ ამას დავუმატებთ ძველი რეჟიმიდან მიღებულ მძიმე მემკვიდრეობას — საერთო ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, სამოქალაქო ომითა და ინტერვენციით გამოწვეულ ნგრევას, მაშინ გასაგები იქნება ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ჩამორჩენის მიზეზები. მაგრამ უკანასკნელ წლებში ვითარება რადიკალურად იცვლება, და არ არის შორს ის დრო, როდესაც მასობრივი მოხმარების საბჭოთა საქონელი პირველ ადგილს დაიჭერს მთელ მსოფლიოში[10].

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები უაღრესად ყალბ ინფორმაციას აწვდიან საკუთარ აუდიტორიას საბჭოური ცხოვრების წესის შესახებ. უფრო მეტიც, მათ მიზანს შეადგენს, რაც შეიძლება ნაკლები იცოდნენ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეზე ფართო მასებმა — განსაკუთრებით ახალგაზრდობამ. თუ როგორი წარმოდგენა აქვთ ამერიკელებს საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ, დასტურდება საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ერთ-ერთი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან თემაზე — „რა იციან ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის შესახებ". აღმოჩნდა, რომ ამერიკის კოლეჯების 16 პროცენტმა არ იცის ვის წინააღმდეგ და ვის მხარეზე იბრძოდა საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის წლებში. სტუდენტთა 9% თვლის, რომ სსრ კავშირი გერმანიის მხარეზე იბრძოდა, სტუდენტთა 14%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა რომელიმე ორი საბჭოთა ქალაქი. 8%-მა არ იცის სსრ კავშირის დედაქალაქი. 34%-ს არასდროს არ წაუკითხავს საბჭოთა ავტორების არც ერთი წიგნი, 87%-ს არც ერთი საბჭოთა ფილმი არ უნახავს[11]. უფრო მეტიც, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების დროს, რომელიც ჩატარდა ავსტრალიის, კანადის, ინ-

---

10 В. С. Комаровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

11 ფ. მახარაძე, თავისუფლების ქანდაკების მიღმა (გაზ. „კომუნისტი", 1983, 26 ივნისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისის, საფრანგეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და აშშ სკოლებში, გამოირკვა, რომ გეოგრაფიაში ამერიკელ მოსწავლეთა ცოდნა ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ყოფილა. მაგალითად, დალასის (ტეხასის შტატი) ყოველმა მეხუთე მოსწავლემ ვერ შეძლო მოეძებნა რუკაზე აშშ[12].

ამ რამდენიმე წლის წინათ 85 წლის ფრანგი ჟაკლინ ანდრე ბათუმში ჩამოვიდა. იგი პირველ ხანებში გემს ვერ ტოვებდა, „მეშინოდა რაიმე ხიფათს არ გადავყროდი, შესაძლოა, სავსებით უმიზეზოდაც კი დავეპატიმრებინეთ, ეს, როგორც გაზეთები წერენ, საბჭოეთში ჩვეულებრივი ამბავია", შემდეგ ფრანგი ტურისტი აღნიშნავდა: „ქალაქი მომეწონა, ლამაზია, მწვანე, საოცრად სუფთა და კიდევ რაც თვალში მომხვდა, ადამიანებს საუკეთესოდ აცვიათ. სახეებსაც მივაქციე ყურადღება. ვერაფრით ვერ იტყვი ეს ხალხი უბედური, ღატაკი და „უკუღმართობით" დაბეჩავებულიაო, რაშიც სოციალიზმის მტრები ცდილობენ დაგვარწმუნონ..."[13].

კომუნიზმის ყოვლისმძლე იდეების ძალა კი ყოველდღიურად ათასობით ადამიანის გულსა და გონებას ეუფლება, რაც ჩვენი მოწინააღმდეგეების გაშმაგებულ იერიშებს იწვევს. „რევოლუციის ძალა, შეტევის ძალა, ენერგია, გამბედაობა და მისი გამარჯვების ზეიმი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ამასთან ერთად აძლიერებს წინააღმდეგობის ძალას ბურჟუაზიის მხრივ"[14]. ამიტომ სურს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რონალდ რეიგანს „ჩამოწეროს კომუნიზმი" და დატოვოს „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიის ნახანძრალზე"[15]. ამასთან, „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტთან ინტერვიუში რ. რეიგანმა განაცხადა: „ჩემი საყვარელი წიგნი დღეს არის „მესამე მსოფლიო ომი, აგვისტო 1985"[16].

ასეთი ვითარება დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა კლასობრივი აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებას. სოციალიზმის მონაპოვართა მკაფიო, დამაჯერებელ პროპაგანდას რათა საჭირო პასუხი გაეცეს ანტიკომუნიზმსა და ანტისაბჭოურობას, ვამხილოთ და ჩავშალოთ კლასობრივი მტრის იდეოლოგიური დივერსიები; ამასთან უნდა დავეყრდნოთ კონტრპროპაგანდის დინამიკურ, ეფექტიან სისტემას[17]. ყოველივე ეს მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის, მისი ფორმებისა და მეთოდების განახლებას, გამდიდრებას, აქტუალიზაციას, მთელი ჩვენი პროპაგანდის შეტევითობის გაძლიერებას. გადაჭრით უნდა დავძლიოთ ისეთი მოვლენები, როგორიც არის ცხოვრების მწვავე პრობლემებისაგან განზე დგომა, ფორმალიზმი და პარადულობა. უნდა შევძლოთ ჩვენი მიღწევების მარჯვედ ჩვენება ადამიანებისათვის, საჭიროებო-

---

12 ჟურნ. «Новое время», № 2, 1984, გვ. 16.

13 ნ. გ უ გ უ ნ ა ვ ა, გავაძლიეროთ კონტრპროპაგანდა, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 1, 1984, გვ. 48.

14 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 544.

15 ნ. კ ი კ ვ ა ძ ე, ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული იდეოლოგიის მრუდე სარკეში (ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 9, 1983, გვ. 69).

16 ჟურნ. «Новое время», № 1, 1984, გვ. 16.

17 მ. ზ ი მ ი ა ნ ი ნ ი, რევოლუციური მოქმედების პარტია, გაზ. „კომუნისტი", 1983, 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როტო საკითხების გულმოდგინე ანალიზი და გადმოცემის სიცხადე — აი, საითკენ მოუწოდებს იდეოლოგიურ მუშაკებს ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი[18]. „ჩვენ დიდი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობანი გვაქვს იმისათვის, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — რომ სულ უფრო მეტად განვავითაროთ პიროვნება, და ამ შესაძლებლობებს კვლავაც გავზრდით“[19]. მართლაც, პარტიას აქვს იდეური ზეგავლენის საშუალებათა მძლავრი, უმდიდრესი არსენალი, ჰყავს მრავალრიცხოვანი, კარგად მომზადებული კადრები, აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა პროპაგანდისა და აღზრდის მაღალი ქმედითობისა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის[20]. ამავე დროს პარტია ითვალისწინებს, რომ „იდეოლოგიური მუშაობა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც 100-ზე მეტ ერსა და 65 ეროვნებას აერთიანებს, წარმოუდგენელია თუ მათი სპეციფიკური ინტერესები, ეროვნული ფსიქოლოგია და კულტურის თავისებურებანი ყურადღებით არ შეისწავლე“[21]. ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანია და ყოველი მათგანი მთელი სამყაროა, თავისთავად უნიკალური და განუმეორებელი.

რაც შეეხება ინტერნაციონალურ აღზრდას, მართალია ჩვენს დროში ინტერნაციონალიზმის იდეები მთელი საზოგადოების კუთვნილებაა, მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ მშრომელთა სხვადასხვა სოციალური ფენა ინტერნაციონალური შეგნების სხვადასხვა დონეზე იმყოფება, ამის შესაბამისად მათ ცნობიერებაში ინტერნაციონალიზმის იდეები და დანიშნულება სხვადასხვაგვარად აღიქმება. ამიტომაც დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა კატეგორიისა და ჯგუფის მშრომელებთან—ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის. ერთი სიტყვით, ინტერნაციონალური აღზრდა უნდა წარვმართოთ ფართოდ, მტკიცედ, საქმიანად, არ შემოვიფარგლოთ ფესტივალებით, დეკადებითა და საიუბილეო ვახტებით. აქ მარჯვედ უნდა შევუხამოთ ნამდვილად პარტიული პრინციპულობა უფაქიზეს დელიკატურობას[22].

ძმობა, მომავლისაკენ სწრაფვა, საკავშირო სახელმწიფოს აყვავებისადმი ზრუნვა ყველა რესპუბლიკის მშრომელთა დამახასიათებელი ნიშნები, საქმიანობის მოტივი გახდა. ჩვენი ცხოვრების ფაქტები მოწმობს: ლენინური პარტიის მიერ ქმედითი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მოქალაქენი არ იკეტებიან იმ გარემოში, სადაც დაიბადნენ, იზრდებოდნენ, სწავლობდნენ. ისინი ხშირად ტოვებენ მშობლიურ ადგილებს და მიდიან იქ, სადაც უფრო საჭირონი არიან. უკვე არავის უკვირს, რომ აზერბაიჯანელებს ვხვდებით სუსხიან ტიუმენის მხარეში, რუსებს — შუა აზიის მცხუნვარე ტრამალებში, ქართველებს — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის რაიონებში, უკრაინელებს — შორეული აღმოსავლეთის მშენებლობებზე.

საერთო საქმეები და საზრუნავი აკავშირებთ საბჭოთა ადამიანებს. აი მაგალითად, რა ჩაწერა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისადმი მიძღვნილ დღიურში ლატვიელმა ჭაბუკმა ივარ ლეიმარისმა: „ბევრს ვმუშაობთ, ვი-

---

18 კ. უ. ჩერნენკო, მოხსენება სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, გვ. 34—35.
19 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 98.
20 კ. უ. ჩერნენკო, მოხსენება სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, გვ. 34.
21 იქვე, გვ. 69.
22 იქვე, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყინებით, სახლიც გვენატრება, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ყოველდღე ვხედავთ როგორ იზრდება ულკანი. ეს კი ნიშნავს ვაკეთებთ ჩვენს საქმეს... ვლაპარაკობთ რვა ენაზე. და ყველანი ერთად ვლაპარაკობთ რუსულად. არც ერთ მათგანს არ ეჩვენება ეს უცნაურად, არავითარი დავა არ გვქონია ჩვენში, სადაც არგუმენტი შეიძლება ყოფილიყო ეროვნება, აქცენტი, თვალის ფორმა... მსიამოვნებს მელოდიური აზერბაიჯანული ენის მოსმენა: ორი ჩემი მეზობელი საღამოობით ბაქოს, კასპიის ზღვას ახსენებს. რა მშვენივრად მღერიან უკრაინელები! ბევრჯერ მომისმენია ეს სიმღერები რადიოთი, მაგრამ მთელი არსებით მხოლოდ აქ შევიგრძენი უკრაინიდან, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით. აშკარად ვგრძნობ, როგორ შემეკამათებიან: ღირდა კი ასე შორს წასვლა საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა გასაგებად? ვუპასუხებ: ღირდა! რადგან ისინი არა მარტო უნდა გაიგო, არამედ მთელი გულითაც შეიგრძნო“[23].

ცნობილმა საბჭოთა მწერალმა ა. ჩაკოვსკიმ ინგლისის რადიოს კითხვაზე სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „შეეკითხეთ ნებისმიერ საბჭოთა ადამიანს, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს, დაასახელოს თავისი სამშობლო, და ის თქვენ გიპასუხებთ: საბჭოთა კავშირი. და ამავე დროს ყოველმა კარგად იცის, რომელ ეროვნებას მიეკუთვნება, და ამაყობს ამით“[24].

აღნიშნული მოვლენები მკაფიოდ ადასტურებს პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის — ახალი ადამიანის აღზრდის გზაზე მძლავრად წინ გადადგმულ ნაბიჯებს; ადამიანისა, რომელიც თავის თავში უნდა აერთიანებდეს ღრმა იდეურ რწმენას და დიდ ცხოვრებისეულ ენერგიას, სულიერ კულტურასა და ცოდნას. კომუნისტური საზოგადოება იქმნება არა სტიქიურად, არამედ ხალხთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივით. ასეთი სახის შემოქმედება პირდაპირ კავშირშია ადამიანთა მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასთან, საზოგადოებრივი მოვალეობის გაგებასთან, მათ ზნეობრივ მოწიფულობასთან, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობასთან, შრომისმოყვარეობასა და დისციპლინასთან, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კერძომესაკუთრული მორალისადმი შეურიგებლობასთან[25].

როგორც ცნობილია, იდეოლოგიურ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოხელოვნება, ლიტერატურა, თეატრი და სპორტიც კი, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ „სპორტი მხოლოდ სპორტი არ არის, რომ იგი ადამიანთა, გნებავთ, მთელ ეროვნებათა უფრო რთული ურთიერთდამოკიდებულების ერთგვარი მოდელია...“[26].

ოლიმპიური თამაშების მოახლოებისას ძველ საბერძნეთში მეომარ სახელმწიფოებს შორის იდებოდა „წმინდა ზავი“, ჯერ კიდევ გუშინ დაუძინებელი მტრები იარაღს ყრიდნენ და ერთად მიემართებოდნენ ოლიმპისაკენ. დღეს ეს ყველაფერი თითქმის დაუჯერებელია, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია განუწყვეტელი ომების ეპოქაზე მაგრამ ფაქტია რომ ანტიკურ ოლიმპიადათა არსებობის თორმეტი საუკუნის მანძილზე „წმინდა ზავი“ მხოლოდ ერთხელ დაირღვა:

---

23 გაზ. «Правда», 1982 წ. 18 ნოემბერი.

24 А. Чаковский, Литература, политика, жизнь, М., 1982, გვ. 208.

25 Руководящая роль КПСС в условиях развитого социализма, М., 1979, გვ. 21.

26 პ. ნაცვლიშვილი ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე! თბ., 1983, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა



103-ე თამაშების დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 368 წელს არკადიელებმა იარაღი არ დაყარეს. უფრო მეტიც: მათ ოლიმპია დაიპყრეს. ბერძენთა რისხვას საზღვარი არ ჰქონდა: უკლებლივ ყველა ბერძნული სახელმწიფო განუდგა არკადიელებს და მათ სამუდამოდ აეკრძალათ ოლიმპიადაში მონაწილეობა[27].

დღეს კაპიტალურ ქვეყნებში სპორტი საქმოსნებისა და პოლიტიკოსების ხელთაა. აღნიშნულ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებამ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მილიტარიზაცია გამოიწვია. გამოიკვეთა ახალი სისტემა, საშუალება და მეთოდი, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზიკური მომზადებისაკენ. ასე იყო გერმანიაში ფაშიზმის ბატონობის პერიოდში, როდესაც ყველა დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდა მთლიანად იყო მილიტარიზებული და ფაშისტურ იდეოლოგიას დაქვემდებარებული[28].

რათა ჩრდილი მიეყენებინათ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის, კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიქმნა 300-ზე მეტი ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფი. მაგრამ, როგორც ცნობილია ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა სათანადო ზომების მიღების გამო[29].

თუ რა ფართო შესაძლებლობანი აქვს სპორტს ჩვენს ქვეყანაში, ეს საყოველთაოდ აღიარებულია. ყოველი შეჯიბრება ინტერნაციონალიზმის დღესასწაულია. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოძმე ერების ასპარეზობაა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ეროვნულ შუღლს, ყოყოჩობას. ეს, პირველ რიგში სპორტული ასპარეზობა, ხელს უწყობს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, ეროვნულ ურთიერთობათა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ყოველი სპარტაკიადა ხალხთა მეგობრობის ტრიუმფი ხდება ხოლმე.

იდეოლოგიური ბრძოლის მიმდინარე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ეროვნული რესპუბლიკების კომპარტიათა მოღვაწეობას მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სფეროში. ამის შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა, განიხილა რა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, დასახა მოქმედების ფართო გეგმა.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ერთი წუთით არ ივიწყებს იმას, რომ იდეოლოგიურ ბრძოლაში დასავლეთის რეაქციული წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი განსაკუთრებულ იმედს ამყარებს ეროვნული რესპუბლიკების კულტურის სფეროში პარტიის პოლიტიკის გაყალბებაზე. ბურჟუაზიული იდეოლოგები სოციალისტური ერის განვითარებაზე რომ ლაპარაკობენ, თვალთმაქცურად ამახვილებენ ყურადღებას თვითმყოფადი ეროვნული კულტურის შენარჩუნების აუცილებლობაზე და ამ თვითმყოფადში არქაულ ნიშნებს გულისხმობენ. „მასობრივი ინფორმაციის ბურჟუაზიული საშუალებანი ჩვენს ქვეყანაში ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, რომ საბჭოთა კავ-

---

27 ა. ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

28 История физической культуры и спорта, М., 1983, გვ. 79.

29 С. Цвигун, О происках империалистических разведок, журн. «Коммунист», № 14, 1981, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შირში თრგუნავენ ეროვნულ უმცირესობებს, ძალად არუსებენ მოკავშირე რესპუბლიკებს. მაგრამ აქ, საქართველოში, სრულიად საწინააღმდეგოში დავრწმუნდით. გაგვაოცა ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის მაღალმა გრძნობამ, ხალხისა, რომელიც სათუთად ეკიდება თავის უძველეს თავისთავად კულტურას", — განაცხადა პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ეროვნული სამდივნოს წევრმა ბლაშკო უგო ფერნანდესმა, რომელიც შედიოდა ჩვენს რესპუბლიკაში პორტუგალიის დღეებში მონაწილეობისათვის წარმოგზავნილი ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში[30].

ახლა „კულტურტრეგერი" არ სჭირდება ჩვენს კულტურას, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ჩვენს სოფელში მარტო მღვდელმა იცოდა წერა-კითხვა. ახლა მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების გარდა ბერლინში, იენაში, ლაიფციგში, პრაღაში, ვარშავაში სწავლობენ ჩვენი ახალგაზრდები. საარბრიუკენთან მეგობრობს თბილისი, ცნობილმა გერმანელმა რეჟისორმა ვედეკინდმა თელავის სახელმწიფო თეატრში დადგა შილერის „ვერაგობა და სიყვარული". მშვიდობას დანატრებული საქართველო კაცთმოყვარეა და გულგახსნილი. „თუ მოყვრად მოხველ თათარო, იცოდე ჩემი ძმა ხარო", უთქვამს ქართველ კაცს. საძმოა ჩვენი სადროშო, ძმობა აწერია ჩვენს უძლეველ ალამს![31] ოკეანისგაღმელი სოვეტოლოგები კი ნიანგის „ცრემლებს" ღვრიან და ქართული კულტურის შევიწროებაზე ლაპარაკობენ. კარგი იქნებოდა მათ სცოდნოდათ, რომ საქართველოში ყოველ 10 ათას მოსახლეზე უფრო მეტი სპეციალისტია, ვიდრე სადმე მსოფლიოში, და მათ შორის უმრავლესობამ უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე მიიღო, სადაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს შვიდ ენაზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ განვლილი ბრძოლისა და გამარჯვებების ისტორიული გზა ერწყმის ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ცხოვრების უდიდეს და მძლავრ ნაკადს. საქართველო, რომელსაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მხოლოდ მესამასედი უკავია, დღეს იძლევა ქვეყანაში გამოშვებული მაგისტრალური ელმავლების 30%-ს, მთელი მოწეული ყურძნის — 13%, ციტრუსოვანთა დაახლოებით — 100%-ს, ჩაის ფოთლის — 94%-ს.

საქართველოში განვითარდა ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა; წლითიწლობით იზრდება რესპუბლიკის წვლილი საბჭოთა კავშირის საერთო ექსპორტში. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია 80-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებს ნაყოფიერი მუშაობა თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრი გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 140 სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს აერთიანებს. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიოლოგთა, აღმოსავლეთმცოდნეთა, ისტორიკოსთა, გეოლოგთა, ფსიქოლოგთა სკოლებმა.

---

30 გაზ. „კომუნისტი", 1983 წ. 8 ივლისი.

31 რ. დვალიშვილი, ბედი ქართლისა, გაზ. „კომუნისტი", 1983 წ. 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარქსისტული იდეოლოგიის მეცნიერულობა და დემოკრატიზმი, რევოლუციურობა და ჰუმანიზმი ძირეულად განასხვავებს მას ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან, რომლის მიზანია გაამართლოს და დაასაბუთოს იმპერიალიზმის ექსპლუატატორული წესები, მისი აგრესიული პოლიტიკა, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და შოვინიზმი. კომუნისტური იდეოლოგია კი თავისი ჭეშმარიტებითა და პატიოსნებით, მთლიანობითა და ოპტიმიზმით იპყრობს მილიონთა გულსა და გონებას. ეს არის აღმავალი კლასის იდეოლოგია, ახალი საზოგადოების იდეოლოგია, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის იდეოლოგია[32]. საბჭოთა ხალხების ერთიანობა ყველაზე დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი იდეალების მაღალზნეობრივ და პოლიტიკურ ძალას, რომელმაც შეაკავშირა ადამიანები მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად[33].

ამ ცოტა ხნის წინათ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა—გარდაიცვალა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. ეს იყო ლენინური ტიპის ხელმძღვანელი. იგი ვერ ურიგდებოდა რუტინასა და შაბლონს, შეეძლო დაეძლია ინერცია, განეწყო ადამიანები სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად ერთსულოვანი მუშაობისათვის. მისი ხელმძღვანელობით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დასაბამი მისცეს ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ ძვრებს[34].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის რიგგარეშე პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო. კ. უ. ჩერნენკოს სიტყვამ აღნიშნულ პლენუმზე ქვეყანაში შექმნა მაღალი პოლიტიკური და შრომითი განწყობილება, მიზნად დაუსახა შრომით კოლექტივებს პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება, 1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება. „მთელი იდეოლოგიური საქმიანობა — აღნიშნა სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ — ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ ყველგან დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი — საქმიანი, შემოქმედებითი, ნოვატორული სტილი, რომელიც გამსჭვალულია მაღალი იდეურობით, ყოველივე იმ ჩამორჩენილისადმი შეუწყნარებლობით, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის ნორმებს, კოლექტივისტური ცხოვრების ყაიდას“[35].

აღნიშნულმა პლენუმმა მიღებულ დადგენილებაში დადებითად შეაფასა მუშაობა, რომელიც აღზრდისა და პროპაგანდის საქმის გასაუმჯობესებლად გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილების შესაბამისად.

---

32 კ. უ. ჩერნენკო, მოხსენება სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, გვ. 36.

33 ე. ა. შევარდნაძე, რევოლუციური მოვალეობის ერთგულება, გაზ. „კომუნისტი“, 1981, 26 თებერვალი.

34 კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა წინასაარჩევნო კრებაზე ქ. მოსკოვის კუიბიშევის რაიონის მშრომელებთან შეხვედრისას, გაზ. „კომუნისტი“, 1984, 3 მარტი.

35 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1983 წლის 14—15 ივნისი, თბ., 1983, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასთანავე პლენუმმა აღნიშნა, რომ ამ სფეროში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი მთლიანად არ აღმოფხვრილა, ყველა პარტიული კომიტეტი არ იჩენს მათდამი ჯეროვან ყურადღებას. ჯერ კიდევ ვაწყდებით ისეთ შეუწყნარებელ მოვლენებს, როგორიც არის პრაქტიკის მოთხოვნილებებისაგან მოწყვეტა, ფორმალიზმი და პარადულობა. იდეოლოგიური საქმიანობის შემდგომი სრულყოფა, მისი შედეგიანობის ამაღლება პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა[36].

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება მიღწეულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი და ორგანიზატორული საქმიანობის მეოხებით. პარტიის ხელმძღვანელი როლი ჩვენი ხალხის ყველა წარმატების, ყველა გამარჯვების საწინდარია. პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა გასაგები და ახლობელია კომუნისტებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, რომლებიც მას მხურვალედ იწონებენ და სავსებით უჭერენ მხარს. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ რაც უფრო უკეთ მუშაობს თითოეული ჩვენგანი, რაც უფრო მაღალია ჩვენი ორგანიზებულობა, დისციპლინა — მით უფრო ძლიერია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, მით უფრო მტკიცეა ქვეყნად მშვიდობა. ჩვენ ვხედავთ: პარტია თავისი ლენინური კურსის ერთგულია და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა, იხსნას კაცობრიობა ბირთვული ომის საფრთხისაგან. ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე პარტიამ კვლავ მტკიცედ და გულდაჯერებით განაცხადა, რომ არც ერთი ნაბიჯით არ დაიხევს თავისი საგარეო სამშვიდობო პოლიტიკისაგან. პარტიის ეს კურსი გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებას, უზრუნველყოფს ადამიანის მთავარ უფლებას — სიცოცხლის უფლებას.

---

36 სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, 1983 წლის 15 ივნისი, გვ. 81.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

А. С. ГАБИЛАЯ

# ИЗ ИСТОРИИ ДЕЯТЕЛЬНОСТИ АБХАЗСКОЙ ОРГАНИЗАЦИИ КП ГРУЗИИ ПО ИДЕЙНОМУ И ОРГАНИЗАЦИОННОМУ УКРЕПЛЕНИЮ РЯДОВ ПАРТИИ

Исторический опыт КПСС учит коммунистов последовательному проведению в жизнь ленинской линии. Важное место в этом опыте занимает проблема борьбы с различного рода антиленинскими течениями и группировками. Без их идейного и организационного разгрома нельзя было обеспечить единство партийных рядов, руководство освободительной борьбой трудящихся и строительством социализма. Одним из таких течений был троцкизм. Партия вела непримиримую борьбу с троцкизмом еще в предоктябрьский период, но наиболее ожесточенный характер она приняла после Октября, когда троцкисты предприняли прямую попытку сорвать социалистическое строительство в нашей стране.

Троцкисты заявляли, что социализм в СССР не может быть построен без победы социалистической революции в странах запада. После смерти В. И. Ленина их атаки на партию особенно усилились, получив поддержку со стороны врагов советской власти, самых агрессивных сил капиталистического окружения.

К концу 1925 года трудящиеся нашей страны под руководством коммунистической партии добились значительных успехов в восстановлении народного хозяйства. Однако еще не была преодолена экономическая отсталость. Среди промышленных стран Советский Союз занимал одно из последних мест. Диспропорция, сложившаяся в прошлом между промышленностью и сельским хозяйством, продолжала сохраняться.

Были трудности и внешнего характера, связанные с временной стабилизацией капитализма. Империалисты, подавив революционное рабочее и национально-освободительное движение, укрепили свои экономические и политические позиции. Все это способствовало усилению враждебной деятельности против нашей страны в области экономики, политики и идеологии.

Империалисты США и Англии стали вдохновителями антисоветских компаний, организаторами провокаций против Советского Союза. В этом им способствовали оппортунисты всех мастей. В ряде коммунистических партий активизировались «левые» и правые элементы. И те и другие не верили в возможность построения социализма в нашей стране.

Против ленинского курса партии на строительство социализма продолжали выступать троцкисты и зиновьевцы. Отрицая возможность победы социализма в СССР, раскольники заявляли, что наша страна не сможет преодолеть собственными силами свою технико-экономическую отсталость. Поэтому остается либо ждать побед революции в развитых капиталистических странах, либо отказаться от построения социализма.

Зиновьев, Каменев и их сторонники начали усиленно сколачивать антипартийный блок, готовить его к открытой борьбе против партии.

Ленинский центральный комитет вскрыл меньшевистский характер требований оппозиции по вопросам о перспективах социалистического

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



строительства в СССР, об отношении к крестьянству, о единстве партии и т. д.

Из истории нашей партии известно, что Зиновьев и Каменев в определенное время поддерживали партию в борьбе против троцкизма. В 1924 году, например, они выступили с критикой антиленинских взглядов Троцкого. Но, как подтвердили дальнейшие события, это делалось с целью обмана партийных масс. Показная «активность» Зиновьева и Каменева, которую они проявляли в борьбе с троцкизмом в 1924 году, являлась тактическим маневром, рассчитанным на подрыв авторитета ЦК. В 1924 году и Троцкий выступил с критикой поведения Зиновьева и Каменева в октябре 1917 года, использовав это как предлог для нападок на ЦК партии. Готовился он выступить против них и на XIV съезде партии. Однако, присмотревшись к их политической платформе, Троцкий изменил свою точку зрения и занял на съезде позицию «молчаливой поддержки «новой оппозиции». В свою очередь и Зиновьев сделал шаг навстречу Троцкому, выдвинув на съезде явно предназначавшееся для Троцкого и его единомышленников требование привлечь к активной работе все силы бывших фракционных группировок, ранее разгромленных партией.

Так троцкисты и зиновьевцы стали постепенно сближаться. Это особенно проявилось на январском (1926 г.) Пленуме ЦК ВКП(б). Оказав поддержку Зиновьеву и Каменеву, Троцкий подверг критике работу Политбюро, вновь выдвинул свой клеветнический тезис о «невозможном режиме» в партии, обвинял ЦК в зажиме демократии. А на апрельском (1926 г.) Пленуме ЦК ВКП(б) троцкисты и зиновьевцы выступили со своими предложениями при обсуждении вопроса «О хозяйственном положении и хозяйственной политике». Их требования были схожи.

Так в 1926 году сложился троцкистско-зиновьевский антипартийный блок. Усилилась фракционная борьба, были попытки дезорганизовать работу Политбюро, затевались по малейшему поводу дискуссии. Одновременно оппозиционеры встали на путь развертывания подпольной антипартийной деятельности, стали создавать на предприятиях и в учреждениях конспиративные ячейки. В целях дискредитации линии партии они перепечатывали и рассылали тенденциозно подобранные секретные партийные документы, направляли своих сторонников в различные партийные организации с целью создания подпольных ячеек и т. д.

В борьбу против троцкистско-зиновьевского блока включились все партийные организации страны, в том числе и абхазская партийная организация. Расширенный пленум Абхазского обкома партии, состоявшийся 3 сентября 1926 года, обсудив итоги июльского (1926 г.) Пленума ЦК и ЦКК ВКП (б), в резолюции, принятой по докладу секретаря Абхазского обкома партии Г. Стуруа, отметил: «только партия, объединенная единой дисциплиной, может привести нас к окончательной победе социализма»[2].

В своем постановлении Пленум осудил фракционную деятельность оппозиционного блока. Подобные резолюции принимались на партийных собраниях всех трудовых коллективов Абхазии.

Антиленинскую сущность и фракционную деятельность троцкистско-зиновьевского антипартийного блока резко осудила вся партия. Коммунисты требовали строгого наказания раскольников. Потерпев полный

---

[1] См. История Коммунистической партии Советского Союза, т. IV, книга, I, с. 428.

[2] Газ. «Комунисти», 5 сентября 1926 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

провал на партийных собраниях фабрик и заводов, лидеры оппозиционного блока были вынуждены отступить. 16 октября 1926 года Троцкий, Зиновьев, Каменев и другие направили в ЦК ВКП(б) заявление, в котором обещали прекратить фракционную работу, хотя они не отказывались от своих идейных взглядов.

В борьбе с объединенной троцкистско-зиновьевской оппозицией важную роль сыграла XV партийная конференция, проходившая 26 октября-3 ноября 1926 года. Конференция одобрила тезисы доклада И. Сталина и приняла постановление «Об оппозиционном блоке в ВКП(б)». В своем докладе И. Сталин показал, что троцкисты и зиновьевцы остались по своим идейным взглядам на социал-демократических, меньшевистских позициях. Он опроверг измышления троцкистов, отказывавшихся считать Октябрьскую революцию социалистической и видевших в ней только орудие для развертывания революционного движения в странах запада. В докладе были разоблачены «сверх-индустриалистические» устремления оппозиционеров и обоснована необходимость проводившейся в жизнь политики партии»[3]. Конференция охарактеризовала троцкистско-зиновьевский блок «как социал-демократический уклон в партии»[4].

В резолюции конференции «Об оппозиционном блоке в ВКП(б)» дана принципиальная оценка объединенной оппозиции и сформулированы задачи борьбы за полное разоблачение и разгром троцкизма. Выступившие на конференции требовали полной политической изоляции оппозиции. Сомневаясь в искренности заявления оппозиционеров от 16 октября, они говорили, что это есть тактический шаг, а не признание перед партией своих ошибок.

Областная конференция Абхазской партийной организации, одобрив решения XV партийной конференции, отметила, что «осуждает оппозицию, которая толкает нашу страну на путь авантюризма»[5].

Летом 1927 года, воспользовавшись обострением международного положения, оппозиционеры вновь выступили против партии. 9 мая на торжественном собрании в честь 15-летия «Правды» с нападками на политику ЦК ВКП(б) выступил Зиновьев.

Через несколько дней на VIII Пленуме ИККИ Троцкий и его сторонники обрушились с клеветническими обвинениями на руководство ВКП(б) и Коминтерна. Пленум осудил выступление Троцкого как явно фракционное и констатировал, что «оппозиция не только идеологически, но и организационно становится центром тех враждебных пролетариату слоев, которые тяготятся режимом пролетарской диктатуры и активно стремятся к ее свержению»[6].

На IX Сухумской городской партийной конференции, состоявшейся 21 декабря 1926 года, было заслушано сообщение секретаря обкома партии Г. Стуруа о новой попытке оппозиции дискредитировать ЦК ВКП(б), демагогически протащить свои ошибочные взгляды, единогласно осужденные XV Всесоюзной партийной конференцией. Конференция отметила, что поведение Троцкого и его сподвижников на Пленуме ИККИ есть факт, подтверждающий лицемерие и фальшь со стороны оппозиции перед ВКП(б): оппозиция наглым образом нарушила данное

---

[3] З. И. Ключева. Идейное и организационное укрепление коммунистической партии в условиях борьбы за построение социализма в СССР. М., 1970, с. 225.

[4] XV Конфереция Всесоюзной Коммунистической партии. Стенографический отчет. М., 1926, с. 814.

[5] «Комунисти», 30 ноября 1926 г.

[6] «Большевик», 1929, г., № 2, с. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 октября обещание отказаться от фракционной борьбы, она только на словах признает решения XIV партийного съезда и XV партийной конференции, а на деле борется против этих решений.[7].

В статье «Требуем решительных мер против оппозиции», опубликованной в газете «Советская Абхазия», указывалось «что такое поведение оппозиции еще более развязывает силы враждебных течений, направленных против ВКП(б) и ИККИ»[8].

В резолюции конференции записано: «IX Сухумская уездно-городская партийная конференция требует, чтобы ЦК ВКП(б), согласно решений XV Всесоюзной партийной конференции, положил конец дезорганизаторам, фракционным действиям оппозиционеров. Сухумская уездно-городская партконференция со своей стороны обещает всемерную поддержку ЦК в его мероприятиях, направленных на сохранение ленинского стального единства рядов ВКП(б)»[9].

Троцкистско-зиновьевский антипартийный блок имел своих сторонников и в Абхазии. Открытую нелегальную борьбу против партии они развернули в конце 1926 и начале 1927 года. Оппозиция в Абхазии, как в целом по Грузии, не имела своей собственной, в отличие от троцкистско-зиновьевского блока, платформы. Они руководствовались общей платформой. Выполняя указания антипартийного блока, оппозиционеры в Грузии грубо нарушали партийную дисциплину, создавали нелегальные троцкистские организации: ячейки, уездные тройки, пятерки, центральный комитет. Местная оппозиция переводила, нелегально печатала и распространяла полученные из троцкистского центра антипартийные материалы, вела фракционную пропагандистскую работу, пыталась привлечь коммунистов на сторону оппозиции, организовывала антипартийные лекции-доклады для оппозиционеров. На партийных собраниях организованно выступала с демагогической критикой решений партии, систематически пыталась дискредитировать партийных работников, собирала необходимые для оппозиционной работы средства, фактически создавала троцкистскую партию[10].

Антипартийной деятельностью фракционеров в Абхазии руководил оппозиционный центр Грузии. Фракционная работа еще больше активизировалась после приезда в Абхазию И. Н. Смирнова[11]. Это выразилось в первую очередь в том, что создавали нелегальные тройки, привозили из центра и распространяли оппозиционную литературу, вербовали новых членов, устраивали нелегальные собрания оппозиционеров, а затем начали открыто и организованно выступать на партийных собраниях, пленумах, районных и областных конференциях.

Оппозиционеры Абхазии разделяли троцкистские взгляды по всем основным вопросам разногласий между партией и оппозицией. Выступая на X Сухумской городской партийной конференции (28—30 октября 1927 года) Романоз Гогохия пытался доказать, что единственное спасение завоеваний Октября—это всемирная революция. «Мнение о построении социализма в одной стране, — говорил он, — это прямой отход от

---

[7] «Советская Абхазия», 23 декабря 1926 г.

[8] Там же.

[9] Там же.

[10] Л. Тоидзе. Компартия Грузии в борьбе за ленинизм. Тб., 1974. с. 74.

[11] И. Н. Смирнов в 1927 г. исключен из партии как активный деятель троцкистско-зиновьевской оппозиции: после восстановления он вновь в 1933 г. был исключен из ВКП (б) за антипартийную и антисоветскую деятельность.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ленинской линии, отказ от международной революции»[12]. Выступившие на данной конференции делегаты Бигвава, Махновский, Бенидзе и другие осудили выступление Р. Гогохия, и конференция призвала всю абхазскую партийную организацию «твердо сплотить большевистские ряды» и предложила «областному комитету исключить из партии явных неисправных оппозиционеров и дезорганизаторов, нарушивших партийную дисциплину.»[13]

От имени оппозиции на IX партийной конференции Гагрского уезда выступил Кирсанов, который поддержал троцкистский лозунг сверхиндустриализации страны[14] и заявил свой протест по поводу исключения из партии Троцкого и Зиновьева из Коминтерна. Конференция дала решительный отпор оппозиционным вылазкам. Выступивший в прениях делегат Рогава заявил: «Если оппозиция устами Кирсанова говорит о перерождении нашей партии и всякую другую глупость в адрес ленинской партии, следовательно, нужно подчеркнуть, что оппозиционеры тем самым способствуют дезорганизации рядов нашей партии, желая сорвать колоссальную работу в области социалистического строительства нашей страны»[15].

С чувством большого возмущения выступил на этой же конференции Гайворонский, который отметил: «Кирсанов ясно продемонстрировал, что из себя представляет эта кучка людей, называющих себя оппозиционерами, что эти люди ничего общего не имеют с конкретной, реальной обстановкой современного периода социалистического строительства и международной обстановки, что оппозиционеры явно сползают с партийных рельсов прямо в оппортунистическое болото»[16].

В своем заключительном слове секретарь Абхазского обкома Г. Стуруа заявил, что «оппозиция в лице Троцкого не может поколебать единство нашей партии и что XV съезд партии должен положить конец оппозиционной болтовне.»[17]

Гагрская уездная партийная конференция в своем постановлении записала, что целиком и полностью одобряет решения ЦК и ЦКК ВКП(б) об исключении Троцкого и Зиновьева из состава ЦК ВКП(б).

В Гальском уезде троцкистскую нелегальную организацию возглавлял бывший секретарь Гальского укома, исключенный из партии за оппозиционную деятельность Терентий Ардашелия, который имел связь с оппозиционерами в Тбилиси. Организовывал ячейки, районные и уездные тройки, подготавливал нападение на Ачигварское кредитное товарищество с целью ограбления (для нужд нелегальной троцкистской организации)[18].

Деятельность Ардашелия вскоре стала известна и партийной организации уезда. В отчетном докладе Гальского укома за период декабрь 1926 г. — октябрь 1927 г. записано: «Обанкротившаяся грузинская оппозиция постаралась ввести в заблуждение и Гальскую организацию. С этой целью был командирован сюда Терентий Ардашелия, последний

---

[12] Партархив Абхазского обкома КП Грузии, ф. 23, оп. I, д. 17, л. 141.
[13] Партархив Абхазобкома КП Грузии, ф. 23, оп. I, д. 17, л. 171.
[14] Там же.
[15] Партархив Абхазского обкома КП Грузии, ф. 23, оп. I, д. 17, л. 323.
[16] Там же.
[17] Там же, с. 324—325.
[18] Партархив Абхазского обкома КП Грузии ф. I, оп. 2., д. 286, л. 3.
[19] Там же, ф. 30, оп. I, д. 16, л. 24.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

постарался перевести на свою стороны некоторых членов Гальской организации и пытался организовать подпольный комитет»[19].

Оппозиция в Гальском уезде по сравнению с другими уездами Абхазии была самой многочисленной, несмотря на то, что партийная организация уезда очень энергично боролась против нее. В 1927—1928 г. были выявлены подпольные троцкистские ячейки в селах Тагилони, Чубурхинджи, Ачигвари, Отобая, Окуми, Речхо-Цхири, Баргеби и т. д.

Фракционная работа местных оппозиционеров была резко осуждена Гальской партийной организацией. Пленум Гальского укома партии, состоявшийся 17 ноября 1927 года, сыграл важную роль в идейном и организационном разгроме местной оппозиции. В докладе В. Ладария «О фракционной работе оппозиции в Гальском уезде», который был обсужден пленумом, приводились многочисленные примеры, подтверждавшие фракционную деятельность местных оппозиционеров. На пленуме присутствовал один из главарей местной оппозиции Т. Ардашелия, пытавшийся использовать в своих фракционных целях трибуну пленума[20]. Участники Пленума сурово осудили демагогические, антиленинские заявления Ардашелия и единогласно проголосовали за исключение его из рядов ВКП(б).

В Постановлении пленума говорилось: «Ввиду того, что т. Ардашелия не отказался от своей антипартийной, разлагающей компартию фракционной работы и неподчинения решениям партии, что ясно изложено т. Ардашелия письменно в своих ответах, Пленум единогласно подтвердил постановление уездно-городского собрания членов и кандидатов КП Гальской организации с активом ЛКСМ от 16 ноября 1927 года об его исключении из рядов ВКП(б)»[21]. Пленум счел необходимым принять такие же меры и против других фракционеров.

Одним из руководителей троцкистской организации был также брат Терентия Ардашелия Пармен Ардашелия, имевший связь с фракционерами других уездов.

Местные фракционеры еще более активизировали раскольническую деятельность после того, как оппозиция во главе с Троцким представила (май 1927 года) в Политбюро ЦК ВКП(б) свою декларацию — «заявление 83-х». Позднее появилась другая антипартийная группировка — «платформа 15-ти».

Выполняя указания лидеров троцкистско-зиновьевского антипартийного блока, местные оппозиционеры использовали все средства для распространения вышеназванных оппозиционных платформ, полученных ими нелегальным путем.

Местные оппозиционеры утверждали, что партия из пролетарской превратилась в мелкобуржуазную, отказалась от завоеваний октябрьской революции, что она якобы проводит политику, направленную на развитие капиталистических элементов города и деревни. Политику индустриализации оппозиция объявила политикой эксплуатации рабочих, политикой мелкобуржуазного уклона, политикой обогащения частного капитала. Мероприятия партии, направленные на развитие социалистических форм хозяйства в земледелии она квалифицировала как уступку кулаку, как стремление ЦК сорвать социалистическое преобразование деревни.

Противники генеральной линии партии, создав нелегальную троцкистскую организацию, собрали вокруг себя все антипартийные и анти-

---

[20] Партархив Абхазского обкома КП Грузии, ф. 30, оп. I, д. 17, л. 12—13.

[21] Там же, ф. 30, Оп. I, д. 17, л. 14.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

советские силы. Троцкистско-зиновьевский антипартийный блок искал опору среди националистически настроенных элементов.

Оппозиция создала свой ЦК, имела местные подпольные комитеты в Москве, Ленинграде, Одессе, Харькове, в Грузии, на Урале, в Сибири и других местах, проводила сбор членских взносов. Для пропаганды и распространения своих политических взглядов она устраивала нелегальные типографии. Это были прямые шаги к созданию отдельной партии[22].

Глубокий анализ антипартийных действий Троцкого, Зиновьева и их сподвижников был дан июльско-августовским (1927 г.) объединенным Пленумом ЦК и ЦКК ВКП(б). «Оппозиция, — говорил на Пленуме председатель ЦКК ВКП(б) Г. К. Орджоникидзе, — пыталась свернуть партию с ленинского пути. Теперь она воспользовалась осложнениями в международном положении для новой попытки изменения генерального курса партии»[23].

Партия в течение ряда лет проявляла величайшее терпение, пытаясь добиться от лидеров оппозиции подчинения партийной дисциплине. Но Троцкий и Зиновьев встали «на путь организации новой партии против ВКП(б), на путь открытого раскола в ВКП(б), систематически нарушая решения нашей партии, разрушая партийную дисциплину»[24].

Все эти преступления против партии и пролетариата поставили лидеров во враждебное отношение к партии. Интересы партии потребовали применения к ним радикальных мер. ЦКК ВКП(б) предложил оппозиционерам отказаться от полупораженческой теории Троцкого перед лицом угрозы войны и встать на путь безусловной защиты СССР от империализма, отказаться от политики раскола в Коминтерне и порвать все связи с группой Маслова-Рут Фишер, отказаться от политики раскола ВКП(б) и создания второй партии[25].

Лидеры троцкистско-зиновьевского антипартийного блока отвергли справедливые требования партии. Тогда объединенный пленум ЦК и ЦКК объявил строгий выговор с предупреждением Троцкому и Зиновьеву, обязав их принять все меры для ликвидации фракционных группировок. Однако они не подчинились решениям партии. 3 сентября 1927г. оппозиционеры вновь направили в ЦК за подписью Троцкого, Зиновьева, Каменева, Евдокимова, Бакаева, Раковского, Пятакова, Муралова и др. (всего 13 человек) новую платформу. В ней повторялась клевета на партию, содержавшаяся в «заявлении 83-х». Вопрос об антипартийных действиях Троцкого, Зиновьева и других обсуждался на Политбюро ЦК и в президиуме ЦКК ВКП(б) в сентября 1927 г., а в октябре был поставлен на объединенном Пленуме ЦК и ЦКК ВКП(б). Пленум постановил исключить Троцкого и Зиновьева из состава ЦК за обман партии и грубейшее нарушение взятых на себя обязательств, за усиление фракционной борьбы против ВКП(б) и ее единства до степени, граничащей с образованием новой антиленинской партии.

Ноябрьский (1927г.) объединенный Пленум ЦК и ЦКК ВКП(б) исключил их из партии. После него оппозиция в Грузии еще более усилила борьбу против партии. Она придала широкий характер кампании сбора подписей под «платформой 83-х». Грузинские фракционеры в

---

[22] З. И. Ключева. Идейное и организационное укрепление компартии в условиях борьбы за построение социализма в СССР. М., 1970, с. 332.

[23] См. «Большевик», 1927, № 14, с. 5.

[24] КПСС в резолюциях и решениях, ч. II, с. 391.

[25] Там же, ч. II. с. 391—392.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



своих заявлениях в адрес ЦК и ЦКК ВКП(б) выражали недовольство по поводу исключения Троцкого и Зиновьева из партии.

Их примеру последовали и абхазские оппозиционеры. Выступая на IX областной партийной конференции (декабрь 1927г.), Зосим Бения[26] заявил: «Исключительно расхожусь с резолюцией по вопросу исключения Троцкого и Зиновьева из партии». Более того, З. Бения написал письмо протеста по поводу исключения Троцкого и Зиновьева, направил в ЦК КП Грузии и Абхазский обком с требованием о немедленном восстановлении их в партии[27].

Другой оппозиционер О. Автандилов в своем выступлении на IX областной партийной конференции высказал свой протест в адрес ЦК в связи с исключением Троцкого из партии. Делегаты IX областной конференции М. Орахелашвили, Г. Стуруа, А. Гегелия и другие в своих выступлениях сурово осудили выступления З. Бения и О. Автандилова, проголосовавших против решения партии.

Констатировав факт существования группы оппозиционеров, конференция отметила, что их действия направлены на подрыв авторитета коммунистической партии перед массами трудящихся, на то, чтобы дезорганизовать напряженную работу по социалистическому строительству. IX Всеабхазская областная партийная конференция целиком и полностью присоединилась к решениям пленума ЦК и ЦКК ВКП(б) об исключении из состава ВКП(б) Троцкого и Зиновьева.

Твердо отстаивая ленинскую линию ЦК ВКП(б), IX Всеабхазская областная партконференция призвала всю Абхазскую организацию КП(б) Грузии сплотить большевистские ряды и предложила обкому исключить из партии явных неисправных оппозиционеров и дезорганизаторов, нарушавших партийную дисциплину.

Совещание секретарей партийных ячеек г. Сухуми (26 октября 1927 года), где был заслушан доклад Т. В. Ладария о решении объединенного пленума ЦК и ЦКК ВКП(б) потребовало: «Убрать с дороги дезорганизаторов и раскольников партии, мешаюших строить социализм»[28].

Фракционную деятельность троцкистско-зиновьевского антипартийного блока резко осудили и низовые партийные организации Абхазии. На собрании ячейки № 6 союза местного транспорта (24 октября 1927 г.) развернулись широкие прения, рабочие в своих выступлениях осуждали оппозиционеров, клеймили их позором. «Ячейка признала правильным исключение из партии организаторов нелегальной типографии Преображенского, Серебрякова, Шарова и др. Ячейка призвала всех членов партии дать решительный отпор раскольникам и дезорганизаторам, которые мешают партии в ее повседневной работе»[29].

Ячейки погранотряда, местранса и морсвязи единодушно одобрили постановление ЦК и ЦКК ВКП(б) об исключении Троцкого и Зиновьева из партии[30].

---

[26] Бения чл. партии с 1918 г.; в 1922 году был назначен наркомом земледелия Абхазии. В 1928 году за троцкистскую деятельность был исключен из рядов партии. 3/XI—1930 года решением партколлегии ЦИК он восстановлен в партии и по 1935 год работал на разных ответственных должностях. В 1935 году за выступление со оппортунистической речью и хранение троцкисткой литературы решением бюро обкома от II/XI—35 был повторно исключен из рядов партии.

[27] ПАГФ. ИМЛ. ф. 14, оп. д. 2268, л. 14.

[28] «Советская Абхазия», от 29 октября 1927 г.

[29] Там же, от 27 октября 1927 г.

[30] Там же, от 18 ноября 1927 г.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Заклеймил позором оппозиционеров партийный актив г. Сухуми, собрание которого состоялось 18 ноября 1927г. Выступившие в прениях Минасян, Меладзе, Анастасиади, Сукоян, Якубович и др. потребовали принятия самых решительных мер против «зарвавшихся лидеров оппозиции» и одобрили мероприятия ЦК ВКП(б), направленные на сохранение единства рядов ленинской партии. Партактив потребовал принятия решительных мер против местной оппозиции, предупредил Медзмариашвили, Саджая, Бения, Гогохия, Хиоти, Какучая и других оппозиционеров, что ведение ими фракционной антипартийной работы поставит их вне партии.

По поводу исключения оппозиционера Мельникова, который обвинялся в гнусной клевете на всю Абхазскую партийную организацию, газета «Советская Абхазия» от 26 ноября 1927 года писала, что «приветствует решительные меры, принятые Абхазской организацией КП(б) Грузии по борьбе с оппозицией».

«Дезорганизаторам-оппозиционерам нет места в ленинской партии» — под таким заголовком была напечатана статья в «Советской Абхазии» от 30 декабря 1927 г., в которой осуждались оппозиционеры, не порвавшие с фракционной работой. Однако местные приверженцы троцкистско-зиновьевского антипартийного блока продолжали вести явную раскольническую деятельность.

10 декабря 1927 г. бюро Абхазского областного комитета КП(б) Грузии, заслушав и обсудив материалы парткомиссии при ЦК Абхазии о фракционной дезорганизаторской деятельности местных оппозиционеров Медзмариашвили, Дальней, Саджая, Автандилова, Хиоти, Бения и их заявление о нежелании отмежеваться от оппозиции, подтвердила решение парткомиссии об их исключении из рядов ВКП(б)[31].

Выполняя указания антипартийного блока, абхазские оппозиционеры распространяли специальные вопросники, содержащие десятки провокационных вопросов, с которыми они обращались к докладчикам ЦК партии. Так, на общегородском партийном собрании, состоявшемся в г. Сухуми в октябре 1927 года, докладчику ЦК ВКП(б) Я. Э. Рудзутаку было задано 42 таких вопроса. Рудзутак дал исчерпывающие ответы на демагогические вопросы оппозиционеров и выразил уверенность, что раскольники не сумеют поколебать единства партии. Собрание осудило действие оппозиции и призвало партийные организации к решительной борьбе с фракционерами.

Большую роль в идейно-политическом разгроме оппозиции сыграла внутрипартийная дискуссия, развернувшаяся перед XV съездом ВКП(б). Оппозиции была предоставлена возможность изложить свои взгляды. В «дискуссионных листках» «Правда» наряду со статьями, в которых обосновывалась политика партии и разоблачался троцкизм, помещались и троцкистские материалы. Внутрипартийная дискуссия, на которую антипартийный блок возлагал большие надежды, завершилась полным поражением оппозиции. На 7 декабря 1927 года из 745 тысяч коммунистов, принявших участие в дискуссии, за ленинскую генеральную линию Центрального комитета партии голосовало свыше 738 тысяч, против — немногим более 4 тысяч (0,5%) воздержались от голосования менее 3 тысяч (0,3%)[32].

---

[31] «Советская Абхазия», от 14 декабря 1927 г.

[32] «Советская Абхазия» от 23 июля 1927 г.

[34] История Коммунистической партии Советского Союза, т. IV, кн. I, с. 462—463.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Жестоким поражением оппозиции закончилась дискуссия и в партийных организациях Абхазии.

Внутрипартийная дискуссия продемонстрировала торжество ленинской политики коммунистической партии и явилась ярким показателем провала троцкистско-зиновьевского антипартийного блока. В ходе дискуссии оппозиция была не только побеждена политически, но и разбита идейно.

Партийные организации Грузии, в том числе и Абхазии внесли значительный вклад в идейно-политический и организационный разгром троцкистско-зиновьевской оппозиции, мешавшей строительству нового социалистического общества. Разоблачая антисоветскую сущность троцкистских взглядов местных оппозиционеров, коммунисты Абхазии вели принципиальную борьбу за чистоту ленинизма, за победу социализма в нашей стране.

Большую роль в деле разгрома остатков троцкизма сыграла X Всеабхазская партийная конференция (1928г.). Она признала главнейшей задачей всей партийной организации последовательную борьбу со всякого рода идеологическими шатаниями и извращениями классовой линии на практике, очищение советских, хозяйственных, кооперативных и других организаций от чуждых нашему строю элементов. Конференция указала на необходимость расширения и углубления культурной революции, осуществления решительного перелома в деле развития абхазской национальной культуры, она широко обсудила вопросы социалистического строительства в деревне и в соответствии с решением XV съезда ВКП(б) определила практические задачи социалистического переустройства абхазской деревни.

Конференция призвала продолжать борьбу против остатков оппозиции, против их дезорганизаторской деятельности, еще больше заострила внимание на неуклонном проведении в жизнь четкой партийной классовой политики в борьбе со всякого рода идейно-политическими шатаниями и извращениями линии партии на практике.

Борьба партии с троцкизмом закончилась полной победой ВКП(б). Эта победа была вполне закономерной, так как в основе деятельности нашей партии лежали незыблемые принципы марксизма-ленинизма, она применяла их творчески, с учетом конкретной исторической обстановки и всегда непримиримо относилась к любым попыткам извратить эти принципы. Последовательная борьба с оппортунизмом, с одной стороны, и успехи революционной практики, с другой, — вот что привело к разгрому троцкизма в рядах КПСС.

Идейный разгром троцкизма обеспечил сохранение и дальнейшее развитие КПСС как партии нового типа, укрепил единство ее рядов. Без разгрома троцкизма нельзя было обеспечить победу социализма в СССР, превратить его в могучую индустриально-колхозную державу. С разгромом троцкизма и других антиленинских групп в КПСС исчезли надежды международной и внутренней буржуазии на гибель диктатуры пролетариата в СССР путем внутреннего перерождения партии и советской власти.

В дело идейного и организационного разгрома троцкистско-зиновьевской оппозиции внесли свой вклад и абхазские ленинцы.

Представлена Отделом новейшей истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ვაჩნაძე

# რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დასაწყისში

ვ. ი. ლენინი რევოლუციურ სიტუაციას უწოდებს ისეთ ვითარებას, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის დამხობისათვის ხელშემწყობი პირობები მომწიფებულია. ცნობილ სტატიაში „II ინტერნაციონალის კრახი“ — ვ. ი. ლენინი მიუთითებს სამ ძირითად ნიშანზე, რომლებიც ერთად აღებული აპირობებენ რევოლუციურ სიტუაციას. ეს ნიშნებია: „1. შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების“ ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედა ფენებს არ უნდოდეთ“ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება; 2. ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად; 3. აღნიშნული მიზეზების გამო მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი მშვიდობიან ეპოქაში მშვიდათ აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები“ იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“[1].

ვ. ი. ლენინი ჩამოთვლის რა რევოლუციური სიტუაციის ძირითად ფაქტორებს, იქვე მიუთითებს რუსეთის XIX საუკუნის ისტორიიდან ორ მონაკვეთზე, როცა ასეთი სიტუაცია არსებობდა: 1. 1859—1861 წწ. და 2. 1879—1880 წლები[2].

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის საფუძვლიანადაა შესწავლილი პირველი (1859—1861 წწ.) რევოლუციური სიტუაციის პერიოდი, დასაბუთებულია, რომ ამ წლებში რევოლუციური სიტუაცია არსებობდა კონკრეტულად საქართველოშიც. საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობაზე პირველად მიუთითა მკვლევარმა პროფ. შ. ჩხეტიამ, რომელმაც საგლეხო რეფორმის მომზადების შესახებ „საისტორიო მოამბეში“ გამოაქვეყნა დიდძალი დოკუმენტური მასალა[3] შესავალი წერილითურთ, ამ პერიოდში საქართველოში რევოლუციური სიტუაციის საკითხს საგანგებო გამოკვლევები უძღვნა ო. ჟორდანიამ, რომელმაც შეისწავლა საგლეხო რეფორმის წინა ვი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.

[2] იქვე.

[3] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, თბ., ტ. 4, 1948, გვ. X/IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარება საქართველოში, რეფორმის გატარება, მისი ნიშან-თვისებანი[4]. მაგრამ ჯერჯერობით არავის არ უკვლევია საგანგებოდ ის ფაქტორები, ანუ კომპონენტები, რომლებიც ერთად აღებულნი, მეორე რევოლუციურ სიტუაციას აპირობებდნენ.

მკვლევარი მ. ახობაძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა XIX ს-ის 60—90-იანი წლების გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თავისი მონოგრაფიის[5] ერთ-ერთ ქვეთავში გაკვრით ეხება მეორე რევოლუციური სიტუაციის საკითხს საქართველოში და აღნიშნავს: „გამოვდივართ რა ვ. ი. ლენინის მიერ რევოლუციური სიტუაციის საერთო გაგებიდან, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ XX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში შეიქმნა საერთო, ანუ ობიექტური რევოლუციური სიტუაცია, რომელიც რევოლუციაში არ გადაზრდილა"[6]. იმავე ქვეთავში ავტორი წერს, რომ რევოლუციური სიტუაციის ლენინური განმარტების სამი ნიშანი „სავსებით შეეფარდება მე-19 საუკუნის 70—80-იან წლების მიჯნაზე საქართველოში შექმნილ ვითარებას"[7].

ავტორის ეს დებულება მართებულია. მაგრამ მ. ახობაძემ მეორე რევოლუციური სიტუაციის ფაქტორებიდან მხოლოდ ერთი — გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, შეისწავლა. სხვა ფაქტორებს იგი არ შეხებია. რევოლუციური სიტუაცია კი შედეგია იმ მრავალ ფაქტორთა ერთობლიობისა რაზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

1879—1881 წწ. რევოლუციური სიტუაციის ძირითად მიზეზს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდნენ ის სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი, რომლებიც რეფორმისშემდგომი რუსეთის პირველი ოცწლეულის განვითარების ხასიათმა და შედეგებმა შეაპირობეს. თუ პირველი რევოლუციურ სიტუაციას საუფძვლად ედო ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი და ბრძოლა კაპიტალიზმის განვითარებისათვის მიმდინარეობდა, მეორე რევოლუციურ სიტუაციას განსაზღვრავდა ბრძოლა აგრარული და სახელმწიფოებრივი წყობილების გადახალისებისათვის[8], ამასთან ბრძოლა მიმდინარეობდა არა კაპიტალიზმისათვის, არამედ კაპიტალისტური განვითარების ტიპისათვის.

1859—1881 წწ. რევოლუციურ სიტუაციასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა მიუთითა კიდეც იმ კონკრეტულ ფაქტორებზე, რამაც საზოგადოებრივი კრიზისის უკიდურესი გამძაფრება, რევოლუციური აფეთქების შესაძლებლობა შეამზადეს. ეს ფაქტორები იყო „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის" გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერ-

---

[2] О. К. Жордания, К вопросу о революционной ситуации в Грузии в конце 50-х —начале 60-х годов XIX века, т. 5, 1971; О. К. Жордания, История крестьянской реформы в Грузии, Тб., 1982.

[5] მ. ახობაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში, თბ., 1970.

[6] იქვე. გვ. 190.

[7] იქვე, გვ. 193.

[8] М. И. Хейфиц, Вторая революционная ситуация в России, журн. «Вопросы истории», № 2, 1962, გვ. 45.

ნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც ძალიან ხშირად სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიახ-ხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურულ მომრიგებელ-მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა“[9], ეს ფაქტორები ძირითადად სახეზე იყო მეორე რევოლუციური სიტუაციის წინა პერიოდშიც (გლეხთა არეულობანი, დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, სტუდენტთა მღელვარებანი, რევოლუციური ბანაკის იერიშები თვითმპყრობელობაზე (ნაროდნიკობა და სხვ.). ამასთან, მეორე რევოლუციური სიტუაციის შემზადებას დაემატა ახალი კომპონენტები: მუშათა მოძრაობა, რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და მისგან გამომდინარე ეკონომიური სიძნელენი. ახასიათებს რა კლასობრივ ძალთა თანაფარდობას მეორე რევოლუციური სიტუაციის წინ, პროფ. ა სურგულაძე შენიშნავს: „70-იანი წლების მიწურულისათვის რუსეთში გამოკვეთილად ჩანდა კლასობრივ ძალთა ასეთი განლაგება: გლეხობა, რომელიც ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აგრძელებდა, კაპიტალისტური და მონარქიული ჩაგვრის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი ახალგაზრდა პროლეტარიატი, ბურჟუაზია, რომელიც თვითმპყრობელობას მხოლოდ ოპოზიციაში ედგა, მაგრამ პროლეტარიატის მძლავრი გამოსვლებით დამფრთხალი, ისევ ცარიზმის კალთებს ეფარებოდა; თავადაზნაურულ-მემამულური კლასი, რომელიც გააფრთებით ებღაუჭებოდა ძველ პრივილეგიებს და ცარიზმის დახმარებით იგერიებდა გლეხთა მასების იერიშებს. სოციალური წინააღმდეგობების მძაფრი გამწვავება გლეხთა მრავალრიცხოვან მასებსა და მემამულეთა შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის განაპირობებდა საზოგადოებრივი კრიზისის სიღრმეს. ამ წინააღმდეგობათა სიმძაფრეს და ფართოდ გამოვლინებას აჩქარებდა 1877—1878 წლების ომი და ის საგარეო გართულებანი, რომელიც ამ ომის შემდეგ ცარიზმისათვის მეტად საშიშ ხასიათს იღებდა“[10].

ახლა საინტერესოა გავარკვიოთ — მომწიფებულია თუ არა რევოლუციური კრიზისი საქართველოში 70-იანი წლების დასასრულისა და 80-იანი წლების დამდეგისათვის. გარდა იმ ფაქტორებისა, რომელიც საერთო-სასურსათო მასშტაბისა იყო და ცხადია თავის გავლენას საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ განვითარებაზეც ახდენდა, საკითხავია—რა კონკრეტული სპეციფიკური ვითარებანი ქმნიდნენ საქართველოში ქვეყნის რევოლუციური გადახალისების აუცილებლობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდაა შესწავლილი საქართველოში საგლეხო რეფორმის შედეგები და დასაბუთებულია, რომ იგი კიდევ მეტად, ვიდრე რუსეთში ყმური მოსახლეობის „ყოვლად უსინდისო გაცარცვას“ წარმოადგენდა, რომ ცარიზმმა საქართველოში მეტის გამბედაობით დაიცვა მისი სოციალური დასაყრდენის — მემამულური კლასის ინტერესები, ვიდრე რუსეთში. რეფორმის ეს მატყუარული ხასიათი გლეხობისათვის ყველაზე ადრე

---

[9] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 34—35.

[10] ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნის 60—80-იან წლებში, თბ., 1964, გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშნა სახელოვანმა სამოციანელმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც „კოლოკოლის" ფურცლებზე გამოაშკარავა რეფორმის არსი საქართველოში და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანდასახულობა. ნ. ნიკოლაძემ დაწვრილებით გაარჩია დებულების თვითეული მუხლი და ცხადყო თუ როგორ მოატყუა ხალხი მთავრობამ. „ძველი დროის ოთხი საწყისიდან, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — მიწისა, ცეცხლისა, წყლისა და ჰაერისაგან. პირველი სამი თავადაზნაურობას მიაკუთვნეს, ხოლო საერთო სახმარებლად დარჩა ჰაერი". „სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობის და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[11].

რეფორმამ მემამულეები გლეხობის მთელი მიწების მფლობელი გახადა, ხოლო გლეხი უწინდელზე უარესად მიაბა მიწაზე. ნ. ნიკოლაძის სტატია „კოლოკოლში" მისთვის ჩვეული ემოციურობითაა დაწერილი და შეიძლება ითქვას, რომ დაზღვეული არაა ცალმხრიობისაგან: რეფორმას, მისი თავადაზნაურული ხასიათის მიუხედავად, მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა და გზას უკაფავდა ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას. მაგრამ ნ. ნიკოლაძე სავსებით მართალი იყო იმ მხრივ, რომ მთავრობამ მაქსიმალურად დაიცვა თავადაზნაურობის ინტერესები. ამას ცარიზმის მოხელენიც არ უარყოფდნენ, ამ მხრივ ფრიად საინტერესო დოკუმენტია 1905 წელს მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენება იმპერატორისადმი „კავკასიაში გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ", სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიაში ბატონყმური ურთიერთობიდან გლეხთა განთავისუფლება მემამულეთათვის განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში გატარდა[12].

საგლეხო რეფორმის შემდეგ ყმა გლეხებმა დაჰკარგეს ადრე მათ სარგებლობაში მყოფი მიწის ერთი მესამედი. 7000 კომლს რეფორმა საერთოდ არ შეეხებია.[13]. ესენი იყვნენ ხიზნები, რომლებიც კვლავ დარჩნენ მემამულეთა კაბალურ დამოკიდებულებაში. დროებით ვალდებულებაც არსებითად ძალაში ტოვებდა ბატონყმურ ურთიერთობას.

ამრიგად, გლეხობა რეფორმის შემდეგ პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში მაინც, ვიდრე კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ სოფლის სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში არსებითი ცვლილებები არ გამოიწვია, ისევ ბატონის, მემამულე აზნაურის დამოკიდებულებაში დარჩა.

საგლეხო რეფორმას როგორც ცნობილია, სხვა ბურჟუაზიული რეფორმებიც მოჰყვა. ეს რეფორმები, მისი შეზღუდული ხასიათის მიუხედავად, აჩქარებდნენ ახალი ურთიერთობის გამარჯვებას ქვეყანაში. მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცარიზმმა ამ რეფორმათაგან ზოგიერთი საერთოდ არ განახორციელა (მაგ. საერობო რეფორმა), ხოლო დანარჩენი მოქმედების მასშტაბები იმდენად შეუზღუდა, რომ ცარიზმის მოხელეთა პრეროგატივები სრულიადაც არ შეულახია, ქვეყანა ისევ კოლონიური ჩაგვრის მარწუხებში იყო მოქცეული და ორმაგი ჩაგვრის უღელს ატარებდა.

რეფორმის წინ გლეხთა საპროტესტო გამოსვლები როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, როგორც ვიცით, საკმაოდ აქტიურ ხასიათს ატარებდა. რეფორმის წლებში და შემდეგ 70-იანი წლების პირველ ნახევრამდე გლეხთა

[11] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 273.

[12] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, источники и материалы, Тб., 1955, გვ. 1.

[13] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 556.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობა ერთგვარად შენელდა. მთავრობამ როგორც ცნობილია, მოახერხა გამარჯვებული გამოსულიყო პირველი რევოლუციური კრიზისიდან, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. რუსეთში კვლავ იწყებდნენ გაღვივებას გლეხთა მოძრაობის კერები და 70-იანი წლების მიწურულისათვის იგი მთავრობისათვის შემაშფოთებელი მასშტაბებით ხასიათდებოდა[14].

კლასობრივი ბრძოლა რეფორმის შემდეგ, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან აღმავლობით ხასიათდებოდა საქართველოშიც. გლეხობას გაუთავებელი კომფლიქტები ჰქონდა მემამულეებთან. რეფორმისშემდგომ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის ფორმებს კვლავ წარმოადგენდა საჩივრები მთავრობის სახელზე, კოლექტიური უარის თქმა საიჯარო თუ სადროებითვალდებულო და სახელმწიფო გადასახადებზე. მემამულეთა ოჯახების დარბევა და სახლ-კარის გადაწვა ქონების დატაცებით, შეიარაღებული აჯანყება და სხვ. რეფორმისშემდგომი პერიოდის, კერძოდ 70-იანი წლების პირველი ნახევრის აგრარულ მოძრაობას თუ საერთოდ დავახასიათებთ, უნდა ვთქვათ, რომ „იგი მიმართული იყო ბატონყმობის ისეთი გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც იყო დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი"[15]. გლეხთა მოძრაობას ამ ეტაპზე, მართალია, არ ჰქონია ისეთი მასობრივი ხასიათი, როგორც საგლეხო რეფორმის წინა ხანაში, მაგრამ სანაცვლოდ ხასიათდებოდა მეტი სოციალური გამოკვეთილობით.

შევეხოთ გლეხთა აგრარულ-რევოლუციური გამოსვლების რამდენიმე ტიპიურ და უფრო მასობრივ შემთხვევას.

70-იანი წლების მეორე ნახევრის გლეხთა მღელვარებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთის აჯანყება და გლეხთა მასობრივი მღელვარებანი სამეგრელოსა და კახეთში.

სვანეთის გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა „თავისუფალ სვანთა" მკაცრი პროტესტის გამოხატულებას მთავრობის ცდისადმი დაეწესებინათ გადასახადები მიწაზე. მოძრაობის პირველი კერა გაჩნდა 1875 წ. ზაფხულში ლატალში და შემდეგ მღელვარება მოედო მთელ ზემო, ე. წ. „თავისუფალ" სვანეთს. მთავრობამ სვანთა ურჩობის გატეხვა ჯარის გამოყენებით სცადა. პირველ წელს თითქოს მოხერხდა ხალხის დაშოშმინება. მთავრობამ მღელვარების მოთავენიც დასაჯა, მაგრამ მომდევნო წელს კონფლიქტი კიდევ უფრო გამძაფრდა. დიდი შეტაკება მთავრობის სამხედრო ნაწილსა და სვან გლეხობას შორის მოხდა სოფელ ხალდეში. ამ შეტაკებას ორთავე მხრივ საკმაო მსხვერპლი მოჰყვა. აგვისტოს ბოლო რიცხვებში მთავრობის ჯარის ნაწილებმა შეძლეს სოფ. ხალდე ნანგრევებად ექციათ[16]. მოთავეები კი დაეპატიმრებინათ.

სვანეთის ამბები აღელვებდა მთელ მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას. სვანეთის გლეხთა გამოსვლის კურსში იყვნენ რუსი ნაროდნიკებიც, რომლებიც ხალხში გასვლის ტაქტიკაში მარცხის შემდეგ გლეხთა მოძრაობის ყო-

---

[14] Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60—70-е годы XIX века, М., 1958, გვ. 107—109.

[15] შ. ახობაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში, თბ., 1970, გვ. 214.

[16] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 196—197.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველ გამოვლინებას იმპერიაში გულისძგერითა და იმედებით ხვდებოდნენ. გაზ. „დროება“ და „ტიფლისკი ვესტნიკი“ ცენზურისათვის დასაშვებ ფარგლებში აშუქებდნენ აჯანყების მსვლელობას და თავის სიმპათიებს გამოთქვამდნენ ხალხისადმი, რომელიც აუმხედრდა მოხელეთა თვითნებობასა და უსამართლობას. ნ. ნიკოლაძე „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ წერილში „სვანეთში მომხდარი არეულობის გამო“[17]. ცენზურისათვის შენიღბულად ამ აჯანყების მიზეზად ასახელებდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოროტებას, ადგილობრივი მმართველობის აუტანლობას. სვანეთის აჯანყებას დიდის გულისხმიერებით გამოეხმაურა აკაკი წერეთელი, რომელმაც მას რამდენიმე წერილი უძღვნა და გარდა ამისა, სასამართლო პროცესზე მთავრობის მიერ ბრალდებულ სვან მეამბოხეთა დაცვა იკისრა[18].

1876 წელს ფართო მასშტაბის მღელვარებას ჰქონდა ადგილი სამეგრელოში. გლეხთა მღელვარების პირველი კერები სოფ. ლიასა და ფახულში აღმოცენდა, მაგრამ მალე იგი მოედო ზუგდიდის მაზრას, ნაწილობრივ სენაკის მაზრაშიც გავრცელდა. მთავრობამ ჯარების გამოყენებით სცადა აჯანყების ჩახშობა. შეტაკებას ორივე მხრივ მსხვერპლი მოჰყვა. საბოლოოდ გლეხები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ თავად დადიანის პრეტენზიები გადასახადების გამო დაეკმაყოფილებინათ[19].

1878 წ. კავკასიის ადმინისტრაცია შეაშფოთა ქიზიყელ გლეხთა მღელვარებამ. მღელვარების უშუალო საბაბი ჯარში გასაწვევი სიების შედგენა იყო. როგორც ცნობილია, ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა და მთავრობა სახალხო მილიციის შესადგენად კონტიგენტს ითხოვდა. ცხადია, ქართველი გლეხობა, რომელიც თურქ დამპყრობლებს თავის საუკუნოვან მტრად თვლიდა და თურქეთის მონობისაგან თანამოძმე ქართველთა განთავისუფლებაზე ყოველთვის ოცნებობდა, საომარ მოქმედებაში მონაწილეობაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ იგი მოთმინებაავსილი იყო იმ განუკითხავ უსამართლობათა გამო, რასაც გლეხების მიმართ ადგილობრივი მოხელეები ახორციელებდნენ. სასამართლო პროცესზე გამომჟღავნდა ხალხთა აზვირთების ნამდვილი მიზეზები და საბაბიც ეს იყო „სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გაუთავებელი განრიგი. სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ხელისუფლების შეუზღუდველი თვითნებობა“[20]. ამასთან მოხელეთა მიერ სიები უკუღმართად იყო შედგენილი და რიგ ოჯახებს ერთადერთი მარჩენალი ხელიდან ეცლებოდა. ასევე უმძიმესი ბეგარა იყო ურმების გამოყვანაც. წლების მანძილზე უმოსავლიანობით დამშეულმა გლეხობამ, რომელსაც მთავრობა სულს აცლიდა, ამ ახალ ღონისძიებაში ოჯახის დაღუპვის საშიშროება იგრძნო და იარაღს მოჰკიდა ხელი. აჯანყება სწრაფად ვრცელდებოდა ქიზიყის სოფლებში. მალე მის მონაწილეთა რიცხვმა 5 ათას გადააჭარბა. აჯანყებულები მკაცრად უსწორდებოდნენ საძულველ მემამულეებს, მეფის მოხელეებს, სოფლის მამასახლისებს.

მთავრობამ იარაღით ჩაახშო ამბოხება. მოთავეებს მოუწყო სიღნაღში

---

[17] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი ტ. 4, გვ. 508—511.

[18] საისტორიო მოამბე, 1945, გვ. 189, 190, 191.

[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 581—582.

[20] მ. ახობაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 226—227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1878 წ. ნოემბერში) სასამართლო პროცესი, სადაც მოთავე გლეხებს (თერთმეტ კაცს) კატორღა მიესაჯათ.

ქიზიყელ გლეხთა გამოსვლა აღელვებდა თბილისის დემოკრატიულ პრესას. ცენზურის დასაშვებ ფარგლებში ამ აჯანყებას ეხმარებოდნენ გაზეთები „დროება" და ობზორი". „ობზორი" უფრო გაბედულად ააშკარავებდა აჯანყების მიზეზს და აღწერდა მის მსვლელობას. ნ. ნიკოლაძემ გაზ. „ობზორ"ში" გამოაქვეყნა სტატია „გლეხთა საქმე", სადაც ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოში საგლეხო რეფორმის მძარცველური ხასიათი და ამასთან ერთად გაარკვია რეფორმის შემდგომი გლეხობის უმძიმესი ხვედრი, რამაც იგი აჯანყებამდე მიიყვანა[21]. ნ. ნიკოლაძემ ქიზიყელ გლეხთა პროცესი მოხერხებულად გამოიყენა იმისათვის, რომ გაეკიცხა ვ. დ. სპასოვიჩი — ცნობილი რუსი იურისტი, 60-იან წლებში დემოკრატიული მიმართულების პროფესორი, რომელიც შემდეგ მთლიანად განუდგა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ სპასოვიჩმა უარი თქვა გამოსულიყო სიღნაღელ მეამბოხე გლეხთა დამცველად. ამავე დროს იკისრა დამცველად გამოსულიყო ჩქოტუას გახმაურებულ პროცესზე. „ობზორი" წერდა „ერთი კვირის წინათ სიღნაღში გაასამართლეს 20 გლეხი, გაასამართლა სამხედრო სასამართლომ ომის დროის კანონების მიხედვით. მათ ბრალად დასდო „კანონით" დამყარებული ხელისუფლების განკარგულებებისადმი მოწინააღმდეგობა და „ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა სასტიკი ცემა". ამგვარად, ამ ოცი კაცის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მათ სასიკვდილო განაჩენი ემუქრებოდა. რა თქმა უნდა, ოცი კაცის სიცოცხლეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, არ იმსახურებს იმას, რომ სერიოზული და საქმიანი ორატორი, რომელიც ბატ. სპასვიჩის მდგომარეობით და ავტორიტეტით სარგებლობს, ამისთვის პეტერბურგიდან სიღნაღში ჩამოვიდეს, მაგრამ სიღნაღელი გლეხების პროცესის დროს შეეხენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს გლეხების ეკონომიური მდგომარეობა გამოაშკარავდა მთელი სიმძაფრით... სოფლის ხელისუფალთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება გამოჩნდა ცხადათ. აქ შეიძლებოდა დროულად დასმულიყო ხალხის ცხოვრების ყველა საკითხი. ჩვენში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პროცესი, რომელსაც უფრო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და უფრო ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა სერიოზული ორატორისათვის, ვიდრე სიღნაღის პროცესია... და მე კი ერთადერთი, ან თითქმის ერთადერთი ვექილი რუს ვექილებს შორის, რომელსაც მესმის ორატორის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება, არ ჩამოვედი სიღნაღში, არ მოვკიდე ხელი გლეხების საქმეს, არ ვისარგებლე შემთხვევით. ახლა კი მინდა... რა? — დავიცვა ბატ. ჩქოტუა, რომელსაც ბრალად ედება უბედური ქალიშვილის ანდრეევსკაიას მკვლელობა",[122] „მე ვუშვებ, რომ ბატ. სპასოვიჩი მას უანგაროდ იცავს, მაგრამ მაინც ვეკითხები, რატომ ვლინდება მისი უანგარობა სწორედ მაშინ, როცა ბატ. ჩქოტუაა დასაცავი და არა მაშინ, როცა საჭიროა თუნდაც ათიოდე გლეხის სიცოცხლის გადარჩენა, რომელთა სრული უდანაშაულობა იმით დამტკიცდა, რომ ეს გლეხები სამხედრო სასამართლომაც გაამართლა. აი საინტერესო საკითხი[23].

---

[21] გაზ. „ობზორი", № 259, 1878 წ.

[22] იქვე, № 317, 1878; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 6. გვ. 564—566.

[23] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმაღლესი სარკაზმით დაწერილი ეს წერილი ულმობლად ამხელდა არა მარტო რუსი ლიბერალის გულცივობას, არამედ სრულ უდანაშაულობას ქიზიყელი გლეხებისა, რომლებიც იარაღით ხელში გამოვიდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად.

70-იან წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს გლეხთა აგრარული მოძრაობა ფართოდ იყო მოდებული საქართველოს სხვა რაიონებშიც. ფართო მასშტაბი ჰქონდა გლეხთა მოძრაობას აფხაზეთში 1877 წელს, რაც აგრეთვე სოციალური და ეროვნული ჩაგრვის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატულებას შეადგენდა, 1880 წელს კახეთის ცალკეულ სოფლებში ადგილი ჰქონდა მემამულეთა ოჯახებზე, შეიარაღებული თავდასხმის რამდენიმე შემთხვევას. მთავრობა უსასტიკეს რეაგირებას ახორციელებდა, რომ თითოეული გამოსვლა სათავეშივე ჩაეკლა, ან მისი მკაცრი ლოკალიზაცია მოეხდინა, მაგრამ მიუხედავად ამისა აგრარული მოძრაობა მაინც აღმავალი გზით მიდიოდა და თანდათან იღებდა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის საერთო-სახალხო ხასიათს.

პროფ. ირ. ანთელავა ეხება რა 70-იანი წლების მიწურულისათვის საქართველოში შექმნილ ვითარებას, მრავალი მაგალითით ცხადყოფს, რომ „საქართველოში იმ დროს ხალხი მეტად აღზნებულ მდგომარეობაში ყოფილა. გლეხობა არა მარტო მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა და ამ მიზნის მისაღწევად იარაღით ხელში გამოდიოდა, არამედ ის თავის ოპოზიციურ განწყობილებას ხშირად სიტყვიერ პროცესებსა და გამონათქვამებში ავლენდა[24]. ამრიგად, სვანეთის, სამეგრელოს, სიღნაღის და სხვა კუთხეების გლეხთა მღელვარებანი იმის მოწმობაა, რომ რეფორმის შემდგომი პერიოდის გლეხური მოსახლეობის მდგომარეობა აუტანელი იყო და კლასობრივი ბრძოლა სოფლად გამწვავებულ ხასიათს ატარებდა, რომ ქართველი გლეხობა, რომელიც რეფორმამ კიდევ უფრო უარესად გაძარცვა, ვიდრე რუსეთის გლეხობა, რომელსაც სოციალურ ჩაგვრასთან ერთად აწვა ეროვნული ჩაგვრის უღელიც, წარმოადგენდა რევოლუციური შემართების აკუმულირებულ ძალას, რომელიც ფსიქოლოგიურად მზად იყო საერთო ეროვნული მასშტაბის გამოსვლისათვის. ამგვარად, გლეხობა საქართველოში რევოლუციური სიტუაციის მძლავრ, მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა.

70-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის მთავარი სიახლე, რაც მას წინა ოცწლეულის სიტუაციიდან განასხვავებდა, იყო მუშათა მოძრაობა. რუსეთში, როგორც ცნობილია, 70-იანი წლების დამდეგიდან მუშათა მოძრაობა აღმავლობის გზით მიემართებოდა და რევოლუციური სიტუაციის პერიოდში (1879—1881) თავი იჩინა როგორც მძლავრმა ძალამ საიმპერიო მასშტაბით. მართალია, მუშათა მოძრაობას კვლავ აკლდა ორგანიზებულობა და შეგნებულობა, მაგრამ ცხადად ჩანდა ორთავე ფაქტორის ზრდის ტენდენცია[25]. რაც მას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდულ ძალად გადაქცევას უწინასწარმეტყველებდა.

70-იანი წლები საქართველოში მუშათა კლასის ფორმირების პირველ ეტაპს წარმოადგენდა. ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა მსხვილი ფაბრი-

---

[24] ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1967, გვ. 113.

[25] Рабочее движение в России в XIX веке, т. III, ч. I, გვ. 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კა-ქარხნები, სარკინიგზო სახელოსნოები. კაპიტალისტური ურთიერთობანი ახლად იწყებდნენ ფეხმოკიდებას. მაგრამ ახლად შექმნილ საწარმოებში მუშათა მდგომარეობა იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, რომ მათი სოციალური პროტესტის გამოვლენას თავიდანვე მკვეთრი ხასიათი ჰქონდა. ასეთი პროტესტი გამოავლინეს მაგალითად, 1869 წ. თბილისის სამხედრო არსენალის მუშებმა, რომლებიც გაიფიცნენ და ამის შედეგად დათხოვნილი აღმოჩნდნენ წარმოებიდან. 1872 წ. გაფიცვა მოაწყვეს თბილისის მირზოევის ფაბრიკის მუშებმა, რომლებიც აღაშფოთა მეწარმეთა მიერ ხელფასის დაკლებამ. რამდენიმე კვირას წარმოება შეწყდა. მირზოევის ფაბრიკაში მეპატრონეთა და მუშათა ეკონომიკური ხასიათის ბრძოლა 70-იანი წლების მთელ მანძილზე გრძელდებოდა და ამ ახალი მოვლენის თაობაზე წერდნენ „დროება“, „ივერია“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, 70-იანი წლების მეორე ნახევარში ორჯერ მოხდა გაფიცვა ზეიცერის ფაბრიკაში, სადაც მუშათა მდგომარეობა აუტანელი გახდა განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის ომის წლებში.

რა თქმა უნდა, თბილისის მუშათა გამოსვლები 70-იან წლებში ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო და მას არ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივი კრიზისის გაღრმავებაზე, მაგრამ ამ ახალ მოვლენას უჩანდა ფართო პერსპექტივა. იგი აქაც თანდათანობით იზრდებოდა რაოდენობრივად და მასთან, იძენდა მეტ სიმტკიცეს და ორგანიზებულობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ როცა ვლაპარაკობთ ისეთი ფართო მნიშვნელობის მოვლენაზე, როგორც რევოლუციური სიტუაციაა, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი საერთო საიმპერიო მოვლენებისაგან ცალკეული გუბერნიის ან განაპირა ეროვნული ერთეულის გამოთიშვა. „რევოლუციური სიტუაციის მასშტაბები ფართოა და იგი რუსეთის იმპერიაში შემავალი ცალკეული მხარეების და გუბერნიების მასშტაბით არ შეიძლება გაიზომოს[26]. რომელიმე გუბერნიის ან განაპირა რაიონის ინერტული მდგომარეობა რევოლუციური სიტუაციის პერიოდში არ ნიშნავს იმას, რომ იგი გამოთიშულია საერთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისაგან და პოტენციურად მზად არაა ქვეყნის ამგვარი გადახალისებისათვის, რასაც იმპერიის მოწინავე რევოლუციური ძალები და ცენტრები ითვალისწინებენ. რევოლუციური სიტუაცია 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში სახეზე იყო მთელს იმპერიაში. მისი მომწიფება ვლინდებოდა გაბატონებული კლასის კრიზისში ძველებური მეთოდით ემართა ქვეყანა, ვლინდებოდა აგრარული საკითხის სიმწვავესა და გადაუჭრელობაში, რაც რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედს ჰერმახეხტული სიღარიბისა და შიმშილისათვის სწირავდა, ვლინდებოდა იმ მძიმე ფინანსიურ კრიზისში, რომელშიც რუსეთი გახლართა თურქეთთან 1877—1878 წწ ომმა, ვლინდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის საერთო აღმავლობაში ლიბერალური ძალების ოპოზიციის ზრდაში. ერთი სიტყვით, რეაქციისა და პროგრესული ძალების შეჯახებას საერთო საიმპერიო ხასიათი ჰქონდა და ამ შეჯახებაში განაპირა-ნაციონალური რაიონები ორგანიულად იყვნენ ჩაბმული, რადგან ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის მთელი სისასტიკე და ამ სისასტიკის გამო ექსპლუატირებული და ეროვნულად უფლებააყრილი მასების უკმაყოფილება რევოლუციის მძლავრ სარეზერვო არმიას ჰქმნიდა.

[26] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1879—1881 წწ. რევოლუციურ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს მაინც წარმოადგენდა რევოლუციური ნაროდნიკობა, რომელიც მცდარი, უტოპიური თეორიული წანამძღვრების მიუხედავად, პრაქტიკულ რევოლუციურ ბრძოლაში არაჩვეულებრივ მამაცობას, თავგანწირვას, თანმიმდევრობას ამჟღავნებდა. რუსეთის ცარიზმი ამ ძალის წინაშე მართლაც რომ ძრწოდა და 70-იანი წლების მიწურულის რეფორმები, რომელიც ვიდრე ალექსანდრე II ცოცხალი იყო, დღის წესრიგში იდგა, რევოლუციურ ნაროდნიკთა მძლავრი იერიშებით იყო შეპირობებული. ნაროდნიკული ახალგაზრდობის რევოლუციურმა შემართებამ რუსეთის დახავსებული რეჟიმის დამხობის იმედები გაუღვივა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციას, რომელიც 60-იანი წლების მარცხის შემდეგ ერთგვარად გულგატეხილი იყო. ამ შემართებამ შეაჩოჩქოლა და აიყოლია ლიბერალური წრეებიც კი, რომლებმაც თვითმპყრობელური რეჟიმის კრიზისის ვითარებაში ქვეყნის ბურჟუაზიაციის ხელსაყრელი მომენტი დაინახეს.

რა შეიძლება ითქვას ამ პერიოდისათვის ქართველი რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის შესახებ? რამდენად ახორციელებდა იგი როლს საქართველოს დაჩაგრული მასების იდეური მესვეურისა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში, არ იყო ეროვნულ ნიადაგზე შექმნილი, სუსტი იყო ორგანიზაციულადაც და განმათავისუფლებელ მოძრაობაში მეთაურის როლს ვერ დაიჩემებდა. ცნობილია ისიც, რომ ნაროდნიკთა ორგანიზაცია საქართველოში ჟანდარმერიამ არსებითად გაანადგურა 1876 წელს. რეპრესიებს გადარჩენილი ნაროდნიკები 80-იანი წლების დამდეგს დაიქსაქსნენ. უპირველესად მათ თავი ისევ თერგდალეულთა იდეურ ბანაკში მოიყარეს.

ახლა საკითხავია — რას წარმოადგენდა თერგდალეულთა ბანაკი 70-იან წლების დამლევსა და 80-იანი წლების დასაწყისში, გააჩნდა თუ არა მას ის იდეური ცეცხლი და ფხა, რომლითაც ასპარეზზე გამოვიდა პირველი რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, თუ ლიბერალიზმის სენით იყო დაავადებული და ახალ ვითარებაში ხალხის რევოლუციური შემართების მესვეურად ვეღარ გამოდგებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ფეხმოდგმულია აზრი იმის შესახებ, რომ სწორედ 70-იანი წლების მიწურულისათვის თერგდალეულთა ბანაკში ბზარი გაჩნდა; საზოგადოებრივი საკითხების სხვადასხვაგვარმა გაგებამ ისინი თითქოს გათიშვამდე მიიყვანა, რომ 80-იანი წლებიდან თერგდალეულთა, როგორც იდეური მიმდინარეობა ჩვენში აღარ არსებობდა, რომ მისი მოთავენი გათვისთვისდნენ და ამოსწურეს კიდეც თავიანთი რევოლუციური შესაძლებლობანი, „ეპოქას ჩამორჩნენ“ და ვეღარ შეეფერებოდნენ ახალ საზოგადოებრივ ვითარებას.

ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ პირველად და გადაჭრით გაილაშქრა აკ. სურგულაძემ, რომელმაც თავის ნაშრომებში[27] დაასაბუთა, რომ

---

[27] ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973; მისივე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თერგდალეულთა იდეური მემკვიდრეობა არ დაშლილა, რომ იგი 80-იან წლებში წარმოადგენდა მოთავე ძალას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ხოლო 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა ასპარეზზე მარქსიზმი გამოვიდა და მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის სათავეში მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ახალი რევოლუციური თაობა ჩაუდგა, თერგდალეულთა მიმდინარეობა თვით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე „შერჩა ქართულ სინამდვილეს როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული ნაკადი"[28].

ა. სურგულაძის ეს დებულება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. მისი სიმართლე თვალნათლივ დასტურდება რევოლუციური სიტუაციის წლებში თერგდალეულთა იდეური პოზიციისა და პრაქტიკული მოღვაწეობის მაგალითზე.

70-იანი წლების მიწურულისათვის თერგდალეულთა ის სახელოვანი თაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში იდგნენ და ხელთ ეპყრათ დროშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ისინი შემოკრებილნი იყვნენ დემოკრატიული მიმართულების ბეჭდვითი ორგანოების („დროება", „ივერია", „ტიფლისკი ვესტნიკი", „ობზორი") ირგვლივ და თანმიმდევრულად იბრძოდნენ იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც 60-იან წლებში, პირველი რევოლუციური სიტუაციის პერიოდში დაისახეს. ამ პროგრამის ძირითადი აზრი, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობდა, რომ გაეღვივებინათ ქართველ ხალხში გრძნობა ეროვნული თვითშეგნებისა, პატრიოტული შემართებისა, ყოველგვარი ჩაგვრისადმი შეურიგებლობისა და ამ რიგად, ფსიქოლოგიურად შეემზადებინათ მასა იმ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, რასაც რუსეთის რევოლუციური თაობა ამზადებდა.

ჩვენ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საქმიანობას თერგდალეულთა ეს სახელოვანი თაობა მეტის გაბედულობით და დაბეჯითებით ახორციელებდა მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, ამასთან მას მეტი წარმატებაც ჰქონდა, რადგან ოცი წლის დაუცხრომელი საქმიანობის შედეგად ეროვნულ გრძნობას, ჩაგვრისადმი შეურიგებლობის გრძნობას მასებში უკვე ფესვები გადგმული ჰქონდა, პირველი ჯეჯილი ეროვნული შემართებისა უკვე იწყებდა აღმოცენებას.

70-იანი წლების მიწურულს ემთხვევა „დროების", ახლად დაარსებული „ივერიის", „ობზორის" გაბედული ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ პერიოდში თერგდალეულებმა უკვე მოაბეს თავი ადრეგანზრახულ მიზანს — ნებაყოფლობითი ეროვნულ-საქველმოქმედო დაწესებულებათა შექმნას. როგორც ცნობილია, 1879 წ. შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა და გაიშალა მისი პირველი პრაქტიკული საქმიანობა, 1879 წ. ამოქმედდა ქართული პროფესიული თეატრი და შეიქმნა დრამატული საზოგადოება. ეს ნებაყოფლობითი საქველმოქმედო საზოგადოებანი ცარიზმის სუსხიანი კოლონიური პოლიტიკისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრისადმი რეპრესიების ვითარებაში არა მარტო ეროვნული

---

[28] ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 394.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გათვითცნობიერების, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ. ტყუილად როდი დაესხა თავს ქართულ თეატრს 1882 წელს რუსეთის რეაქციის მოციქული კატკოვი, რომელმაც მის შემოქმედებაში ანტიცარისტული მიმართულება დაინახა. რეაქციონერ კატკოვის თავდასხმის გამო ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი პასუხი წარმოადგენდა რუსეთის ცარისტული რეჟიმის რეაქციული კოლონიური პოლიტიკის მკაცრ მხილებას[29]. ამ დროის ქართველი მოღვაწენი ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გააზრებით, ჭკვიანურად მესვეურობდნენ თავიანთ უბანზე თვითმპყრობელური რეჟიმის საპირისპირო პოლიტიკური არმიის შემზადებას. ამის ნათელი მოწმობაა გაზ. „ივერიის“ მოწინავე სტატიები, რომელიც რევოლუციური სიტუაციის პერიოდშია დაწერილი გაზ. „ობზორის“ თანმიმდევრული რევოლუციური დემოკრატიზმი, რომელიც არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის აღტაცებას იწვევდა. ეს ის დროა, როცა ა. წერეთელი „ნაროდნაია ვოლიას“ გმირთა მიერ ალექსანდრე II-ის მკვლელობას მიესალმებოდა როგორც გაზაფხულის მოსვლას („გაზაფხული“). ამ ლექსის ხელნაწერი ტექსტი ხელიდანხელში გადადიოდა, როგორც პროკლამაცია და ახალგაზრდობა მას აღიქვამდა საბრძოლო სიმღერად.

ამრიგად, ქართველი რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია მოწოდების სიმაღლეზე იდგა. იგი განასახიერებდა მშრომელი და ექსპლუატატირებული მასების ავანგარდულ ძალას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იდგა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციის მხარდამხარ და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთოსარუსეთო რევოლუციური ფრონტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, თითქოს 70-იანი წლების მიწურულისათვის ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს ემჩნეოდათ ერთგვარი გადახრა ლიბერალიზმისაკენ, ცალ-ცალკე დასების მეთაურთა როლი ეკავათ, რომ ამ პერიოდისათვის ისინი კმაყოფილდებოდნენ ეროვნული თვითმართველობის მიმართულებით მოლიბერალო ხასიათის მშვიდობიან რეფორმებს და უკვე გაქარწყლებული ჰქონდათ ადრინდელი რევოლუციური მგზნებარება.

ეს თვალსაზრისი ჩვენი აზრით არ შეეფერება სინამდვილეს და უკუსაგდებია პირველყოვლისა ილია ჭავჭავაძის შესახებ.

სამოციანელთა სახელოვანი პლეადის მეთაური ილია ჭავჭავაძე თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთგული დარჩა მისი სიცოცხლის მთელ მანძილზე. 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძე განუხრელად ახორციელებდა იმ პროგრამას, რომელიც 60-იანი წლების დამდეგს ჰქონდა დასახული. ილია კვლავ რჩებოდა ხალხთა თანასწორობის მოტრფიალედ და მიესალმებოდა „ტვირთ მძიმე და მაშვრალთ მხსნელი“ დროშის აღმართვას პარიზში, წყევა-კრულვას უგზავნიდა იმ ძალებს, რომელთაც ეს დროშა დაბლა დასცეს. ილიას რევოლუცია ესახებოდა ქვეყნის განმაახლებელ საშუალებად. მოძრაობაში, საზოგადოებრივ პროგრესში ხედავდა ცხოვრების აზრსა და შინაარსს.

70-იან — 80-იანი წლების მთელ მანძილზე ი. ჭავჭავაძე თავის ენერგიას

---

[29] ი. ჭავჭავაძე, კატკოვს პასუხად, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1957 გვ. 7—16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმარდა სოციალური უკუღმართობიდან საქართველოს მშრომელთა გამოყვანის, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების და კონსოლიდაციის საქმეს, ამ პრობლემებს ეძღვნებოდა მისი სტატიები გაზ. „დროების" ფურცლებზე. ამავე პრობლემებს აყენებდა იგი ყურადღების ცენტრში მის მიერ დაარსებული ჟურნალის „ივერიის" ფურცლებზე. ცნობილია, რომ 80-იანი წლების რეაქციის მძლავრობის ჟამსაც, როცა დაიხურა ჯერ „ობზორი", შემდეგ „დროება", ილია ჭავჭავაძეს აღმოაჩნდა ძალა და უნარი იმისა, რომ ჟურნ. „ივერია" ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა და გაზეთის რედაქცია გადაექცია იმ პოლიტიკურ კლუბად, რომელსაც შემოკრებილი ჰყავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალები. ამ წრეში წყდებოდა ყველა ღონისძიება, რაც ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ამაღლებისაკენ იყო მიმართული. ეს წრე, სწორედ ილიას მეთაურობით საკადრის პასუხს სცემდა საქართველოს მტერმოყვარეთ. ამიტომაც იყო, რომ ცარიზმის ხელისუფლებას კავკასიაში ი. ჭავჭავაძე მიაჩნდათ რეჟიმისათვის საშიშ პიროვნებად და მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული[30].

70-იანი წლების მთელ მანძილზე და 80-იანი წლებში რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული იყო ნიკო ნიკოლაძე.

70-იანი წლებში ნ. ნიკოლაძე ერთგული იყო სოციალისტური იდეებისა. მას სწამდა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმი უსამართლობაზე იყო დაფუძნებული და შეცვლას მოითხოვდა. მასში ამ პერიოდში ჩანს ნამდვილი რევოლუციური ბუნება, როცა ამქვეყნიურ პოლიტიკურ დაწესებულებათა დამხობის აუცილებლობას ასაბუთებს.

1875 წლის ოქტომბერში იგი გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკის" ფურცლებზე წერდა: „ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ არაა ისეთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება ჩათვლილიყო დამაკმაყოფილებლად უფრო ცივილიზებული და ბედნიერი ხალხები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. ახლანდელი წყობილებით უკმაყოფილება და ადამიანთა ურთიერთობის სფეროში „საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარებისაკენ მისწრაფება ყველა ხალხის თვისებაა"[31]. ამ ქვეყნად არსებული უსამართლობის მოსპობა, ნ. ნიკოლაძის აზრით, შეეძლო მხოლოდ სოციალისტურ წყობას. 1873 წელს ნ. ნიკოლაძის მეთაურობით პარიზში გამოცემულ იქნა პირველი სოციალისტური ხელნაწერი გაზეთი „დროშა", რომელიც ქადაგებდა ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნის აუცილებლობას. ამ გაზეთშივე იგი პროპაგანდას უწევდა „ყველა კავკასიელი ხალხების თავისუფალ ფედერაციას, ოცნებობდა ედლესასწაულა ქვეყნის აღდგომა მაშინ, როცა შრომის სუფევა დამყარდებოდა, ცხოვრება გადასხვაფერდებოდა და სოციალიზმის ძლევამოსილი იდეა იზეიმებდა გამარჯვებას[32].

---

[30] საისტორიო მოამბე, III, 1947, გვ. 44.

[31] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 256.

[32] იქვე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნიკოლაძე ყოველთვის ზიზღით იყო განმსჭვალული იმ მოღვაწეთა მიმართ, რომლებიც იცვლიდნენ თავის პოლიტიკურ პოზიციებს, რომლებიც 60-იან წლებში ჩერნიშევსკისა და გერცენის იდეებს თანაუგრძნობდნენ, შემდეგ კი ლიბერალთა ბანაკში გადაბარგდნენ. ამის ნათელი საბუთია ნ. ნიკოლაძის მკაცრი მამხილებელი სტატია, რომელიც 1878 წელს დაიბეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკში“. იგი მიმართული იყო ცნობილი რუსი მწერლისა და პუბლიცისტის პ. დ. ბობორიკინის წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძემ სასაცილოდ აიგდო ბობორიკინის „მოგერცენო“ შეხედულებათა ევოლუცია „კატკოვარამდე“ ბობორიკინის დაქანებას ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პუბლიცისტამდე უწოდა „პრიტონიდან პრიტონში, ბანაკიდან ბანაკში ხეტიალი“. ამ სტადიაში ნ. ნიკოლაძემ გაკიცხა არა მარტო ბობორიკინი, არამედ პიპინი და ჟუკოვი, რომლებიც აგრეთვე „სოვრემენიკიდან“ ლიბერალურ „ვესტნიკ ევროპაში“ გადაბარგდნენ. აქვე მან განსაზღვრა როლი ჭეშმარიტი მწერლისა, რომელიც მოვალე იყო მასებში დაენერგა პროგრესი, გაეყოლებინა მკითხველი ეს იყო ფრიად მამობილიზებელი წერილი, რომელიც მიზნად ისახავდა. «Обьединение всех прогрессивных писателей под руководством «своего же» испытанного руководителя и создание действительно прогрессивного радикального органа печати, долженствующего стать рупором для всей передовой части русской читающей публики»[33].

ეს წერილი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. ჯავახიშვილი, მაშინ დაიწერა, როცა ნ. ნიკოლაძემ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორს კ. ბებუთოვს შენიშნა აგრეთვე ლიბერალიზმის სენით დაავადება და უკვე დაისახა მიზნად შეექმნა საკუთარი ორგანო, რომლის ირგვლივ მტკიცე, ლიბერალური მერყეობიდან თავისუფალ, თანმიმდევრულ რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების პუბლიცისტებს შემოიკრებდა[34].

ამრიგად, „ობზორის“ გამოცემისათვის მზადების პერიოდში რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის წინ, ნ. ნიკოლაძე შორს იყო ლიბერალიზმიდან, იგი ისე, როგორც 60-იანი წლების დამდეგს, რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და მიზნად ისახავდა, რომ თავისი ახალი გამოცემით — „ობზორით“ გვერდით ამოდგომოდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის იმ ფრთას, რომელთაც უკომპრომისო იერიშები მოჰქონდათ რუსეთის ცარიზმზე.

„მე იგივე ვარ რაც ვიყავ უწინ და იგივე ყოველთვის შეუცდომლად ვიქნები, ჩემო მკითხველო“, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1876 წ. გაზ. „დროების“[35] ფურცლებზე. ეს სიტყვები მისი მთელი მოღვაწეობის დევიზი იყო.

1879—1880 წწ. რევოლუციური სიტუაცია რუსეთში რევოლუციაში გადაიზარდა. „რევოლუციონერებმა პირველ მარტს (ალექსანდრე მეფის მკვლელობით —ნ. ვ.) ამოსწურეს თავიანთი ძალები, მუშათა კლასში არ იყო არც ფართო მოძრაობა და არც მტკიცე ორგანიზაცია, ლიბერალური საზოგადოებრიობა

---

33 Г. Д. Джавахишвили, Нико Николадзе и русская журналистика, Тб., 1979, გვ. III.

34 იქვე.

35 გაზ. „დროება“, № 25, 1876, გ. სკანდელი, „სალამი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამადაც იმ ზომამდე პოლიტიკურად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ის ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგაც შუამდგომლობას ვერ გასცდა[36]. ასე ახასიათებდა ვ. ი. ლენინი მიზეზებს, რამაც რევოლუციური სიტუაციის რევოლუციაში გადაზრდა შეაფერხა. საიმპერიო მასშტაბით რევოლუციის ბანაკზე ცარიზმის გამარჯვების შემდეგ ყველგან, მათ შორის საქართველოშიც შავი რეაქციის მძიმე ხანა დადგა და ამიერკავკასიის ხელისუფლება მთელის ენერგიულობითა და გაბედულობით შეუდგა „სეპარატიზმისა“ და „ნიჰილიზმის“ კერების ამოძირკვას.

М. Д. ВАЧНАДЗЕ

# К ВОПРОСУ О РЕВОЛЮЦИОННОЙ СИТУАЦИИ В ГРУЗИИ В КОНЦЕ 70-х И НАЧАЛЕ 80-х ГОДОВ XIX ВЕКА

Резюме

Статья ставит целью обосновать существование революционной ситуации в Грузии в конце 70-х и начале 80-х годов XIX века.

Автор по частям рассматривает факторы революционной ситуации: крестьянское, рабочее и национально-освободительное движение и приходит к заключению, что в Грузии единство этих факторов создавало революционную ситуацию. Делается акцент на революционную активность демократической интеллигенции, говорится о последовательном радикализме тбилисской демократической прессы и ее борьбе с самодержавием.

Показано, что перерастанию революционной ситуации в революцию в Грузии, так же как и в России, препятствовал низкий уровень революционной активности масс, их неорганизованность и отсутствие правильной революционной программы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ

[36] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 54.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Т. Н. ЧУБИНИШВИЛИ, Л. М. ЧЕЛИДЗЕ

# К ВОПРОСУ О НЕКОТОРЫХ ОПРЕДЕЛЯЮЩИХ ПРИЗНАКАХ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ ЮЖНОГО КАВКАЗА В VI—IV ТЫС. ДО Н. Э.[1]

## IV. Определяющие черты энеолитического этапа раннеземледельческой культуры Южной Грузии в VI — IV тыс. до н. э.

Территория Южной Грузии с ее горами, предгорьями и межгорными долинами с древнейших времен являлась местом обитания человека. Об этом свидетельствуют материалы недавно открытых нижнепалеолитических стоянок Ахалкалаки III к северу от г. Ахалкалаки, Ахалкалаки IV в самом городе и Мурджи севернее с. Дилиска[2], предположительно верхнепалеолитической Бaврской пещеры в каньонообразном ущельи р. Парвани[3]; давно известных триалетских мезолитических стоянок; а также недавно открытой Дманисской стоянки[4]; материалы которой совмещают в себе орудия, типологически близкие к обсидиановой индустрии долинных энеолитических поселений VI — IV тыс. до н. э. юго-восточной Грузии и микролитические орудия, в том числе и геометрических форм, характерные для более ранних эпох и обнаруженные в энеолитических поселениях юго-восточной Грузии лишь в единичных экземплярах (Храмис Диди-гора, Имирис-гора, Арухло I).

Раннеземледельческая культура южной Грузии VI — IV тыс. до н. э. представлена многочисленными памятниками, отражающими уже хорошо развитый, энеолитический этап данной культуры. По своему географическому положению подавляющее большинство этих памятников является долинным. Они расположены на Марнеульской низменности, высота которой над уровнем моря колеблется до 500 м, вдоль нижнего течения реки Храми. Марнеульская низменность пересечена притоками реки Храми — реками Машавера, Сагзаганис-геле, Шулаверис-геле и Дебеда, вблизи которых и находятся раннеземледельческие поселения.

Почвы здесь плодородные. Климатические условия в настоящее время позволяют успешно заниматься земледелием при условии дополнительного орошения летом, так как лето здесь сухое и жаркое. Результаты пыльцевого анализа образцов древних пластов из поселений

---

[1] Окончание. Начало см. в «Мацне», 1978, № 1, с. 55—69; 1979, №1, 1979, № 3.

[2] М. К. Габуния, К. С. Каландадзе, Т. В. Бугианишвили, Археологическая экспедиция южно-грузинского нагорья, ПАИ в 1980 году, Тб., 1982.

[3] Там же.

[4] Д. Д. Гогелия, Квемо-Картлийская археологическая экспедиция 1979—1980 гг. ПАИ в 1980 году, Тб., 1982.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



В начале XX в. по сравнению с предыдущим периодом число дагестанских отходников в городах Грузии, особенно в Тифлисе, намного увеличилось. Они жили компактно на окраине Тифлиса[36], занимая целый квартал. Дагестанские мастера стремились селиться и открывать мастерские поближе друг к другу. По журналам Казенной палаты выясняется, что в Тифлисе дагестанцы селились и в Серебряном ряду[37]. Один из переулков Тифлиса до революции назывался Лезгинским[38]. Это уже свидетельствует о значительном увеличении числа дагестанских отходников в Тифлисе.

А. Гнедич писал: «В центральных базарах больших городов также лезгины-мастера образуют особые ряды. В городах, впрочем, еще можно встретить сохранившуюся специализацию их работ: особые медники, лудильщики, мастера холодного оружия, огнестрельного оружия и с дальнейшими подразделениями: один кует клинки, другой делает рукоятки, замки и т. д.»[39].

Дагестанцы, составлявшие половину всех серебряников Тифлиса, изготовляли оправы для оружия, мужские и женские пояса, различные украшения. Относительно ассортимента следует отметить, что для Тифлиса он был довольно широким.

Первое место по количеству занимала посуда, столовое серебро: ложки—столовые, чайные, десертные и соусные вилки. Затем шла национальная посуда. Важное место в производстве мастеров-серебряников занимало изготовление поясов мужских и женских, спрос на которые не падал.

Дагестанские мастера работали и в других грузинских городах — Кутаиси, Батуми, Сухуми, Сигнахи, Поти, Телави, Лагодехи[40]. Число дагестанских мастеров в городах Грузии в начале XX в. увеличилось. В грузинских городах обычно работало по 5—9 человек-дагестанцев.

---

32 Магомедова М. О. Резец златокузнеца. Махачкала, 1976, с. 30.

33 Шиллинг Е. М. Кубачинцы и их культура. М.-Л., 1949, с. 131.

34 Магомедова М. О. Узоры жизни. М., 1974, с. 35.

35 Буйнакский У. Д. Сборник документов, статей, писем, воспоминаний, Махачкала, 1975, с. 212.

36 Аствацатурян Э. Г. Дагестанские мастера..., с. 118.

37 Там же, с. 118.

38 В боях за власть Советов. Воспоминания участников социалистической революции и гражданской войны. Махачкала, 1957, с. 85.

39 Гнедич А. Указ. раб. с. 286.

40 Аствацатурян Э. Г. История оружейного и серебряного производства на Кавказе в XIX — нач. XX вв. Дагестан и Закавказье, ч. 1, М., й977, с. 120.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Устроившиеся в Грузии на фабриках или вообще получившие какую-либо постоянную работу в городах, станциях, поселках, дагестанские отходники начинали дорожить заработком, связь с землей ослабевала, отход становился круглогодичным и незаметно превращался в фактическое переселение.

Дагестанцы-отходники, этническая принадлежность которых не установлена, работали в Тифлисе, Лагодехи, Сигнахе, Кутаиси, Батуми, Поти, Гори, Сухуми, Ахалцихе, Чиатуре, Тианети и других городах и селениях Грузии[41]. В некоторых населенных пунктах Грузии, где число дагестанских ремесленников доходило до значительного числа и имелось разветвленное различие по специализации всех видов ремесел, избирался совет старейшин в составе 4—5 человек для решения производственных вопросов[42].

Средняя выработка большинства мастеров серебряников в грузинских городах составляла 150 — 200 руб., а в Тифлисе они имели 300—500 руб. Заработок дагестанских мастеров-серебряников составлял 400 600 руб. в год[43]. Заработок дагестанского мастера-оружейника в отдельных городах составлял 200 р. В Сигнахе, в 1898 году мастера — казикумухцы зарабатывали по 100 — 150 руб. в год[44].

Мастера, как правило, имели 1—2 учеников. В Тифлисе около 40 мастеров работали с 3—4 рабочими и 4 человека с 5—8 рабочими. Абсолютное большинство составляли мастера, работавшие или в одиночку, или с одним помощником.

Дагестанские отходники сами же реализовывали изделия ремесленного производства в городах Грузии. Ремесленники все шире переходили к производству на рынок, то есть становились товаропроизводителями. О них в «Журналах генеральной проверки торговых и промышленных заведений» сказано: «занимается ремеслом и торгует собственными изделиями из самой мастерской». Так, в Телави дагестанские мастера изготовляли женские украшения, которые продавали местным жителям[45].

Медные котлы больших размеров, использовавшиеся для варки ритуального пива, дагестанские мастера-отходники изготовляли в аулах восточной Грузии, в частности, в бацбийских селениях[46].

Дагестанские мастера не только изготовляли высококачественные ремесленные изделия, но и играли важную роль в торговле между Дагестаном и Грузией. Накопив капитал, они открывали магазины, куда ввозили сукна, кожи, бурки, шерсть[47].

В конце XIX — начале XX в.в. многие дагестанские горцы в Закавказье, в частности, в Грузии, были заняты и в земледельческом отходе. Старожилы рассказывают, что в Грузии ждали отходников из Дагестана для выполнения сезонных работ. За один 1898 год из Дагестана в Закавказье отправилось 6 тысяч семейств, которые составляли 30

---

41 Аствацатурян Э. Г. История оружейного и серебряного производства на Кавказе в XIX — нач. XX вв. Дагестан и Закавказье, ч. I, М., й977, с. й20.

42 Габиев Д.-М. С. Металлообработка у лаков., с. 10.

43 Аствацатурян Э. Г. История оружейного..., ч. 1, с. 132.

44 ЦГИА Гр. ССР, ф. 254, оп. 3, д. 3515, л. 28.

45 Волкова Н. Г. Бацбийцы Грузии (этнографические заметки). «Советская этнография», 1977, №2, с. 87.

46 Там же, с. 87.

47 Габиев Д-М. С. Металлообработка у лаков., с. 10.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



тыс. душ обоего пола[48]. Кроме отходников, ежегодно с осени тысячи семейств перекочевывали со своим скотом на зимние пастбища в Грузию. Только из Самурского округа уходили на зиму со скотом 5 тысяч семейств[49].

Дагестанские отходники работали в табаковедческих хозяйствах, на виноградниках Кахетии, выполняя самые различные работы.

Грузинский язык был языком общения отходников-дагестанцев[50].

Из Дагестана в восточногрузинские города уходили не только торговцы, но и мастера-строители. Преимущественно это были западнодагестанские горцы — дидойцы, анцухцы и другие, строившие каменные дома и башни[51].

Дагестанские отходники, не имевшие квалификации, по-прежнему находили себе работу на предприятиях, мастерских, заводах Тифлиса, других грузинских городов. С течением времени отдельные отходники овладевали профессией и становились квалифицированными рабочими — мастерами, слесарями. Не высоко ценился труд чернорабочих в грузинских городах, а прожиточный минимум был очень высок.

Развитию дагестано-грузинских взаимоотношений содействовали и грузины, жившие и работавшие в Дагестане одни постоянно, другие временно, как отходники.

Отхожими промыслами занимались и грузины, которые отправлялись в различные города России, в том числе и в дагестанские[52].

По данным переписи 1897 г. в дагестанских городах и аулах — Темир-Хан-Шуре, Дербенте, Хунзахе, Ботлихе, Левашах, Гунибе, Кумухе, Касумкенте и др. — жили несколько сот грузин[53]. Основной деятельностью грузин, проживавших в Дагестане, была торговля различными товарами — строительным материалом, предметами домашнего обихода — металлическими, тканями, кожами, мехами. Они разводили табак, работали на железной дороге, в земледелии. Некоторые грузины вели учебную, воспитательную, врачебную и санитарную деятельность[54].

Следует полагать, что отходники из Грузии устремлялись в Дагестан и на рыбные промыслы, особенно в период массового лова. Так, по данным В. И. Мейснера за 1912 год на петровских и кюринских рыбных промыслах работало 15,8 тыс. человек, из которых число дагестанских горцев составляло 4,6 тыс. человек, остальные были отходники из соседних областей.

Как выше отмечено, дагестанские и грузинские отходники отправлялись и в другие губернии, округа Кавказа, они создавали мастерские в многонациональных городах, в которых жили и грузины. Дагестанские и грузинские отходники работали в Баку, Грозном и других городах на одних и тех же промышленных объектах. Все это способствовало экономическому сближению дагестанских и грузинских народов.

48 Обзор Дагестанской области за 1898 г., с. 81.

49 Там же, с. 25.

50 Волкова Н. Г. Этнические процессы в Грузинской ССР. В кн. Этнические и культурно-бытовые процессы на Кавказе. М., 1978, с. 44.

51 Волкова Н. Г. Бацбийцы Грузии.

52 Дагестанская область. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893, с. 76.

53 Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897, Дагестанская область, СПб, 1905, с. 78—79.

54 Там же, с. 140—141.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Т а б л и ц а

численности отходников Дагестана (конец XIX в.)

| №№ п/п | | 1901 | 1903 | 1904 | 1906 | 1908 | 1912 | 1913 | 1915 | Всего | Среднее |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | число отходников | | | | | | | | отходников за 8 лет | Число отходников |
| I | Аварский | 3039 | 1965 | 1825 | 1792 | 1038 | 1532 | 3286 | 3500 | 17977 | 2247 |
| 2 | Андийский | 9414 | 6745 | 7413 | 7244 | 8248 | 8431 | 9375 | 12604 | 69979 | 8747 |
| 3 | Гунибский | 7354 | 4750 | 8427 | 8355 | 9841 | 12825 | 15967 | 7600 | 75119 | 9390 |
| 4 | Даргинский | 11837 | 9990 | 11080 | 9859 | 9610 | 9124 | 11763 | 12198 | 85461 | 10683 |
| 5 | Казикумухский | 9021 | 8733 | 9405 | 10780 | 9882 | 10420 | 12069 | 12934 | 83244 | 10406 |
| 6 | Кайтаго-Табасаранский | 3198 | 3615 | 3600 | 7529 | 7529 | 3828 | 3828 | 3828 | 36955 | 4619 |
| 7 | Кюринский | 9881 | 7000 | 8156 | 8305 | 6873 | 8300 | 8600 | 8600 | 65715 | 8214 |
| 8 | Самурский | 14222 | 12119 | 17000 | 17505 | 22188 | 22586 | 23189 | 23189 | 151998 | 19000 |
| 9 | Темир-Хан-Шуринский | 7000 | 7400 | 5688 | 6185 | 7212 | 5300 | 5240 | 5730 | 49755 | 6219 |
| | | 74971 | 62317 | 7 2594 | 78054 | 82421 | 82346 | 93317 | 90183 | 636203 | 79525 |

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Так, к общему числу бакинского пролетариата, занятого в нефтяной промышленности, дагестанские горцы, названные в официальных документах и изданиях «лезгинами», составляли в 1901 г. 12,8%, 1905 — 12,9%, 1915 — 11,4%, а 13% грозненского нефтепромыслового пролетариата в начале XX в. составляли дагестанские рабочие[55].

Касаясь вопроса политики царского правительства по отношению к отходу следует отметить, что если до 80 г. отходникам выдавались бесплатные паспорта или письменные визы, затем царизм ввел паспортный сбор, который превратился в один из источников пополнения государственного бюджета.

Новый паспортный режим оказался тяжелым для крестьян-отходников, которые предприняли безуспешные попытки освободиться от уплаты сбора за паспорта. Эта мера в определенной степени повлияла на сокращение числа отходников из Дагестана в соседние области Кавказа, в том числе и в Грузию. Главноначальствующий гражданской частью на Кавказе говорил о «крайне стесненном положении дагестанцев, которые, не имея возможности оплачивать свои паспорта установленным гербовым сбором, поневоле должны оставаться дома... или отлучаться большей частью секретно без паспортов и вести нелегальную жизнь в разных местах»[56].

Наладить полный учет отходников и ввести повсеместно официальные документы колониальным властям так и не удалось. Все еще значительное количество крестьян отлучалось без всяких удостоверений. Так, в 1890 г. из соседнего с Грузией Самурского округа отлучились более 10 тыс. мужчин, из которых 7779 человек по билетам, выданным официальными властями[57].

Отходничество официально не ограничивалось, но и не регулировалось.

Несмотря на всякие ограничения, предпринимаемые царскими властями, все возрастающий поток отходников из Дагестана в соседние области, в том числе и в Грузию, являющийся результатом процессов, происходивших в экономике России, в частности, на Кавказе, царизм не был в состоянии остановить.

Итак, отход из Дагестана в Грузию и наоборот способствовал углублению дагестано-грузинских экономических взаимоотношений во второй половине XIX — начале XX вв.

---

[55] Шигабудинов М. Ш. Отходничество (конец XIX — начало XX вв.). Махачкала, 1975, Рукоп. фонд ИИЯЛ, № 277, ф. 3, оп. 1, инв. 6234, л. 3, 7.

[56] Рамазанов Х. Х. Отходничество Дагестана во второй половине XIX в. Вопросы истории и этнографии Дагестана, сб. научных сообщений Даггосуниверситета, вып. III, Махачкала, 1972, с. 105—106.

[57] ЦГА ДАССР, ф. 2, оп. 1, д. 4, л. 55.

Представлена отделами Новой истории и истории народов Кавказа Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ცქიტიშვილი

# აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში

როგორც ცნობილია, საკითხი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ VII ს-ის 40—50-იანი წლების საქართველოში კარგა ხანია იზიდავს მკვლევართა ყურადღებას. ეს ინტერესი ამ საკითხისადმი, ისევე როგორც საქართველოში არაბთა მფლობელობის ხანის მრავალი სხვა საკითხისადმი, დღემდე არ შენელებულა. სამწუხაროდ, წყაროთა სიმცირე არ იძლევა აღებული დროის არაბთა სახალიფოსა და საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის სრულად და ფართოდ გაშუქების საშუალებას. ამდენად, ბუნებრივია, ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა უპირველეს ამოცანას შეადგენს აღნიშნული მნიშვნელოვანი ხარვეზის დაძლევა, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვაენოვანი მასალის მიკვლევა-გამომზეურება და ამის საფუძველზე ამჟერად ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მეცნიერულ დონეზე შესწავლა-გაანალიზება. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის კვლევას ემსახურება ქართველ ისტორიკოსთა და აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი და, ეჭვი არ არის, მათი დაუცხრომელი შრომა მომავალში საჭირო და სასურველ შედეგსაც გამოიღებს.

მასალის სიმცირეა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საბოლოოდ გადაუჭრელი ჩანს ქართველებისათვის არაბი მხედართმთავრის ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის მიერ (614—662 წწ.) ეგრეთ წოდებული „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღის საკითხიც. ცნობა ასეთი საბუთის გაცემის შესახებ და მისი შინაარსი მცირეოდენი სხვაობით (საკუთრივ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია), როგორც ამჟამადაა ცნობილი, შემონახულია ოთხ არაბ და არაბულენოვან ავტორთან— აბუ უბაიდთან (770—838 წწ.)[1], ალ-ბალაზურისთან (გარდ. 892 წ.)[2], ატ-ტაბარისთან (838—923 წწ.)[3] და იაკუთ ალ-ჰამავისთან (დაახლ. 1179—1229 წწ.)[4].

---

[1] كتاب الاموال ، للامام العظيم الحافظ الحجة ابى عبيد القاسم بن سلّام المتوفى ٢٢٤ سنة هـ ، و مولده سنة ١٥٤ ، صححه و علق هوامشه محمد حامد الفقى ، القاهرة ، ١٣٥٣ ، გვ. 208—211.

[2] Liber expugnationis regionum, auctore Imámo Ahmed ibn Yahya Djabir al-Baladsori, quem e codice Leidensi e codice Musei Britannici edidit M. J. de Goeje, Lugduni — Batavorum, 1866, გვ. 201—203.

[3] Annales quos scripsit Abu Djafar Mohammed ibn Djarir at-Tabari, ed. M. J. de Goeje, I, 1879, გვ. 2674—2675.

[4] Jacut's geographischen Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin, St.-Petersburg und Paris..., hrsg. von. F. Wüstenfeld, Erster Band, Leipzig, 1866, გვ. 857—858.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში აღნიშნული „დაცვის სიგელის“ შინაარსს ალ-ბალაზურისა და ატ-ტაბარის ვარიანტების მიხედვით პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ იგი გაცემული უნდა ყოფილიყო არაბთა მიერ ჯერ კიდევ ხალიფა უმარ I იბნ ალ-ხატაბის დროს (634—644 წწ.), კონკრეტულად 643—645 წწ.[5].

მოგვიანებით, 30-იანი წლების შუა ხანებში, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღი კვლავ მსჯელობის საგნად გახადა ს. ჯანაშიამ. საკითხის გასარკვევად მან მოიშველია როგორც ქართული და არაბული, ასევე სომხური წყაროები და VII ს-ის 40—50 წლების საქართველოს საერთო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ამბების განვითარების მიხედვით,“ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „დაცვის სიგელი“ გაცემული უნდა ყოფილიყო ქართველებზე ხალიფა უსმან იბნ აფანის ზეობის დასასრულისათვის ,უფრო ზუსტად, „654 წ. დამლევს ან 655 წ., ყოველ შემთხვევაში, ხალიფა ოსმანის დროს (ოსმანი მოჰკლეს 656 წ., 17 ივნისს)“[6].

ომისშემდგომ წლებში საკითხი „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღის შესახებ ფაქტობრივად სამგზის იქნა დასმული: ჯერ ერთი, ე. სიხარულიძემ საჭიროდ ცნო ჯანაშიასეული თარიღის გადასინჯვის აუცილებლობა, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იგი არ ეხება „დაცვის სიგელის“ დათარიღების საკითხს და ამავე დროს წერს „არაბი ავტორები ჰაბიბ იბნ მასლამას საქართველოში ლაშქრობას უკავშირებენ ოსმანის გახალიფების პირველ წლებს და ათარიღებენ ჰიჯრის 25/647 წლით. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 651 წელს არაბეთში იწყება პირველი სამოქალაქო ომი, რის გამოც არაბები იძულებულნი ხდებიან შეწყვიტონ დაპყრობითი ომები ყველგან, მათ შორის ამიერკავკასიაშიც“[7].

შემდგომში ეს საკითხი კიდევ ერთხელ განიხილეს ბ. სილაგაძემ და დ. ქასრაშვილმა. პირველმა „დაცვის სიგელი დაათარიღა სომხური, არაბული და სხვა წყაროების მიხედვით 648 წ.,[8] ხოლო მეორემ — 646—647 წწ[9].

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარიუს კანარი ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობას საქართველოში და მის მიერ „დაცვის სიგელის“ გაცემას თბილისის მოსახელობაზე (და არა აღმოსავლეთ საქართველოსი) არაბული წყაროების მიხედვით (ალ-ბალაზური, ალ-იაკუბი, ატ-ტაბარი) ათარიღებს 645—646 წწ.[10].

ჩამოთვლილ თვალსაზრისთაგან ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის, როგორც ცნობილია, მიღებულია ს. ჯანაშიას თვალსაზრისი[11] და, უნდა ვი-

---

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 72, 85.

[6] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 363.

[7] ე. სიხარულიძე, საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, № 1, 1961, გვ. 194.

[8] ბ. სილაგაძე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, I, 1971, გვ. 68—85.

[9] დ. ქასრაშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ თარიღისათვის (საქართველო-არაბეთის ურთიერთობის ისტორიიდან), კრ. „მეგობრობა“, თბ., 1980, გვ. 129—140.

[10] M. Canard, El. NE, Leiden-London, 1960, გვ. 636.

[11] შდრ., მაგ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 286.

ფიქროთ, არც თუ მაინცადამაინც უსაფუძვლოდ. ხოლო თუ რატომ, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

საქმე ეხება ადრეული შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსის, ალ-ბალაზურისა და ატ-ტაბარის თანამედროვის, მათთან შედარებით ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი (იმდენად, რომ მისმა ბიოგრაფიამ ადგილი ვერ პოვა თვით „ისლამის ენციკლოპედიის“ ახალ გამოცემაშიც კი) აბუ მუჰამად აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის (გარდ. 926 წ.)[12] სამტომიან (რვა ნაწილად) ნაშრომს „ქითაბ ალ—ფუთუჰ („წიგნი დაპყრობათა შესახებ“), რომელიც გამოიცა ჰაიდარაბადში (ინდოეთი) 1968—1975 წწ.[13] ეს წყარო დაახლოებით ისეთივე ტიპისაა, როგორიცაა კარგად და ფართოდ ცნობილი ალ-ბალაზურის „ქითაბ ფუთუჰ ალ-ბულდან“ („წიგნი ქვეყნების დაპყრობათა შესახებ“).

ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს აბუ ბაქრის ხალიფას ტახტზე ასვლიდან 632 წ. ხალიფა ალ — მუსთაინის სიკვდილამდე 866 წ. ამ ნაშრომის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის 1—146 გვერდების ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიც შესულია ისტორიული ამბები ხალიფა უსმან იბნ აფანის (644—656 წწ.) ზეობის ბოლო წლებამდე, ინახება ქალაქ გოთას (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ბიბლიოთეკაში[14]. ერთადერთი ხელნაწერი მეორე და მესამე ტომებისა მეორე ნაწილის 147 გვერდიდან მერვე ნაწილის ბოლომდე, რომელიც ეხება შემდგომი ხანის ამბებს, დაცულია სტამბოლის აჰმედ III-ის ბიბლიოთეკაში[15].

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაშრომში არსებული მასალა სლავთა (საკალიბა) შესახებ გამოქვეყნებული აქვს აჰმად ზექი ვალიდის[16], არაბი მხედართმთავრის ჯარაჰ იბნ აბდ ალ-აჰის ლაშქრობისა ხაზართა წინაალმდეგ და ხალიფა ალ-მანსურის მიერ (754—775 წწ.) აზერბაიჯანისა და არმინიის შესახებ ცნობების თურქული თარგმანი გამოსცა ა. ქურათმა[17], ხოლო ზ. ბუნიატოვმა განახორციელა აზერბაიჯანზე არსებული ისტორიული მასალის რუსული თარგმანი და გამოაქვეყნა იგი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით[18].

ჰიჯრ. 596 წ. (1199—1200 წ.) აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაშრომის

---

[12] იხ. C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur, I, გვ. 150, SB, I, გვ. 220.

[13] ابو محمد احمد بن اعثم الكوفى ، كتاب الفتوح ، ج ٨—١ ، دائرة المعارف العثمانية ، حيدرباد ، ١٩٧٥—١٩٦٨.

[14] W. Pertsch Die arabischen Handschriften der herzoglichen Bibliothek zu Gotha, Bd. III, Gotha, 1881, გვ. 219, № 1592.

[15] Topkapi Sarayi Müserzi Kütüphanesi Arapca Yazmalar katalogu, harizlayan F. E. Karatay, Istanbul, 1966, გვ. 341—342. №№ 2956/1—2.

[16] A. Zeki Validi Togan, Ibn Fadlan's Reisebericht, Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXIV, 3, Leipzig, 1939, გვ. 296—302.

[17] Akdes Nimat Kurat, Abu Muhammad Ahmed b. Aham al-Kufi's Kitab al—Futuh and its Importance Concerning the Arab Conquest in Central Asia and Khazars, Ankara Universitesi Dil ve Tarih-Coğrafya Fakultesi Dergisi, VI, 1948, გვ. 385-425; VII, 1949, გვ. 255—282.

[18] Абу Мухаммад Ахмад ибн А'сам ал-Куфи, Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII—IX вв.), перевод с арабского З. М. Буниятова, Баку, 1981.

სპარსული თარგმანი წამოუწყია მუჰამად იბნ აჰმად იბნ აბუ ნასრ მუჰამად ალ-მუსთაუფი ალ-ჰარავის, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია, უთარგმნია ხალიფა აბუ ბაქრის მმართველობის შესახებ არსებული მასალის მხოლოდ დიდი ნაწილი, გარდაცვლილა, და იგი დაუსრულებია მუჰამად იბნ აჰმად იბნ აბუ ბაქრ ალ-ქათიბ ალ-მაბიჟანაბადის. ჩ. ა. სტორის ცნობით, სპარსული ხელნაწერების ნუსხები ინახება ევროპისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ბიბლიოთეკაში. მისივე ცნობით, „ქითაბ ალ-ფუთუჰის“ დაუსრულებელი სპარსული თარგმანი ორგზის იქნა გამოქვეყნებული 1882 წ. და 1887 წ[19]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბუ ალი მუჰამად იბნ მუჰამად ბალამიმ, X ს. მეორე ნახევრის მწერალმა, ატ-ტაბარის ისტორიული ნაწარმოების მთარგმნელმა არაბულიდან სპარსულ ენაზე, თავის თარგმანში ჩართო მრავალი ნაწყვეტი აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის თხზულებიდან[20]. მაშასადამე, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაშრომმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, თუმცა სუნიტი მწერლები მას უგულვებელყოფდნენ, როგორც ჩანს, მისი ავტორის შიიტური შეხედულებების გამო[21].

ევროპელი მეცნიერები, რომლებიც იყენებენ არაბი ისტორიკოსის სპარსულ თარგმანებს, მისი შიიტური კონცეფციის საფუძველზე მივიდნენ არასწორ დასკვნამდე, რომ „აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფი არის ავტორი რომანტიკული ნაწარმოებისა მუსლიმთა პირველი დაპყრობითი ომების დროის შესახებ“[22].

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაშრომის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დადგენილი. ერთი კი ცხადია, მასში ხშირად მოტანილია ისეთი ცნობები, რომელნიც არსად სხვა არაბულ ისტორიულ წყროებში არ გვხვდება. ასეთივე სხვა არაბ მემატიანეთაგან განსხვავებული ხასიათის მასალას არაბ-ქართველთა ადრინდელი ურთიერთობის შესახებ იძლევა აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი თავის ნაშრომის ზემოთ მითითებული ჰაიდარბადის გამოცემის მეორე ნაწილის 111—115 გვერდებზე.

ჩვენი ყურადღება ამ მასალიდან, უპირველეს ყოვლისა, მიიპყრო ცნობამ, რომელიც ეხება არმინიაში ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის ლაშქრობას და მის მიერ „დაცვის სიგელის“ გაცემას ჯურზანის (ქართლის) მოსახლეობაზე. მთავარი და არსებითი ამ ცნობის მიხედვით კი ის არის, რომ „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღი, შეიძლება ითქვას, იშვიათი სიზუსტით ემთხვევა ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულ თარიღს.

ქვემოთ მოტანილი ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას ულაშქრია არმინიაში ხალიფა უსმან იბნ აფანის ბრძანებით მეორე არაბი მხედართმთავრის სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილისთან არა ერ-

---

[19] Ч. А. Стори, Персидская литература, Био-библиографический обзор, т, 1, М., 1972, გვ. 612—614, 616.

[20] Ч. А. Стори, იქვე, გვ. 279—288; З. Буниятов, იქვე, გვ. 4.

[21] Ч. А. Стори., იქვე, გვ. 612.

[22] З. Буниятов, იქვე. სქოლიოში იგი უთითებს: C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur, I, გვ. 144, SB, I, გვ. 220; C. A. Storey, Persian Literature, Section II, fasc. 1, London, 1935, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროულად[23], არამედ ამ უკანასკნელის დაღუპვის შემდეგ ქალაქ ბალანჯართან გამართული ბრძოლის შედეგად ხაზარების წინააღმდეგ ჰიჯრ. 32 წ., რომელიც ემთხვევა ევროპული წელთაღრიცხვის 652 წ. 12 აგვისტოს — 653 წლის 1 აგვისტოს[24].

როგორც აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი წერს, სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის დაღუპვით დამწუხრებულ ხალიფა უსმან იბნ აფანს უბრძანებია ჰაბიბ იბნ მასლამასათვის, რათა იგი არმინიაში გამგზავრებულიყო სალაშქროდ. არაბ მხედართმთავარს, რა თქმა უნდა, ეს ბრძანება შეუსრულებია, არმინიისაკენ 6000-იანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარით დაძრულა და ხლათს დაბანაკებულა[25], ხოლო იქიდან სირაჯ-ტაირს წასულა[26], საიდანაც ჯურზანის მცხოვრებლებისათვის ბარათი მიუწერია. სამწუხაროდ, ამ წერილის შინაარსზე ტექსტში არაფერია ნათქვამი. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, მისი პასუხი იყო ის, რომ ჰაბიბ იბნ მასლამასთან გამოცხადებულა ქართველ დიდებულთა (რუ'ასā') ერთი ჯგუფი[27], მათ არაბ სარდალთან ზავი შეუკრავთ 80000

---

[23] თუ ზოგიერთ სხვა არაბ ავტორს დავუჯერებთ, სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილი და ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრი ერთდროულად მოქმედებდნენ არმინიაში. როგორც ჩანს, მათ შორის თანხმობა და ერთსულოვნება მაინცდამაინც არ უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით ნადავლის გაყოფისას. ამის გამო მათ მომხრეთა შორის ურთიერთ მისამართით მუქარებით აღსავსე ჩხუბიც კი ამტყდარა (იხ. ალ-ბალაზური, გვ. 198; ატ-ტაბარი, I, გვ. 2889, 2893).

[24] ჯერ კიდევ იაკუთ ალ-ჰამავი, აღნიშნავდა, რომ ბალანჯართან დაღუპულთა შორის ზოგი ავტორი ასახელებს სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის, ზოგიც მის ძმას—აბდ არ-რაჰმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის (იხ. იაკუთ ალ-ჰამავი, I, გვ. 730 ). ყოველ შემთხვევაში, თუ ამ საკითხზე არაბულ წყაროებში არაა თანხმობა, სამაგიეროდ სრული ერთსულოვნებაა არაბ მემატიანეთა შორის მასზე, რომ არაბთა და ხაზართა შორის ერთ-ერთი ბრძოლა, რომლითაც დასრულდა არაბ-ხაზართა ომების პირველი ეტაპი შემდგომში არაბთა სახელმწიფოში ამტყდარი სამოქალაქო ომის შედეგად, ბალანჯართან გაიმართა ჰიჯრ. 32 წ. (იხ. М. И. Артамонов, История хазар, Л., 1962, გვ. 177—180; D. M. Dunlop, The History of the Jewisch Khazars, Princeton, New Jersey, 1954, გვ. 55—56). ამას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ჰაბიბ იბნ მასლამას არმინიაში ლაშქრობისა და ქართველთათვის „დაცვის სიგელის" გაცემის თარიღის დასადგენად აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ტექსტის მიხედვით, ვინაიდან იგი თარიღების მოტანას, სამწუხაროდ, ისევე ერიდება, როგორც ალ-ბალაზური. ზ. ბუნიატოვიც ამ ლაშქრობას ჰიჯრ. 32 წ. ათარიღებს (იხ. З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, შენიშნ. 6).

სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ატ-ტაბარის, ალ-ვაკიდიზე მითითებით, არმინიის დაპყრობის თარიღად ჰიჯრ. 31 წელიც მოაქვს (ატ-ტაბარი, I, გვ. 2871). თუ ეს ცნობა, ვთქვათ, სწორია, მაშინ ცხადია ჰიჯრ. 31 წლამდე ჯერც „დაცვის სიგელი" გაიცემოდა ქართველებზე ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ.

[25] აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობით, ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრი არმინიაში ბანუ ზარარის გასასვლელით შემოჭრილა. მისი ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლებელი შეიქნა.

[26] „სირāჯ მინ ბილāდ ალ-მატāმīრ" — ასეა ტექსტში. რუსულ თარგმანში ზ. ბუნიატოვს იგი სირაჯ-ტაირად აქვს გადმოცემული (З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ.II) ჩვენც ამ ფორმით მოგვავს ამ ადგილის სახელწოდება. სამწუხაროდ, მისი ადგილმდებარეობის დადგენაც შეუძლებელი შეიქნა. თვით იაკუთ ალ-ჰამავიც კი სირაჯ-ტაირის ადგილმდებარეობის განმარტებისას ზოგადი მითითებით კმაყოფილდება: „სირაჯ-ტაირი.. ოლქი მესამე არმინიაში, ზოგი ამბობს მეორეში" (იხ. იაკუთ ალ-ჰამავი, III, გვ. 63).

[27] როგორც ვიცით, აბუ უბაიდისა და ატ-ტაბარის ცნობათა მიხედვით, ჰაბიბ იბნ მასლამას მოსალაპარაკებლად ხლებია ქართველი დიდებული (პატრიკიოსი) სახელად ვინმე „თუფილა" — „თეოფილე", ხოლო ალ-ბალა-

დირჰამის გადახდის პირობით[28] და მისთვის გადაუციათ კიდეც ეს ფული. ამის გამო ჰაბიბ იბნ მასალამას „ქითაბ („სიგელი“) დაუწერია, რომელიც ჩვენთვის კარგად ცნობილი სხვა არაბ მწერლებთან მოტანილი „დაცვის სიგელი“ უნდა იყოს. სამწუხაროდ, არც ამ „სიგელის“ ტექსტის შინაარსი აქვს გადმოცემული აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის.

მართლაცდა, თუ ს. ჯანაშიას თვალსაზრისს გავიზიარებთ „ამბების განვითარების მიხედვით“ და აჰმად იბნ ასამ ალ ქუფის ახლახან მოტანილ ცნობასაც გავითვალისწინებთ, არაფერია დაუშვებელი, რომ ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის „დაცვის სიგელი“ 653—654 წწ. დათარიღდეს, ხოლო მითითება მასზე, რომ სახალიფოში პირველი სამოქალაქო ომი 651 წ. დაიწყო და ამიტომ 651 წლის შემდეგ არაბებს საგარეო საქმეებისათვის არ ეცალათო, საბუთად ვერ გამოდგება[29].

სახალიფოში ხალიფა უსმან იბნ აფანის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო და მტრულმა ელემენტებმა, მართალია, ადრევე, ჯერ კიდევ 654 წლამდე, წამოჰყვეს თავი, მაგრამ სრულ განხეთქილებამდე საქმე მივიდა 656 წ. 17 ივნისს, როცა უსმან იბნ აფანი მოკლეს. არსებითად მხოლოდ ამ მკვლელობის შემდეგ იფეთქა სამოქალაქო ომმა არაბთა სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ახალ ხალიფას ალი იბნ აბუ ტალიბსა (656 — 661 წწ.) და სირიის გამგებელ მომავალ ხალიფას მუავია იბნ აბუ სუფიანს შორის (661—680 წწ.)[30]. მანამ, სანამ ეს ბრძოლა დამთავრდებოდა ტახტის პრეტენდენტის გამარჯვებით, სახალიფოს მესვეურებს საგარეო დაპყრობითი ომებისათვის, რა თქმა უნდა, არ ეცალათ.

ს. ჯანაშიამ, ეჭვი არ არის, კარგად იცოდა უსმან იბნ აფანის მკვლელობის შემდგომ ხანაში სახალიფოში დატრიალებული ამბები, შექმნილი მძიმე ვითარება და ამიტომ წერდა, რომ „დაცვის სიგელი“ გაცემული უნდა ყოფილიყო ქართველებზე „654 წ. დამლევს ან 655 წ. ყოველ შემთხვევაში, ხალი-

---

ზურის თანახმად — „ნიკულა“ — „ნიკოლოზი“ (იხ. ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში, „მაცნე“, ისტორიის სერია, I, 1976, გვ. 199, შენიშვნ. 8). ამჯერად არაბი ავტორი იხსენიებს ქართველ დიდებულთა მთელ ჯგუფს, რომელიც ჰაბიბ იბნ მასლამას ხლებია სირაჯ-ტაირში. ალბათ, ამ ჯგუფის წევრი და, შესაძლებელია, ხელმძღვანელიც იყო ხსენებული „თეოფილე“. ქართველთა და არაბთა წარმომადგენლის შეხვედრის ადგილი სირაჯ-ტაირი პირველად გვხდება არაბულ ტექსტში.

[28] ქართველ დიდებულთა მიერ ჰაბიბ იბნ მასლამასათვის გადაცემული ეს თანხაც, 80000 დირჰამი, პირველად გვხდება არაბულ ტექსტში. აქამდე ვიცოდით, რომ ქართველებს ჰაბიბ იბნ მასლამასათვის მიურთმევიათ 100 დინარი, რომელიც არ შესულა თბილისელებზე დადგენილ თანხაში ჯიზიასა და არა გამოსასყიდის სახით (იხ. აბუ უბაიდი, გვ. 210, შდრ. ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99, შენიშვნ. 9). როგორც ჩანს, ეს 80000 დირჰამიც ერთდროული გადასახადი, ხარკი, იყო და არა ყოველწლიური, ვინაიდან იქ, სადაც დაკისრებული თანხა ყოველწლიური გადასახადია, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი აღნიშნავს კიდეც, ამაზე იხ. ქვემოთ.

[29] იხ. ზემოთ; აგრეთვე დ. ქასრაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[30] ა. მიულერი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, სავსებით ნათლად მიუთითებს, რომ პირველი სამოქალაქო ომი სახალიფოში მიმდინარეობდა 655—661 წწ. (იხ. А. Мюллер, История ислама с основания до новейших времен, т. I, СПб, 1895, გვ. 243). 656—661. წწ. მოტანილი პირველი სამოქალაქო ომის თარიღად აგრეთვე ნაშრომში „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფა ოსმანის დროს (ოსმანი მოჰკლეს 656 წ. 17 ივნისს)", და, მაშასადამე, არა მოგვიანო წლებში, უსმან იბნ აფანის მოკვლის შემდეგ, როცა არაბთა სახალიფო შინაომმა მოიცვა[31].

დაბოლოს, მეორე ცნობა, რომელიც რამდენადაც ვიცით, პირველად გვხვდება არაბულ წყაროში. საკითხი ეხება სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის ლაშქრობას ამიერკავკასიაში, არმინიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, და მის მცხოვრებლებზე ყოველწლიური გარკვეული, როგორც აღნიშნულია ტექსტში, გადასახადის დაკისრებას.

სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის ლაშქრობას არმინიაში, რა თქმა უნდა, სხვა არაბი მემატიანეებიც იხსენიებენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ამბობს, რომ მას ჯურზანზე გაელაშქროს[32].

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობით, სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის არანის ბაილაკანსა და ბარდავში წარმატებით ჩატარებული სამხედრო ოპერაციების, მათ მცხოვრებლებთან დაზავებისა და მათზე გადასახადების დაკისრების შემდეგ თავის მხედრებთან ერთად ჯურზანს მოუწყვია ლაშქრობა[33] და მისი მოსახლეობისათვის ყოველწლიური გადასახადი დაუდგენია, რომლის ოდენობას არაბი ისტორიკოსი, სამწუხაროდ, არ უთითებს, საფიქრებელია, თანხის არცოდნის გამო.

ამრიგად, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ორი წერილის მიხედვით[34] ნაწილობრივ შეივსო ჩვენი ცოდნა არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ VII ს. 40—50-იანი წლების საქართველოში. ამგვარადვე ჩვენი ცოდნის შევსების შესაძლებლობას იძლევა აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაშრომიც.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილი გახდა ორი უცნობი არაბი ავტორის სახელი. ესენი არიან აბუ უბაიდ ალ-კასიმ იბნ სალამი და აბუ მუჰამად აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი. ახლა ჩვენთვის ხელმისაწვდომია ახალი, ყველაზე ადრინდელი ვარიანტები ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის „დაცვის სიგელისა" და მისი წერილისა თბილისელების სახელზე. გავეცანით იმ პიროვნების სახელს, რომელსაც უნახავს თუ თვით წაუკითხავს ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" ტექსტი. ასეთი პიროვნებაა არმინიის მცხოვრები ვინმე აჰმად იბნ ალ-აზრაკი. ერთგვარად დადგინდა იმ ქართველი დიდებულის სახელი, რომელიც გაგზავნილ იქნა ჰაბიბ მასლამასთან მოლაპარაკების მიზნით. ეს სახელია — თუფილა — თეოფილე. გაირკვა, რომ არაბებს ხლებია არა მხოლოდ თეოფილე, არამედ ქართველ დიდებულთა მთელი ჯგუფი. ამავე დროს ქართველ პატრიკიოსს მიურთმევია ჰაბიბ იბნ მასლამასათვის 100 დინარი (ანუ ოქროს ფული, აბუ უბაიდის ცნობის თანახმად), ხოლო ქართველ დიდებულებს — 80 000 დირჰამი (ანუ ვერცხლის მონეტა, აჰმად იბნ ასამ ალ-

---

31 შდრ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 365.

32 იხ., მაგ., ალ-ბალაზური, გვ. 203, 204; ალ-იაკუბი, ისტორია, თ. ჰაუთსმას გამოცემა, II, გვ. 180, 194; ატ-ტაბარი, I, გვ. 2666, 2806.

33 ზ. ბუნიატოვი ამ ლაშქრობას ათარიღებს ჰიჯ. 25 წ. (28 ოქტომბერი 645 წ.— 16 ოქტომბერი 646 წ.) (იხ. З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, შენიშვნ. 8.)!

34 მხედველობაში გვაქვს აგრეთვე ზემოთ მითითებლი ჩვენი სტატია აბუ უბაიდის ნაშრომში შემონახული მასალის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუფის მიხედვით). საფიქრებელია, ქართველ დიდებულთა ჯგუფში შედიოდა თეოფილე, რომელიც არ არის გამორიცხული მათი ხელმძღვანელიც ყოფილიყო მოლაპარაკების დროს. ალბათ, ამიტომ იხსენიებს მის სახელს არაბული წყაროები. ადგილი, საიდანაც ჰაბიბ იბნ მასლამამ წერილი მისწერა ქართველებს, ყოფილა სირაჯ-ტაირი, რომლის ლოკალიზება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. პირველად გავიგეთ, რომ საქართველოში ულაშქრია მეორე არაბ სარდალსაც სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის და მას ქართველებისათვის ყოველწლიური გადასახადი დაუდგენია. ამ ლაშქრობას, ჩანს, 645—646 წწ. ჰქონდა ადგილი. ისიც უნდა ითქვას, რომ „ბი“ წინსართის ხმარებით „დაცვის სიგელის“ აბუ უბაიდისეულ ვარიანტში, ვფიქრობთ, დგინდება, რომ ქართველებისათვის არაბებს დაუკისრებიათ დამამცირებელი ჯიზია, და არა მცირე ჯიზია, რომელსაც მუსლიმური სამართალი საერთოდ არ იცნობს. რაც მთავარია, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის თარიღი „დაცვის სიგელის“ გაცემის თაობაზე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იშვიათი სიზუსტით ემთხვევა ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულ თარიღს.

არაბი ისტორიკოსის ცნობის თანახმად, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ შედგენილი უნდა იყოს 653—654 წწ. მომდევნო ორ წელიწადში, ხალიფა უსმან იბნ აფანის მოკვლამდე 656 წწ. 17 ივნისს, შეუძლებელია „დაცვის სიგელი“ გაცემულიყო. „დაცვის სიგელის“ გაფორმების შემდეგ, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობით, ჰაბიბ იბნ მასლამა, როგორც ჩანს, მალე უკანვე იქნა გაწვეული, ხოლო იგი მოკლე ხანში, ჯერ კიდევ უსმან იბნ აფანის სიცოცხლეშივე შეცვალა არმინიის გამგებლის თანამდებობაზე სამმა არაბმა მხედართმთავარმა — ჰუზაიფა იბნ ალ-იამანმა, ალ-მუღირა იბნ შუბამ და ალ-აშას იბნ კაის ალ-ქინდიმ.

საფიქრებელია, რომ 645—646 წწ. შემდგომ ათწლეულში, როცა ქართველებზე დაკისრებულ იქნა ყოველწლიური გადასახადი სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის მიერ, საქართველოში ადგილი უნდა ჰქონოდა რაღაც მნიშვნელოვან სახალხო მოძრაობას არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ჩანს, „დაცვის სიგელის“ გაცემა ქართველთა სახელზე არ ყოფილა ერთიანი პოლიტიკური აქტი და არც ქართველები უნდა დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს ერთბაშად. ამის მიზეზი იყო, ალბათ, ის, რომ არაბები იძულებული იყვნენ კვლავ მოეწყოთ ლაშქრობა არმინიაში, საქართველოში, და ამჯერად ხელმეორედ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობისათვის გაეფორმებინათ ეგრეთ წოდებული „დაცვის სიგელი“, ცნობილი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ სახელით.

* * *

## არაბული ტექსტი

გვ. 111

ذكر مسير سلمان بن ربيعة الباهلي الى بلاد ارمينية و فتح من البلاد

قال: فسار سلمان بن ربيعة و من معه من اهل العراق نحو بلاد أرمينية ، قال:
و تسامعت ملوك أرمينية بدخول العرب إلى بلدهم فهربوا على وجوههم حتى تحصنوا

ეროვნული ბიბლიოთეკა

فى الجبال والقلاع و الاودية والغياض ، و جعل بعضهم يقول لبعض انه قد جاءنا قوم بلغنا أنهم نزلوا من السماء فليس يموتون ولا يعمل فيهم السلاح.

قال: فصار سلمان بن ربيعة يقتل من ناواه و يفتح ما مربه من المدن و القلاع و يتصفى البلاد حتى صار إلى البيلقان من بلاد أَرَان ، قال:

გვ. 112

فخرج اليه اهل البيلقان فى الأَمان فأقاموا له الانزال و صالحوه على مال دفعوه إليه ، فقبل ذلك منهم. ثم سار من البيلقان حتى نزل على حصن بردعة فصالح أهلها على مال أخذه منهم وفرقه على اصحابه فقواهم به. ثم إنه وجه بخيل له الى جرزان فصالح أهلها على شئ معلوم يعطونه فى كل سنه. ثم رجع هو و أصحابه وسار حتى عبر نهر الكُرّ حتى جاز الى أرض الشروان فنزلها ودعا ملكها فصالحه على مال أخذه منه. ثم تقدم من الشروان حتى صار الى شابران و مسقط ثم انه بعث الى ملوك الجبال فدعاهم ، فأقبل اليه ملك اللكز و ملك فيلان و ملك

გვ. 113

طبسران فحملوا اليه الأموال والهدايا ، و صالحوه على شئ معلوم يؤدونه إليه فى كل سنة. فقبل ذلك منهم. ثم انه سار يريد مدينة الباب و بها يومئذ خاقان ملك الخزر فى زهاء على ثلاثمائة ألف من الكفار ، فلما سمع بمسير العرب الى ما قبله ارتحل عن مدينة الباب ، فقيل له: أيها الملك أنت فى ثلاثمائة ألف و هؤلاء فى عشرة آلاف و تنهزم من بين أيديهم؟ فقال خاقان: إنه قد بلغنى عن هؤلاء القوم أنهم نزلوا من السماء وأن السلاح لا يعمل فيهم ، فمن يقوم هؤلاء؟ قال ثم جعل يمرعلى وجهه واقبل سلمان بن ربيعة حتى دخل بالمسلمين مدينة الباب وليس بها أحد من الكفار ، فأقام بها ثلاثة أيام حتى استراح اصحابه ، ثم خرج منها فى طلب خاقان واصحابه حتى صار الى مدينة من مدن الخزر يقال لها يرغو وليس بها أحد من...... ثم رحل......

გვ. 114

يريد بلنجر وهى أيضا مدينة من مدن الخزر قال ونزل سلمان بن ربيعة هناك الى اجمة كثيرة المدغل على نهر يجرى ، وفيه جماعة من الخزر من أصحاب خاقان ، فاقبل رجل منهم لينظر إلى عسكر المسلمين فبينا هوكذلك إذ نظر إلى رجل من المسلمين قد نزل الى ذلك النهر ليغتسل فيه فأحب أن يجرب فيه السلاح أيعمل فيه أم لا ، فاستخرج له سهما فرماه به فقتله ، ثم دنا منه فاخذ ثيابه واحتز رأسه وجاء به حتى وضعه بين يدى خاقان وقال أيها الملك! هؤلاء الذين بلغك عنهم أن السلاح لايعمل فيهم وأن القتل لم يكتب عليهم!

قال: فلما نظر خاقان الى ذلك نادى فى اصحابه فجمعهم ، ثم انه رجع على المسلمين فى ثلاثمائة الف فقاتلهم وقاتلوه حتى ما بقى من المسلمين أحد ، قال: فقتل سلمان بن ربيعة الباهلى وجميع من كان معه رحمة الله عليهم ، فقبورهم هناك معروفة بالبلنجر يقال لها قبور الشهداء الى يومنا هذا.

قال: بلغ عثمان بن عفان مصاب سلمان بن ربيعة وأصحابه بأرض البلنجر فغمه ذلك وأقلقه حتى منعه من النوم ، ثم انه كتب الى حبيب بن مسلمة الفهرى يأمره بالمسير الى بلاد ارمينية فى جميع اصحابه.

* დედანში طبسران, გამოცემაში — طبرستان. ჩვენის აზრით, უნდა იყოს طبرستان.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ذكر مسير حبيب بن مسلمة الى بلاد أرمينية بعد مقتل سلمان بن ربيعه الباهلى
قال: فلما ورد كتاب عثمان على حبيب بن مسلمة نادى فى اصحابه

გვ. 115

وهم يومئذ ستة آلاف ما بين فارس وراجل، ثم سار بهم نحو بلاد أرمينية، قال: فدخل من الدرب الذى يقال له درب بنى زرارة الى يومنا هذا، وجعل يسير حتى صار الى مدينة يقال لها خلاط فنزل فى قلعتها وبها جماعة من الكفار، فاقام عليها أياما ورحل منها حتى صار الى أرض يقال لها سراج من بلاد المطامير فنزل هناك ثم كتب إلى أهل جرزان، فأقبل إليه جماعة من رؤسائهم فصالحهم علي ثمانين ألف درهم، فاخذها منهم وكتب لهم بذلك كتابا، وأقام هنالك فى بلاد أرمينية وجعل يكتب الى ملوكها فيدعوهم الى الطاعة ويعدهم

ذكر عزل حبيب بن مسلمة
عن بلاد أرمينية و ولاية حذيفة
بن اليمان رضى الله عنهما

قال: فبينا حبيب بن مسلمة كذلك إذ بعث اليه عثمان بن عفان فعزله وولى مكانه حذيفة بن اليمان، قال: فدعا حذيفة

გვ. 116

عمه يقال له صلة بن زفر العبسى، فوجه به الى بلاد ارمينية وجعله خليفة له بها، واقام حذيفة بالمدينة؛ واقبل صلة بن زفر العبسى الى بلاد ارمينية فاقام بها حولا كاملا وجعل يذل ملوكها بغاية الذل والهوان حتى أذعنوا له بالسمع والطاعة

ذكر عزل حذيفة بن اليمان
وولاية المغيرة بن شعبة
رضى الله عنهما

قال: ثم إن عثمان بن عفان رضى الله عنه عزل حذيفة من بلاد ارمينية ودعا المغيرة بن شعبة فولاه بلاد ارمينية و أذربيجان، فاقام بها ما شاء الله أن يقيم، ثم عزله عثمان وولى مكانه الاشعث بن قيس الكندى، فكان بها الى أن قتل عثمان بن عفان رضى الله عنه، فكان الاشعث على أرمينية وأذربيجان يجبى خراجها ويحمله الى عثمان بن عفان رضى الله عنه.

## ქართული თარგმანი

გვ. 111

თხრობა სალმან იბნ რაბია ალ-ბაჰილის არმინიის ქვეყნებში გამგზავრებისა და მათი დაპყრობის შესახებ

ამბობს (აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი): სალმან იბნ რაბია და მასთან მყოფი ერაყელები გაემართნენ არმინიის ქვეყნისაკენ. ამბობს (მემატიანე): არმინიის მფლობელებმა შეიტყვეს (თუ არა) თავიანთ ქვეყანაში არაბთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვლის შესახებ, გაიქცნენ იმისათვის, რომ გამაგრებულიყვნენ მთებსა, ციხე-სიმაგრეებსა, ხეობებსა და უღრან ტყეებში. (თანაც) იწყეს ერთმანეთში ლაპარაკი, რომ ჩვენთან მოვიდა ციდან ჩამოსული ხალხი, რომელიც არ კვდება და მასზე არც იარაღი მოქმედებს.

ამბობს (მემატიანე): „ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა მ იწყო დახოცვა იმ (პირთა), ვინც მტრობას იჩენდა მის მიმართ, დაპყრობა ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეებისა, რომელნიც მან გაიარა, და ქვეყნები გაიწმინდა (მოწინააღმდეგეთაგან) იმდენად, რომ იგი არანის ბაილაკანსაც გაემართა. ამბობს (მემატიანე):

გვ. 112

ბაილაკანის მცხოვრებლები გამოვიდნენ მასთან შეუვალობის თხოვნით, გამოუყვეს მას ადგილსამყოფელი, დაუზავდნენ ფულზე, რომელიც მას გადასცეს, და მან იგი მიიღო. შემდეგ ბაილაკანიდან იგი წავიდა, ვიდრე არ დაბანაკდა ბარდას (ბარდავის) ციხე-სიმაგრეში. მისი მცხოვრებლები დაუზავდნენ მას ფულზე, რომელიც მან აიღო და დაუნაწილა თავის მეომრებს, რითაც გაამხნევა ისინი. შემდეგ (ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა) გაემართა თავის მხედრებთან ერთად ჯურზანს და დაუზავდა მის მცხოვრებლებს გარკვეული (გადასახადის პირობით), რომელსაც ისინი გადაუხდიდნენ მას ყოველწლიურად. შემდეგ ის და მისი მეომრები გამობრუნდნენ და გაემართნენ, ვიდრე არ გადალახეს ალ-ქური (მტკვარი) და არ გადავიდნენ შარვანის ქვეყანაში. აქ იგი დაბანაკდა, იხმო მისი მბრძანებელი, დაუზავდა მას ფულზე, რომელიც მიიღო მისგან. შემდეგ (ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა) გამოვიდა შარვანიდან იმისათვის რომ წასულიყო შაბარანსა და მასკატს. შემდეგ (ხალხი) გაგზავნა მთების მფლობელებთან და იხმო ისინი. მასთან გამოცხადნენ ალ-ლაქზის, ფილანისა და ტაბასარანის გამგებლები. მათ

გვ. 113.

მიართვეს მას ფული და საჩუქრები. მან ეს მიიღო და დაუზავდნენ გარკვეული (გადასახადის პირობით), რომელსაც ისინი გადაუხდიდნენ მას ყოველ წელს. შემდეგ (ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა) გაემართა ქალაქ ალ-ბაბისაკენ (დარუბანდისაკენ). იმ ხანებში იქ იმყოფებოდა ხაკანი, ხაზართა მეფე, 300 000 ურწმუნოთი. მაგრამ, როცა შეიტყო არაბთა მოახლოების შესახებ იგი გაიხიზნა ქალაქ ალ-ბაბიდან. მაშინ მას უთხრეს: ო მეფეო! შენს ხელქვეითაა 300 000 (მეომარი), ისინი კი (სულ) 10 000 არიან, და შენ გაურბიხარ მათ? ხაკანმა უპასუხა: ჩემამდე მოვიდა (ცნობა) ამ ხალხის შესახებ, რომ იგი ზეციდან არის ჩამოსული და მასზე იარაღიც არ ჭრის. ვინ აღუდგება მას წინ? ამბობს (მემატიანე): შემდეგ იგი განაგრძობდა უკან დახევას. ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა კი წინ მიიწევდა მანამ, სანამ არ შევიდა მუსლიმებთან ერთად ქალაქ ალ-ბაბში, სადაც ერთი ურწმუნოც კი აღარ იყო. მან იქ დაჰყო სამ დღეს, რათა მის მეომრებს დაესვენათ. შემდეგ გამოვიდა იქიდან ხაკანისა და მისი მეომრების საძებნელად, ვიდრე არ მიაღწია ხაზართა ერთ-ერთ ქალაქს სახელად ირღუ. მასში არავინ იყო... შემდეგ გაემართა....

გვ. 114

იგი მიისწრაფოდა ბალანჯარს. ესეც ხაზართა ერთ-ერთი ქალაქია. ამბობს (მემატიანე): აქ ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა შეჩერდა მდინარესთან დაბურული ტყის პირას, რომელშიც იყო ხაზართა ხაკანის მეომრების რომელიღაც რაზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთ-ერთი მათგანი მიუახლოვდა მუსლიმთა ლაშქარს იმისათვის, რომ შეეთვალიერებინა იგი, და მაშინ, როცა ამგვარად (მოქმედებდა), უეცრად დაინახა ერთ-ერთი მუსლიმი, ჩამომხტარი ამ მდინარესთან დასაბანად, და მოისურვა გამოეცალა იარაღი, იმოქმედებდა თუ არა იგი მასზე. ამოიღო ისარი, სტყორცნა და მოკლა იგი. შემდეგ მიუახლოვდა, აიღო მისი ტანსაცმელი, მოჭრა თავი, წაიღო, დაუდო ხაკანს წინ და უთხრა: ო მეფეო! ეს იმათგანია, რომელთა შესახებ შენ შეიტყვე, რომ მათზე არ ჭრის იარაღი და რომ მათ არ უწერიათ მოკვლა! (ამბობს მემატიანე): როცა ხაკანმა ეს დაინახა, იხმო და შეკრიბა თავისი მეომრები. შემდეგ შემობრუნდა მუსლიმთა წინააღმდეგ 300-ათასიანი (ჯარით) და გამართეს ბრძოლა, ისე, რომ ერთი მუსლიმიც კი არ გადარჩენილა. (ამბობს მემატიანე): მოკლულ იქნა ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა ა ლ-ბ ა ჰ ი ლ ი და ყველა, ვინც მასთან იყო, ალაჰის წყალობაც იყოს მათზე. იქ, ბალანჯარშია, მათი ცნობილი საფლავები, რომელთაც დღემდე „მოწამეთა საფლავებს" უწოდებენ.

ამბობს (ავტორი): ბალანჯარის ქვეყანაში ს ა ლ მ ა ნ ი ბ ნ რ ა ბ ი ა ს ა და მისი მეომრების (დატრიალებული) უბედურების შესახებ (ცნობამ) დაამწუხრა უ ს მ ა ნ ი ბ ნ ა ფ ა ნ ი და მოსვენება დაუკარგა მას იმდენად, რომ ძილიც კი დაუფრთხო. შემდეგ მიწერა ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა ა ლ-ფ ი ჰ რ ი ს, ბრძანებდა რა მის გამგზავრებას არმინიაში ყველა თავის მეომართან ერთად.

### თხრობა ჰაბიბ იბნ მასლამას არმინიაში გამგზავრების შესახებ სალმან იბნ რაბიას მოკვლის შემდეგ

ამბობს (მემატიანე): როცა ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა მ მიიღო უ ს მ ა ნ ი ს ბარათი, იხმო თავის მეომრები,

გვ. 115

რომელთა (ოდენობა) იმხანად 6000 ცხენოსანი და ქვეითი იყო, და გაემართა მათთან ერთად არმინიისაკენ.

ამბობს (მემატიანე): იგი შევიდა (არმინიაში) მთის გასასვლელით, რომელსაც დღესაც ბანუ ზარარის გასასვლელს ეძახიან. მან იარა იმდენი, სანამ არ მიაღწია ქალაქს ხილატის (ხლათის) სახელწოდებით, სადაც ურწმუნოთა ერთი ბრბო იყო, და დაბანაკდა მის ციხე-სიმაგრეში. რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან იგი გაემართა, ვიდრე არ მიაღწია ქვეყანას სახელად სირაჯ (—ტაირი), და იქ დაბანაკდა. შემდეგ. (ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა მ) მიწერა ჯურზანის მცხოვრებლებს. მასთან მივიდა მათ დიდებულთა ერთი ჯგუფი და ზავი დადო მათთან 80 000 დირჰამზე, რომელნიც მიიღო. ამის გამო (ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა მ) დაუწერა მათ (შეუვალობის) სიგელი. იგი იმყოფებოდა იქ, არმინიის ქვეყნებში, (იქიდან) წერდა იგი მათ გამგებლებს, მოუწოდებდა მათ მორჩილებისაკენ და ემუქრებოდა.

### თხრობა ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა ს არმინიიდან გაწვევისა და ჰ უ ზ ა ი ფ ა ი ბ ნ ა ლ-ი ა მ ა ნ ი ს გამგებლობის შესახებ, ალაჰიმც კმაყოფილია მათი

ამბობს (მემატიანე): ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა ამ გ ვ ა რ ა დ (განაგებდა არმინიას), როცა უ ს მ ა ნ ი ბ ნ ა ფ ა ნ მ ა გაუგზავნა მას (ბარათი) და გადააყენა იგი. მის ადგილზე მან დანიშნა ჰ უ ზ ა ი ფ ა ი ბ ნ ა ლ-ი ა მ ა ნ ი. ამბობს (მემატიანე): ჰ უ ზ ა ი ფ ა მ იხმო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ. 116

თავისი ბიძა (მამის მხრიდან) სახელად სულათ იბნ ზაფირ ალ-აბსი, გაგზავნა იგი არმინიასა და დანიშნა იგი იქ თავის მოადგილედ. ჰუზაიფა იმყოფებოდა მედინაში, ხოლო სულათ იბნ ზაფირ ალ-აბსი გაემართა არმინიას, დაჰყო იქ მთელი წელიწადი და იწყო მისი მფლობელების უკიდურესად შერცხვენა და დამცირება მანამ, სანამ ისინი მთლიანად არ დაიმორჩილა.

თხრობა ჰუზაიფა იბნ ალ-იამანის გადაყენებისა და ალ-მუღირა იბნ შუბას მმართველობის შესახებ, ალაჰიმც კმაყოფილია მათი

ამბობს (მემატიანე): შემდეგ უსმან იბნ აფანმა, ალაჰიმც კმაყოფილია მით, გაიწვია ჰუზაიფა იბნ ალ-იამანი არმინიიდან, იხმო ალ-მუღირა იბნ შუბა და დანიშნა იგი არმინიისა და აზერბაიჯანის გამგებლად. მან იქ დაჰყო იმდენი, რამდენიც ალაჰმა ისურვა. შემდეგ უსმანმა იგი გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა ალ-აშას იბნ კაის ალ-ქინდი. იგი იქ იმყოფებოდა უსმანის, ალაჰიმც კმაყოფილია მით, მოკვლამდე. ალ-აშასი კრეფდა ხარაჯს არმინიასა და აზერბაიჯანში და უგზავნიდა მას უსმან იბნ აფანს, ალაჰიმც კმაყოფილია მით.

О. В. ЦКИТИШВИЛИ

## АХМАД ИБН АСАМ АЛ-КӮФӢ О ПЕРВЫХ ВОЕННЫХ ПОХОДАХ АРАБОВ В ГРУЗИЮ

Резюме

В статье по вновь засвидетельствованным данным труда «Китāб футӯх ал-булдāн» («Книга завоевания стран») арабского историка Абӯ Мухаммада Ахмада ибн Асама ал-Кӯфӣ (ум. в 926 г.) рассмотрены некоторые вопросы истории первых военных походов арабов в Восточную Грузию 40—50-ых годов VII в. В частности, рассмотрен вопрос, хорошо известной в грузинской историографии так называемой «охранной грамоты» (Китāб ал-амāн) арабского военачальника Хабиба ибн Масламы ал-Фихри (614—662 гг.), выданной им населению города Тбилиси.

Дата оформления «охранной грамоты», данная Ахмадом ибн Асамом ал-Кӯфӣ, можно сказать, с исключительной точностью совпадает с датой, выдвинутой в свое время акад. С. Н. Джанашиа, согласно мнению которого она могла быть составлена в 654 г. или, во всяком случае, не позднее убийства халифа Османа ибн Аффана 17 июня 656 г.

В труде Ахмада ибн Асама ал-Кӯфӣ впервые засвидетельствован также факт военного похода арабского полководца Салмāна ибн Рабӣа ал-Бāхилӣ в Восточную Грузию (Джурзāн), по-видимому, в 25 г. хидж. (28 октября 645 г. — 16 ноября 646 г.).

Впервые в грузинской историографии публикуется извлечение из арабского исторического труда Ахмада ибн Асама ал-Кӯфӣ по хайдарабадскому изданию 1968—1975 гг. (ч. II, с. III — 115), освещающее рассмотренные события, и его грузинский перевод.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ხაზარაძე

# სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის

## („გეოგრაფია“, XI, 2, 17)

მოსხების ქვეყნის (Μοσχική-ს) ლოკალიზაციისათვის სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ორ ცნობას ვხვდებით. ეს ცნობებია:

1. „მოხსენიებულ მდინარეებს (ფაზისის, გლავკოსისა და ჰიპოსის—ნ.ხ.) მაღლა (ზემოთ) მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის (სამლოცველო,—ნ. ხ.) მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული. როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“,—ამბობს ევრიპიდე („ტროელი ქალები“, 26)“ (XI, 2, 17)[1].

2. მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (XI, 2, 18)[2].

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ზემომოტანილი პირველი ცნობა და მასზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ სტრაბონისეული მოსხების ქვეყნის (Μοσχική-ს) ლოკალიზაცია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონის „გეოგრაფის“ XI, 2, 17-ის მიხედვით მოსხების ქვეყნის მდებარეობის განსაზღვრა მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ სიძნელეებს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესო ცნობაში დაშვებული უზუსტობანი აპირობებს. მაგალითად, „გეოგრაფიის“ XI, 2, 17-ის მთელი კონტექსტიდან ჩანს, რომ საუბარია კოლხეთის მდინარე ფაზის-რიონზე და არა მის თანამოსახელე ფაზის-ჭოროხზე. მიუხედავად ამისა, ფაზისის სათავედ წარმოდგენილია არა ფაზის-რიონის ნამდვილი სათავე (კავკასიის მთები), არამედ ჭოროხ-ფაზისისა (არმენია)[3].

მეორე უზუსტობა, რომელიც ამ ცნობის შესწავლისას შეინიშნება, ისაა, რომ ლევკოთეას ტაძარს სტრაბონი ფრიქსეს მიერ აგებულად წარმოგვიდ-

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1975, გვ. 124.

[2] იქვე, გვ. 125.

[3] ისევე როგორც სხვა არაერთი ძველი ავტორი, სტრაბონიც მდ. ფაზისის სახელწოდებით ორ სხვადასხვა მდინარეს იცნობდა ჭოროხ-ფაზისს და ჭოროხ-რიონს. ამ ვარაუდის სისწორეს სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მდ. ფაზისის დასახელების შემცველი, ნაწყვეტების (I, 2, 39; I, 3-7; II, 1, 39; IV, 4, 2; VI, 4,2; VII, 3, 6; XI, 2, 16, 17; XI, 3, 4; XI, 14, 7; XII, 3, 16) ურთიერთ-შედარება სავსებით ადასტურებს. იხ. ს. ჯანაშია, ფასიდი, „შრომები“, II, თბ., 1952, გვ. 271 და შმდ.; О. Д. Лордкипанидзе. К локализации ΤΟ ΤΗΣ ΛΕΥΚΟ-ΘΕΑΣ ῾ΙΕΡΟΝ, ВДИ, № 2, 1972, გვ. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენს[4], რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ლევკოთეასა და ფრიქსეს ურთიერთობის ამსახველი წერილობითი წყაროების მონაცემებს. საქმე ისაა, რომ ბერძნული მითოლოგიის თანახმად, კოლხეთში ფრიქსესა და და მისი დის ჰელეს გაქცევის მთავარი მიზეზი მათი დედინაცვალი ინო-ლევკოთეა იყო. ძვ. წ. II ს. ავტორმა აპოლოდორემ აღნიშნული მითის შემდეგი ვერსია შემოგვინახა: „ეოლოსის შვილთაგან ათამანტს, რომელიც ბეოტიას განაგებდა, ნეფელესაგან შეეძინა ვაჟი ფრიქსე და ქალიშვილი ჰელე. შემდეგ ირთავს ინოს, რომლისგანაც მას ეყოლა ლეარქე და მელიკერტე. ინომ ნეფელეს შვილების მიმართ ვერაგობა განიზრახა და ქალებს შეაგონა, ხორბალი მოეხალათ. ამათაც მიიღეს (ხორბალი) და მამაკაცთა უჩუმრად დავალება აღასრულეს. მოხალული ხორბლით დათესილმა მიწამ ყოველწლიური ნაყოფი აღარ გამოიღო. ამის გამო ათამანტმა დელფოში კაცები გაგზავნა, რათა უნაყოფობის თავიდან ასაცილებლად საშუალება გაეგო. ინომ გაგზავნილთ შეაგონა, ეთქვათ, თითქოს ნამისნევი იყო, რომ უნაყოფობა შეწყდებოდა, თუ ფრიქსეს (სხვა ვერსიით, ფრიქსესა და ჰელეს, — ნ. ხ.) მსხვერპლად დაუკლავდნენ ზევსს. იმ ქვეყნის მცხოვრებთაგან ძალადატანებულმა ათამანტმა, ეს რომ მოისმინა, ფრიქსე საკურთხეველთან დააყენა. მაგრამ ნეფელემ იგი დითურთ გაიტაცა, მიიღო ჰერმესისაგან ოქროს საწმისიანი ვერძი და (და-ძმას) მისცა. ისინი ამხედრდნენ და წარემართნენ ცად; გადაიარეს ზღვა და ხმელი. მაგრამ სიგეონისა და ხეროხესოსის შორის მდებარე ზღვის თავზე რომ აღმოჩნდნენ, ჰელე ჩაიღუპა სიღრმეში და რაკი აქ აღესრულა იგი, ზღვასაც მისი სახელის მიხედვით ჰელესპონტი დაერქვა. ხოლო ფრიქსემ მიაღწია კოლხებს, რომლებზედაც მეფობდა აიეტი, ჰელიოსისა და პერსეისის ვაჟი, ძმა კირკესი და პასიფაესი, რომელზეც მინოსი დაქორწინდა. აიეტმა ფრიქსე შეიფარა და ერთი ქალიშვილთაგანი — ქალკიოპე (ცოლად) მისცა. ფრიქსემ ოქროსსაწმისიანი ვერძი მსხვერპლად შესწირა ფიქსიოს ზევსს, მისი ტყავი კი აიეტს უბოძა. ამან საჩუქარი არესის ჭალაში მუხას მიაჭედა"[5].

აპოლოდორეს მონათხრობს სხვა უფრო ძველი ხანის ბერძენი ავტორებიც ადასტურებენ. მაგალითად, პინდარე (ძვ. წ. VI—V სს.) ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გადაურჩა ფრიქსე „პონტოსა და დედინაცვლის უღვთო ისრებს"[6]. ჰეროდოტეს (ძვ. წ. VI—V სს.) თანახმად, „ფრიქსე და ჰელე ინოს ვერაგობის მიზეზით წავიდნენ სამშობლოდან"[7]. ფრიქსეს დედინაცვლის ვერაგობასა და მზაკვრობაზე აპოლონიოს როდოსელიც (ძვ. წ. III ს.) მიუთითებს[8] და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ფრიქსეს მიერ აგებული ტაძარი ლევკოთეასადმი ყოფილიყო მიძღვნილი[9], რაც თავის მხრით იმაზე ლაპარაკობს, რომ სტრაბონის ცნობა ზუსტი არ არის. როგორც ჩანს, სტრაბონმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია გააზრების გარეშე

---

[4] О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 124, შენ. 87.

[5] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 350—351.

[6] იქვე, გვ. 210; შდრ. გვ. 257.

[7] იქვე, გვ. 267.

[8] იქვე, გვ. 318, შდრ. გვ. 390 და სხვა.

[9] შდრ. ВДИ, № 4, 1947, გვ. 216; О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 124, შენ. 87, 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოიყენა, მექანიკურად გააერთიანა რა ფრიქსეს მითის მთავარი გმირები — ფრიქსე და ლევკოთეა.

ამ თვალსაზრისით აღნიშნულთან ერთად, საგულისხმოა შემდეგიც. სტრაბონი აცხადებს, რომ ფრიქსეს მიერ აგებულ ტაძარსა და სამისნოში „ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად“, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საეჭვო ჩანს[10], რადგან არგონავტების თქმულების ერთ-ერთ მთავარ მომენტს სწორედ ფრიქსეს მიერ ვერძის მსხვერპლად შეწირვა და კოლხეთიდან საბერძნეთში ამ შეწირული ვერძის ტყავის (ოქროს საწმისის) უკან დაბრუნება წარმოადგენს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. ჰესიოდეს (ძვ. წ. VIII ს.) „ასტრონომიის“ სქოლიონები გვაცნობებენ, რომ „კოლხებში გადაყვანილმა ფრიქსემ ვერძი მსხვერპლად დაკლა, მისი ოქროს ტყავი კი იუპიტერს (ზევსს) შესწირა“[11]. პინდარეს სქოლიონებში „ფრიქსეს მახვილი“ ასეა ახსნილი: „ეს ნიშნავს ფრიქსეს მოქმედებას (ვერძის გატყავებისას. მან (ფრიქსემ, — ნ. ხ.) ხომ ტყავი ლტოლვილთა მფარველ ზევსს შესწირა. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ოქროსსაწმისიანი ვერძის ტყავი ფრიქსემ შესწირა არესს“[12]. იგივე სქოლიონებში ძედეას შესახებ ნათქვამია: „უნდა ვიცოდეთ, რომ ოქროსბეწვიანი ტყავი იყო იმ ვერძის, რომელმაც ფრიქსე კოლხეთში გადმოიყვანა. აქ (საწმისი), როგორც ამბობენ, შესწირეს ლტოლვილთა მფარველ ზევსს და ჩამოკიდეს არესის ჭალაკში, სადაც მას იცავდა დრაკონი სიგრძე-სიგანით ორმოცდაათხოფიანი ხომალდის დარი, როგორც ამბობს პინდარე“[13]. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებში ფრიქსეს მიერ ვერძის შეწირვის ამბავს სხვადასხვა კონტექსტში რამდენიმეჯერ ვხვდებით: „დიონისიოსი კი მეორე წიგნში გადმოგვცემს, ვერძი ფრიქსეს აღმზრდელი იყო და მასთან ერთად გაემგზავრა კოლხებისაკენ; ამიტომ მოგვითხრობენ მით იქ ვერძის შეწირვის შესახებ“[14]; „აქ (სკვითიაში, — ნ. ხ.) ფრიქსე ჰკლავს ვერძს და მსხვერპლად სწირავს ზევს-ფიქსიოსს. ვიხაიდახ მშვიდობით დააღწია თავი დედინაცვლის ვერაგობას“; „მისი რჩევებით — (აპოლონიოსი) ამბობს, რომ (ფრიქსემ) ვერძი მსხვერპლად შესწირა მისი რჩევით, ე. ი. თვით ვერძის რჩევით. თვითონ ვერძმა ადამიანური ხმა გაიღო და უბრძანა ამის გაკეთება“[16]. ლიკოფრონის „კასანდრას“ „განმარტებებში“ იოანე ცეცე გვაცნობებს: „ეს ოქროსბეწვიანი ტყავი იყო იმ ვერძის, რომელმაც ფრიქსე კოლხეთში გადაიყვანა. აქ იგი, როგორც ამბობენ (ფრიქსემ) შესწირა ლტოლვილთა მფარველ ზევსს და მისი ტყავი არესის ჭალაში ერთ მუხაზე ჩამოკიდა“[17]. მოტანილ ცნობებს მხარს უჭერენ ერატოსთენესა (ძვ. წ. III ს.) და აპოლოდორეს (ძვ. წ. II) თხზულებებში დაცული მონაცემებიც. ერატოსთენეს

---

10 სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, ნივთებზე, ცხოველებზე, ცალკეულ სიტყვებზე ტაბუს არსებობის ფაქტები. იხ. Джеймс Джордж Фрэзер, Золотая ветвь, М., 1980, გვ. 222 და შმდ.

11 ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189. იმავეს იმეორებდა ჰესიოდე „ეგიმიოსშიც“. იხ. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

12 იქვე, გვ. 223.

13 იქვე, გვ. 218.

14 იქვე, გვ. 244.

15 იქვე, გვ. 318.

16 იქვე, გვ. 328.

17 იქვე, გვ. 306—307.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გეოგრაფიკის“ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებიდან შემდეგს ვგებულობთ: „ვერძისა: ერატოსთენე ამბობს, რომ ესაა ჰელესა და ფრიქსეს ვერძი რომელიც ფრიქსემ ფიქსიოს-ზევსს შესწირა, ხოლო ტყავი აიეტს უბოძა“[18]. იგივეს იმეორებს აპოლოდორეც[19]. ვერძის მსხვერპლად შეწირვაზე დიოდორე სიცილიელიც (ძვ. წ. I ს.) მიუთითებს, იმ განსხვავებით, რომ ამ ფაქტს „მისნის წინა თქმას“ უკავშირებს, თანაც თვლის, რომ ვერძის ტყავი არესის ტაძარში იქნა მოთავსებული, წეს-ჩვეულების შესაბამისად[20].

ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი[12] ოქროს საწმისის (მსხვერპლად შეწირული ვერძის ტყავის) საბერძნეთში დაბრუნება იყო[22]. ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ ძველი წერილობითი ტრადიციის თანახმად, ვერძი მსხვერპლად იქნა მიტანილი და გატყავებული (იხ. ზემოთ)[23].

ზემომოტანილი მასალა სხვა მხრივაც იმსახურებს ყურადღებას. სახელდობრ, სტრაბონი ლევკოთეას ტაძარს ფრიქსეს მიერ აგებულად აცხადებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ ბერძნული წერილობითი ტრადიცია ფრიქსეს სახელს დაყინებით უკავშირებდა არა რომელიმე ქალღვთაებას, არამედ ზევსს (ვარიანტი იუპიტერს) და არესს. ზემოთ დავინახეთ, რომ ჰესიოდედან მოყოლებული რიგი ავტორები (პინდარე, აპოლონიოს როდოსელი, ლიკოფრონი, აპოლოდორე, ერატოსთენე) მიუთითებენ ფრიქსეს მიერ ზევსისათვის (ვარიანტი არესისათვის) ვერძის ტყავის შეწირვისა და არესის ჭალაში ან არესის ტაძარში ამ ტყავის არსებობის შესახებ. აღნიშნულთან ერთად ამ მხრივ საყურადღებოა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტის შემდეგი ცნობაც: „არესის ჩრდილოვანი ჭალაკი, სადაც მუხის კენწეროზე ჩამოფენილია საწმისი: ჰელანიკე კი ამბობს, რომ საწმისი იდო ზევსის ტაძარში. ეგრეთ წოდებულ არესის ველს კოლხებში და არესის იქაურ ჭალას მრავალი იხსენიებს. (აპოლონიოსი) ამბობს, რომ ოქროს საწმისი იდო არესის ჭალაში ერთ მუხაზე და მას იცავდა სასწაულებრივი სიდიდის დრაკონი“[24].

---

[18] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

[19] იქვე, გვ. 351.

[20] იქვე, გვ. 390; 392.

[21] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე ძველთაგანვე ცნობილი იყო არგონავტების ლაშქრობის მთავარი მიზეზი — კოლხეთის სიმდიდრე: ძვირფასი ლითონები, ხე-ტყე, სელი. აკი სტრაბონი აღნიშნავს კიდეც: „ბრძნეული მედეას შესახებ მოგვითხრობენ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინის (სპილენძისაგან) შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქსემ მოაწყო (თავისი) მგზავრობა: ორივე ლაშქრობის ძეგლები მოიპოვება..“ (I, II, 39); თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 70—71. იხ. აგრეთვე О. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Миф и археология, Тб., 1979.

[22] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179, 219, 223, 232 და სხვა.

[23] ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს. ავტორმა პალეფატე II თხზულებაში „დაუჯერებელთა შესახებ“ ეჭვქვეშ დააყენა გადმოცემა ფრიქსეს მიერ ვერძის შეწირვის შესახებ. მაგრამ ვერძის შესახებ სტრაბონისეული ცნობა პალეფატესაგან არ უნდა მომდინარეობდეს. საქმე ისაა, რომ პალეფატეს საერთოდ გამორიცხულად მიაჩნდა ვერძის საშუალებით ფრიქსეს მოგზაურობაც და ვერძის მსხვერპლად შეწირვაც (იხ. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 340—341; შდრ. იქვე, გვ. 438—439), ხოლო სტრაბონი ვერძს სწორედ ფრიქსესთან დაკავშირებით იხსენიებს (იხ. ზემოთ).

[24] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 275. შდრ. В. А. Ардзинба, Ритуалы и мифы древней Анатолии, М., 1982, გვ. 145, 146; „თსუ-ს შრომები“, 227, 1982, გვ. 287-292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, სტრაბონის ჩვენთვის საინტერესო ცნობა (XI, 2, 17) არაერთ უზუსტობას და წინააღმდეგობას შეიცავს[25]. სავსებით სწორი იყო მ. როსტოვცევი, როდესაც აღნიშნავდა: «почти во всей своей книге Страбон не перерабатывает своего материала,а его эксцерптирует или, лучше сказать, сокращает, причем механически соединяет выдержки из источник разных категорий»[26]. აღნიშნულის მიუხედავად, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 2, 17 საკმაოდ ავსებს იმავე თხზულების XI, 2, 18-ში არსებულ ინფორმაციას. ირკვევა, რომ მოსხების ქვეყანა ემეზობლებოდა ფაზის-რიონისა და მისი შენაკადების— გლავკოსისა და ჰიპოსის შემცველ რეგიონს („მოხსენიებულ მდინარეებს მაღლა (ზემოთ) მოსხების ქვეყანაში...“). ამასთანავე ვგებულობთ, რომ სტრაბონისეული „მოსხიკე“ ფრიქსეს თქმულებასთან დაკავშირებულ ქვეყანას წარმოადგენდა (ცნობა ფრიქსეს მიერ მოსხების ქვეყანაში მდებარე ტაძრისა და სამისნოს აგების შესახებ). დაბოლოს, „გეოგრაფიის“ ეს ადგილი იმასაც გვამცნობს რომ მოსხების ქვეყანა ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელის საბრძოლო ოპერაციების არეალშია საძიებელი („ოდესღაც ის (ტაძარი და სამისნო,— ნ. ხ.) მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“).

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ცნობამ (XI, 2, 17) დიდი ხანია მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მითითება ლევკოთეას ტაძრისა და მისი სამისნოს შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ლევკოთეას ტაძრის ლოკალიზაცია სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ს. ჯანაშია წერდა, რომ „რაკი ეს ცნობა კოლხეთის აღწერილობაშია მოთავსებული და მდებარეობითაც ტაძარი საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიის მახლობლად ყოფილა (სტრაბონი ამბობს, რომ იგი ფაზისის ზემოთაა), ცხადია, იგი კოლხეთს ჰკუთვნებია“[27]. 1946 წ. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ქართულ და რუსულ ვარიანტებში ლევკოთეას ტაძარი ქართლის (იბერიის) მიწა-წყალზე ივარაუდება[28]. ნ. ბერძენიშვილი „ბორჯომის ხეობის დღიურში“[29] აწყურის ტაძარზე საუბრისას აღნიშნავდა: „ვარაუდი მეტიც შეიძლება, რომ ის პირველი ქრისტიანული ტაძარი აქ კიდევ უფრო ძველი წარმართული ტაძრის ადგილზე შეიძლება იყოს

---

[25] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „გეოგრაფიის“ XI წიგნის 12—19 დაწერილია ერატოსთენეს (ძვ. წ. III ს.), არტემიდორეს (ძვ. წ. II—I სს.), „მითრიდატეს ომების ისტორიკოსების“ თხზულებათა და თვით სტრაბონის მიერ შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე. როგორც ვარაუდობენ, ლევკოთეას ტაძრისა და ფრიქსეს ქალაქთან დაკავშირებული ცნობები (XI, 2, 17; XI, 2, 18), რომელიც კოლხეთში ფრიქსეს ლაშქრობასთან არიან დაკავშირებული, ჰიფსიკრატესაგან (ძვ. წ. II—I სს.) უნდა მომდინარეობდეს (იხ. А. И. Болтунова; Описание Иберии в «Географии» Страбона, ВДИ, № 4, 1947, გვ. 149).

[26] А. И. Болтунова, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[27] ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, „შრომები“, II, გვ. 154.

[28] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 76; История Грузии, 1, под редакцией С. Н. Джанашиа, Тб., 1946, გვ. 73.

[29] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებული (ლევკოთეას ტაძარი?). გ. მელიქიშვილს ლევკოთეას ტაძარი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ეგულება.[30] რიგი ავტორებისა ჩვენთვის საინტერესო ტაძარს სამეგრელოს, იმერეთისა და აჭარის კონკრეტულ პუნქტებში ათავსებს: ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში კ. კოხმა გამოთქვა მოსაზრება ნოქალაქევთან სტრაბონისეული ლევკოთეას ტაძრის იდენტიფიცირების შესახებ[31]. ჯ. ნადირაძე იმავე ძეგლს მდ. ყვირილას ხეობაში, დღევ. საირხეს ადგილზე ეძებს[32]. ოთ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ლევკოთეას ტაძარი და მისი საძისნო რიონის დაბლობზე, დღევ. ვანის ნაქალაქარის სანახებში უნდა იქნას ლოკალიზებული[33]. ა. იოსელიანის აზრით, იგი მდ. კინტრიშის ხეობაში, სოფ. ხუცუბანის ახლოსაა მოსათავსებელი[34]. გ. ლორთქიფანიძის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო ტაძარი „მოსხიკეს" კოლხურ ნაწილში იყო განლაგებული (დღევ. ხულო-ადიგენის ახლომდებარე რაიონში)[35].

როგორც აღინიშნა (იხ. ზემოთ), მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის „გეოგრაფია" სამ ძირითად ორიენტირს გვაძლევს. პირველია კოლხეთის მდინარე ფაზის-რიონი და მისი შენაკადები გლავკოსი და ჰიპოსი. ამ შენაკადების ადგილმდებარეობის გარკვევა[36] საკმაოდ რთულია: თუ სტრაბონი და პლინიუსი მდ. გლავკოსს წარმოგვიდგენენ მდ. ფაზის-რიონის შენაკადად[37], კლავდიოს პტოლემაიოსი მას (გლავკოსს) უწოდებს მდინარეს, რომელიც ლიკოსთან ერთად $72^0 30$—$43^0 45$-ზე ერთვის აფსაროს — ჭოროხს[38]. ერთიანი აზრი არ არსებობს მდ. ჰიპოსის ლოკალიზაციის შესახებაც. სტრაბონთან, პლინიუსთან და პროკოპი კესარიელთან მოხსენიებული მდ. ჰიპოსი შეიძლება გაიგივებულ იქნეს დღევ. ცხენისწყალთან[39]. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მდ. ჰიპოსზე, რომელიც კლავდიოს პტოლემაიოსისა და არიანეს თხზულებებშია ნახსენები. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პტოლე-

---

[30] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 333, 335, 407—408; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 495, 584.

[31] ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები 1973—1977, თბ., 1981, გვ. 26.

[32] ჯ. ნადირაძე, გაზეთი „კომუნისტი", 23, III. 1967.

[33] ო. ლორთქიფანიძე, ვანის ქალაქი, „ცისკარი", 7, 1968; მისივე, К локализации..., გვ. 106 და შმდ.; მისივე, ვანის ნაქალაქარი, თბ., 1973, გვ. 81 და სხვა.

[34] ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 150 და შმდ.

[35] Г. А. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., თბ., 1978, გვ. 22.

[36] კოლხეთის მდინარეების ლოკალიზებისას ივ. ჯავახიშვილი წერდა: „რიონს ერთვის ყვირილა (გლავკოს) და ცხენისწყალი (ჰიპოს)". (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 417). ყვირილასთან აიგივებს გლავკოსს ვ. ლატიშევის «Известия древних писателей о Скифии и Кавказе», ВДИ-ის კომენტატორიც (ВДИ, № 4, 1947, გვ. 215, შენ. 9; იქვე, 2, 1949, გვ. 190 შენ. 7). ს. ჯანაშიას აზრით, ცხენისწყალთან ჰიპოსის (ცხენის) გაიგივება „ნალებ სადაო ჩანს", ხოლო ყვირილასთან გლავკოსისა „სავსებით საცილობელია: თუ ჰიპი ცხენისწყალია, მაშინ ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ გლავკი რიონია" (ს. ჯანაშია, ფასიდი, „შრომები", II, გვ. 180, შენ. 39). გ. მელიქიშვილი ტოლობის ნიშანს სვამს გლავკოსისა და ზემო რიონს შორის (Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 306). ო. ლორთქიფანიძე ისევე როგორც ს. ჯანაშია, გამორიცხულად თვლის ყვირილასთან გლავკოსის გაიგივებას. მისი აზრით, უფრო მართებულია გლავკოსი იდენტიფიცირებული იქნეს ფაზის-რიონის მარცხენა შენაკადთან, მდ. სულორთან (О. Д. Лордкипанидзе, К локализации, გვ. 110).

[37] Strabo, XI, 2, 17; XI, 3, 4; Plin., NH, VI, 13.

[38] Ptolem., V, 10, 3. ნ. ლომოური მდ. გლავკოსს აიგივებს დღევ. მდ. ოლთი-ჩაისთან, ხოლო ლიკოსს — დღევ. მდ. თორთუმთან, რაც სავსებით, დასაშვებია; შდრ. Strabo, XI 14, 7.

[39] Н. Ю. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, № 4, 1957, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიოსი და არიანე ამ სახელწოდებით მდ. კოდორს ან ამ უკანასკნელთან ახლო მდებარე ლაგვაშს აღნიშნავენ[40].

ფაზის-რიონისა და მისი შენაკადების შესახებ სტრაბონი შემდეგს წერს: „(ფაზისზე) ალმა ცურვა შეიძლება შორაპანამდეო“ (XI, 2, 17)[41]. უფრო ქვემოთ იგი გვაცნობებს: „ქვეყანაში (იბერიაში, — ნ. ხ.) არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელზედაც ფაზისი მიმდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში (რომელზედაც (ე. ი. ფაზისზე) 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო). წყალდიდობის დროს ეს ადგილები სულ დახურულია. მრავალი ნაკადულებით წარმოიქმნება (ფაზისი) ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი: გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში“ (XI, 3, 4)[42].

ამგვარად, მოტანილი ორი ცნობის შუქზე ირკვევა, რომ სტრაბონი „ფაზისს“ ეძახის არა მთლიანად დღევ. რიონს სათავედან შესართავამდე, არამედ მდ. ყვირილას და მდ. რიონის შუა და ქვემო დინებას[43]. ეს კი თავის მხრივ იმაზე ლაპარაკობს, რომ არც მდ. გლავკოსი და არც მდ. ჰიპოსი არ შეიძლება გაიგივებულ იქნან მდ. ყვირილასთან, რიონთან ან ზემო რიონთან[44]. გარდა ამისა, ნათელი ხდება ისიც, რომ გლავკოსი და ჰიპოსი მდ. რიონის იმ მრავალრიცხოვან შენაკადებს შორის უნდა ვეძიოთ, რომლებიც ქ. ქუთაისის სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთით ერთვიან მას (რიონის დაბლობზე). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 2, 17-ში მოხსენიებული მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის მთავარ ორიენტირს სწორედ რიონის დაბლობი უნდა წარმოადგენდეს.

მოსხების ქვეყნის განლაგებას ამ დაბლობის მიმართ სტრაბონი ὑπέρκειμαι ტერმინის საშუალებით გამოხატავს (ὑπέρκειται δὲ τῶν λεχθέντων τῶν ποταμῶν...[45]). ეს სიტყვა გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებში ხშირად გვხვდება როგორც სტრაბონის, ასევე სხვა ძველი ბერძენი ავტორების თხზულებებშიც (არისტოტელე, პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი და სხვა.)[46]. ბერძნულ ენაზე ὑπέρκειμαι ნიშნავს κεῖμαι ὑπεράνω, κεῖμαι ὑψηλότερον[47]. ამ სიტყვას ჩვეულებრივ თარგმნიან, როგორც «лежать над или выше чего»[48], «быть рас-

---

[40] Н. Ю. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 103—104; Г. А. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[41] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123.

[42] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 128.

[43] უფრო დაწვრილებით იხ. ს. ჯანაშია, ფასიდი, გვ. 274, და შმდ.

[44] შდრ. ზემოთ, შენ. 118.

[45] Strabo, XI, 2, 17.

[46] Δ. Δημητρακου, Μεγα Λεξικον τῆς Ελληνικης Γλωσσης, Αθηναι, θ, Τομος, გვ. 7421.

[47] იქვე, გვ. 7421.

[48] А. Д Вейсман, Греческо-русский словарь, С. Петербург, 1882, გვ. 1269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

положенным выше, т. е. дальше»[49], „to be placed or situated above or beyond“[50]. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ეს სიტყვა ზემომითითებული ყველა მნიშვნელობით გვხვდება[51]. ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში კი იგი, როგორც ჩანს, „ზემოთ“, „მაღლა“, „მაღალ ადგილზე“ განლაგებულს ნიშნავს და არა „შორს“ ან „მოშორებით“ მდებარეს.

აქედან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „გეოგრაფიის“ XI, 2, 17-ში, ისევე როგორც XI, 2, 18-ში მოხსენიებული „მოსხების ქვეყანა“ („მოსხიკე“) ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეა საძიებელი. ამგვარი ლოკალიზაცია პასუხობს სტრაბონის ცნობების ძირითად მოთხოვნებს: მოსხების ქვეყანა მოთავსებულია კოლხეთის, იბერიისა და არმენიის მეზობლად, რიონის დაბლობზე „მაღლა“ („ზემოთ“) გადაჭიმული მოსხური მთების (ვახუშტისეული ლადო ანუ ფერსათისა და აჭარა—გურიის შორის მდებარე მთების) სამხრეთით. „მოსხიკეს“ ამგვარ ლოკალიზაციას მხარს უჭერს შემდეგიც: „გეოგრაფიის“ XI, 2, 17-ში იგი ფრიქსეს თქმულებასთან დაკავშირებულ ქვეყნადაა წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ სტრაბონი ფრიქსესა და არგონავტების თქმულების გმირების (იაზონი, მედეა, მედოსი, არმენოსი და სხვ.) სამოქმედო ასპარეზად წარმოგვიდგენს არა რიონისპირა კოლხეთს, არამედ მის ფარგლებს გარეთ (სამხრეთით) მდებარე რეგიონს. ამ თვალსაზრისით შემდეგი ცნობებია საყურადღებო: სტრაბონის თანახმად, კოლხეთში ჯერ ფრიქსეს, ხოლო შემდეგ იაზონის ლაშქრობების ძეგლები მრავლად მოიპოვება. გეოგრაფოსი წერს: „ფრიქსესი მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას — ბევრგან არმენიის, მიდიისა და მათ მეზობლად მდებარე ქვეყნების ადგილებში“ (I, 2, 39)[52]. ამ ცნობას აზუსტებს „გეოგრაფიის“ XI, 2, 18, სადაც ნათქვამია: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი, ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი, კოლხიდის საზღვრებზე[53]. ერატოსთენეზე (ძვ. წ. III ს.) დაყრდნობით სტრაბონი გვაცნობებს, რომ იაზონმა „დასტოვა ხომალდი, როდესაც კოლხებისაგან მოდიოდა და არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა“ (I, 3, 2)[54]. „გეოგრაფიის“ თანახმად, არმენიაში იაზონის ყოფნაზე მის სახელზე აგებული ტაძრები ლაპარაკობენ (XI, 13, 10; XI, 14, 12)[55]. იაზონს მიაწერს ჩვენთვის საინტერესო ავტორი მდ. არაქსის კალაპოტის შეცვლას (XI, 14, 13)[56]. არმენიასთან და მის მეზობელ მხარეებთან მჭიდრო კავშირში წარმოგვიდგენს სტრაბონი იაზონის თანამგზავრებსაც, განსაკუთრებით, თესალიელ არმენოსს, რომელსაც იგი წერილობითი ტრადიციის შესაბამისად (კირსილე ფარსალიელი, მიდიოს ლარისელი[57] (არმენიის ეპონიმად აცხა-

---

[49] Древнегреческо-русский словарь, II, 1958, გვ. 1677.

[30] H. G. Liddle, R. Scott, A Greek-Englisch Lexikon, Oxford, 1968, გვ. 1865.

[51] Strabo, I, 3, 21; VI, 4,2; VII, 3, 7; IX 5, 1,9; XI 2—1; XI, 14, 2;, XII, 3, 18 და სხვა.

[52] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[53] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 125.

[54] სტრაბონის „გეოგრაფია“, გვ. 74.

[55] იქვე, გვ. 194.

[56] იქვ, გვ. 194—195.

[57] სტრაბონისავე ცნობით, კირსილე ფარსალიელი და მიდიოს ლარისელი ალექსანდრეს თანამედროვე ისტორიკოსები იყვნენ. იხ. XI, 4, 12.

დებს XI, 4, 8; XI, 14, 12). აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ იაზონისა და არმენოსის თანამგზავრთაგან „ზოგნი დასახლდნენ აკილისენეში, რომელნიც უწინ სოფენების გამგებლობაში იყო, ზოგიც სისპირიტისში[58], კალაქენემდე და ადიაბენემდე არმენიის საზღვრებს (ვარიანტი მთებს, — ნ. ხ.) იქეთ" (XI, 14, 12; შდრ. XI, 4, 8)[59] და სხვ. საგულისხმოა შემდეგიც: „სტრაბონს მიდიის სახელწოდება მედეასა და მისი ვაჟის მედოსის სახელიდან გამოჰყავს (XI, 13, 10). აქვე გეოგრაფოსს მოაქვს სხვა მონაცემებიც მიდიის, მედეას, მედოსისა და იაზონს ურთიერთდასაკავშირებლად[60]. საყურადღებოა, რომ მდ. არაქსს სტრაბონი უკავშირებს არა მხოლოდ იაზონს, არამედ მის ვაჟს—მედოსსაც (იგი იხსენიებს მდ. მედოსს, რომელიც მიდიაში იღებს სათავეს და მდ. არაქსს უერთდება. XV, 3, 6)[61]. სტრაბონი საკმაოდ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ფრიქსესა და არგონავტების მითების ცალკეული გმირების სახელებთან დაკავშირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმების შესახებაც. ასე მაგალითად, ეფორეზე (ძვ. წ. IV ს). დაყრდნობით სინოპელთა ძველი სავაჭრო ქალაქის კიტორონის სახელი სტრაბონს გამოჰყავს ფრიქსეს შვილის სახელიდან (XII, 3, 10). მისივე ცნობით, სინოპელები თავისი ქალაქის დამაარსებლად იაზონის ერთ-ერთ თანამგზავრს — ავტოლიკეს თვლიდნენ. სინოპში მას თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას. აქვე იყო ავტოლიკეს სამისნოც (XII, 3, 11) და სხვა[62].

ამგვარად, ირკვევა, რომ ფრიქსეს და იაზონის თქმულების როგორც მთავარი გმირები (ფრიქსე, იაზონი, მედეა), ასევე მეორეხარისხოვანი მითიური პერსონაჟების (კიტორონი, მედოსი, არმენოსი, ავტოლიკე) მოქმედების გეოგრაფიული რეგიონი ტერიტორიულად ემიჯნება „მოსხიკესათვის" ნავარაუდებ მიწა-წყალს. ეს მხარს უჭერს რიონისპირა კოლხეთის სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილზე (ისტორიულ მესხეთში), მოსხების ქვეყნისა და ფრიქსეს მიერ აგებული ტაძრის ძიების შესაძლებლობას.

ამგვარ ვარაუდს ეთანხმება სტრაბონის ჩვენთვის საინტერესო ცნობის

---

[58] ს. ჯანაშიას აზრით, სტრაბონისეული „სისპირიტისი" იგივეა რაც ძველი ქართული „სპერი". იხ. ,ს ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, „შრომები", II გვ. 58 და შმდ.; შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 506 და შმდ.

[59] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 135, 193; შდრ. Страбон, География, перевод Г. А. Стратаньовского, М. , 1964, გვ. 449.

[60] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 184; შდრ. Herodotus, VII, 62.

[61] იქვე, გვ. 224—225. იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა, „შრომები", II, გვ. 239 და შმდ.

[62] ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს „გეოგრაფიაში" დამოწმებული შემდეგი ტოპონიმებიც: „ჰერაკლეის კონცხი", „იაზონის კონცხი", „დაბა კიტიროსი" (XII, 3, 17) და სხვა. სტრაბონის ცნობებთან ერთად საყურადღებოა ტოპონიმის „აფსაროსის" (დღევ. გონიოსთან), მდ. ჭოროხის ერთ-ერთი ძველი სახელწოდების „აფსაროს"-—„აფსოროსის" იდენტურობა აიეტის შვილისა და მედეას ძმის აფსირტეს სახელებთან. ამ თვალსაზრისით ისიცაა საგულისხმო, რომ აფსირტესთან ტოპონიმ აფსაროსის იდენტიფიცირების ადრეულ ცდას უკვე პროკოპი კესარიელის De Bello Gothico-ში ვხვდებით. იგი წერს: „ძველად მას (აფსარუს, — ნ. ხ.) ეწოდებოდა აფსირტოსი — კაცის სახელი, აქ გადატანილი უბედურების გამო. მკვიდრნი ამბობენ, რომ აქ მედეასა და იასონის ვერაგობით ადამინებს გამოაკლდა აფსირტე და ამის გამო ადგილმა მისი სახელი მიიღო; ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და ეს ადგილიც მისგან იწოდა ასე", 63 (VIII, 2). იხ. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 472—473.

(XI, 2, 17-ის) მითითებაც, რომლის თანახმადაც მოსხების ქვეყანაში ძდებარე ტაძარი და სამისნო ჯერ ფარნაკეს, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელს გაუძარცვავთ. სტრაბონის, პლუტარქეს (ახ. 1 ს.), აპიანესა (ახ. წ. II ს.) და დიონ კასიოსის (ახ. III ს.) ცნობების[63] ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ „მოსხიკე“ უშუალოდ ემეზობლებოდა ფარნაკეს და მითრიდატე პერგამონელის საბრძოლო ოპერაციების არეალს (კოლხეთი, ტრაპეზუსიისა და ფარნაკიის მხარეები, სინოპე, ბითვინია, კაპადოკიისა და პონტოს ნაწილები, მცირე არმენია), განლაგებული იყო რა ამ უკანასკნელსა და კოლხეთს შორის.

სტრაბონისეული „მოსხიკეს“ მოთავსებას ისტორიული მესხეთის ადგილზე უფრო გვიანდელი ხანის (ძვ. წ. I-ახ. წ. III სს.) წერილობითი წყაროებიც უჭერენ მხარს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. პლინიუსი (ახ. წ. I ს.) ფაზის-რიონზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ ეს მდინარე მოსხების ქვეყნიდან მომდინარეობდა (VI, 13)[64]. თუ დავუშვებთ, რომ ფაზის-რიონის სათავედ პლინიუსი მის რომელიმე მარცხენა შენაკადის სათავეს მიიჩნევს[65] და გავიხსენებთ, რომ ლადო ანუ ფერსათის მთიდან (სტრაბონისეული მოსხური მთებიდან) მდ. რიონს რამდენიმე შენაკადი ერთვის (საჯავახოს წყალი, ხანის წყალი)[66], მაშინ პლინიუსის „მოსხების ქვეყანა“ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეა მოსათავსებელი. ასეთსავე დასკვნამდე მივალთ იმ შემთხვევაშიც, თუ პლინიუსის ჩვენთვის საინტერესო ცნობისათვის სხვაგვარ ინტერპრეტაციას შევიმუშავებთ.

ასე, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ პლინიუსი (ისევე როგორც არაერთი სხვა ძველი ავტორი) ფაზის-რიონის სათავის ნაცვლად საკუთრივ მესხეთის მდინარე ფაზის-ჭოროხის სათავეს უჩვენებდეს (როგორც ვიცით, ფაზისის დასახელების შემცველ ნაწყვეტში იგი ნამდვილად ფაზის-რიონზე მოგვითხრობს და არა ფაზის-ჭოროხზე). თუ „მოსხიკეს“ ჩრდილოეთ საზღვართან მდებარე მოსხური მთებიდან (ლადო ანუ ფერსათის მთა) ფაზის-რიონის მხოლოდ შენაკადები იღებენ სათავეს, იმავე ქვეყნის სამხრეთ საზღვართან განლაგებული მოსხური მთებიდან (ირიჯლუს, დევაბოინისა და ყალნუს მთებიდან) მომდინარეობენ მესხეთის მდინარეები: ჭოროხი (ირიჯლუდან) და მისი შენაკადები — თორთუმი (დევაბოინის მთიდან) და ბანა-ფანასკერტი (ყალნუს მთიდან)[67]. პლინიუსის ცნობის ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს

---

[63] Strabo, XII, 3, 11; 3, 14; პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, თბ., 1957, გვ. 219; აპიანე, მითრიდატეს ომები, გვ. 229 და შმდ.; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 69 და შმდ.

[64] ВДИ, № 2, 1949, გვ. 289.

[65] შდრ. ს. ჯანაშია, ფასიდი, „შრომები“, II გვ. 275; О. Д. Лордкипанидзе, К локализации..., გვ. 109, შენ. 23.

[66] ვახუშტი, მაგალითად წერს: „ხოლო კუალად ცხენის წყლის შესართავს ქუეით რიონს მოერთვის სამხრეთიდამ საჯავახოს წყალი. ეს გამოსდის ფერსათს“. უფრო ქვემოთ გეოგრაფოსი განაგრძობს: „ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის-წყალი, გამოსდის ფერსათს, მოდის ჩრდილოთ და მიერთვის სამხრიდანვე“, იხ. ქცხ, IV, გვ. 750—75.

[67] ვახუშტი გვამცნობს: „ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯერთს. და ამ ქუეყანასა შინა უდიდესი მდინარეა არს ჭოროხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდამ ჩრდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიდამდე“ (ქცხ, IV, გვ. 675—676). თორთუმის სათავეზე ვახუშტი შემდეგს აღნიშნავს: „ხოლო თორთომის მდინარე გამოსდის დევაბოინის მთასა და

შემდეგიც: სოლინი (ახ. წ. III ს.), რომლის თხზულება ძირითადად პლინიუსის ნაშრომის საფუძველზეა დაწერილი, ფაზისის, არაქსისა და ევფრატის სათავეებს ერთად იხსენიებს. (სოლინის აზრით, „ჰენიოხური მთები არაქსს გადმოღვრიან, მოსხური კი — ფაზისს. არაქსი სათავეს იღებს ევფრატის სათავეებთან ახლოს, შემდეგ (არაქსი, — ნ. ხ.) კასპიის ზღვისაკენ მიედინება“, XV, 9)[68]. რაკი სოლინი მოგვითხრობს ერთ გარკვეულ რეგიონში განლაგებული, და არა ერთმეორისგან დაშორებული, მდინარეების სათავეებზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ფაზისის“ სახელწოდებით სოლინი აღნიშნავს არა კოლხეთის მდინარე ფაზის-რიონს, არამედ მესხეთის მდინარე ფაზის-ჭოროხს. (ჭოროხის სათავის სიახლოვე არაქსისა და ევფრატის სათავეების შემცველ მხარეებთან საეჭვო არ არის).

ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მოსხების ქვეყნის ძიება გამართლებულია კორნელიუს ტაციტუსის (ახ. წ. I—II სს.) იმ ჩვენებითაც, რომლის თანახმადაც მოსხების მიწა-წყალი არმენიის მახლობლადაა მოსათავსებელი (ცნობაში ნათქვამია, რომ მოსხები თავს ესხმიან არმენიის მიყრუებულ ადგილებს)[69].

სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ზემოთ შემოთავაზებული ლოკალიზაციას ეთანხმება მოსხების განსახლების შესახებ არსებული ძვ. წ. VI—V საუკუნეების ბერძნული წყაროების მონაცემებიც. როგორც წყაროების ანალიზიდან ირკვევა, მოსხების მიწა-წყალი სამხრეთიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა სტრაბონისეული „მოსხიკესათვის“ ნავარაუდებ ტერიტორიას (ისტორიულ მესხეთს).

ამგვარად, „მოსხიკეს“ ლოკალიზაციის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს მხარს უჭერს დ. მუსხელიშვილის მოსაზრება ამ ქვეყნის მდებარეობის შესახებ[70]. ამასთანავე, ასეთი ლოკალიზაცია ეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ ვარაუდებს, რომლებიც ფრიქსეს მიერ აგებულ ტაძარსა და სამისნოს (სტრაბონისეულ ლევკოთეას ტაძარს) მესხეთში, ან უფრო ზოგადად, ქართლში (იბერიაში) ათავსებენ (იხ. ზემოთ). ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფრიქსეს სახელთან დაკავშირებული ძეგლისა და ქვეყნის ძიების სასარგებლოდ ლაპარაკობს თ. მიქელაძის ის საყურადღებო თეორიაც, რომლის შუქზე არგონავტების თქმულების კოლხეთი, უკეთ და აია-კოლხეთი, საძიებელია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე[71] (ჭოროხის აუზში).

---

მოდის სამხრიდამ ჩრდილოდ... (ქცხ, IV, გვ. 686). დაბოლოს, ბანა-ფანასკერტის შესახებ იგივე ავტორი წერს: „ამას ზეით მოერთვის ჭოროხს ბანა-ფანასკერტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად“ (ქცხ, IV, გვ. 683).

[68] ВДИ, № 3, 1949, გვ. 243.

[69] ВДИ, № 3, 1949, გვ. 209; შდრ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 367.

[70] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 59.

[71] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), თბ., 1974, გვ. 84 და შმდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. В. ХАЗАРАДЗЕ

# К ИНТЕРПРЕТАЦИИ ОДНОГО СООБЩЕНИЯ СТРАБОНА («ГЕОГРАФИЯ», XI, 2, 17)

Резюме

«География» Страбона является одним из важнейших первоисточников для изучения вопроса о границах расселения грузинского племени мосхов (месхов). В этой связи особого внимания заслуживает сообщение Страбона, в котором говорится об основании Фриксом в Стране мосхов (расположенной, согласно «Географии», над колхидскими реками, Фасисом, Главком и Гиппом) святилища Левкофеи и его (Фрикса — Н. X.) оракула, ограбленного Фарнаком и несколько позднее Митридатом Пергамским (XI, 2, 17).

Сопоставление данных «Географии» со сведениями других древних авторов о походах в Колхиду Фрикса и аргонавтов дает возможность заключить, что рассматриваемое сообщение Страбона содержит ряд неточностей и существенных противоречий.

Несмотря на компилятивный и противоречивый характер изучаемого сообщения Страбона, его значение трудно переоценить. Данные XI, 2, 17 «Географии» подтверждают правомерность локализации Страны мосхов и святилища Левкофей в Юго-западной Грузии, на месте исторической Месхети, представляя новые тому доказательства. (Согласно XI, 2, 17 Страну месхов следует искать южнее Колхидской долины, в ареале, органически связанном с Мифом о Фриксе и аргонавтах, в районе военных операций Фарнака и Митридата Пергамского, т. е. в юго-западной Грузии — Месхети).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე კანდელაკი

# ამანათობა და „ჯარ-ქვაბით შეყრის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევამ, რასაც საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში და ინტენსიური ხასიათი მიეცა საბჭოთა პერიოდში, საყურადღებო შედეგები მოგვცა. შესწავლილია და კვლავაც შესწავლას მოითხოვს არაერთი საინტერესო სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტი, რომლის გარეშე შეუძლებელია ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის მეტ-ნაკლები სისრულით კვლევა. როგორც არასდროს, დღეს განსაკუთრებით საჭიროა მონოგრაფიულად ვიკვლიოთ „ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები“[1]. ასეთი მიმართულებით მუშაობის წარმართვა მიზნად ისახავს როგორც დადებითი ეროვნული ტრადიციების, ისე დრომოჭმული და კადმონაშთური მოვლენების დადგენას, რაც აუცილებელი პირობაა თანამედროვე ცხოვრებაში არსებული წეს-ჩვეულებების შეფასებისათვის.

ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შესწავლაში ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ამანათობის ინსტიტუტი, როგორც უძველესი წარმოშობის, მაგრამ გვიანობამდე შემორჩენილი სოციალური მოვლენა. ამ ინსტიტუტის (რომლის არსი ძირითადად მეთემეთა ხელოვნურ დანათესავებაში გამოიხატება და რომლის მთავარი მიზეზი მესისხლეობაშია საძიებელი)[2] შესწავლის მეშვეობით დგება პრინციპულად არსებითი საკითხი გვაროვნულ და ტერიტორიულ საწყისთა ურთიერთმიმართებისა მთიელთა ტერიტორიულ თემში.

წინამდებარე წერილის მიზანია ამანათობასთან დაკავშირებული სოციალურ-რელიგიური წესის („ჯარ-ქვაბით გაფიცვა//შეყრა“) სტრუქტურულ-ფუნქციურ კომპლექსში წარმოჩენა. ეს საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის ევოლუციას ამანათობასთან მიმართებაში (რომლის სტატუსი პირველ რიგში გულისხმობს მფარველ თემ-სოფელში უცხო თემ-სოფლის კაცის იხკორპორირებას) და დავინახოთ ტერიტორიული თემის ზოგი თავისებურება.

ამანათობის საკითხის შესწავლამ „ჯარ-ქვაბით შეყრის||გაფიცვის“ პრობლემა წამოსწია. ამანათის სტატუსში განმტკიცებასა და ახალი თემსოფლის მფარველობას ხშირად თან სდევდა რომელიმე მფარველ გვართან, უპირატესად სახელმოხვეჭილსა და მრავალრიცხოვან გვართან მჭიდრო ნათესაური ურთიერთობის დამყარებაც.

---

[1] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წ. ნოემბრის პლენუმის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

[2] М. Б. Канделаки, «Аманати» у горцев Восточной Грузии, კრებ: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 293—298; მისივე, ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფა (ამანათობის ინსტიტუტი XIX—XX სს დამდეგის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯარით გაფიცვის//შეყრის“ საკითხი მეტ-ნაკლებად სამეცნიერო ლიტერატურაშიც აისახა[3], უპირატესად ხევსურული რჯულის საკითხებთან მიმართებით[4].

მკვლელისაგან გვარშეცვლის ფაქტი უკვე თავისთავად სისხლ-ძესისხლეობის წესის რღვევას მოწმობს, მკვლელის მიერ გვარის შეცვლა მის მოსისხლეს გზა-კვალს უბნევს, რაც საბოლოოდ, სისხლის აღებას აფერხებს. სწორედ ეს გარემოებაა ასახული არსებით მომენტად „ჯარ-ქვაბით შეყრის“ წესში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეყრილობა, როგორც ხელოვნური დანათესავების საშუალება, დამახასიათებელ მოვლენად ჩანს ტერიტორიული თემისათვის. უცხო თემ-სოფელში გადახვეწილი ამანათი ამ თემის რომელიმე გვართან „ჯარ-ქვაბით გაფიცვის“ შედეგად „ღალატობს“ თავის მამაპაპურ გვარს და ერთგვარი რღვევა შეაქვს მის მთლიანობაში. გვაროვნულ წესზედ მოწყობილი საზოგადოება კი, თუ ის განვითარების ტენდენციის მატარებელია, არ მოითმენდა და დაკანონებულად არ აღიქვამდა თავისი წევრის მოწყვეტას გვარის გამოცვლის დონემდე! აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიული მონაცემებით, დაზარალებულმა მხარემ (რომელსაც მკვლელიამანათი გაეცალა და თავშესაფარი შესთხოვა უცხო ჩამომავლობას) საძმოდ იოლად გადალახა ეს ზღუდე და მით ხელი შეუწყო თვისობრივად ახალი სტატუსის — „ჯარ-ქვაბით შემოყრილის“, დამკვიდრებას; ეს უკანასკნელი კი, ფაქტობრივად, ახალი გვარის, ახალი მოდენილობის (იგულისხმება თავშემობარებულის) შემომატების ტოლძალოვანია. ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს საზოგადოების განვითარების იმ სტადიასთან, როცა სისხლიერი (გვაროვნული) და ხელოვნური დანათესავების (ტერიტორიული) საწყისები მუდმივ (ხან მშვიდობიან, ხან კი მძაფრ) ჭიდილში არიან და ურთიერთს აწონასწორებენ. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება იყო ის მთავარი ფაქტორი და საფუძველი მთის სოციალურ ვითარებაში გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ი ს პერიოდის ხანგრძლივობისა, რომელიც დღეს ვრცლად და დამაჯერებლადაა ასახული სამეცნიერო ლიტერატურაში[5].

საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალით ხარით შემოყრა ხშირად რეგიონთაშორისო (მაგ. ხევსურეთი — გუდამაყარი, ფშავი — თუშეთი, ხევსურეთი — თუშეთი...) მასშტაბს ავლენს, ძმადნაფიცობის იერს ატარებს და პატრონობის ხელს სდებს სუსტ გვარს[6]. თუმცა ძლიერი გვარის მფარველობა ნებაყოფლობით და სუსტის ინიციატივით ხორციელდება, ძლიერი გვარი იჩენს ტენდენციას „ბეგარი დასდოს“ სუსტ მესაძმეს (-ერთი-ორი საკლავი თვისი სალოცავის „გასადიდებლად“); „ნებაყოფლობითი ბეგრის თავს დადების“ ფაქტი სუსტი გვარის მხრივ მიგვანიშნებს ძლიერი გვარის „ძალაშეძლებას“ ჯერ კიდევ არა როგორც შეძმავების პირობების წამყენებლისა (ბეგარი

---

[3] М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М., 1890, გვ. 73.

[4] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, I, თბ., 1947, გვ. 179—180; მისივე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 187—206).

[5] შდრ: А. М Хазанов, Община в разлагающихся первобытных обществах и ее исторические судьбы, ВДИ, 1975, №4.

[6] კონკრეტული მასალა თქმულის თაობაზე იხ: ა. ოჩიაური, სხვადასხვა... 1949 წ. ხელნაწერი, რვ. 1, გვ. 1—4; ხევისბერი პეტრე კუწაშვილი, ს. მუქუ; იოსებ ჯაბანაშვილი, ს. თხილიანა, 1968 წ. საველე მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებაყოფლობითია. თანაც, სალოცავი, რომლის გასადიდებლადაცაა ეს ბეგარი ნავარაუდები, შეძმავების შემდეგ — სუსტი გვარის მფარველადაც ცხადდება!), არამედ მხოლოდ ძლიერი გვარის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს იქცეს ასეთად (-შეძმავების პირობათა წამყენებლად). ამას გარდა, „ნებით შემოყრილობა“ სუსტისა ძლიერისაგან ითხოვს ტრადიციული ეთიკეტის დაცვას („თუ ვინმე ჯარით შემოიყრებოდა და ან ნებაყოფლობით ბეგარს დაიდებდა პატრონობის მიზნით, ასეთ შემოყრილს... თუ პატრონობას ვერ გაუწევდი, დიდი სირცხვილი იყო“). ეს კი ნიშნავს, რომ მთხოვნელს უარს ვერ ეტყოდა მის მფარველად სახელდებული, გინდ იმ მომენტში ამ უკანასკნელისათვის ეს არც ყოფილიყო ხელსაყრელი. ამრიგად, „ჯარით გაფიცვის“ წესში ჩვენს წინაა ძლიერის მხრივ სუსტის მფარველობა და ტენდენცია სუსტის დაბეგვრისა. სწორედ ეს „ტენდენციურობა“ არის არსებითი განმასხვავებელი ზღვარი „ჯარქვაბით“ შემოყრილობასა და ამანათობას შორის. ამანათად მიღებისას აღნიშნული შტრიხები გამორიცხულია. როგორც ამანათობის, ისე ჯარ-ქვაბით გაფიცვის შემთხვევაში „უცხო“-ხდება „თავისიანი“. ამდენად, ორივე ფენომენი დანათესავების თვისობისაა. მაგრამ ამანათს არ ჭირდება „გვაროვნული“ ბარიერის გადალახვა, ის პირდაპირ პასუხობს ტერიტორიულ თემში ხელოვნური დანათესავების პრინციპებს, „შეყრა“ კი ხარის მითოლოგიური წარსულით, „წინაპირობით“ დამძიმებული, ტრანსფორმაციის შედეგად მაინც მოხერხებულად თავსდება მთის ტერიტორიულ თემის სტრუქტურაში. ჯარით შეყრის კატეგორიამ წამოსწია ცალკეულ გვართა აღზევების ტენდენციები, მაგრამ თემის სოლიდარულმა ბუნებამ არსებითად შეძლო წონასწორობის შენარჩუნება და ხსენებული მიზანსწრაფვები — ტენდენციების დონეზე დატოვა. ყოველი ზემოთქმული იძლევა საუფძველს ვარაუდისა, რომ ამანათობისა და ჯარ-ქვაბით გაფიცვის სახით საქმე გვაქვს ტერიტორიულ თემს შიგნით სტადიალურად (გენეზისის თვალსაზრისით) განსხვავებულ ფენომენებთან.

ფშავისა და თუშეთის[7] მონაცემების შეჯერებით დგინდება, რომ „ჯარით გაფიცული“||„ჯარით შეყრილი“ ხელოვნური გზით გვარის||მოდგმის|| ჯილაგის, ე. ი. გენეალოგიური (-სისხლიერი) ნიშან-ხაზის მატარებელია და ტერიტორიული თემის პრინციპს სწორედ ამ ნიშნით (და არა ტერიტრრიულით) გაუხდა „მისამპირედ“ იმ გვარს, რომელსაც ეძმო, შეეთვისა. მეტიც, „ჯარით შეყრილი“ ეძმო მფარველი გვარის ყველა განაყარს, სადაც არ უნდა სახლობდეს ეს უკანასკნელი (შდრ: ამანათს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ „იმ სოფლელი“ ხდება, სადაც ის „გადაიგანძა“. ამანათი ობიექტურად ხელშემწყობია გვარის ჭეშმარიტი დელოკალიზაციისა, თვისი სისხლიერი ხაზის დაკარგვისა.

„ჯარით შეყრით“ სახელდებულმა წესმა და მისმა თანმხლებმა რიტუალმა წამოსწია ხარის მოკვდინების — მისი მსხვერპლად შეწირვის ცერემონია, რომელიც უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა[8] და საერთოდ, კავკასიის რეგიონში, ხოლო წოვა-თუშური მონაცემები საშუალებას იძლევიან ჯარით შეფიცვის რიტუალის ევოლუციურ

---

[7] იროდიონ ტომეს ძე ცოცანიძე, 74 წ. ქვ. ალვანი; თებრო ისაკის ასული იუკურიძე, 70 წლ., ქვ. ალვანი, 1977—78 წწ. საველე მასალა.

[8] ათანოზ ხოლეს ძე შეთიძე,... 1969 წ., საველე მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრილში, წარმოდგენისა, სადაც არსებით მომენტს ამ მიმართებით წარმოადგენს ხარის შენაცვლება ვერცხლით[9].

ამგვარად, პოლიგენური დასახლების პირობებში სხვადასხვა გვარით დასახლებულმა სოციალურმა უჯრედმა (თემ-სოფელი), რომელიც ლოკალიზებულია ხელოვნური დანათესავებით, პრაქტიკულად გამონახა ხარი ერთიანობის სიმბოლოდ (ჯარით შეყრილი ხარს კლავს მეორე გვართან შესამყრელოს).

საქმე ის არის, რომ რეალური სინამდვილე მთიელთა ტრადიციულ ყოფაში აისახებოდა არა პირდაპირ, არამედ სპეციფიკურ რწმენა-წარმოდგენების პრიზმაში გავლით: ყოფითი მოვლენების შეფასებისას მთიელი სარგებლობდა სრულიად განსხვავებული კრიტერიუმებით, ვიდრე ამ მოვლენათა Post factum შემსწავლელი სპეციალისტები — ესაა საერთო ლოგიკური არგუმენტი. მთიელთაგან შეფასების კრიტერიუმისადმი მეტ-ნაკლები მიახლოება არის მთიელთა ყოფის რომელიმე მომენტის (ამ შემთხვევაში — ამანათობის) მიმდებარე მოვლენებთან ურთიერთმიმართების ფონზე წარმოჩენა. სწორედ ზემოთქმულმა განაპირობა ამანათისა და ჯარ-ქვაბით გაფიცვის ფენომენთა ერთობლივი გააზრების აუცილებლობა, რომელიც აქ რელიგიური კონტექსტის გახსნის ცდითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამყაროში ხარის ძალაშეძლება თავს იჩენდა როგორც სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, ისე რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და მათ თანმხლებ რიტუალურ ქმედებებში[10]. თქმულთან მიმართებით ინტერესს იწვევს თუშეთის ყოფაში დამოწმებული და დეტალურად ფიქსირებული საველე ეთნოგრაფიული მონაცემები[11].

გადმოცემის თანახმად, ხუთი თაობის წინ ხევსურეთში (არხოტი) ჩხერაულებისა და მიქაიძეების გვარებს შორის მოსისხლეობის მიზეზით „თუშობა დარქმეული“ ჩხერაულები (კერძოდ, მათი წინაპარი ფილო), თუშეთის სოფ. ცოკალთას ჩამოსახლებულან. ჯერ კიდევ ფილოს სიცოცხლეში ცოკალთას გიო მიქაიძე მისულიყო და ხარით შეჰყრია ჩხერაულთ. მოსულთ უდუღებიათ ლუდი, დაუკლავთ ხარი და ყოჩები. ხარს, როგორც შეძმავებისათვის გასაზრდელს, საგანგებოდ უვლიდნენ. ხატისათვის შეთქმულ ხარს კურეტი ერქვა. კურეტს შეაბამდნენ უმძრახას რქაზე ან ყელზე წითელი ბაწრით-ეს სისხლის „ლიშანი“ შეწირულის მანიშნებელი იყო.

უზანს ეტყვიან იმ ხეს, შავ ნაყოფს ისხამს, იმის გულს ამოიღებდხებ, მატყლის ბაწარს სისხლისფრად ენდროში შეღებავდნენ, ბაწარი დართული იყო, მაგრად გაძახილი. პატრონი ცდილობდა, რომ მაგარი ყოფილიყო და საქონელს სიკვდილამდე სდებიყო ყელზე. ამ ხეში გაუყრიდნენ (ფანქრის სისქე გულს ამოუღებდნენ), ბაწარს, შიგ გაატარებდნენ. ხარის ყელის ზომაზე შეკიდებდნენ ამ წითელ ბაწრიან ხეს. მას მერე იტყოდნენ: „კურეტს უმძრახა აქვს შებმულიო“. ეს ბოჩოლა შავი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ხატისად იყო შეთქმული, ხატი შავს არ იღებდა არც ცხვრიდან, არც საქონლიდან.

---

[9] ლეო ბაიხოიძე, ზ. ალვანი, 1976 წ. საველე მასალა.

[10] თქმულის მაუწყებელია ჯარ-ქვაბით შეყრის წესის აქსესუარები, როგორიცაა სპილენძის ხარჩამავალი ქვაბი, რომელიც ჯვარში ინახებოდა და დღეობაზე გამოიყენებოდა (ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 559).

[11] მოსე ნიკოს ძე ჩხერაული, 88 წლ., ს. ცოკალთა (თუშეთი, ), 1980 წ. საველე მასალა.

სამი წლიდან ოთხ წლამდე კურეტს უმძრახა ეკიდა. უმძრახას უფრო შაბათ დღეს შეაბამდა სახლის უფროსი (იგულისხმება — ოჯახის) კაცი. გარეთ ეზოში, რქაზე ერთ ფეხ სანთელს დაანთებდა მარჯვენა რქის თავთან. დიასახლისი წმიდისაგან სამ ცალ სამკუთხა პურს (ხმიადი) გამოაცხობდა, ვარცლზე წყლით მოზელდა. თითო ხმიადზე თითო ჯვარს გამოსახავდა. მზე რომ ამოვიდოდა, განათდებოდა, ხარი მაშინ გამოყავდათ. დიასახლისი სამ ხმიადს გამოიტანდა სამი სანთლით, ხმიადები დაწყობილი იყო ცაცხვის ხის ბრტყელი მრგვალი ფორმის ტაბაკზე (სინი), ქალი აწყობდა ხმიადებს, ერთ პურის არაყს, ხავიწს, ყველს. ერთ სანთელს ბოთლს მიაკრავდა სახლის უფროსი კაცი, ერთსაც ხარის რქაზე დაანთებდა და მიმართავდა კარატის ჯვარს წმინდა გიორგის (ს. ცოკალთას სასოფლო ჯვარია): „მავან დროს მავალ შენს კარზე და დავკლავ კურეტს, შეწირულს (ამდენის) წლისაო“. ჯერ კარატის ჯვარს მიმართავდა: „კარატის ჯვარო, მოგმართავ ჩემი საკლავით, ჩემი ზედაშით, არ გიმტყუნე ჩემი შენაწირი ნაქადით“. უფრო ჯანმრთელობას, წულიანობას, მერე მოსავლიანობას თხოვდა. „მომემხრე, დამეშველენი შვილსაო, შვილიშვილსაო!“ ხარიც და მლოცავიც პირით აღმოსავლეთისაკენ დადგება, მიუპირიდაპირებს მზეს თავის საკლავს. უმზეო ამინდში ხარს არ გამოიყვანენ, არც ბურუსში, უფრო შაბათ დღეს აირჩევდნენ[12]. იტყოდნენ: „მზეს აბარია ყველა სულდგმული, ხარი უპირველეს. მზის ძალითაა ხალხი ეხლაც ცოცხალი. შუბლგამართული ვევედრებოდით კარატის ჯვარსა, მუხლჩოქი ეკლესიაში იციან; სანამ სანთელი არ დაილევა, კურეტი არ უნდა დაიძრას და პატრონს კურეტის მხარეზე უდევს მანამდე ხელი, მერე კი შესაბმელს შეაბამს. ამიერიდან კურეტად შერქმეული ხარი თავისუფალია და საერთო საქონელში დადის შეწირვამდე. ათენგენობას, რომელიც აღდგომის მეასე დღეს მოდის, დაკლავდნენ შეთქმულ ხარს კარატეში, ხახას ეტყვიან იმ ადგილს, ჯვარის კარია. მწვანე ბალახზე წამოაქცევდნენ. ხარის დაკვლამდე პატრონი შეხსნის საკიდარს და ბებერ ფიჭვის ხეზე შეკიდებს. ტყავი პატრონს რჩება ქალამნებად, ხორცს, უმს, ნაწილებად დაჭრილს (ჭრიდნენ ტოლ ნაწილებად), მერე მოხარშავდნენ თავ თავად სახლებში და იქვე უნდა გახმარებულიყო — შეჭმულიყო; ნათქვამი ჰქონდათ ასე ძველებს, ხალხი კი ძველებურ წესს მისდევდა. სალოცავის გამძღოლს მხარ-ბეჭს მიარგებდნენ. თავი კი სოფლის საქვაბეში იხარშებოდა. ღვიძლი მწვადებად მიდიოდა. რქას გადაყრიდნენ ხატისკენ, მისი კუთვნილი იყო. ხარის სისხლი დედამიწაზე მიდიოდა. ხელოსანი მას სპილენძის ბარძიმში მოაგროვებდა. ფიჭვის ტოტს მოსტეხდა (ბარძიმა იმ ფიჭვის ძირში იყო (ჩამარხულ) და სისხლს ამ ტოტით კარატის ჯვარს მიაწინწკლებდა, ერთ მხარეს მოასხამდა, დანარჩენი სისხლი დედამიწაზე დაედინებოდა. ამინდი უნდა ყოფილიყო ამ დროს დარიანი, მზიანი; ლუდი ამ დროს შეძლებაზე იყო ხარის პატრონისა. ლუდი თუ იმ დღეს ვერ დაიმორჩილეს (ვერ დალიეს), შეინახავდნენ, მერე დაიმორჩილებდნენ ამის იქით ხარით შეძმავებულნი ვიყავით მიქაიძეებთან[13].

მოტანილი ფაქტები ხარის რიტუალური მოკვდინების მნიშვნელოვან დეტალებს წარმოაჩენენ და საფუძველს ქმნიან ხარის კულტის თაობაზე შო-

---

[12] ძველ საქართველოში შაბათი მიწის ღვთაების, ნაყოფიერების ღვთაების დღედ ითვლება. შდრ: Н. А. Брегадзе, К вопросу о характере одного из грузинских народных календарных праздников («теодорсба»), მსე XV, თბ., 1970, გვ. 85.

[13] მოსე ნიკოს ძე ჩხერაული, 88 წლისა, ს. ცოკალთა, თუშეთი. 1980 წლ. საველე მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეული პარალელების საკითხის დაყენებისა ჩრდ. კავკასიის[14], ეგეოსის ზღვის[15] და ძვ. აღმოსავლეთის რეგიონებთან[16].

ველზე მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე დგინდება ხარის მდიდარი მითოლოგიური წარსული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ხარის კოლორიტული მითოლოგიური ბუნება წარმოაჩენს მეტყველ, მრავალსხივოსან სიმბოლოებს (ფერისა[17], ნივთისა[18], სისხლისა[19], აგრეთვე მოკვდავაღდგენად ღვთაებათა რანგის ატრიბუტივობას[20]. რიტუალური მსხვერპლშეწირვის შემდგომ ხარის ხორცის უმად დამსწრეთა რიცხვის მიხედვით თანაბარ წილობებად დანაწილება ხარის ტოტემად გააზრების საწინდარადაა მიჩნეული[21]. ხარის სინათლესთან, ციურ სამყაროსთან ასოცირება მას მზის თაყვანისცემის საკითხს უკავშირებს და კვლავ ძველაღმოსავლურ რწმენათა სამყაროსთან აახლოვებს[22]. ამას გარდა, ხარის რიტუალური მოკვდინების ცერემონიალით, რომელიც თუშების ყოფაშია დამოწმებული, დგინდება ხარის ანტროპომორფიზმის უნარიც, რასაც პერიოდული პრესის მონაცემებიც ამაგრებს[23]. ამავდროულად, ხევსურთ ყოფაში დამოწმებულია ხართან დაკავშირებულ რიტუ-

---

[14] Е. Е. Кузьмина, Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения южнорусских степей, ВДИ, 1974, № 4; В. А. Шнирельман, Происхождение скотоводства, М., 1980, გვ. 230.

[15] Н. К. Тимофеева, Религиозно-мифологическая картина мира этрусков, М., 1980, გვ. 32 და შმდ.

[16] Дандамаев, В. Г. Луконин, Культура и экономика древнего Ирана. М., 1980.

[17] ხარის, თეთრი ხარის კავშირის თაობაზე ნათელ ცასთან ზოგად ჭრილში იხ: Р. Якобсон. Роль лингвистических показаний в сравнительной мифологии, М., 1964 В. В. Иванов, О некоторых преднеазиатских параллелях к Картвельским лексемам, კრებ. საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1970. გვ. 118—119; R. Barber, A companion to world mythology, London, 1979, გვ. 107.

[18] რიტუალური მოკვდინების წინ ხარს შეხსნიდნენ სისხლისფრად ენდროში შეღებილ დართულ ბაწარს, მას სიმაგრის სიმბოლოს მნიშვნელობა ეძლეოდა. ამ უკანასკნელის ამგვარი ინტერპრეტაცია მოხეურ მეტყველებაშიც აისახა, სადაც დამოწმებულია გამოთქმა „ნაჭრით მამბული ნათესავი“, „ნაჭერს“ კი სახლში დართულ მატყლის ძაფს უწოდებდნენ, ასეთი გამოთქმა ძალიან დაშორებულ და სუსტად შეკავშირებულ სისხლიერ ნათესაობას შეეხება (ვ. ითონიშვილი, ქართველი..., გვ. 26); ამას გარდა ხარის რქების ხატისკენ გადაყრა — შორეულ ტრადიციებს ემყარება: ძ. წ. — I ათასწ. ხალაფის კულტურაში (ჩრდ. მესოპოტამია) ხარის რქები—როგორც მამრობითი სქესის საწყისებია ფიქსირებული. ეს უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა კი ანალოგებს პოვებს სინქრონულ შულავრის მონაპოვრებთან (Г. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Древняя Передняя Азия и индоевропейская проблема, ВДИ, 1980, № 3, გვ. 24).

[19] შდრ: Л. Г. Штарк, Кровь в верованиях и суевериях человечества, 1911; Die Bedeutung von Blut und roten Ocker in der Vorstellungswelt des Australier reale Grundlagen und ideologische Weiterbildung, von Klaus Timm, ჟურნ: Ethnographisch — Archäologische Zeitschrift, Berlin, Heft 1, 1964, გვ. 65—69.

[20] Дт. Фрэзер, Золотая ветвь, М., 1928, в. IV; ი. სურგულაძე, ქართველთა აგრარულ რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები, მსე, XIX, თბ., 1978, გვ. 75—91.

[21] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953; ქ. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების და მისი გადმონაშთების ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 7.

[22] Исход, 32.

[23] В. Цветков, Селение Мухури, газ. «Кавказ», 1851, № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალში მამრობითი სქესის წარმომადგენლის, კერძოდ, ოჯახის თავის, ქთავარი როლი, და აგრეთვე, ხარის ფიგურირება ორაკულის სახით[24].

ყოველი ზემოთქმული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ძველ აღმოსავლური მითოლოგიის თანხვედრას მიგვანიშნებს[25], საკითხის ასეთნაირად დაყენება სრულიადაც არ უტოლდება რაიმე სესხება-გავლენას, არამედ, მხედველობაშია მიღებული ანალოგია რწმენა-წარმოდგენების განვითარებისა სხვადასხვა ხალხებში. ამისი მტკიცე საფუძველი კი ის არის, რომ სხვადასხვა ხალხში, განსხვავებულ ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ პარამეტრებში, დამოუკიდებლად ერთურთისა[26], ადამიანები უწოდებდნენ თავის მამრ ღვთაებებს — ხარებს, მდედრებს კი — ფურებს, ძროხებს, მიაწერდნენ მათ შესაბამის ატრიბუტებს და, ასევე დამოუკიდებლად ერთურთისა, გადაინაცვლებდნენ ხარი-მამრის ცნებიდან, ხარი-გმირის, მფარველის ცნებაში[27]. ხარის ზემოხსენებულ მნიშვნელობათა არსებას მთის ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, ადასტურებენ არქეოლოგიური მონაპოვრებიც და, თვით ხარის კულტის მომდინარეობას გვიანი ენეოლოთიდან ასაბუთებენ[28].

ეთნოგრაფიულ საველე მასალაზე[29] დაკვირვება მეტყველებს, რომ ხარი (ხევსურეთში) ჯვარისაგან, როგორც ტერიტორიული თემის მფარველისგან, განსხვავებული სამყაროა, რომელსაც ჯვარი პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობა, („ჯვარისად გაშობილ ხარს კისერზე უღელი არ დაედება“), არდოტული (ხევსურეთი) მასალა[30] ცხადყოფს, რომ ბოლო დრომდე რწმენისა და კულტის არსებობისა, ხარი უპირატესად გვართან, სისხლიერ ნათესაობასთანაა მჭიდრო კავშირში. სწორედ ეს რელიგიური მრწამსი ჩაქსოვილია ამანათის ჯარ-ქვაბით შეყრის ფენომენში: ახალი თემ-სოფელი ამანათს მფარველობს მოსალოდნელი ხიფათისაგან. ფაქტობრივად ესაა უცხო გვარის (არა თავისი მოდენილობის) კაცის — ამანათის ჩათრევა გვაროვნული (სისხლით ნათესავთა) ეთიკის ნორმებში, ვინაიდან გვაროვნული ეთიკის ნორმით უდიდესი აღკვეთა — ესაა საკუთარი გვარის კაცის სისხლის არდაღვრაზე მცდელობა-ზრუნვა, მაშინ როცა „უცხო“ კაცის სისხლის ღვრა-სრულიადაც არაა ცოდვა. ამ „თეორიით“ ხელმძღვანელობდა ამანათის მიმღები თემ-სოფელი. ამავე „თეორიას“ ეფუძნებოდა ჯარ-ქვაბით გაფიცულ გვარების მოქმედებაც; ე. ი. ორივე (ამა-

---

[24] მ. კანდელაკი, „დასტურთ ყენების“ წესი ხევსურეთში, „საისტორიო კრებული“, I, თბ., 1976, გვ. 191.

[25] შდრ: ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.

[26] შდრ: К. Р. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб., 1965, გვ. 318—338.

[27] შდრ: მ. მაკალათია, მსხვილფეხა მესაქონლეობა თუშეთში, კრებ. „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1967, გვ. 61; Д. Н. Овсянико-Куликовский, К вопросу о «Быке» в религиозных представлениях древнего Востока, Одесса, 1883, გვ. 9—28.

[28] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1958, გვ. 28; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 167—69; მ. ხიდაშელი, ცენტრალურიამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982, გვ. 79—85.

[29] ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, ხევსურეთის დღესასწაულები, პირიქით ხევსურეთი, 1937 წ. ხელნაწ. რვ. 3, გვ. 138—140; ა. ოჩიაური, რელიგია ბუდე-ხევსურეთში, რვ. 46, გვ. 716, ესა, 14.

[30] ჩონქარა ზვიადაური, 76 წლ. დ. სიონი, 1966 წ. საველე მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნათობაც და ჯარ-ქვაბით გაფიცვაც, ხელმძღვანელობს სისხლის შესახებ სწავლება — დასკვნით, რომელიც ასახავს მთიელის ტრადიციული ყოფის ფსიქოლოგიასა და ეთიკას: ვინაიდან ყოველი ახლადშობილი თავის სისხლს მშობლისგან ღებულობს, ხოლო ამ უკანასკნელთ თვისი სისხლი თავისი მშობლებისგან ერგოთ, შექმნილია ლოგიკური წარმოდგენა: ყოველი ადამიანის სისხლში გვარის წინაპრის საერთო სისხლია შერეული[31].

სისხლი რიტუალურად მოკვდინებული ხარისა — წინაპართან გამაერთიანებელია, ერთიანობის სიმბოლოა[32], სწორედ ამის გამო, როცა რომელიმე გვარის ერთი ადამიანის სისხლს ღვრიან (გააზრებულია რომ), ამავდროულად იღვრება სისხლი ამ გვარის ყველა ადამიანისა, რომელიც ამჟამად ცოცხლობს სამზეოში, ან შავეთს (-საიქიო) არის გარდასული (გარდაცვლილი), ე. წ. წარსულ თაობებს ეკუთვნის. ვფიქრობ, სწორედ აქაც არის საძებარი ის მთავარი ხიდი-კავშირი მთიელთა სამზეოსა და შავეთს შორის, აწმყოსა და წარსულს (-წინაპარს) შორის, რომელიც, მჭიდრო ერთიანობაშია გააზრებული: სიცოცხლე ⇄ სიკვდილი; და კიდევ: წინაპარი (რომლის გვარზე, ამ შემთხვევაში, ჯარქვაბით გაფიცული ამანათი იწერება) თავისი კულტით, სამზეოს გაცდენილი და შავეთს გარდასული (ხშირად ხარის სახით „მოვლენილი" სამზეოში, რომელიც „ახსენებს" სამზეოში მყოფთ მამა-პაპათ ანდრეზ-დანაბარებს), სამზეოშიც აერთიანებს ცოცხალთ, აკავშირებს მათ. თქმულის დასტურს მთიელთა მატერიალურ-სამეურნეო ყოფის სფეროშიც ვხვდებით სამამულო ურთიერთობებთან მიმართებაში[33] ხარის შესახებ დაცულ რწმენა-წარმოდგენებში, და ნაწილობრივ, რიტუალშიც სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის იდეა აისახა. მთიელთა რელიგიურმა მსოფლმხედველობამ ერთიანობაში შეკრა ხარის სახე და ორივე სამყაროს (სამზეო—შავეთს) თვისი წილხვედრი არგუნა. ჯარ-ქვაბით შემოყრილობაში ხარის გამაერთიანებელი როლის მიზეზობრივობა ანალოგს პოვებს ინდოევროპულ და ძველ სემიტურ არეალების ეტიმოლოგიურ მონაცემებშიც[34].

ამას გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენა-წარმოდგენებსა და ანდრეზებში, რომელნიც სოციალ-კულტურული ფუნქციის მატარებელნი არიან, დაცული დანაშევრები შესაძლებელს ხდიან ხარის ზემოთძოტახილ მნიშვნელობათა (ხარი—წინაპარი—ოჯახის თავი) „წმინდა" სახით დანახვისა. მეტიც, ხარის იდეის განვითარებაში ძველი აღმოსავლეთის რეგიონის მასშტაბით შეინიშნება ხარის (წინაპრის) გმირად („კულტურულ გმირად") გარდასახ-

---

[31] ზემოთქმული მარტოოდენ მთის პრეროგატივა როდია, არამედ—უნივერსალური მოვლენა (ჰეროდოტე, ისტორია, I, თბ., 1975); მითრაიზმში—ყოველი ცოცხალი არსება წმინდა ხარის სისხლიდანაა წარმოშობილი; თუნდაც ეს ცნობილი ფაქტი გვაძლევს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ თავის დროზე ს. მაკალათიას მიერ წამოწეულ საკითხს მითრაიზმის თაობაზე საქართველოს მიმართ, რომელიც შემდგომში არაარგუმენტირებულად მიჩრდილული აღმოჩნდა ქართველ მკვლევართა ნაშრომებში.

[32] მოსე ჩხერული. 1981 წ. საველე მასალა.

[33] ა. ოჩიაური, სამამულო ურთიერთობანი ხევსურეთში, 1957 წ. ხელნაწ. პირადი არქივი. გვ. 27; ამას გარდა, სამზეო—შავეთის ერთიანობაში მთური გააზრების მომნიშნებელი უნდა იყოს ამ ორივე სამყაროს კუთვნილი ტერმინოლოგიური იდენტურობაც კავკასიის რეგიონში, კერძოდ, „დალაჲთ" აღნიშვნა ღვთაებისა და ამავე დროს სამგლოვიარო სიმღერისა (შდრ: ვ. ითონიშვილი, სიმონ ჯანაშიას საველე დღიურები, ჟურნ. ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 4, 1980, გვ. 52—53.

[34] Д. Н. Овсяннико-Куликовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

ვა. თქმულის ილუსტრირება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხური პოეზიის ნიმუშებით ხერხდება, სადაც „საკარგ-ყმო“ საჩუქარია ბელადისა, მოთავისა, ხარად წოდებულისა[35], სადაც ხარის დაკვლა სტუმრისათვის პატივისცემის უმაღლესი ფორმაა[36] და მტერთან შერიგების ნაღდი საშუალება[37]. ხარი სიმბოლოა წინაპრისა, ღვთიური ძალით დაჯილდოებული. ამ მიმართებით უხდა აღინიშნოს, რომ ჭარ-ქვაბით გაფიცვის წესში ხშირად ამანათის ფიგურირებამ ცხადყო, რომ მთიელთა რელიგიური სტატუსის მატარებელი ცერემონია —ეს არა მარტო წინაპრის გახსენებაა, არამედ სრულიად რეალური მოვლენა, რომელსაც თვისი შედეგები ახლავს როგორც აწმყოში, ისე მომავალში.

კავკასიაში[38], კერძოდ, ქართველ მთიელებში, წინაპრის კულტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სხვა სათაყვანებელ არსებათა „მზესა, მთოვარესა და ვარსკვლავთა“) გვერდით ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა[39]. სწორედ იყო ეს საკითხი კვალიფიცირებული მომდევნო ხანის ავტორთა ნაკვალევშიც[40]. ხევსურეთში წინაპრის კულტის არსებობას ვრცლად შეეხო ნ. ხიზანაშვილი სახალხო გმირის, ღვთის კაცად შერაცხილ მამუკა ქალუნდაურის საფლავის საკითხთან მიმართებით[41]. შემდგომში სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო კვალიფიკაცია მიეცა ნ. ხიზანაშვილის მიერ წარმოჩენილ მასალას აღნიშნულ საკითხზე, სადაც ხევსურულ წინაპრის კულტში, ერთი მხრივ, ეპონიმის კულტია მოცემული, ხოლო მეორე მხრივ, მასში წინაპრის გაღმერთების ელემენტებია ჩაქსოვილი[42]. დამოწმებულია ანალოგებიც ჯვარის „ჭელკაცთა“ მგელა ჯაბუშანურისა და გახუა მეგრელაურის, როგორც გაღმერთებულ წინაპრის თაობაზე[43].

წინაპრის კულტთან მიმართებით სოციალურ კონტექსტში არსებითია ის გარემოებაც, რომ „განყრობის“, „გორის“, „საგორეულოს“ თუ „სახლიკაცობის“ სახელწოდების წარმოება წინაპრის სახელიდან საყოველთაო მოვლენადაა დადასტურებული ხევში[44] და, საერთოდ, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში[45].

ამრიგად, მთიელის მითოლოგიური აზროვნება წარსულით ესოდენ დამძიმებული წინაპრის სახეს, ხარის ძალი-შეძლების ატრიბუტებს გამაერთიანებლობასაც მიაკუთვნებს. ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება ხარის როლი

---

35 ნ. ურბნელი, ხევსურული სიმღერები, ხელნაწერი, ესა, $M^2$, გვ. 4, 58; ა. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954 წ. ხელნაწერი, პირადი არქივი, რვ. 19, გვ. 51—54.

36 ა. ოჩიაური, სახატო მიწები..., 1938 წ. ხელნაწ. ესა, $M^1$, 85, გვ. 72—75.

37 А. Н. Гвелесиани, Адаты Андийского округа Дагестанской области, ხელნაწერი 1910 წლისა, ესა, $M^2$, გვ. 39.

38 А. Карагачев, Поклонение предкам у кавказских народов, «Терские Ведомости», 1902, № 138, გვ. 2—3.

39 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 50.

40 В. А. Гурко-Кряжин, Хевсуры, М., 1928, გვ. 18.

41 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 134.

42 გ. ჩიტაია, შესავალი წერილი ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული ნაწერებისა, მსე. თბ., 1940.

43 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 12 და შმდგ.

24 ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა..., გვ. 40.

45 ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია), მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 123—159.

სამკვიდროდან აყრილი მოსახლეობის უკან მოქცევის მცდელობაში[46], ხარი გზის გამკვლევია მამა-პაპათ ხატ-სალოცავისკენ, მივიწყებულის გამხსენებელი და წინაპართა ნაკვალევის მადევარია[47]. ყოველი ზემოთქმული ხარის გამაერთიანებლობას ცხადყოფს და ტერიტორიული თემების ფუნქციონირებისას სწორედ სათემო და სათემთაშორისო ჯვრების „საკუთრებას“ შეადგენს. სწორედ ხსენებულ ჯვარ-სალოცავთ „დაეკისრა“ სხვადასხვა ჩამომავლობის ხატების გამაერთიანებლობა[48]. მთის ტერიტორიულმა თემმა მარჯვედ გამოიყენა ხარის, როგორც სამკვიდრო ადგილის დარაჯისა და მოსახლეობის აყრა-გადასახლების მოწინააღმდეგის ბუნება, რაც ხევსურულ ღვთაებათა და ღვთიშვილთა შესახებ თქმულებებშიც აისახა.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა ეთნოგრაფიული მონაცემები ავლენს ხარის ორგანულ კავშირს ოჯახთან, სახლთან, გვართან, რომელიც თავს შეგვახსენებს რიტუალის არა ერთ ნიუანსში[49]. ჟამთასვლამ ხარი ღვთის სამსახურში ჩააყენა და მთიელთა სინკრეტული რელიგიურობის ეტაპზე წარმოაჩინა. ხარი ღმერთის სამსახურში ჩადგომით, თითქოს დამოუკიდებლობას მოკლებულია, მაგრამ საყურადღებოა, რომ ხარის ტრადიციული ფუნქცია-ძველია და შეუცვლელი — იგი ადამიანთა საგუშაგოზეა ადათ-წესისამებრ, და ამაშია არსებითი მომენტი. ოფიციალურად ქრისტიანობა მიღებულმა მთამ მოხდენილი ინტერპრეტირებით სწორედ ხარი (და არა სხვა ვინმე!), ჩააყენა ღვთის სამსახურში ეშმაკთ დასათრგუნავად. მთიელთა მითოლოგიურმა აზროვნებამ აქაც არ უღალატა წარმართულ ტრადიციას და მისი კუთვნილი ხარი ახალ ვითარებაშიც გმირად შერაცხა. ამავე რწმენის გამოხატულებაა ხარის გამოსახულებიანი ამულეტები ავი თვალისაგან დასაცავად[50].

ყოველი ზემოთქმულის გარდა, ხარი ნაყოფიერების მატების, ზრდის სიმბოლოდ იქცა, რაც მაგიურ-რელიგიური ხასიათის ქმედებასა[51] და ენობრივ მონაცემებში[52] აისახა. ხართან დაკავშირებული ტერმინოლოგია (კურული) შინაურ ცხოველთა კლასის ნიშნებში პოვებს ანალოგებს საერთო-სემიტურ დონეზე[53],

---

[46] ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, ხევსურეთის დღესასწაულები, ხელნაწერი-ესა, $M^1$, რვ. 2 გვ. 89—93; ა. ოჩიაური, თქმულებები ხევსურულ ღვთაებათა და ხვთიშვილთა შესახებ, 1938 წ. ხელნაწერი, ესა, $M^1$, 15, გვ. 7.

[47] ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 252.

[48] შდრ: მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა..., გვ. 93.

[49] ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, მესაქონლეობის..., გვ. 31; მათივე, ხევსურეთის დღესასწაულები, ესა, $M^1$, რვ. 3, გვ. 138—140; ა. ოჩიაური, რელიგიაბუდე-ხევსურეთში, ესა $M^1$, რვ. 46, გვ. 716; მისივე, სახატო..., რვ. 8, გვ. 694—95.

[50] ვ. გარდაფხაძე—ქიქოძე, ლეჩხუმისა და სვანეთის ამულეტები, ხელნაწერი, ესა, $M^2$, გვ. 30.

[51] В. В. Бардавелидзе, Древнейшие..., Главное божество..., გვ. 313, Г. С Читая, Принципы и метод полевой этнографической работы, СЭ, 1954, № 4, გვ. 21—28.

[52] ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, კრებ: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, თბ., 1946, გვ. 67.

[53] И. М. Дьяконов, О прародине носителей индоевропейских диалектов, I. ВДИ, 1982, № 3. გვ. 23—24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კარგად „ჯდება“ ხარებთან ადამიანის შებრძოლების მოტივის ახსნაში[54], რომელიც ხარის მოშინაურებისა და მის სამიწათმოქმედო საქმიანობაში გამოყენებას მოეძებნება.

ამგვარად, ჭარ-ქვაბით გაფიცვასთან ამანათის მიმართებაში წამოიწია ხარის რიტუალურმა კომპლექსმა. ზოომორფულ და ანტროპომორფულ წარმოდგენათა შორის ხარის კავშირი სინათლესთან, მზესთან, ნაყოფიერებასთან, ანდრეზის „მიყოლა-მიდევნებასთან“ — არის არა ოპტიკური ილუზია, არამედ რეალობა, რომელიც დგინდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიული მონაცემებით და ანალოგებს პოვებს ძველ აღმოსავლეთის ვრცელ სამყაროში („ხარის“ დამოწმება „გმირის“ ეპითეტად, წინაპრის წოდება „ხარად“ და მისთ.), რის მიზეზსაც ზემოთ შევეხე.

ზემოთქმულის საფუძველზე საკვლევ საგანთან დაკავშირებით გამოსაკვეთია ის ასპექტი, რომელიც ხარის გამაერთიანებელ ფუნქციაზე მიგვანიშნებს. ვფიქრობ, ჭარ-ქვაბის რიტუალში ხარის პერსონაჟის ფიგურირება კანონზომიერი და ლოგიკურია: რიტუალმა და მითმა ასახეს მთიელთა მითოლოგიური დანაშრევები, რომელნიც თავისი გენეზისით წინაპრის თაყვანისცემას (და შემდგომში — კულტს) უნდა უკავშირდებოდნენ.

ამანათობასთან დაკავშირებით ჭარ-ქვაბით გაფიცვის წესის წამოწევას და თანმხლები ელემენტების ჩვენებას ის მიზანი ახლდა, რომ სქემატურად მაინც გამომეჩინა ამ სოციალურ-რელიგიური კომპლექსის მსოფლმხედველობითი საფუძველი ან, ფუნქციური მიმართულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამანათის „ჭარ-ქვაბით გაფიცულთა“ წრეში ჩართვა არა მარტო მერკანტილური უხიფათობა, მფარველობის სურვილი) სულისკვეთებითაა ნაკარნახევი, არამედ განპირობებულია მთიელი კაცის შინაგანი ბუნების სოციო-რელიგიურ მოთხოვნილებით წინაპრის რეალურად „ყოლა-მიყოლისა“. სწორედ ამის გამოა, რომ ჭარ-ქვაბის რიტუალის მოშველიებით ამანათობასთან მიმართებაში ჩვენს თვალწინ, ფიგურალური გამოთქმით, იშლება „ნათესაობის“ გარდაქცევა „არანათესაური“ საქმიანობის საფუძვლად.

ჭარ-ქვაბით გაფიცვაში ამანათის მონაწილეობა შესაძლებლობას ქმნის დავინახოთ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა კავშირი საზოგადოებრივ ურთიერთობებთან. ჭარ-ქვაბით გაფიცვის ტრადიციული წეს-ჩვეულების საზოგადოებრივი ფუნქციის ანალიზი, მასში ამანათის მონაწილეობის პირობით და მისი რელიგიური მხარის წარმოჩენა, საშუალებას იძლევა განვიხილოთ ეს წესი არა მარტო როგორც მაგიურ-რელიგიური ქმედება, არამედ დავუშვათ, რომ ესაა რელიგიური წესი, როგორც ცხოვრების გამოცდილების (ტრადიცია) შემონახვისა და სოციალური კავშირების განმტკიცების საშუალება მთიელთა ტერიტორიულ თემში.

ამრიგად, ამანათი, მით უფრო თუ იგი ჭარ-ქვაბით გაეფიცებოდა მისი მფარველი თემ-სოფლის რომელიმე გვარს, მიცვალებულთან დაკავშირებულ წესებს ყველა მეთემისდაკვალად ასრულებდა. ანალოგიურ დამოკიდებულებას

---

[54] ვ. შამილაძე, კორიდის ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, კრებ: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურის საკითხები“, თბ., 1973, გვ. 43—50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჩენდა ამანათის მიმართ მფარველი თემ-სოფელი[55], შესაბამისად თქმულისა, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ამანათის გააზრება (მთიელთაგან) მფარველი თემის წევრად არა მარტო სამზეოში ვლინდება, არამედ შავეთშიც. ეს ჩანს როგორც დატირების წესებში, რომელნიც აშკარად ავლენენ „სათემო ღვთის თაყვანისცემის“ სიტუაციას[56], ასევე ამანათის იმ გვარის ანდაბში[57] მოხვედრით, რომელსაც ის ჯარ-ქვაბით შეეფიცა, ამრიგად, ამანათი უცხო მფარველი თემ-სოფლის მიერ იმდენად „გათავისიანებულია“, იმდენად მკვიდრია, რომ შავეთშიც მფარველთა ანდაბში აქცევს მას; არის ცნობები, რომელთა მიხედვით ანდაბში ჯარ-ქვაბით შეუფიცავიც ხვდებოდა, — რაც, თავის მხრივ, აშკარად მიგვანიშნებს მთიელთაგან სამზეო-შავეთის ერთიანობაში მოაზრებას. რაც შეეხება სამზეოში მიცვალებულთან დაკავშირებული წესების შესრულებას „გადაგანძულ“ (გვარდაკარგულ) ამანათის მიმართ, ისინი შემდეგში გამოიხატებოდა: ხევსურეთში „ქუდით თხოვნა“ იცოდნენ (-მიცვალებულის ოჯახი გამოგზავნიდა მიცვალებულის ქუდს, რითაც თხოვდა მკვდარზე წამოსვლას). „ქუდით თხოვნა“ დიდ პატივსაცემად ითვლებოდა[58]. ვისაც ამით იწვევდნენ, აუცილებლად მივიდოდა საქნარში[59] (-მკვდრის ხარჯი), სადაც ნათესავთა რახგში ამანათიც გადიოდა. თუშური მასალით, ამანათს მგებრშიც ჩააყენებდხეხ; ეს უკანასკნელნი საიქიოში მიცვალებულთა „ხელის მკიდეები“ იყვნენ[60]. შავეთის აღნიშნული პერსონაჟი არა ერთ ანალოგს პოვებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მიცვალებულთა სამკვიდროსთან.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე ჯარ-ქვაბით გაფიცვის წესით შევეცადე მეჩვენებინა თუ როგორ ენასკვება ურთიერთს დანათესავების სისხლიერი (გენეალოგიური) გვაროვნულობის პრინციპი ხელოვნურ (არასისხლიერი, ტერიტორიული) ნათესაობის პრინციპს ტერიტორიულ თემის სტრუქტურაში და ქმნის დიალექტიკურ ერთიანობას; ამას გარდა, ავტორისეული პოზიცია მდგომარეობდა ცდაში განსაზღვრულიყო გადმონაშთური (ამ შემთხვევაში: „ჯარ-ქვაბით გაფიცვის შეყრის“ ტრადიციული წესი) მოვლენის როლი მთიელთა რეალურ ყოფაში.

---

55 ვაჟა-ფშაველა, ფშავლები, თხზ., ტ. VII, თბ., 1956, გვ. 14—16.

56 შდრ: С. С. Аверинцев, Древнегреческая поэтика и мировая литература, (კრებ: — «Поэтика древнегреческой литературы», М., 1981, გვ. 4);

57 ა. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, ბუდე ხევსურეთი, 1939 წლის ხელნაწერი, ესა, $M^1$, რვ. 5. გვ. 89, სადაც „ანდაბი“ განმარტებულია როგორც „მიცვალებულთა ჯგუფი, რომელიც არის ერთმანეთის მონათესავე და ერთად იყრიან თავს საიქიოში“, (იქვე, გვ. 89).

58 ა. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, 1941 წ. ხელნაწერი, ესა, $M^1$, რვ. 10, გვ. 110—111.

59 ა. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, 1941 წ. ხელნაწერი, ესა, $M^1$, რვ. 8, გვ. 87—88.

60 ათანაოზ ხოლეს ძე შეთიძე, 87 წლისა, ს. ქუმელაურთა, თუშეთი 1966 წ. საველე მასალა. თუშეთში მგებრნი—დედეს ძმანია, რომელნიც პირველნი მიეგებებოდნენ საიქიოში მისულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. Б. КАНДЕЛАКИ

# АМАНАТСТВО И ОБЫЧАЙ «СКЛАДСТВА БЫКОМ И КОТЛОМ»

## (По этнографическим данным горцев Восточной Грузии)


Резюме

На основе полевых материалов автора, при учете архивных и литературных данных рассматривается один из основных вопросов внутренней природы территориальной общины горцев — противостояния и встречи двух принципов, двух начал — родства кровного и искусственного. На конкретном примере жизненного пути аманата, принявшего покровительство чужой ему общины и тем породнившись с ней родством искусственным (территориальным), удостоверяется также родство более прочное, приравненное по народной традиции к кровному. Названное породнение нередко происходило в общине, покровительствующей аманату с какой-либо определенной фамилией, которую принимал аманат. Это обычно скреплялось обрядом «складства быком и котлом» (ჭარ-ქვაბით გაფიცვა||შეყრა).

Выявлены некоторые характерные особенности культа быка, предложена его интерпретация в лице предка, стойко стоящего на страже древних традиций и обрядов, кровно-родственных уз, связанных с древнейшими языческими верованиями грузинского народа.

Рассмотрение предмета в вышеизложенном аспекте проливает свет на характер общины горцев в целом, межобщинные связи, родовые и территориальные начала в их взаимопроникновении.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს-სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე ელიზბარაშვილი

# რუისპირის ყველაწმინდის ეკლესია

## (ადრექრისტიანული ხანის კახეთის ხუროთმოძღვრების ისტორიიდან)

VI საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურის ისტორიაში უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ის დროა, როდესაც ქართული არქიტექტურის სხვადასხვა, უკვე ჩამოყალიბებული ტიპი აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს და ამასთან ერთად ამ, უკვე სათანადოდ შემზადებულ ნაციონალურ ნიადაგზე იქმნება სრულიად თვითმყოფადი კომპოზიცია სამეკლესიანი ბაზილიკისა, რომელიც საქართველოსათვის არაორგანული, შემოტანილი არქიტექტურული ფორმის, სამნავიანი ბაზილიკის, საფუძველზეა შექმნილი. გიორგი ჩუბინაშვილი თავის გამოკვლევებში უგუმბათო ეკლესიის ამ სახესხვაობის გაჩენას, გარდა საერთო შემოქმედებითი პროცესის აღმავლობისა, ლიტურგიულ-სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა გაზრდა-გართულებას უკავშირებს[1].

ხუროთმოძღვრების საერთო წინსვლისას არ არის გასაკვირი, რომ წარმოშობისთანავე სამეკლესიანმა ბაზილიკამ საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა და ძალზე სწრაფადაც განვითარდა. ნახევარი საუკუნე სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა შექმნილიყო ამ ტიპის ისეთი დახვეწილი ნიმუშები, როგორიცაა ზეგანი ყველაწმინდის, ნეკრესისა და ვაჩნაძიანის სამეკლესიანი ბაზილიკები.

ქართული ხუროთმოძღვრების პირველ მძლავრ აღმავლობას თავისი მიზეზები ჰქონდა. ერთი მხრივ, მას ხელი შეუწყო არქიტექტურული ფორმების უკვე ჩამოყალიბებულმა მხატვრულ-სტილისტურმა საფუძველმა და საკმაოდ განვითარებულმა მძლავრმა სამშენებლო ტრადიციამ, მეორე მხრივ კი წელში გამართულმა და გაძლიერებულმა ეკლესიამ, რომელიც, სავარაუდოა, რომ ამ დროისათვის უკვე საკმაოდ დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული სახით წარმოგვიდგება. ამას გვაფიქრებინებს აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა. 553 წლის საეკლესიო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო კონსტანტინოპოლში, განწმინდა ეკლესია მონოფიზიტთა, ნესტორიანელთა და სხვათა მოძღვრებისაგან და იზეიმა მართლმადიდებლობის გამარჯვება[2].

რწმენის განწმენდამ, დაკონკრეტებამ, ცხადია, ხელი შეუწყო საკულტო არქიტექტურის მეტ განვითარებას, ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის ფუნქციის უფრო მკაფიო გამოვლენას. თავის მხრივ, ფუნქციური დანიშნულების ჩამოყალიბებული სახე უფრო იოლად ეთანხმებოდა საკმაოდ განვითარებულ მხატვრულ ტრადიციებს და ურთიერთკავშირი ხშირად შესანიშნავი, მაღალმხატვრული ღირსების მქონე ძეგლების შექმნის საწინდარი ხდებოდა.

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, т. I, Тб., 1959, გვ. 198.

[2] იქვე, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა, რომ სამეკლესიიანმა ბაზილიკამ განსაკუთრებული გავრცელება კახეთში პოვა. აქ მრავლად ვხვდებით მხატვრული შთაბეჭდილებით დამთავრებულ სამეკლესიიან ბაზილიკათა მაგალითებს. ამ უაღრესად მაღალმხატვრულ ნიმუშებს უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ სოფელ რ უ ი ს პ ი რ- ში (ძველი არტოზანი) არსებული ორი ეკლესია, რომელთაგან ერთი ჩვენი აწინდელი კვლევის უშუალო ობიექტია.

რუისპირის ორივე ეკლესია სამეკლესიიან ბაზილიკათა რიცხვს მიეკუთვნება. ორივე ერთ ეპოქაშია აგებული და ბევრი საერთო ნიშნით ხასიათდება. ეკლესიები სოფლის საპირისპირო მხარესაა განლაგებული. ერთი — ყ ვ ე ლ აწ მ ი ნ დ ი ს სახელობისა — სოფლის თავში, მაღლობზეა აღმართული; მეორე—„წ მ. თ ე ვ დ ო რ ე—სოფლის ბოლოს დგას. ორივე, როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით ერთი დროისაა, მაგრამ ორი სულ სხვადასხვა ხასიათისა და მხატვრული პრინციპების მატარებელი, ხუროთმოძღვრის შემოქმედების ნაყოფია; ახლო მეზობლობისას ერთ ეპოქაში ორი სრულიად განსხვავებული მხატვრული იდეალი, და ამ სხვაობათა მიუხედავად, ორივე შესანიშნავი და უტყუარი ნიმუშია თავისი დროის არქიტექტურისა. თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტს უშუალოდ ყველაწმინდის ეკლესია წარმოადგენს, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის კავშირი და სხვაობა, რაც არსებობს ამ ორ ნაგებობას შორის, ვინაიდან მათი ურთიერთდაპირისპირება მკაფიოდ ავლენს ეპოქის თავისებურებას, განვითარების გარკვეულ ხაზს, ჩამოყალიბებულ მხატვრულ-სტილისტურ პრინციპებს და ამავე დროს, შემოქმედი პიროვნების თავისებურ, ინდივიდუალურ ნიშნებს.

ყველაწმინდის ეკლესია თელავიდან ახმეტაში მიმავალი სამანქანო გზის მარცხნივ, თურდოს ხევის ამაღლებულ ნაპირზეა აღმართული და აქამდე გაურკვეველი გეგმარების მქონე, ნანგრევებად ქცეული კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს[3]. საინტერესო და უცნაურიცაა რომ იგი, მიუხედავად სამანქანო გზასთან სიახლოვისა, საუკუნეთა მანძილზე შეუმჩნევლად დარჩენია ყველა მკვლევარს, ისტორიკოსსა თუ მოგზაურს. გ. ჩუბინაშვილსაც კი, რომელმაც იმავე სოფელში, გზის გადაღმა, წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია ინახულა და გამოიკვლია არაფერი ცოდნია ყველაწმინდის არსებობის შესახებ. ამჟამად, სპეციალურ სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ექსპედიციის მიერ ძეგლი გაზომილ იქნა და დასახულია მასზე ჩასატარებელი შემდგომი სამუშაოები.

ყველაწმინდის ეკლესია დღესდღეობით სავალალო მდგომარეობაშია. მიახლოვებისას მკაფიოდ იკითხება მისი გაშიშვლებული კონსტრუქციები: საბჯენი და კედლის თაღები, რაც მის იერს იმ იმპოზანტურობას და გახუმჟორებელ სიმშვენიერეს ანიჭებს, რომლის მატარებელი ძალიან ხშირად მხოლოდ და მხოლოდ ნანგრევებად ქცეული ძეგლი არის ხოლმე ( ფ. 1).

ამჟამად მთელი სიმაღლით მხოლოდ ცენტრალური ეკლესიაა შემონახული. გარშემოსავლელი, რომლის გარე კედელი არქეოლოგების მიერაა გამოვლენილი[4], უფრო მძიმე მდგომარეობაშია. იგი შიგნით მიწითა და ეკალბარდ-

---

[3] ც. ჩ ი კ ო ი ძ ე, ქალაქი თელავი, თბ., 1979, გვ. 24—27.

[4] არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებზე იხ. ც. ჩიკოიძის დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითაა ამოვსებული. ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით კირის ხსნარზე, რიგების ჰორიზონტალურობის დაცვით. კუთხეების, თაღების, პილასტრების ამოსაყვანად და კარ-სარკმელთა ღიობების მოსაჩარჩოებლად მეტწილად შირიმია გამოყენებული.

გეგმით ეკლესია სამეკლესიიანი ბაზილიკის ადრეულ ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება და შედგება მაღალი და ხალვათი ეკლესიისაგან, მასთან უშუალოდ დაკავშირებული ჩრდილოეთის პასტოფორიუმითურთ (სამხვერპლო) და სამმხრივი, ვიწრო და დაბალი გარშემოსავლელისაგან. გარშემოსავლელის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაწილები აღმოსავლეთით მცირე აფსიდით სრულდება (იხ. გეგმა).

ცენტრალური ეკლესიის არც თუ ისე განიერი, მაგრამ საოცრად მაღალი სივრცე ორი წყვილი პილასტრით სამ ნაწილად იყოფა. პილასტრები ორსაფეხუროვანია; წინა საფეხურიდან კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი, გვერდით ნათხალი პილასტრებიდან კი — კედლისა. კედლის თაღები ერთმანეთზე კარგა მორგებული შირიმის ქვითაა ამოყვანილი და ოდნავ ნალისებრი მოყვანილობისაა. რაც შეეხება კამარის საბჯენ თაღებს, ისინი უფრო დეფორმირებულია და აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით არის ნაგები. კაპიტელები შემორჩენილია მხოლოდ ნათხალ პილასტრებსა და აფსიდის კუთხეებში და მარტივი პროფილისაა (თარო და ვიწრო ჩაკვეთილი სიბრტყე იხ. გრძივი განაკვეთი).

აღმოსავლეთით ცენტრალური ეკლესია გაშლილი და ბრტყელი ფორმის აფსიდით მთავრდება. აფსიდი ეკლესიის იატაკის დონიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული და გამოყოფილია რიყის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვით ნაგები გვიანი კანკელით. აფსიდის ცენტრში ტრაპეზი ყოფილა აღმართული, ამჟამად მისი ძირის კვალიღაა შემორჩენილი. საკურთხევლის კედელი ძალიან რბილად გადადის კონქში. კონქიც ბრტყელია, ამოყვანილია შირიმით და ეკლესიისკენ იხსნება განიერი, ნალისებრი ფორმის მქონე თაღით, რომელიც აფსიდის კუთხის ვიწრო კაპიტელებზეა დაფუძნებული (იხ. განივი განაკვეთი).

აფსიდი ეკლესიის დარბაზულ სივრცეზე დაბალია და, ამიტომ, მის თაღს ზემოთ შუბლია ამოყვანილი. შუბლის სიბრტყე ამოზიდულია სატრიუმფო თაღის სიბრტყის მიმართ. მისი პირველი რიგის ქვების ძირები ისეა ჩაკვეთილი, რომ იგი სატრიუმფო თაღის სიბრტყეს უერთდება და თაღის მოხაზულობას იმეორებს (იხ. განივი განაკვეთი).

მთავარ ეკლესიაში ხუთი პარალელურწირთხლიანი სარკმელია გაჭრილი, რომელთაგან ოთხი კედლის თაღებით შემოსაზღვრულ სამივე მონაკვეთის შუაშია მოთავსებული და ბრტყლად არის გადახურული, საკურთხევლის სარკმელი კი თაღით სრულდება. გარდა სარკმლებისა, ეკლესია განათებულია სამი ძალიან მაღალი და ვიწრო შესასვლელით. შესასვლელები იდენტური ფორმისაა. ორი მათგანი ერთმანეთის საპირისპიროდ გრძივი კედლების შუაშია გაჭრილი, მესამე — დასავლეთი კედლის ცენტრში. შიგნიდან შესასვლელები ნალისებრი ფორმის თაღით სრულდება, გარედან კი ღია კვერცხისებრი მოყვანილობის ლუნეტით. სამივე შესასვლელს არქიტრავის ქვა აკლია, ხოლო მისი ბუდე ყველგანაა შემორჩენილი.

როგორც აღინიშნა, ცენტრალური ეკლესიის აფსიდს ჩრდილოეთიდან სამხვერპლო უერთდება, რომელიც ერთადერთი მაღალი და ვიწრო კარით

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფსიდის წინა სივრცეში გამოდის. სამსხვერპლო სწორკუთხა მოხაზულობისაა. იგი აღმოსავლეთი კედლის ცენტრში გაჭრილი ერთი სარკმლით იყო განათებული. სადღეისოდ სარკმლის მხოლოდ სამხრეთის წირთხლი და ძირია შემორჩენლი. სათავსის იატაკის ქვეშ საძვლე იყო მოწყობილი. ამჟამად კამარა ჩამოქცეულია, კედლები დაბზარულია, იატაკი კი აყრილია.

პასტოფორიუმს ჩრდილოეთის ეკლესია ეკვრის. აღმოსავლეთით იგი ნალისებრი მოხაზულობის ვიწრო აფსიდით მთავრდება. აფსიდის წყობა ცენტრალური ეკლესიის წყობასთან არის შეზრდილი და ფრაგმენტულადაა შემონახული. სამხრეთ კუთხეში თაღისა და კონქის საწყისია დარჩენილი, ჩრდილოეთის მხარე კი მთლიანად მორღვეულია, მხოლოდ დუღაბზე აქა-იქ შემორჩენილია საპირე წყობის ქვები. ეკლესიის დანარჩენი ნაწილი სადღეისოდ აღარ არსებობს.

მსგავსად არის გადაწყვეტილი სამხრეთი ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის წყობა ასევე ცენტრალურ ეკლესიასთანაა გადაბმული. ორივე კიდურა ეკლესიის სხვა ნაწილები მიშენებულია მთავარზე, ე. ი. მთავარი, პირველადი ბირთვი მშენებლობისა იყო ცენტრალური ეკლესია პასტოფორიუმითა და ჩრდილოეთისა და სამხრეთი ეკლესიების აფსიდებითურთ. მათი აგების შემდეგ, მშენებლობის მეორე ეტაპად ამ ორი ეკლესიის დანარჩენი მონაკვეთის და დასავლეთი ნაწილის ამოყვანა შეიძლება ჩაითვალოს. ჩრდილოეთის ეკლესიასთან შედარებით სამხრეთისა უფრო განიერი, ნახევარწრიული ფორმის მქონე აფსიდით სრულდება. სამხრეთის ეკლესიისაც მხოლოდ საკურთხეველია დარჩენილი, ისიც ძალზე ცუდ მდგომარეობაში. კონქი აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კუთხეში საწყისი ქვები. აფსიდის წინა სივრცეზე კამარა იყო გადაყვანილი, რომელიც სამხრეთი ეკლესიის დანარჩენი ნაწილისაკენ თაღით იხსნებოდა (ფ. 1.). სავარაუდოა, რომ სამხრეთის ეკლესია მთლიანად მსგავს მცირე მონაკვეთებად ყოფილიყო დაყოფილი; თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებლად იყო გადახურული, ხოლო იმის დადგენა, თუ როგორ უკავშირდებოდა ეს ნაწილები ერთმანეთს (კარითა თუ თაღით) ამჟამად შეუძლებელია. ამ ეკლესიის სამხრეთის კედელში, ცენტრალური ეკლესიის კარის პირისპირ, მისგან ოდნავ დასავლეთით, სვეტის ძირია დარჩენილი. როგორც ჩანს, სამხრეთის ეკლესია ამ სვეტზე დაფუძნებული ორი თაღით უკავშირდებოდა გარე სივრცეს.

გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილი, რომლითაც გვერდის ეკლესიები ებმის ერთმანეთს, სრულებით ყრუა. ჩრდილოეთის ეკლესიასთან იგი უშუალოდაა გაერთიანებული, ხოლო სამხრეთისა ცენტრალური ეკლესიის კუთხესთან, ტიხრით იყო მისგან გამოყოფილი და დასავლეთის კომპარტიმენტს კარით ან თაღით უკავშირდებოდა. გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილის კედლის შემორჩენილი სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება.

ვინაიდან კიდურა ეკლესიების მხოლოდ აღმოსავლეთის ნაწილებია შეზრდილი ცენტრალური ეკლესიის წყობასთან, უკანასკნელს მთელ პერიმეტრზე მიშენებული ჰქონდა კედელი, რომლიდანაც გადაყვანილი იყო გარშემოსავლელის კამარები. ახლა ამ კედლის ძირი ზოგან ფრაგმენტულად არის შერჩენილი.

ეკლესიის ინტერიერი ორჯერ იყო შელესილი. ნალესობის ზედა ფენაზე, გარშემოსავლელში, მხატვრობის კვალია გადარჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარედან ეკლესიას ბაზილიკური სილუეტი უნდა ჰქონოდა. ამჟამად არც კარნიზები და არც გადახურვები არ არსებობს, მაგრამ ეკლესიის შერჩენილი ნაწილები იძლევა საშუალებას ქანობების აღდგენისა. ეკლესია მოკლებულია ყოველგვარ დეკორს. ერთადერთი სამკაული საკურთხევლის სარკმლის პროფილირებული წარბია. იგი ძალიან სადა მოხაზულობისაა და შირიმის ერთ ქვაშია ამოკვეთილი (ფ. 2).

ამჟამად, გარშემოსავლელის დანგრევის შემდეგ, ფასადად მთავარი ეკლესიის გარე პირი აღიქმება. თავდაპირველად ეკლესიის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ფასადები ორ სიბრტყედ იკითხებოდა — ცენტრალური ეკლესის მოცულობისა და სამმხრივი გარშემოსავლელისა; ერთ სიბრტყედ მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი იყო მოცემული. ჩვენი მიზანია ძეგლის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დადგენა იმ ინდივიდუალური თავისებურებისა, რომლითაც ყველაწმინდის ხუროთმოძღვარი გამოირჩევა, თუმცა ცხადია, რომ ეს მთავარი ამოცანა გულისხმობს ძეგლის თარიღის დადგენის აუცილებლობას.

ძეგლის თარიღის დადგენაში მნიშვნელოვანი ადგილი გეგმის კომპოზიციის განხილვას ეთმობა. როგორც აღწერამ დაგვანახა, სამივე ეკლესია დასავლეთის გარშემოსავლელით არის გაერთიანებული, მას კი არსებითი როლი აკისრია ამ ტიპის ეკლესიათა განვითარებაში და მათი ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის მინიშნებაში. იგი გამოხატავს იმ ინდივიდუალურ, მხატვრულ თვალსაზრისსაც, რომელსაც ხუროთმოძღვარი კონკრეტული ძეგლის კომპოზიციურ გადაწყვეტაში ავლენს.

სამეკლესიან ბაზილიკებში დასავლეთის გარშემოსავლელის არსებობა კომპოზიციის განვითარების პროცესში წინ გადადგმულ ნაბიჯზე მეტყველებს. ჩვენ საქმე არა მარტო ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებულ რამდენიმე ეკლესიასთან გვაქვს, არამედ უკვე დასრულებულ, შეკრულ კომპოზიციასთან, რომელიც არც თითოეული ეკლესიის დამოუკიდებლობას არღვევს და, ამავე დროს, სამივეს გამაერთიანებელია. ამ, თითქოსდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ყრუ და ვიწრო ნაწილს ერთიანობაში მოყავს მთლიანი კომპოზიცია და იგი უფრო დასრულებული სახით გვევლინება.

გ. ჩუბინაშვილი დასავლეთის გარშემოსავლელის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ მოტივად მიიჩნევს ხუროთმოძღვრის სურვილს და, შესაძლოა, მოთხოვნილებასაც კი, შეუქმნას თითოეულ ეკლესიას დამოუკიდებელი შესასვლელი[5]. მაგრამ არსებობს მთელი რიგი ძეგლებისა, სადაც დასავლეთი გარშემოსავლელის არსებობისდა მიუხედავად, შესასვლელი გარედან მას არ გააჩნია. ე. ი. შესვლა კვლავ შესაძლებელია სამხრეთიდან, ანდა, ზოგ შემთხვევაში ჩრდილოეთიდან, და მხოლოდ ამ ერთ-ერთი კიდურა ეკლესიის გავლით ხვდება მნახველი ორ დანარჩენში.

მართალია, იმავდროულად არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩრდილოეთის ეკლესიიდან კარი ცენტრალურში არ არსებობს (წმ. შიო საბუეში VI ს[6]. ველისციხის სამეკლესიიანი ბაზილიკა VI ს-ის შუა წლები[7], და სხვა.) და ამი-

[5] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, т. I, გვ. 144.
[6] იქვე, გვ. 155.
[7] იქვე, გვ. 153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ მასში მოხვედრა დასავლეთის გარშემოსავლელიდან ხდება. ამგვარ ძეგლებში გარშემოსავლელის არსებობას თავისი ფუნქციური გამართლება აქვს.

ყველაწმიდის ეკლესიაში პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელ მიდგომას ვხედავთ, მიუხედავად ცენტრალური ეკლესიის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარისა, გარედან შესასვლელი შენობას ამ მხარეს არ გააჩნია. ე. ი. დასავლეთის გარშემოსავლელი ყრუ არის. ამიტომ, ჯერ კიდევ ძალაში რჩება მაარქაიზებული ნიშანი, ნიშანი, დამახასიათებელი ადრეული ეტაპის სამეკლესიიან ბაზილიკებისათვის (არა უგვიანეს VI ს-ისა), რომელიც მდგომარეობს დასავლეთის ფასადზე კარის უქონლობაში. ამგვარად, დასავლეთი გარშემოსავლელის არსებობა აქ არა ფუნქციური აუცილებლობით არის გამოწვეული, არამედ ამ სამი ეკლესიის დამაკავშირებელია და აღიქმნება მხოლოდ და მხოლოდ როგორც კომპოზიციის დამასრულებელი, შემკვრელი ელემენტი.

სამეკლესიიანი ბაზილიკების მომდევნო ჯგუფში, რომელიც ქრონოლოგიურად VI ს-ის დასასრულით და VII ს-ით შემოიფარგლება, დასავლეთის გარშემოსავლელი თითქმის ყველა ნიმუშში (გამონაკლისს ვაჩნაძიანის ამიდასტური წარმოადგენს)[8] კარით უკავშირდება გარე სივრცეს და, ამასთან ერთად, ინტერიერში კიდურა ეკლესიებთან არის გაერთიანებული.

მეორე მნიშვნელოვან მათარიღებელ ნიშნად შეიძლება სამხრეთი ეკლესიის ყრუ აღმოსავლეთის აფსიდი ჩაითვალოს. სამხრეთი ეკლესიის ასეთი გადაწყვეტა აგრეთვე დამახასიათებელია VI ს-ის მეორე ნახევრის სამეკლესიიანი ბაზილიკებისათვის. თუ ამ ტიპის ადრეულ ნიმუშებში (ქვემო ბოლნისი[3], ვანათი)[10]. არც ერთი გვერდითი ეკლესიის აფსიდი არ იყო განათებული, მომდევნო, VI ს-ის მეორე ნახევრის სამეკლესიიან ბაზილიკებში, მას შემდეგ, რაც გვერდითი ეკლესიების აღმოსავლეთ ნაწილში ჩნდება დამოუკიდებელი, მხოლოდ ცენტრალური ეკლესიის აფსიდისწინა სივრცესთან დაკავშირებული სათავსები — სამხვეერპლო და სადიაკვნე, — მათ აღმოსავლეთ კედელში, როგორც წესი, სარკმელი არის ხოლმე გაჭრილი. VI ს-ის მეორე ნახევარში, ამ ტიპის ეკლესიათა კომპოზიციის განვითარებასთან დაკავშირებით, პასტოფორიუმების გამოყოფის პირველ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ძეგლები, სადაც ჯერ მხოლოდ სამხვეერპლო არსებობს, ხოლო სამხრეთის ეკლესია ცენტრალურს მთელ სიგრძეზე გასდევს და ადრეული ნიმუშებივით (ქვემო ბოლნისი[9], ვანათი)[10], მის აღმოსავლეთ კედელში სარკმელი არ არის გაჭრილი. ასეთი ტიპის ეკლესიებია ქასური გიორგი[11], კონდამიანი[12], კალაური და ორივე რუისპირი. შემდეგი ეტაპი კომპოზიციის განვითარებისა, რომელიც IV ს-ის დასასრულისა და VII ს-ის დასაწყისის ძეგლებს მოიცავს, მეტი გაწონასწორებულობითა და სიმეტრიით ხასიათდება; ცენტრალური ეკლესიის აფსიდის ორივე მხარეს ოთხკუთხა პასტოფორიუმებია გამოყოფილი, რომელნიც უშუალოდ აფსიდის წინა სივრცეს უკავშირდებიან. ცხადია, რომ ამ სათავსთა ასეთი იზოლაცია მის გაგრძელებაზე მდებარე ეკლე-

8 Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, გვ. 177.
9 Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, გვ. 104.
10 იქვე, გვ. 109.
11 იქვე, გვ. 157.
12 იქვე, გვ. 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიისაგან დამოუკიდებელ განათებას ითხოვდა, აქედან, პასტოფორიუმების გაჩენასთან ერთად, მის აღმოსავლეთ კედელში უცვლელად და მუდმივად იჭრება სარკმელი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ეკლესია აგებულია არა უგვიანეს VI ს-ის II ნახევრისა. ამავე თარიღის მანიშნებელია ძეგლზე გამოყენებული ღია ლუნეტი და პარალელური წირთხლების მქონე სარკმლები. ეს ორი არქიტექტურული ფორმა ქართული ხუროთმოძღვრების პრაქტიკაში ადრეულ პერიოდში იხმარებოდა.

ღია ლუნეტი ქართული არქიტექტურის ძეგლებში იშვიათად გვხვდება, თუმცა იგი საკმაოდ ზუსტად შემოფარგლავს დროის იმ მცირე მონაკვეთს, როცა მისი გამოყენება წარმოებდა: ბოლნისის სიონი (V ს.)[13], ანჩისხატი (VI ს.)[14], ვანათის სამეკლესიიანი ბაზილიკა (VI ს.)[15], ლუნეტი ყოფილა ურბნისის ბაზილიკაშიც (V—VI სს)[16] და ზღუდერის მცირე დარბაზულ ეკლესიაშიც, რომელსაც ლ. რჩეულიშვილი ზღუდერის ძეგლების განხილვისას ზუსტად არ ათარიღებს, თუმცა ზოგადად ადრინდელი ხანის ძეგლთა რიცხვს მიაკუთვნებს[17]. არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ყიზილ-დერესის (აგარა), ეკლესია ჯავახეთში, რომელიც ქართული არქიტექტურის ისტორიის გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება და რომლის დასავლეთ შესასვლელს, მსგავსად ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა, ღია ლუნეტი აქვს. მაგრამ ვითვალისწინებთ რა ამ რეგიონის ძეგლებში ადრეული ხანის არქიტექტურული ფორმებისა და ცალკეული ელემენტების გამოყენების მკაფიოდ გამოვლენილ მიდრეკილებას, ღია ლუნეტის არსებობა გარდამავალი ხანის ამ ძეგლში არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ.

ამვარად, ღია ლუნეტი ქართულ არქიტექტურაში უფრო ხშირად VII ს.-ზე ადრე იხმარება, ხოლო მოგვიანებით მკაფიოდ მაარქაიზებულ ძეგლებში გვხვდება, ამიტომაც იგი თამამად შეიძლება მათარიღებლად ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ჩვენს ძეგლში საქმე გვაქვს ისეთი ჩამოყალიბებული მხატვრულ-სტილისტური პრინციპებისა და სრულიად თვითმყოფადი სახის მქონე კულტურულ რეგიონთან, როგორსაც კახეთი წარმოადგენს. ამ რეგიონის ფარგლებში კი ეს საერთო განვითარების გზა ძალაში რჩება.

დამახასიათებელი და მათარიღებელია სარკმელთა პარალელური წირთხლები. პარალელურ წირთხლებიანი სარკმლები ჩვენ გვხვდება ადრეული პერიოდის ისეთ უძველეს ძეგლებში, როგორიცაა ბოლნისის სიონი (V ს.)[18], აკა-

---

[13] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, Тб., 1940, გვ. სურ. 4. გვ. 55. სურ. 23.

[14] რ. გვერდწითელი, ანჩისხატის რესტავრაცია „ძეგლის მეგობარი“, № 7, თბ., 1966.

[15] Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства т. I. გვ. 110,

[16] პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.

[17] Ars Georgica, № 2, თბ., 1942, გვ. 39. სურ. 16.

[18] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, გვ. 8, ნახ. 1, გვ. 40, ნახ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1. რუისპირის ყველაწმინდის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 2. რუისპირის ყველაწმინდის ეკლესიის აღმოსავლეთის სარკმელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რუისპირის ყველაწმინდის ეკლესიის გრძივი განაკვეთი



რუისპირის ყველაწმინდის ეკლესიის გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




რუისპირის ყველაწმინდის ეკლესიის განივი განაკვეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ურთა (V—VI სს.)[19], ანჩისხატი (VI ს.)[20], ურბნისი (VI ს.)[21], ხაშმი (V—VI სს)[22]), ერელაანთ საყდარი (V—VI სს.)[23], დვანი (VI ს.)[24]. ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები დროის მცირე მონაკვეთს (დაახლოებით ორ საუკუნეს) მოიცავს. ხოლო თუ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თვით სამეკლესიიანი ბაზილიკა წარმოიშვა VI ს-ის შუა წლებში (რაც, თავისთავად ცხადია, გამორიცხავს V ს-ეს), რუისპირის ყველაწმინდის ეკლესიის აშენების თარიღი უდავოდ VI ს-ის მეორე ნახევარს არ სცილდება.

ამგვარად, ზემოხსენებული ყველა არქიტექტურული ელემენტი მიგვანიშნებს ძეგლის აგების თარიღზე, ე. ი. ათავსებს მას VI ს-ის მეორე ნახევარში. ამ თარიღის დასაზუსტებლად მივმართოთ ძეგლის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზსა და კომპოზიციის გარჩევას. ამ ტიპის ეკლესიათა განხილვასთან დაკავშირებით, თავიდანვე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: სამეკლესიიანი ბაზილიკა წარმოქმნის პირველივე ეტაპიდან საკმაოდ ჩამოყალიბებულ და სრულ სახეს ატარებს და ამიტომ დროში მისი მკვეთრი და მკაფიო დიფერენციაცია რთულდება; დათარიღებაში მეტი ყურადღება ექცევა „არა ცალკეული ფორმების მეტ გააზრებასა და შეთანხმებას, არამედ შემოქმედებითი აქტის საერთო შთაბეჭდილებას ცალკეული ნიმუშების აგების დროს“[25].

აქედან ცხადი ხდება, რომ ცალკეული ელემენტებისა და არქიტექტურული ფორმების განხილვა ძეგლისგან მოწყვეტით, მთლიანი კომპოზიციისაგან გათიშვით — შეუძლებელია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკლესიის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს.

ყველაწმინდის ეკლესია ეულად დგას სასაფლაოს სიღრმეში და მისი სილუეტი მკაფიოდ იკითხება ღია ცის ფონზე (ფ. 1, 2,). მისადგომი ძეგლს დღესდღეობით დასავლეთი მხრიდან აქვს. არაფერი უშლის ხელს მისი ფასადების მთლიანობაში აღქმას. ცენტრალური ეკლესია ზემოთაა ატყორცნილი და მის ასეთ „ნახტომს“ თითქოსდა აჩერებს სამმხრივად, სალტესავით შემოვლებული გარშემოსავლელი. ეს უკანასკნელი მეტ სიმყარესა და სიმკვრივეს ანიჭებს ეკლესიას, ხოლო მისი დახვეწილი, მაღალი პროპორციები მას თავშეკავებულობასა და სიმშვიდეს მატებს. ამავე დროს, გარშემოსავლელის არსებობა ხელს არ უშლის თითოეული ფასადის ცალკე, დამოუკიდებლად წაკითვას, თუმცა მათ ერთმანეთთან აკავშირებს კიდეც.

ბაზილიკის გარე იერი წარმოდგენილია მკაფიო გეომეტრიული ფორმებისა და მოცულობების ურთიერთდაპირისპირებით, რომელიც შექმნილია თავისთავში დასრულებული, სადა კედლის სიბრტყეებით. აქ არაფერია ზედმეტი. ფასადთა მხატვრული ზემოქმედების ძალა ამ სადა კედლებს აკისრია. საინტე-

---

19 Ars Georgica, №2, გვ. 22, სურ. 1, 2, 3, 4.

20 რ. გვერდწითელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, ზედა ფოტო.

21 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 92, სურ. 19—20.

23 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 56—57 (გეგმა და გრძივი ჭრილი).

23 Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, გვ. 45.

24 Н. Г. Чубинашвили, Двани, храмы Грузии типа «croix Libre» и вписанного в прямоугольник креста», в VI—VII вв. (იხ. Сборник: средневековое искусство. Русь. Грузия, М., 1978; გვ. 10 (გეგმა).

25 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რესოა, რომ ჟამთა სვლამ ეკლესიის გარე პერანგს ფერი შეუცვალა და ამჟამად კედლის სიბრტყეს აცოცხლებს რიყის ქვების სხვადასხვა შეფერილობა (ღვინისფერი, რუხი, წითელი, ჟანგისფერი). და ეს ყველაფერი ყვითელი ფერის შირიმის ჩარჩოშია მოქცეული. იგივე შირიმის ჩარჩო თითქოსდა აწესრიგებს სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, თუმცა თარაზულად სწორად ჩაწყობილ რიყის ქვების წყობასაც. ამით ცალკეული ფასადის კედლის სიბრტყე მეტად არის გაცოცხლებული და მიღწეულია სიბრტყის ზედაპირზე კომპოზიციის მთლიანობა (ამჟამად ვგულისხმობთ ფასადის ცალკეული სიბრტყის დამოუკიდებელ, თავისთავად კომპოზიციას). ეკლესიის ფასადთა ასეთი გადაწყვეტა შეიძლება მივაწეროთ არა მარტო დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ და განვითარებულ სამშენებლო ხელოვნების პრაქტიკას, არამედ იმ მხატვრულ თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვით თითოეული მოცულობა მკვეთრად ხაზგასმულია და ჩაკეტილია თავის თავში. აქედან გამომდინარე იქმნება მკვრივი, შეკრული, დასრულებული ფორმა. ამასთანავე, ღიადების მკაცრი ხაზგასმა და სისადავე მეტ ტექტონიკურობას ანიჭებს ფასადს.

ეკლესიის ინტერიერიც საინტერესოდ არის გადაწყვეტილი. ეკლესიათა ურთიერთკავშირი ინტერიერშიც კონტრასტზეა დამყარებული. მაღალი, ზეაზიდული და კარგად განათებული ცენტრალური ეკლესია და უფრო დაბალი, ვიწრო და არათანაბრად განათებული გვერდის ეკლესიები. ასეთი გადაწყვეტა გამომდინარეობს არა მარტო თვით ტიპის ფუნქციური ბუნებიდან (ცენტრალური მთავარი ეკლესია უფრო მნიშვნელოვანი და დიდი წირვების, თუ სხვა საკულტო სასწაულებისა და რიტუალების ჩასატარებლად იყო გამოყენებული, გვერდითებში კი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი, მცირე წირვები მიმდინარეობდა), არამედ არქიტექტურულ-ტექტონიკური, მხატვრული გააზრებიდანაც. ეკლესიის მთავარ, ცენტრალურ სივრცეში ვხვდებოდით არა უშუალოდ, არამედ გვერდის, კერძოდ, სამხრეთის ეკლესიის გავლით. ამგვარად, შესვლისთანავე მნახველი საკმაოდ ვიწრო მონაკვეთებად დაყოფილ სივრცეში ხვდება. აფსიდი, რომელიც ამ ეკლესიის აღმოსავლეთ კიდეშია, არ არის განათებული. განათება ოდნავ თუ აღწევს იქამდე შესასვლელიდან, ხოლო თუ გავითვალისწინეთ ამ ეკლესიაში სივრცის მკვეთრ მონაკვეთებად დაყოფა, ნათელია, რომ შუქი აფსიდს თითქმის არ სწვდებოდა და არც მნახველი შეაჩერებდა მასზე თვალს. ყურადღება შესასვლელის პირდაპირ გაჭრილ კარზეა გადატანილი. გარედან შემოსული განათება თითქმის მთელი სიძლიერით უმთავრესად ამ შესასვლელისკენ არის მიმართული, ხოლო ამ უკანასკნელის ფორმა — მაღალი ღიობი, ღია კვერცხისებური ფორმის ლუნეტით, თითქოსდა მთლიანად ისრუტავს ამ სინათლეს და ცხადია, მეტად იზიდავს მნახველს ცენტრალურ ეკლესიაში. ხოლო როდესაც იგი დაბინდული, დაბალი და ვიწრო ეკლესიიდან უეცრად მაღალ, განათებულ და ხალვათ ეკლესიაში ხვდება, ყველა იმ კომპონენტს, რომლითაც განსხვავდება ცენტრალური ეკლესია კიდურა ეკლესიებისაგან, იგი კიდევ უფრო მკაფიოდ და მთელი არსებით შეიგრძნობს.

ამგვარად, ეკლესიათა ურთიერთკავშირში მკაფიოდ იგრძნობა დიფერენციაცია მთავარსა და ნაკლებად მნიშვნელოვან, გვერდის ეკლესიებს შორის ეს უკანასკნელი აშკარად დამორჩილებული, დაქვემდებარებული არიან მთავარ, ცენტრალურ ეკლესიას. მაგრამ, ამავე დროს, შენარჩუნებულია ცალკეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი ფორმის ფუნქციური და ნაწილობრივ მოცულობრივი თავისთავადობაც. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ამ ეკლესიათა მკვეთრ იზოლაციას, რაც ცხადია, მეტ სივრცობრივ დამოუკიდებლობასაც ანიჭებს ეკლესიებს.

ცენტრალური ეკლესიის ინტერიერში ორი წყვილი მაღალი, მოხდენილი პილასტრი კედელს სამ ტოლ ნაწილად ყოფს (იხ. გრძივი განაკვეთი). კედლის ამ მონაკვეთთა თანაბარი რიტმი, ზეაზიდული, დახვეწილი პროპორციები და ძლიერი და თანაბარი განათება ეკლესიის შიდა სივრცეს სიმშვიდესა და ჰარმონიულობას მატებს. ეკლესიის ინტერიერი მოკლებულია ყოველგვარ შემკულობას, კედლის თაღსაც კი აქ მკაცრად კონსტრუქციული დანიშნულება აკისრია. მათი ტექტონიკურობის შეგრძნებას ძალზე ამძაფრებს ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა, როცა კედლის ზედა ნაწილები და კამარა ჩამოქცეულია, რამაც გააშიშვლა კედლისა და საბჯენი თაღები, რომელნიც აშკარად კარკასის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ მკვეთრად ხაზგასმულ ტექტონიკურობას არაფერი არღვევს. ხუროთმოძღვარი შესანიშნავად შეიგრძნობს შენობის სტრუქტურას და ამ სტრუქტურის გამოყოფა და გამოვლენა მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენი ეკლესიის ინტერიერში გამოვლენილია დახვეწილი პროპორციების მქონე კონსტრუქციული კარკასი, შევსებული კედლის სადა, ლამაზი წყობით. ინტერიერის სიმკაცრე და ტექტონიკურობა ხელს უწყობს სივრცის მთლიანობაში, ერთიანად აღქმას. ამასვე ემსახურება ყველა არქიტექტურული ელემენტის სადა და, ამავე დროს, დახვეწილი ფორმა. შიდა სივრცის ძალიან აზიდული, მაღალი პროპორციების პილასტრებს უმნიშვნელო ზომის, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი კაპიტელები ამთავრებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი არქიტექტურული ფორმის მეორეზე გადასვლის ზღვარს მიგვანიშნებს (იხ. განაკვეთები). სივრცის მთლიანობა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ კამარა უშუალოდ კედლის სიბრტყიდან არის გამოზრდილი და კედელსა და მას შორის გამყოფი ზღვარი არ არსებობს.

ეკლესიაში მთავარი ყურადღება ექცევა ცენტრალურ დარბაზულ სივრცეს. აფსიდი, რომელიც ამთავრებს ამ სივრცეს აღმოსავლეთით, ნაკლებად მნიშვნელოვანია და მხოლოდ სივრცის შემკვრელ, დამასრულებელ მოცულობად იკითხება. აფსიდის მხატვრულ-სივრცობრივი მნიშვნელობის დაქვეითება გამოწვეულია, ერთი მხრივ, მისი მცირე ზომით (სიმაღლით, იგი მხოლოდ კედლის თაღების დონეს აღწევს, ხოლო იატაკიდან ორი მაღალი საფეხურითაა ამაღლებული), მეორე მხრივ, კი მისი საკმაოდ ბრტყელი, გაშლილი ფორმით. (იხ. განაკვეთები). ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ძველად კანკელიც არსებობდა, ეს გარემოება მეტ სიმყუდროვესა და დამოუკიდებლობას მიანიჭებდა აფსიდს.

სივრცის ამ ნაწილთა გათიშულობის შეგრძნებას არსებითად არბილებს და ანეიტრალებს განათება. როგორც ვიცით, ეკლესიის დარბაზული სივრცე განათებულია სამი წყვილი სარკმლით და სამივე კედელში გაჭრილი მაღალი კარებით, ამათგან თავის დროზე შუქის მიმცემი მხოლოდ სამხრეთის შესასვლელი უნდა ყოფილიყო, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილოეთისა, რომლებიც ყრუ და ბნელ გარშემოსავლელში გადიოდა, არაფერს მატებდა განათებას. მაგრამ მაღალი, პარალელურ წირთხლებიანი სარკმლები და თაღოვანი კარი—საკმაოდ უხვ შუქს ჰფენდა ცენტრალური ეკლესიის დარბაზულ სივრცეს. ხოლო საკურთხევლის ერთადერთი სარკმელი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ამ მცირე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აფსიდის სივრცის გასანათებლად. მაგრამ დაბლა გაჭრილი სარკმელი და ნაგულისხმები კანკელის კედელი ნაწილობრივ აფერხებდა შუქის გამოყონვას დარბაზულ სივრცეში და ამიტომ საკურთხეველში განათება შედარებით უფრო ლოკალური ხასიათისაა.

ამგვარად, აქ, ერთი მხრივ, საკურთხეველი მეტ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს (ეს კონკრეტულად ვრცელდება კანკელის სიმაღლის არეში) და ამავე დროს, მეორე მხრივ, კონქის ფარგლებში, სივრცე ერთიანდება თითქმის ერთნაირი სიმძლავრის განათებით. აქედან გამომდინარე, აქაც, მოცულობათა ნაწილობრივი გათიშვისდა მიუხედავად, საბოლოოდ მიღწეულია სივრცის მთლიანობა. ამ სხვაობისა და კონტრასტის ნიველირებას ხელს უწყობს აფსიდის დაბალი შუბლი, რომლის საფეხუროვნება იძლევა გადასვლას დარბაზული სივრცის კამარასა და სატრიუმფო თაღს შორის.

ყველაწმინდის ეკლესიის ინტერიერის მხატვრული სახისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თაღს, გაფორმების ერთადერთსა და ამიტომაც უარსებითეს ელემენტს. ეს არქიტექტურული ფორმა ხუროთმოძღვარს შიდა სივრცის ლაიტმოტივად აქვს გააზრებული. თაღის დეკორაციულ ელემენტად გამოყენება თავისთავად არ არღვევს ძეგლის ტექტონიკურობას: თაღი აქ ორმაგ დატვირთვას განიცდის. მთავარი, წამყვანი მისი კონსტრუქციული მნიშვნელობაა (კედლისა და საბჯენი თაღები), როგორც განმტვირთავი ფორმისა და, ამავე დროს, თაღების მოხაზულობის სხვადასხვაობა და ურთიერთდაპირისპირება მხატვრული ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ფაქტორიცაა.

ძეგლში თაღის ყველა იმხანად ცნობილი სახეობაა გამოყენებული: ოდნავ ნალისებრი, კვერცხისებრი, ნახევარწრიული, მკაფიოდ ნალისებრი.

თაღს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მთავარ, არამედ გვერდის ეკლესიებშიც. ამ მხრივ საინტერესოა სამხრეთის ეკლესია. სამხრეთი ეკლესიის შერჩენილ აღმოსავლეთ ნაწილში, აფსიდის თაღის მონახაზი მეორდებოდა აფსიდის წინა სივრცის გადახურვის (კამარის) მოხაზულობაში (ფ. 1).

თაღის სიყვარულმა, მხატვრული მნიშვნელობის ღრმა გააზრებამ გააკეთებინა ხუროთმოძღვარს საფეხური მთავარი ეკლესიის საკურთხევლის თაღის თავზე, რომელსაც აფსიდის შუბლი ქმნის. როგორც აღვნიშნეთ, მცირე შუბლის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს სივრცის ნაწილთა შესაკავშირებლად. ამავე დროს, იმეორებს რა სატრიუმფო თაღის მოხაზულობას, იგი დეკორაციული ეფექტის მატარებლადაც გვევლინება. აღსანიშნავია, რომ სივრცის კოორდინაცია — გაფორმების მხრივ დიდად საგულისხმო ეს ელემენტი მოკლებულია რაიმე დანიშნულებას —ასასვლელის უქონლობა გამორიცხავს მის მიღმა სამალავის მოწყობას.

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური ეკლესიის სამივე კედელში მაღალი, თაღოვანი კარია აჭრილი (ფ. 1). კარების ასეთი დიდი ღიობი, რომელიც შიგნიდან მშვენიერი, ნალისებური თაღით სრულდება, გარედან კი კვერცხისებრი ფორმის ლუნეტით — განათების მხრივ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი უშუალოდ გარე სივრცეს არ უკავშირდება. სამაგიეროდ, შესასვლელს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული კედლის კომპოზიციისთვის, რადგანაც კარის მაღალი ღიადი ამსუბუქებს, ატყორცნილს ხდის კედლის ყრუ სიბრტყეს და, ამავე დროს, ცენტრალური ეკლესიის მთლიანი

გაფორმების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. შესასვლელის თაღის მონახაზი ეპასუხება კედლის თაღების აწყობილ, თანაბარ რიტმს. კომპოზიციის ასეთი გააზრება — ყველა ელემენტის აუცილებლობა და მათი ურთიერთკავშირი — მიგვინიშნებს, რომ ყველაწმინდის ხუროთმოძღვარი გამოირჩეოდა უაღრესი არტისტიზმითა და დახვეწილობით.

ჩრდილოეთი პასტოფორიუმის (სამხვეეპლოს) გამოყოფა და მისი უშუალო კავშირი აფსიდისწინა სივრცესთან მოწმობს კომპოზიციის განვითარებას, რომელიც გამომდინარეობს სამეკლესიანი ბაზილიკის პრინციპებიდან. ამ უკანასკნელში მთავარია არა გრძივი ღერძის ხაზგასმა, არა კავშირი ჩრდილოეთ პასტოფორიუმისა მის გაგრძელებაზე მოცემულ ეკლესიასთან, არამედ სრული იზოლაცია ამ ერთ ღერძზე განთავსებული ორი მოცულობისა; ე. ი. იმ ფუნქციის ხაზგასმა, რომელიც სამეკლესიანი ბაზილიკების წარმოქმნასთან იყო დაკავშირებული. ცენტრალურ ეკლესიაში კი პილასტრებისა და კედლის თაღების გარკვეული რიტმული განლაგებით ხაზგასმულია გრძივი ღერძი. კედლის ასეთ მონაკვეთებად დაყოფა ასოციაციას იწვევს სამნავიან ბაზილიკებთან, ვინაიდან სამეკლესიან ბაზილიკებში ცენტრალური ეკლესიის კედლების პილასტრებითა და კედლის თაღებით დაყოფა იშვიათია და თუ გამოიყენება, ისიც მხოლოდ მოგვიანო პერიოდის ძეგლებში (იხ. გეგმა).

მსგავსი გადაწყვეტაა ამავე სოფელში წმინდა თევდორეს სახელობის სამეკლესიან ბაზილიკაში, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი VI ს-ის შუა წლებს მიაკუთვნებს[26].

წმინდა თევდორეს ეკლესიასთან ჩვენს ძეგლს არა მარტო ადგილმდებარეობა აკავშირებს, არამედ მათ კომპოზიციურადაც ბევრი საერთო მოძებნა აქვთ. ამიტომ არ იქნებოდა ზედმეტი მოკლეთ შევეხოთ წმინდა თევდორეს სამეკლესიიან ბაზილიკასაც.

გეგმით წმინდა თევდორეს ეკლესია თითქმის ზუსტად იმეორებს „ყველაწმინდის" კომპოზიციას და წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ ეკლესიას, რომლებიც ერთმანეთს გრძივ კედელში გაჭრილი, ერთ ღერძზე მოთავსებული კარებით უკავშირდება. ცენტრალური ეკლესია გვერდითებზე ბევრად უფრო მაღალი და განიერია და აღმოსავლეთით ღრმა, ნალისებრი ფორმის აბსიდით მთავრდება. ცენტრალური ეკლესიის კედელი, ისევე როგორც ყველაწმინდის ეკლესიაში, ორი წყვილი პილასტრით სამ ნაწილად არის გაყოფილი.

ამ ორი ეკლესიის განმასხვავებელი მხოლოდ წმ. თევდორეს საყდარში დასავლეთი გარშემოსავლელის უქონლობაა. ეკლესიათა ასეთი მსგავსება განამოწვეულია მათი თითქმის სინქრონული აგებით. მაგრამ ამ მსგავსებათა მიუხედავად, საგრძნობია აშკარა სხვაობა სივრცის გააზრებაში, მიდგომაში, მხატვრულ თვალთხედვაში. აქ საქმე გვაქვს ორ სრულიად სხვაგვარი ბუნების, ტემპერამენტისა და ხასიათის მქონე ხუროთმოძღვართან. ყველაწმინდის შემოქმედი უფრო არტისტული ბუნებით ხასიათდება, მისი შემოქმედება მეტი დახვეწილობითა და მოქნილობითაა აღბეჭდილი. ყველაწმინდის ეკლესია უფრო იმპოზანტურია და მაღლობზე აღმართული უფრო თავმომწონედ გამოიყურება, მისი შემოქმედი გამოირჩევა უაღრესად ნატიფი დეკორაციული ნიჭით,

---

[26] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 147—149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ავლენს არა ცალკეულ მცირე დეტალებსა და ელემენტებში; ამ მხატვრული დატვირთვის გამომხატველია ძეგლის მთავარი წამყვანი კონსტრუქციული ნაწილები, მისი კონსტრუქციული კარკასი, კედლის და კამარის საბჯენი თაღები, კარის ღიობების დამასრულებელი ლუნეტის თაღები აქ აღიქმება, როგორც დახვეწილი, მოხდენილი სტრუქტურა. ხუროთმოძღვარი შესანიშნავად შეიგრძნობს შენობის არქიტექტონიკას, გამოავლენს მას ნატიფი არქიტექტურული ფორმების საშუალებით. ეკლესიის „ჩონჩხის" ყველა კონსტრუქციულ ნაწილს მხატვრულ-დეკორაციული მნიშვნელობა ენიჭება.

სულ სხვაგვარად აზროვნებს წმ. თევდორეს ეკლესიის ხუროთმოძღვარი. მისთვის მთავარი და წამყვანია მონუმენტური, ერთიანი სივრცე, რომელსაც იგი ყველაფერს უქვემდებარებს. ეკლესიის თავშეკავებული პროპორციები მეტ სიმძლავრეს ანიჭებს მას. აღსანიშნავია თვით ადგილმდებარეობაც. თუ ყველაწმინდის ეკლესია მაღლობზე, სოფლის თავშია აღმართული, იზიდავს ყურადღებას თავისი ატყორცნილი პროპორციებით, წმ. თევდორეს ეკლესია სოფლის ბოლოში, მის ყველაზე დაბალ ადგილზეა აგებული, იქ, სადაც სოფლის დამრეცი ფერდობი ალაზნის ველის ვაკეს უერთდება და მისი მკვრივი, შეკრული, მონუმენტური მასა იკითხება როგორც დამასრულებელი, მძლავრი წერტილი.

ასევე საგრძნობლად განსხვავდება ინტერიერიც. როგორც აღვნიშნეთ, კედლის თაღები ორივე ძეგლის ცენტრალური ეკლესიის კედლებს ამკობს. ორივე ეკლესიაში მათ აშკარად კონსტრუქციული დანიშნულება აკისრია (კამარის განმტვირთავი ელემენტია). მაგრამ რაოდენ განსხვავებულია მათი ხასიათი და რარიგ სხვადასხვა შეგრძნებას ბადებენ ისინი! ყველაწმინდის ეკლესიაში კედლის თაღების მალები თითქმის ტოლია (იხ. გრძივი განაკვეთი) ესე იგი, ისინი თანაბარ რიტმს ქმნიან და ეკლესიის კედელს სამ ტოლ ნაწილად ყოფენ. ამიტომაც უფრო მკაფიოდ შეიგრძნობა მათი კონსტრუქციული მნიშვნელობა. კედლის სიბრტყის ასეთი დანაწევრება მკაფიო და მკვეთრად წარმოგვიდგენს შენობის კარკასს, რომელიც თითქოსდა შემდგომ შეავსეს წყობით. კარდინალურად განსხვავებული დანაწევრებაა წმ. თევდორეს ეკლესიაში, კედლის თაღების მალები აქ არატოლია[27]. დასავლეთის თაღი ეკლესიის კედლის ნახევარს შემოფარგლავს, ხოლო კედლის აღმოსავლეთის ნახევარი, ორი ტოლი მცირე თაღით არის დაყოფილი, და აფსიდისაკენ აჩქარებულ რიტმს ქმნის. გარდა ამისა, დასავლეთი კედლის თაღი დიდი მალის გამო უფრო ტლანქი ფორმისაა, ხოლო აღმოსავლეთით იცვლება ორი ძალზე მოხდენილი, მკაფიო ნალისებური ფორმის მქონე თაღით. ძალზე მნიშვნელოვანია კედლის სიბრტყესთან მათი შეფარდებაც. კედლის თაღები აქ ძალზე მაღლაა განლაგებული, ისე რომ, აღქმის დროს თვალისთვის მაინც პირველადი და წამყვანია სადა, მძლავრი კედლები და შემდეგ უკვე კედლის თაღები, რომელნიც ყველა ჩამოთვლილი მიზეზების გამო (აჩქარებული, არათანაბარი რიტმი, სიმაღლე) უფრო დეკორაციულ ხასიათს ატარებს. ისინი თითქოს ამკობენ, ასრულებენ ამ მძლავრ კედლებს და, გარდა ამისა, მათი აფსიდისაკენ მიმართული სვლა თითქოსდა მისკენ იქცევს მნახველის ყურადღებას, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი

---

[27] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 149 (გრძივი განაკვეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილი, ღრმა, ნალისებრი მოყვანილობით მეტი სივრცის შემცველია და აღიქმება არა მარტო როგორც დამასრულებელი ნაწილი, არამედ როგორც მთავარი, უმნიშვნელოვანესი სივრცობრივი ერთეული. მისი ნალისებური ღრმა ფორმა კრავს, ამთავრებს შიდა სივრცეს. ამასვე ხელს უწყობს ის, რომ ყველაწმინდის ეკლესიისაგან განსხვავებით, ზღვარი აფსიდსა და დარბაზულ სივრცეს შორის არ არსებობს. ეს ორი ტოლფასოვანი მოცულობა ერთმანეთშია შეზრდილი. სივრცის ამგვარი ერთიანობა, მძლავრი ურთიერთკავშირი მონუმენტურობისა და სიძლიერის შთაბეჭდილებას ახდენს. ყველაწმინდის შემოქმედისათვის კონსტრუქციული ნაწილები ამავე დროს დეკორაციული ელემენტებიც იყო. წმ. თევდორეს ამშენებელი ოსტატი სხვაგვარად აზროვნებს. მასთანაც. რა თქმა უნდა, სამკაულის როლს ტექტონიკური ფორმები ასრულებს, მაგრამ ტექტონიკური და დეკორაციული აქ თითქოს გათიშულია. ძალოვანი კონსტრუქციის ხაზგასმით იქმნება შეპირისპირება უფრო დეკორაციული ხასიათის ფორმებთან.

ამგვარად, ხუროთმოძღვრების ამ ორი ნაწარმოების შედარებამ შესაძლებლობა მოგვცა სრულად წარმოგვედგინა ეპოქა, პრინციპთა, კომპოზიციურ მიდგომათა ერთიანობა და, ამავე დროს, ამა თუ იმ შემოქმედის დაუშრეტელი ფანტაზია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ამ უკვე თავისთავად საეკლესიო დოგმებსა და ფუნქციას დაქვემდებარებულ კონკრეტულ არქიტექტურულ ფორმაში გამოავლინოს მეტი თავისუფლება, თვითმყოფადობა, არტისტიზმი და დახვეწილობა, თუ მეტი მონუმენტურობა და ასკეტურობა, გამოავლინოს მკაფიო ინდივიდუალური ნიშნებისა და თვისებების მატარებელი მხატვარ-ხუროთმოძღვრის სახე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ლაპარაკი გვაქვს რწმენაზე (ქრისტიანობაზე), რომელსაც ამ დროისათვის საკმაო დასრულებული, ჩამოყალიბებული სახე აქვს, და განსაზღვრულ არქიტექტურულ შენობაზე, რომელიც ამ რელიგიას ემსახურება, თავისთავად ცხადი ხდება, რომ ეს მომენტი გარკვეულ ფარგლებში მეტ შეზღუდვას გულისხმობს. მაგრამ ეს არის მოცემულობა, რომლის სხვადასხვა ვარიაციები და კომბინაციები შეიძლება დაუქვემდებარდეს შემოქმედის ფანტაზიას და იძლევა შესაძლებლობას ხუროთმოძღვრის არსის, მისი შინაგანი განწყობისა და ნიჭის გამოვლენისა. ბოლოს ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ოსტატი თავისი სახელის განდიდებას როდი ცდილობდა — საქართველოში იშვიათია შემთხვევა ხუროთმოძღვრის სახელის დაფიქსირებისა, მისი მთავარი ამოცანაა სრული, ამომწურავი გახსნა თავისი შემოქმედებითი ფანტაზიისა, სრული გამოვლენა თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობისა კონკრეტულ მოცემულობაში. ეს თავისთავად შესანიშნავი უმაღლესი ფორმაა რწმენისა. რწმენისა, როცა შემოქმედი მთელ თავის, ბუნებას, ნიჭს აქსოვს ამ საქმეს. ცხადია, ეს დიდი, წმინდა სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. წარმოუდგენელია ამაზე უფრო დიდი შესაწირი, როცა ოსტატი თავის სულიერ არსს მატერიალურ ფორმას ანიჭებს. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საგულისხმოა რწმენის გახსნა-გააზრების საკმაოდ პრიმიტიული, მაგრამ არსებითი მომენტი. ეკლესია, რომელიც თავისთავში დუალისტურ არსს შეიცავს, ე. ი. ეკლესია, როგორც მატერიალური გამოხატულება სპირიტუალური ირეალური სამყაროსი, არის ამ ორი გათიშული, სააქაო და საიქაო არსებობის დამაკავშირებელი. თვით შემოქმედი აქ ამ ორი, კარდინალურად განსხვავებული სამყაროს გასაყარზეა, მათი შემარიგებელი და გამაერთიანებელია. და ალბათ ამ კავშირის ნათელი გამომხატველია არაერთგზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადასტურებული გადამნუსხავთა მინაწერი: „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს“[28]. რარიგ მცირე არქიტექტურულ ფორმაშიც არ უნდა გამოვლინდეს ეს შემოქმედებითი აღტყინება, იგი უეჭველად აღწევს მხატვრული ზემოქმედების უდიდეს ძალას და ამიტომაც ისეთ დაკანონებული ტიპის ფარგლებში, რომელსაც სამეკლესიიანი ბაზილიკა წარმოადგენს და რომელიც, შედარებით ნაკლებ საშუალებას იძლევა შემოქმედებითი ფანტაზიის გაღვივებისა, ასეთი მაღალმხატვრული ძეგლი, როგორიცაა რუისპირის ყველაწმინდა, კიდევ უფრო მეტი ყურადღებისა და დაფასების ღირსია.

И. Г. ЕЛИЗБАРАШВИЛИ

## ЦЕРКОВЬ БОГОРОДИЦЫ В РУИСПИРИ
### (Из истории раннехристианского зодчества Кахетии)

Резюме

На высоком берегу реки Турдо, у села Руиспири, сохранились руины древнего архитектурного комплекса. Предметом нашего исследования является основное сооружение комплекса—церковь «Квелацминда».

Церковь относится к числу встречающегося только в Грузии и возникшего на национальной основе самобытного типа трехцерковной базилики.

Вследствие рассмотрения композиции плана церкви, установлена нижняя хронологическая грань ее возведения (I пол. VI в.). О древнем ее происхождении свидетельствует также отсутствие окна в апсиде южной церкви. Анализ внутреннего пространства и характер отдельных архитектурных форм — применение подковообразных арок, окон с параллельными притолоками, использование люнетов уточняют дату ее возведения и окончательно относят ее ко второй половине VI века.

На основе художественно-стилистического анализа церкви «Квелацминда» и сравнения ее с аналогичным памятником того же времени, церковью св. Федора, установлено, что зодчий, возведший ее, обладал ярко выраженными индивидуальными чертами: необыкновенным артистизмом и утонченностью вкуса, чувством монументальности и изысканностью.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

---

[28] ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერმიშა გოგოლაძე

# კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი

1976 წ. „მაცნეს“ (ისტორიის სერია) მე-4 ნომერში დაიბეჭდა ჩვენი სტატია „სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, საბ. 1810, დედანი, ქაღალდი, 27×23, დასაწყისი სიხგურით) ჩვენ ძიერ დადგენილი ტექსტით და საბუთის ფოტოპირით, სადაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული წყალობის წიგნი მიცემულია არა გიორგი სააკაძისადმი, როგორც ეს აქამდე მცდარად იყო გავრცელებული ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, არამედ — გ ი ო რ გ ი ბ ო ხ ვ ა ძ ი ს ა დ მ ი. ამ საბუთის ადრესატის გარკვევა ჩვენ ამჟამადაც დიდ მნიშვნელობად მიგვაჩნია.

1978 წლის ამავე „მაცნეს“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა დ. მეგრელაძის ვრცელი რეცენზია[1], სადაც იგი ცდილობს უარყოს ჩვენს სტატიაში მოცემული სათანადო დასაბუთება. ამასთან, წამოიჭრა ქართული დიპლომატიკის რიგი საკითხები, რომელთა გაშუქება, ასევე, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია.

**I. 1.** დ. მეგრელაძე წერს: დ გოგოლაძე „ცდილობს უარყოს დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მოსაზრება, რომ 1594 წელს სოფ. ლისი სიმონ 1-მა უწყალობა გიორგი სააკაძეს“ („მაცნე“, 1978, № 4, გვ. 143).

ჩვენ კი არ ვცდილობთ, არამედ დოკუმენტმა-დედანმა უარყო გავრცელებული მცდარი აზრი. ჩვენ საბუთის ადრესატის სწორი ამოკითხვისა და გიორგი X-ის საკონტროლო დოკუმენტის საფუძველზე დავასაბუთეთ, რომ სიმონ 1-ის 1594 წ. ლისის წყალობის წიგნი გაცემულია გიორგი ბოხვაძისადმი.

**2.** სიმონ I-ის საბუთში ჩაწერილი წინადადება — „ასრე რომე თემი დაარსბლა ბაგრატიან გჩაენილა. იმის წიგნბი ქონდა და სხვა მრავალი ხემწიფების“ — ჩვენს სტატიაში მივიჩნიეთ „ქარაგმიან წინადადებად“. ამას ჩვენ დ. მეგრელაძე შეცდომად გვითვლის და გაკვირვებით აცხადებს: „არსებობეს ქარაგმიანი ცალკეული სიტყვები და არა მთელი წინადადებები!!“-ო. („მაცნე“, 1978, № 4, გვ. 145).

წინადადება სიტყვებისაგან და კავშირებისაგან შედგება და თუ ისინი ქარაგმებით არის მოცემული და მათ გაუხსნელად არ იკითხება, რატომ არ შეიძლება ასეთ წინადადებას ეწოდოს „ქარაგმიანი წინადადება“? ქარაგმიანი წინადადება მასში შემავალი სიტყვების ქარაგმებს და უქონელ კავშირებს გულისხმობს, რომელთა გაუხსნელად და საჭირო კავშირების აღდგენის გარეშე წინადადება გაუგებარი დარჩება. აი, რა არის „ქარაგმიანი წინადადება“.

საბუთის ზემომოტანილი ქარაგმებიანი ნაწილი ჩვენ ასე წავიკითხეთ: „ასრე რომე (რაც) თემი დაარს(ე)ბ(უ)ლა ბაგრატი(ს)ა(გა)ნ გჩენილა(თ). იმის

---

[1] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, ისევ სიმონ მეფის 1594 წლის საბუთის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნ(ე)ბი ქონდა და სხვა მრავალი ხე(ლ)მწიფ(ეე)ბის“ („მაცნე“, 1976 № 4, გვ. 165).

დ. მეგრელაძის აზრით, საბუთის ეს „ბუნდოვანი წინადადება“ უშიხაარსოა და „მიუხედავად დ. გოგოლაძის გულდასმით აღდგენისა წინადადების შინაარსი მაინც ვერ გაიმართა“ და „არ ხდის წინადადებას გასაგებს“ („მაცნე“, 1978, № 4 გვ. 145-146).



სურ. 1.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ბუნდოვანი წინადადების გამართვის შემდეგ მისი შინაარსი ნათელია. თვით დ. მეგრელაძე კი საკუთარ ვარიანტს არ გვთავაზობს.

**II.** დ. მეგრელაძის აზრით, „საბუთი მეტად უწიგნურადაა დაწერილი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „საბუთი შედგება 102 სიტყვისაგან... და დაშვებულია 45-ზე მეტი შეცდომა“-ო, რომ „არც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, არც ენობრივად იგი არ შეიძლება იყოს სიმონ 1-ის კარიდან გამოსული საბუთი“, რომ სიმონ მეფის კარზე გაწაფულ-განსწავლულ მწერალ-მწიგნობართა. მდივანთა თუ მდივანმწიგნობართა საკმაოდ მოზრდილი შტატი არსებობდა, ჰყავდათ კარგი კალიგრაფებიც და ასეთ საბუთს არ დაწერდნენო. „ამიტომ დიდი მოულოდნელობა იყო Hd 1810 საბუთის სიმონ 1-ის კარიდან გამოსული დოკუმენტის დედნად გამოცხადება“-ო („მაცნე“, 1978, № 4, გვ. 146—147).

დ. მეგრელაძე განაგრძობს: Hd 1810 დოკუმენტის (სიმონ 1-ის საბუთი — **დ. გ.**) დამწერი „ნაკლებ წიგნიერი პირი ჩანს“, რის გამოც „დოკუმენტში რამდენიმე რიგის შეცდომას ვხვდებით“-ო. განვიხილოთ ეს „შეცდომები“.

**1.** საბუთის „სიტყვებში გამოტოვებულია ხმოვანი ასოები“-ო, მაგ., წყალ(ო)ბის, შეგ(ი)წყალ(ე)თ, გიბ(ო)ძეთ... (იქვე, გვ. 147).

სიტყვებში ხმოვნების გამოტოვება ქარაგმებით წერის დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო. საამისო დოკუმენტები უამრავია. თანაც ქარაგმებით წერის დროს უპირველეს ყოვლისა სწორედ ხმოვნებს გამოტოვებდნენ, რადგან ხმოვნები თავისთავად წარმოითქმება სიტყვის კითხვისას.

2. „სიტყვებს აკლია ბოლოკიდური ხმოვნები“-ო. მაგ., კარს(ა), ჩვენს(ა), აჯ(ა)... (იქვე).

ასე საბუთებში ხშირად წერდნენ. ეს დამოკიდებული იყო ვის როგორი სტილი და ხელწერა ჰქონდა.

3. „სიტყვებში გვხვდება ზედმეტი ასოები“-ო, მაგ., ყ(ა)მას, გ(ა)ვარის... (იქვე).

ზედმეტი ასოები სიტყვებში უამრავ სხვა საბუთებშიც არის. მაგ., სიმონ I-ის 1590 წ. საბუთში: „მჭედარსა ახოვან(ა)სა“, „გიორგობისთვესა ათ (ა)სა“ (Qd 430, დედანი), მისივე 1592 წ. ბეჭდიან საბუთში: „მელიქს მამა(მა)სახლისსა“ (ფ. 1448, საბ. 3371, დედანი); გიორგი X-ის საბუთში (დედანი): „და რამინ მ(მ)ოკვდეს“ (Hd1327); 1546 წ. საბუთში: „წ(ა)მიდისა“ (Hd 1575, ეტრატი) და მრავალი სხვ. სიტყვებში ზედმეტი ასოების ნიმუშია 1465 წ. საბუთი— Hd 1301 (ეტრატი). კიდევ მეტი, სიტყვებში ზედმეტ ასოებს XV-XVI სს. ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც-კი ვხვდებით (იხ. ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, „წარწერები ასპინძის რაიონიდან“, მსკი, ნაკ. 30, 1954 წ.).

4. „სიტყვებში გვხვდება გადაკეთებული ასოები“-ო (იქვე). მსგავსი არაფერია საბუთში, გარდა გვარის (ბოხვაძის) გაყალბების ცდისა ორ ადგილას.

5. „გამოტოვებულია უეჭველად საჭირო კავშირი სიტყვებს შორის“-ო (იქვე). ასე წერდნენ ხშირად ქარაგმებით. საჭირო კავშირი სიტყვებს შორის არ გვხვდება სხვა საბუთებშიც.

**6.** „იხმარება სიტყვების უაზრო კავშირი“-ო, მაგ., „ასრე რომე თემი დაარსბლა ბაგრატიან გჩაენილა“ (იქვე, გვ. 148).

მრავალ ძველ საბუთშია გაუგებარი წინადადება. მკვლევრის მოვალეობა კი არის, ქარაგმებიანი გაუგებარი წინადადება აღადგინოს.

7. „იხმარება გაუმართავი წინადადებები“-ო“ 1. „არას ჩვენ ნათ(ე)ს(ა)—ვთა და მეპატრ(ო)ნ(ე)თ(ა)გან არ მოგიშალოს“ — უნდა იყოს „არ მოგეშალოს“-ო, 2. „ჩვენ ესე წყალ(ო)ბით გიყავიდ“—უნდა იყოს: „ჩვენ ესე წყალ(ო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა გიყავით"-ო (იქვე) (დიახ, დიახ, უფრო აჯობებდა თანამედროვე ქართულით დაეწერა: „ჩვენ ე ს(!) წყალობა გიყავით", — დ. გ.).

როგორც ვხედავთ, დ. მეგრელაძეს სურს თანამედროვე ქართული ენის ლიტერატურულ-გრამატიკული ნორმებით დააწერინოს საბუთები XV-XVI საუკუნეების მდივნებს. მაგრამ ასე არ წერდნენ, თანაც ყველა მდივანმწიგნობარი ერთნაირად განსწავლული არ იყო და ყველას თავისი სტილი და ხელწერა ჰქონდა. გაუმართავი წინადადებების მქონე საბუთები ფეოდალურ ხანაში უამრავია.

8. დ. მეგრელაძე აქ დაასკვნის: „ზემოჩამოთვლილი იმის მოწმობაა, რომ საბუთი არ უნდა იყოს გამოსული მეფის კარიდან". და, აი, ჩვენი ვარაუდი საბოლოოდ (!) დაადასტურა საბუთის ბოლოში დართულმა სიმონ მეფის ხელრთვამო, რომ Hd 1810 საბუთის სიმონ მეფის პარაფი (ხელრთვა) განსხვავდება სხვა საბუთებზე არსებული მისივე ხელრთვებისაგანო. შესადარებლად მას აქვე მოაქვს ექვს სხვა საბუთზე არსებული სიმონ I-ის ხელრთვები და აღნიშნავს, რომ 1594 წლის საბუთზე სიმონის ხელრთვა (ხელმოწერა) ხელის ერთი მოსმით კი არ არის შესრულებული, არამედ „ა კ ა ნ კ ა ლ ე ბ უ ლ ი (sic!) ხელით", მარყუჟის გაკეთებისას ხელი აუღია და მერე ახალი წერტილიდან განუგრძია მარყუჟის დასრულებაო (იქვე, გვ. 148-149).

ჯ ე რ ე რ თ ი, მეფეთა ხელრთვის დროს გინდა თუ არა კანონი როდი იყო სახელის ხელმოწერისას ერთხელაც არ აეღოთ ხელი ნებით თუ უნებლიეთ და მერე დაესრულებიათ ზოგჯერ ლაბირინთივით რთული ხელრთვა. მ ე ო რ ე ც, რაც შეეხება სიმონ I-ის ხელრთვებს (ასევე მისი შვილის გიორგი X-ის), ვიდრე ჩვენ სტატიას გამოვაქვეყნებდით, ისინი ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილი იყო და დ. მეგრელაძის წერილში მოტანილი ეს ხელრთვები ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მას მოაქვს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის საბუთის ხელრთვაც (იქვე, გვ. 148).

რა შეიძლება ითქვას სიმონ მეფის ამ ხელრთვებზე? სიმონ მეფის ეს ხელრთვები, ყველა, დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს გარეგნობით, რადგან, ბუნებრივია, ისინი ერთი მეფის ხელრთვებია. მაგრამ, ამასთან, ყველა მათგანი, უკლებლივ, მათ შორის 1594 წლის საბუთის (Hd-1810) ხელრთვა, ერთმანეთისაგან ცოტ-ცოტათი, დეტალებში მაინც განსხვავდებიან: სიდიდით, მოყვანილობით, განფენილობით, ხაზების სისქე-სივიწროვით და ა. შ.

დ. მეგრელაძე აღნიშნავს: 1594 წლის საბუთზე სიმონის ხელრთვის მარყუჟი ხელაუღებლად არაა გაკეთებულიო.

ჯ ე რ ე რ თ ი, ამ საბუთზე სიმონის ხელრთვის დამამთავრებელი კონუსისებური მარყუჟის გაკეთებისას ხელაუღებლად მხოლოდ ერთხელ მეორდება „კონუსის" ქვედა მარცხენა მოკლე ხაზზე კალმის ხელმეორედ გავლება. ეს არის და ეს. ასეთივე ვითარებაა სიმონ 1-ის 1592 წ. ბეჭდიან საბუთზეც (ფ. 1448, საბ. 3371), სადაც მეფის ხელრთვისას, კონუსისებური მარყუჟის ქვედა მარცხენა ხაზის მოკლე მანძილზე გარდუვალია კალმის მეორედ გასმა. ნუთუ მეფეებს ამის უფლება არ ჰქონდათ? იქნებ დაგვიმტკიცოს დ. მეგრელაძემ, რომ მეფეებს ხელრთვისას მათ მიერ გავლებულ მოკლე ხაზზე კალმის მეორედ გავლება სასტიკად ეკრძალებოდათ?!

მ ე ო რ ე ც, როგორც აღინიშნა, ხელაუღებლად ხელრთვის დასრულება სრულიადაც არ იყო სავალდებულო. ამას ცხადად ადასტურებს სიმონ 1-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა



1590 წ. საბუთი (Qd 430, დედანი), სადაც მეფის ხელრთვა, რომელიც აშკარად განსხვავდება მისი სხვა ხელრთვებისაგან, ყოვლად შეუძლებელია უწყვეტი პარაფით ანუ ხელაუღებელი ხელრთვით შესრულდეს (იხ. სურ. 2).




სურ. 2.

გარდა ამისა მეფეთა ხელრთვა ფორმის მხრივ ხომ ბეჭედი არ იყო აბსოლუტურად იდენტური რომ იყოს ყველა საბუთზე. სიმონ I-ის აღნიშნული 1590 წ. საბუთის (Qd 430) სრულიად განსხვავებული ხელრთვის გარდა, ამას აშკარად ადასტურებს მისი მეორე სხვა ხელრთვაც. სიმონ 1-ის ეს მეორე სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიად განსხვავებული ხელრთვა მოცემულია Hd 14427ა ბეჭდიან საბუთზე, რომელიც სიმონ მეფის 1583 წ. წყალობის წიგნია უგანაძეებისადმი (იხ. ფოტო). გარდა აშკარად განსხვავებული ფორმისა, ეს ხელრთვაც ყოვლად შეუძლებელია ხელაუღებლად შესრულდეს. სიმონ 1-ის ეს ხელრთვები სხვა საბუთების მისივე ხელრთვებისაგან, რომელთა ნაწილი დ. მეგრელაძის მიერაა მოტანილი, იმდენად აშკარად განსხვავებულია (ფორმა, მოყვანილობა...), რომ კომენტარებს არ საჭიროებს.

ასე რომ, დ. მეგრელაძის „პარაფის უწყვეტობისა და ფორმის კანონი" ქართველ მეფეებს საბუთების ხელმოწერისას სრულიადაც არ აწუხებდათ და მისი ეს მოსაზრება აშკარად მცდარია.

ასეთივე ვითარებაა გიორგი X-ის ხელრთვებზეც. მაგალითად, თვით დ. მეგრელაძის მიერ ღედნად მიჩნეულ გიორგი X-ის 1602 წ. საბუთის Sd 522-ის ლაბირინთივით რთული ხელრთვა „გიორგი", რომელიც მას მოაქვს (იქვე, გვ. 154) და ბოხვაძისადმი მიცემულ გიორგი X-ის საბუთის ხელრთვას უპირისპირებს, განა შეიძლება ისე დაიწეროს ხელაუღებლად, რომ გავლებულ ხაზზე კვლავ არ გაიაროს კალამმა? ჩვენი დაბეჯითებითი ცდების მიუხედავად, ხელის მომწერი, სულ ცოტა, სამჯერ (!) იძულებულია უკვე გავლებულ ხაზზე მეორედ გაატაროს კალამი, ანდა ხელი აიღოს და ახალი წერტილიდან განაგრძოს წერა (იხ. სურ. 2).

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თვით ბოხვაძისეული საბუთის ხელრთვის საპირისპიროდ დ. მეგრელაძის მიერ მოტანილი გიორგი X-ის ორი ხელრთვა Sd 522 და Hd 1327 საბუთებზე. სახელდობრ, Hd 1327 საბუთის ხელრთვას („გიორგი") ზურგზე ისარი ზემოთ, კისრის არეში აქვს გადებული დიდი გარემოხაზულობის პირველ ასო „გ"-ანს, ხოლო Sd 522-ის პარაფის ისარი ქვემოთ მარჯვნივ გამოდის ხელრთვის მუცელში მოთავსებულ პატარა "გ"-ანის კისრის გასწვრივ. გასაკვირი აქ არაფერია, მეფე ლაღად აწერდა ხელს, რადგან მას მისი ხელრთვის შემოწმების შიში აბსოლუტურად არ ჰქონდა.

დაბოლოს, ჩვენ გვაქვს გიორგი X-ის ერთი ხელრთვა, რომელიც, ისე როგორც სიმონის 1583 და 1590 წწ. ხელრთვები, აშკარად უარყოფს დ. მეგრელაძის ხელრთვის ანუ „პარაფის უწყვეტობისა და ფორმის კანონს". ეს არის გიორგი X-ის 1605 წ. ერთ-ერთი ბეჭდიანი საბუთი (Ad 556, ფ. 1448, საბ. 5266, დედანი), რომელზეც არსებული მეფის ხელრთვა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გამორიცხულია ხელის აუღებლად დასრულდეს, რადგან „გიორგი"-ის ბოლო ასო „ი" განცალკავებულად, ე. ი. მეფის მიერ ხელის აღების შედეგად ყოველგვარი გადაბმის გარეშე არის ჩასმული ხელრთვა „გიორგი"-ის ბოლოსწინა პატარა ასო „გ"-ნის მუცელში (იხ. სურ. 2).

ნათელია: როგორც სიმონ I-ის აღნიშნული ორი სრულიად განსხვავებული ხელრთვა 1583 და 1590 წლებისა (Hd 14427ა, Qd 430), ასევე, გიორგი X-ის 1605 წ. ბეჭდიანი საბუთის ხელრთვა (Ad 556, ფ. 1448 საბ. 5266), საბოლოოდ უკუაგდებს რეცენზენტის „პარაფის უწყვეტობისა და და ფორმის კანონს".

აშკარაა, ჩანს, მეფეები ხვეწდნენ ან ცვლიდნენ თავიანთ ხელრთვის ფორმას, თანაც ამა თუ იმ პერიოდში დამუშავებული ხელრთვა მათ საბუთებზე იდენტური არ გამოდიოდათ და ეს ხელრთვები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებოდნენ რიგი დეტალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამრიგად, ხელრთვისას მეფეები ზოგჯერ კალამს ხელმეორედ ატარებდნენ გავლებული ხაზის მოკლე მონაკვეთზე, ზოგჯერ პარაფს წყვეტდნენ და სადაც საჭიროდ მიაჩნდათ იქედან აგრძელებდნენ ხელრთვის დასრულებას, ზოგჯერ კი ხელის აღებით (პარაფის გაწყვეტით) ხელრთვაში ზოგიერთ ასოს, როგორც დავინახეთ, განცალკევებულადაც-კი სვამდნენ.

დ. მეგრელაძე მაინც დაასკვნის: სიმონ მეფის 1594 წლის საბუთი ნაყალბევიაო (იქვე, გვ. 150). და აქვე სვამს კითხვას: თუ ეს საბუთი ნაყალბევია და არაა დედანი, არსებობდა თუ არა ნამდვილი საბუთი? და დასკვნის სახით პასუხობს: „რასაკვირველია, არსებობდა ნამდვილი საბუთი და ეს იყო სიმონ მეფის მიერ გიორგი სააკაძისათვის ლისის ბ ო ძ ე ბ ი ს წიგნი“. და წარმოიდგინეთ, თანაც 1594 წლის 10 ოქტომბრის თარიღისო! (იქვე, გვ. 158).

მაგრამ რით ამტკიცებს დ. მეგრელაძე ასეთ დასკვნას? ვერაფრით. მოაქვს კი რაიმე საბუთი ან აქვე ანდა შემდგომ? — არავითარი. არც პირდაპირი და და არც არაპირდაპირი რაიმე საბუთი სიმონ მეფის მიერ გიორგი სააკაძისადმი ლისის ბოძებისა მას ვერ მოაქვს.

III. 1. დ. მეგრელაძე ამის შემდეგ გადადის 1594 წლის საბუთის ადრესატის გვარის პალეოგრაფიულ ანალიზზე. აღნიშნავს: დ. გოგოლაძის ვარაუდი, რომ წყალობის მიმღების ბოხვაძის გვარის წინა ორი ასო წაშლილ-ამოფხეკილია საბუთის გაყალბების მიზნით, — სინამდვილეს არ შეეფერებაო, რომ საბუთში გვარის წინა ორი ასო — „ბო“ ან სხვა რაიმე — საერთოდ არ ეწერაო, მაგრამ გვარის წინა სიტყვასთან დაცილების დიდი ინტერვალი ყალბისმქმნელმა განგებ(!) გააკეთაო. დამადასტურებლად დ. მეგრელაძე იმოწმებს „საიდუმლო არქივს“ — ულტრაიისფერ .სხივებს და წერს, რომ ულტრაიისფერი სხივებით ფოტოგრაფირებისას გაირკვა რომ გვარის „..ხვაძის“ წინ არც ერთი ასო არ ყოფილაო (იქვე, გვ. 150-151).

რეცენზენტის ეს განცხადება არაა სწორი.

წინა სიტყვისაგან უჩვეულოდ დიდ ინტერვალთან ერთად, უიარაღო თვალითაც აშკარად ჩანს საბუთზე გვარის ..ხვაძის წინ ამოფხეკილი ასოების ნარჩენები, განსაკუთრებით გვარის პირველად ხსენებისას. ამას საბუთის მნახველი მაშინვე ცხადად შეამჩნევს ორივე ადგილას, სადაც გვარი წერია. რაც შეეხება ულტრაიისფერ სხივებს, ჩვენ მასზე ადრე ვცადეთ მისი გამოყენება, მივმართეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიის გამგეს თ. ბარამიძეს. მან საბუთის ნახვისთანავე კატეგორიულად განაცხადა, რომ საბუთში გვარის წინა ასოები ა მ ო ფ ხ ე კ ი ლ ი ა, წაშლილია და ულტრაიისფერი სხივებით მათი ამოკითხვა შეუძლებელია და საერთოდ რასაც ვხედავთ მეტს ვერაფერს ვერ წარმოაჩენსო. მისი ნათქვამი ჩვენმა შემოწმებამ მთლიანად დაადასტურა.

ამრიგად, აშკარაა, რომ სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის საბუთში „..ხვაძის“ გვარის წინ ეწერა ასოები, რომლებიც გვარის გაყალბების მიზნით ამოფხეკილია.

2. შემდეგ დ. მეგრელაძე ეხება საბუთის იმ სიტყვებს, რომლებიც ასო „ხ“-ნს შეიცავს და ადარებს „..ხვაძის“ გვარის „ხ“-ანს. აღნიშნავს, რომ საბუთის გვარის პირველი ასო არაფრით არ არის „ხ“-ნიო, რომ საბუთის მეშვიდე სტრიქონში გვარის პირველი ასოს შუაწელის კუდი (მოკლე ხაზი), რომელიც „ხ“-ნს აქვს საერთოდ, აქ „ჩაწერილ გვარში... მახვილი კუთხითაა დასმული“-ო (იქვე, გვ. 151, ასევე 21-ე სქოლიო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბუთის გაყალბების მიზნით ადრესატის გვარის წინა ასოები ამოფხეკილია, ასევე გვარის მეორე ნაწილის — „ხვაძის“ — პირველი ასოს „ხ“-ანის შუა წელი ამოფხეკით გახსნილია და დამსგავსებულია ასო „ს“-ანს. თანაც აღვნიშნეთ, რომ საბუთის მეშვიდე სტრიქონში გვარის „ხ“-ანს ამოფხეკის მიუხედავად დარჩენილი აქვს შუაწელის კუდი. ეს კუდი ამოფხეკილ ასოში მახვილი კუთხითაა დასმული, მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ ამოფხეკისას მოხდა ასო „ხ“-ის ამოფხეკილი ნაწილის (მუცლის და კუდის) დეფორმირება. დ. მეგრელაძე კი მოითხოვს, რომ საბუთში „ხ“-ანის შუაწელში კუდი ყველგან ერთნაირი კუთხით უნდა იყოს დასმულიო. არადა, საბუთის სიყალბის ერთ-ერთი ნიშანი ესეცააო. რა არგუმენტია ეს? „ხ“-ანის დაწერისას მის შუაწელში კუდს მწერლები სხვადასხვა, ნებისმიერი კუთხით სვამდნენ — 1-დან 90 გრადუსამდე, ანდა სვამდნენ ბლაგვი კუთხითაც-კი. დ. მეგრელაძე წერს: გვარის „ხ“-ანისაგან განსხვავებით სხვა სიტყვებში ასო „ხ“-ანის შუა კუდი დახრილადაა გასმულიო. აღარ ვიცით რა ვუპასუხოთ. ამ საბუთის ერთ სიტყვაში, მაგ., „ნას(ა)ხურს“, ეს კუდი ასო „ხ“-ანს საერთოდ არა აქვს გაკეთებული და მხოლოდ წერტილიღა ჩანს შუაწელზე დასმული, ხოლო მეორე სიტყვაში, „მ(ო) ხს(ე)ნ(ე)ბაში“, ასო „ხ“-ანს აბსოლუტურად არა აქვს ეს კუდი! საჭირო იყო ამის დანახვა.

საბუთის ასო „ხ“-ანთან დაკავშირებით დ. მეგრელაძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ გვარის მეორედ ხსენებამდე „ხ“-ნი ოთხ სიტყვაშია, ხოლო შემდეგ სამ სიტყვაში, რომ ბოლო სამ სიტყვაში „ხ“-ნი უფრო მკაფიოდაა გამოხატული“ მუცლით და ფეხით (კუდით), ხოლო მანამდე მოცემულია შემცირებული მუცლითა და უფეხოდო და, რომ ამას ყალბისმქმნელი განგებ აკეთებსო (იქვე, გვ. 151). ასო „ხ“-ნზე ზემოთქმული სწორიც რომ იყოს, ეს არავითარი არგუმენტი არ იქნებოდა. მაგრამ რეცენზენტი აქაც არაა მართალი. მაგალითისათვის, საბუთში გვარის (...ხვაძის) მეორედ ხსენებამდე მოცემულ სიტყვა „ხე(ლ)მწიფების“ „ხ“-ნი გაცილებით მკაფიოდაა გამოხატული თავისი მუცლის სიდიდით, ფეხით და კორპუსით, ვიდრე „ხ“-ნი გვარის მეორედ ხსეიების შემდეგ დაწერილ სიტყვაში: „ჯოჯოხ(ე)თისგან“.

3. შემდეგ დ. მეგრელაძე ეხება საბუთის გვარის (..ხვაძის) ასო „ვ“-ინს. აქ მის წინ ისეთი ზღურბლი აღიმართა, რომლის გადალახვა, ცხადია, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, წარმოიდგინეთ, იგი მაინც ცდილობს გზის გაკაფვას. იგი წერს: საბუთში „ასო ვ იმდენად განსხვავებულია კ-საგან, რომ დავა უაზრო იქნებოდა, რომ დ. გოგოლაძეს პატარა ნიუანსი არ გამორჩენოდა მხედველობიდან“ (იქვე, გვ. 152).

მაინც რა? თურმე ის, რომ საბუთის დამწერი, რომელიც, დ. მეგრელაძის განცხადებით, ამჟამად უკვე, „არც ისე უწიგნური პირია... და მას გარკვეული სკოლაც აქვს გავლილი“ (იგვე, გვ. 149) — ასო „ვ“-ინს მხოლოდ და მხოლოდ გვარის დაწერისას „ფერის ორი გამით წერს“, ე. ი. გვარის ასო „ვ“-ინს ყალბისმქნელი ორი სხვადასხვა ფერით წერსო, სახელდობრ, „ვ-ნის ხაზზემოთ მოკაუჭებული ნაწილი ორივე შემთხვევაში დაწერილია მკრთალი ფერით, ხოლო დანარჩენი ხაზქვემოთ ნაწილი და ხაზზემოთა პაწაწინა ნაწილი მუქი ფერით“, „ამით დამწერი ხელოვნურად ქმნის ორჭოფულ მდგომარეობას“, იმ მიზნით, რომ „დავის შემთხვევაში შეიძლება ამ ასოს წაკითხვა როგორც ვ ასოდ, ასევე — კ-დ. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის კ, ყალბისმქმნელის მიერ განზრახ საეჭვოდ ქცეული“-ო (იქვე, გვ. 152). გარდა ამისა, რახან დ. მეგრელაძე გვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა



„..ხვაძეს“ „სკაძე“-დ კითხულობს, აღნიშნავს: ს-ანსა და კ-ანს შორის ასო „ა“ ყალბისმქმნელმა განზრახ გამოტოვა, რათა თავი განგებ უწიგნურად წარმოადგინოსო, რომ „გვარი ამ საბუთში განზრახ (გარკვეული მიზნით) არის გაბუნდოვნებული“-ო (იქვე, გვ. 152). სინამდვილეში მსგავსი არაფერია.

ჯ ე რ ე რ თ ი, გვარის ასო „ვ“-ინი ორი სხვადასხვა ფერით დაწერილი არ არის. ვ-ნის წელს ზემო მოკაუჭებული თავი გვარის ორჯერვე ხსენებისას საბუთის გამყალბებლის მიერ წაშლილ-ამოფხაჭნილია და ამიტომ მკრთალად ჩანს. ვ-ნის თავის მოკაუჭებული ნაწილის წაშლა-ამოფხეკით გამყალბებელს უნდოდა ვ-ნი კ-ანს დაემსგავსებია და „ბოხვაძის“ წინა ორი ასოს წაშლის შემდეგ „...ხვაძე“ „სკაძე“დ ექცია, მაგრამ ვერ მოახერხა. ამოფხეკა-წაშლის ცდის მიუხედავად ვ-ნის თავი მკრთალი სახით მაინც კარგად დარჩა და შესანიშნავად იკითხება, განსაკუთრებით გვარის მეორედ ხსენებისას. ამასთან, რაც მთავარია, ყალბისმქნელი გაამტყუნა „ვ“-ნის ხაზსქვედა ორსაფეხურიანმა ტანმა, რომელიც ხელუხლებელი დატოვა და საბუთის ყველა სიტყვაში, სადაცკი ვ-ინია, „ვ“-ნის ეს ორსაფეხურიანი ტანი ყველგან ერთნაირია და აშკარად განსხვავდება „კ“-ანის მოხაზულობისაგან. ამრიგად, ა) საბუთში გვარის (...სხვაძის) ასო ვ-ნი არავითარი ორი ფერის გამით არაა დაწერილი, ბ) საბუთის „კ“-ანისგან განსხვავებით, „ვ“-ნი, თავისი სპეციფიკური ხაზსქვემო ორსაფეხურიანი ტანის გამოკვეთილად განსხვავებული გრაფიკული მოხაზულობის გამო, არავითარ შემთხვევაში არ არის „კ“-ნი, თუნდაც „ვ“-ნს თავის წინა მოკაუჭებული ნაწილიც რომ მოვაცილოთ. ა მ ი ტ ო მ გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა საბუთში არსებული გვარის მეორე ნაწილის „..ხვაძე“-დ წაკითხვა.

მ ე ო რ ე ც, დ. მეგრელაძის მიხედვით რა გამოდის? გამოდის რომ ყალბისმქნელი თურმე ქმნის თავის საწინააღმდეგო საბუთს, წერს ისე, რომ საბუთის წაკითხვისას თითონ გამტყუნდეს: თუ საბუთში სააკაძეს ამოიკითხავენ (როგორც შემდეგში გაირკვევა). ყალბისმქნელი განგებ ქმნის თურმე რაღაც ბუნდოვან საბუთს, რომელშიც „ბოხვაძეც“ ამოიკითხება და „სააკაძეც“. ასეთი ყალბისმქნელები ისტორიამ არ იცის. პირიქით, ყალბისმქნელი გარკვეული მიზნით ყოველთვის ქმნის ერთ რაღაც გარკვეულ საბუთს გარკვეული მისამართით და არა ისეთ საბუთს, სადაც ვერც ვერაფერს გაიგებენ და მასში ვერც ადრესატს ამოიკითხავენ. ამასთან, წინააღმდეგ დ. მეგრელაძის განცხადებისა, — ყალბისმქნელი ცდილობს განგებ უწიგნურად მოგვაჩვენოს თავიო (გვ. 152), — ასეთი ყალბისმქნელებიც არ არსებობდნენ. პირიქით ყალბისმქნელები ყოველთვის ცდილობდნენ განსწავლულ მწიგნობრებად წარმოეჩინათ თავი და მოქცეულიყვნენ მათ მსგავსად.

როგორც ვხედავთ, სიმონ მეფის 1594 წლის საბუთის შესახებ დ. მეგრელაძის მიერ მოტანილი არგუმენტები არცერთი სწორი არაა.

IV. დ. მეგრელაძე ყალბად მიიჩნევს აგრეთვე სიმონ 1-ის შვილის გიორგი X-ის მიერ ლისის წყალობის განახლების წიგნს ბ ო ხ ვ ა ძ ი ს ა დ მ ი (Hd-2435, სურ. 3). მისი აზრით, აქაც ისეთივე ამბავია: იმავე ყალბისმქნელს ხელთ ჰქონია მეფე გიორგის საბუთი-დედანი, მის საფუძველზე კი შეუდგენია ახალი ყალბი საბუთი.

1. პირველყოვლისა იგი ეხება საბუთის ქორონიკონის საკითხს. აღნიშნავს, რომ „ყალბისმქნელს ხელთ უნდა ჰქონოდა გიორგი X-ის გაცემული საბუთის დედანი, სადაც თარიღად იჯდა სჟბ — 292 ქორონიკონი. მ ა გ რ ა მ მ ა ნ ა რ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იცის არც ქორონიკონის დაანგარიშება და არც ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა (იქვე, გვ. 154). დ. მეგრელაძე აქამდე წერდა: — ყალბისმქნელი-„დამწერი არც ისე უწიგნური პირია... და მას გარკვეული სკოლაცა აქვს გავლილი“ და, რომ „Hd 1810 საბუთი დედნიდან“ „გადაღებული პირი“ „უწიგნური კაცის“ მიერ არ არისო (იქვე, გვ. 149). ამჟამად თურმე ამ წიგნიერმა კაცმა, რომელმაც ისიც კი იცის სიმონ 1-ის სიგელის დაწერა სინგურით დაიწყოს (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიმონ 1-ის 1594 წ. ლი-



სურ. 3.

სის საბუთიც, ისე როგორც მისი რიგი სხვა საბუთები, სინგურით იწყება — **დ. გ.**), მისივე განცხადებით, „არ იცის არც ქორონიკონის დაანგარიშება და არც ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა“, რაც იმ დროის ყველა წიგნიერი კაცისათვის მარტივი ამბავი იყო. რეცენზენტს აქ აშკარა წინააღმდეგობა ახასიათებს: როცა მას სჭირდება ყალბისმქნელი წიგნიერია, ხოლო როცა არ აწყობს — სრულიად უწიგნურია!

და აი, ყალბისმქნელს გიორგი X-ის საბუთში ვერ გაურჩევია ქორონიკონში ასოები „უ“-ნი და „ჟ“-ნი და დ. მეგრელაძის განცხადებით დედნიდან შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დგენილ ყალბ საბუთში დაუწერია „ქორონიკონი საუბ, რის გამოხატვაც რიცხვითი მნიშვნელობით ყოვლად შეუძლებელია“ (იქვე, გვ. 154).

დ. მეგრელაძე სწორი არ არის.

ა) აღნიშნულ საბუთში ჩვენ ქორონიკონი ს ა უ ბ კი არ უნდა ამოვიკითხოთ, არამედ საჸბ, ანდა სჸბ, თუ „ს“-ანზე გადაბმულ „ა“-ს მდივნის ხელწერად, კალმის ლაფსუსად, ე. ი. ქ-ნში „ა“-ს ზედმეტად ჩავთვლიდით. ჩვენ ორივე ვარიანტი გავითვალისწინეთ, ბოლოს „საჸბ“ ვარჩიეთ: 200+1+90+2=293. ეს კი უდრის 1605 წელს (1312+293). მართალია, აქ ქ-ნის „საჸბ“-ს-რიცხვითი მნიშვნელობის თანმიმდევრობა (მაღლიდან დაბლისკენ) დაცული არაა, მაგრამ ზოგჯერ ასეთ მკაცრ თანამიმდევრობის წესს არ იცავდნენ.




სურ. 4.

გიორგი X-ის 1605 წ. აღნიშნული საბუთის ქორონიკონის თანამიმდევრობის მსგავს დარღვევას ჩვენ სხვაგანაც ვხვდებით (სურ. 4). მაგალითად, 1633 წ. ეტრატზე დაწერილ თეიმურაზ 1-ის საბუთში, სადაც გარიგებულია თამაზ სააკაძისა და საგინაშვილების სამამულე დავა და გუდარეხის მონასტრის საქმე (Hb-1564).

აქ თეიმურაზ I-ის საბუთს ქორონიკონი უზის „სნოა“, ანუ 321. ქ-ნი „სნოა“ ასე იხსნება: 200+50+70+1=321. 1312+321=1633-ს. საბუთი 1633 წლის არის და ხელნაწერთა ინსტიტუტის კატალოგში იგი სავსებით სამართლიანად 1633 წლით თარიღდება.

ქორონიკონში რიცხვების გამომხატველი ასოების დაწერის თანამიმდევრობა, როგორც ვხედავთ, აქაც დარღვეულია. თანაც ქ-ნის რიცხვი დიფერენცირებულადაა მოცემული — სამის ნაცვლად ოთხი ასოთი. „სნოა“ ქორონიკონში „ნ“-ზე წინ უნდა ეწეროს „ო“-ნი. ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა ქ-ნი „სონა“. მაგრამ არც ეს იქნებოდა ქ-ნის დაწერის მიღებული წესის დაცვა და ქ-ნ „სნოა“-ს ან „სონა“-ს (თუ ეს უკანასკნელი იქნებოდა) მაგივრად საბუთში უნდა ეწეროს ქ-ნი „ტკა“ (321), ე. ი. ქ-ნის რიცხვის, 321-ის, არა ოთხი, არამედ

სამი ასოთი გამოხატვა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ასეთი დარღვევაც ხდებოდა და ეს მათ, იმ დროს, სრულიად არ უკვირდათ.

ქორონიკონის დაწერის წესის დარღვევის შემთხვევები გვაქვს აგრეთვე მთელ რიგ სხვა დედან საბუთებშიც. მაგ., Hd 14441 საბუთში ზის ქ-ნი „სნიჱ" (სჲჱ-ს ნაცვლად), Hd 1575 საბუთში (ეტრატი) ქ-ნი „სკიდ" (სლდ-ს ნაცვლად), Ad-10 საბუთში (ეტრატი) ქ-ნი „როივ" (რპვ-ს ნაცვლად), Qd 1604 საბუთში ქ-ნი „სჲ იგ" (სოგ-ის ნაცვლად) და სხვ.

როგორც ნათლად ვხედავთ, ზოგჯერ საბუთებში ხდებოდა როგორც ქ-ნის რიცხვითი მნიშვნელობის ასოების დაწერის თანამიმდევრობის დარღვევა, ასევე ქ-ნის რიცხვითი მნიშვნელობის დიფერენცირებულად მოცემაც.

ბ) რაც შეეხება დ. მეგრელაძის განცხადებას, საბუთის ქორონიკონში „ჳ"-ანის მაგივრად „უ"-ნი წერიაო, ესეც ყოვლად გაუმართლებელია.

*ჯერ ერთი*, ქორონიკონის „ჳ"ანი თავისი ხაზქვემო ტანის სწორი გრძელი და *მარჯვნივ მოკაუჭებული*, ხოლო შემდეგ ხაზზემოთ მეტად ატყორცნილი გრძელი ხაზით აშკარად განსხვავდება საბუთის ყველა ასო „უ"-ნისგან, რომლის ხაზქვემო ტანის ხაზი საბუთის ყველა სიტყვაში უკლებლივ *მარცხნივ არის მოკაუჭებული* (იხ. საბუთი). აშკარად ჩანს საბუთის შემდგენელს ეს გარემოება გაუთვალისწინებია, რათა საბუთის უამრავი „უ"-ნისგან განესხვავებიათ ერთადერთი „ჳ"-ანი, რომელიც ქორონიკონშია მოცემული.

*მეორეც*, ჩვენ უამრავი საბუთები და ასევე ქორონიკონები გვაქვს, სადაც ასო „ჳ"-ანს ვერ გაარჩევ „უ"-ნისგან, ხოლო „უ"-ნს „ე"-ნისგან. სიტყვებში მათი გარჩევა გაცილებით ადვილია, ხოლო საბუთის ქორონიკონებში აღნიშნულ ასოებს მათგან განასხვავებდნენ მეფეების, საბუთის ადრესატის, მეფეთა ხელრთვის (პარაფის), ბეჭდების (თუ საბუთს აზის), ქაღალდის ჭვირნიშნის (სიძველის) და უამრავი სხვა გარემოებებით.

ამ შემთხვევაში Hd 2435-ის გიორგი X-ის საბუთად მიჩნევისათვის, გარდა ქორონიკონისა, დამატებით მიგვანიშნებს სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვაძისადმი. გიორგი X-ის აღნიშნული საბუთიც ლისის წყალობის განახლებისა, ისევ ბოხვაძისადმი მიცემული. ასევე, გიორგი X-ის *ხელრთვა*, რაც აშკარად მსგავსია დანარჩენი მისი ხელრთვებისა (თუმცა, ცხადია, ცოტათი განსხვავდება). ასევე, საბუთის ქაღალდის სიძველე; ასევე, გიორგი X-ის მიერ საბუთში აღნიშნული: „ბატონს მამა ჩვენს (სიმონ მეფეს, — დ. გ.) ადრევა მოკითხული ექნა", ე. ი. ლისის ბოხვაძისადმი წყალობა-კუთვნილებაზე საბუთები მოითხოვა და სანდო პირები გამოკითხაო. მართლაც, ეს გარემოება ხომ აღნიშნულია სიმონ 1-ის 1594 წ. საბუთში.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საბუთის დროსა და კუთვნილებას ადგენენ მასში აღნიშნული ისტორიული პირების, საბუთის დამწერის გვარის (პერსონის), წერილის პალეოგრაფიული ანალიზით და მრავალი სხვა ნიშნებით.

*მესამე*, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ქორონიკონის ზოგიერთ ასოს გაუგებრად წერდნენ. მაგ., ამის ნიმუშებია XVI ს. რიგი საბუთები: ფ. 1448, საბ. 5510, 5569, Qd: 1673, 1674 (იხ. სურ.), სადაც ქ-ნის ამოკითხვა საბუთის დამოუკიდებლად, ასევე, უამრავი სხვა საბუთების სხვადასხვა ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერის მსგავსი პალეოგრაფიული სპეციფიკური დეტალების, ანდა პარალელური უცხო ტექსტის ქ-ნის (თუ ასეთი საბუთს ახლავს) გაუთვალისწინებლად, ყოვლად შეუძლებელია.

გიორგი X-ის საბუთის ქორონიკონში კი, როგორც აღინიშნა, ასეთი სირთულეები სრულიადაც არაა და იგი შესანიშნავად იკითხება: „საჳბ"-ედ. ასე რომ, გიორგი X-ის საბუთი ბოხვაძისადმი გაცემული 1605 წლისაა.

**2.** შემდეგ დ. მეგრელაძე აღნიშნავს, რომ საბუთზე გიორგი X-ის ხელრთვა (პარაფი) ყალბიაო: „ყალბისმქნელს ავიწყდება, ან არ იცის, რომ პარაფი გაწყვეტილი არ უნდა იყოს"-ო (იქვე, გვ. 154).

მეფეთა პარაფის „უწყვეტობისა და ფორმის კანონის" აშკარა სიმცდარე სიმონ 1-ის და გიორგი X-ის ხელრთვების განხილვისას, ვრცლად და ნათლად იქნა დადასტურებული და აქ მასზე აღარ შევჩერდებით. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ 1605 წელს ბოხვაძისადმი გაცემულ საბუთზე ყალბისმქნელის შესრულებული ხელრთვა კი არ არის, არამედ მეფე გიორგი X-ის ხელრთვაა.

3. აღინიშნა, დ. მეგრელაძეს ყალბად მიაჩნია არა მარტო სიმონ I-ის, არამედ გიორგი X-ის 1605 წ. საბუთიც. მისი აზრით, იგი იმავე გამყალბებელმა შეადგინა, რომელმაც შეადგინა სიმონ 1-ის 1594 წლის საბუთი (იქვე, გვ. 160-161), სადაც ადრესატის გვარი განგებ ბუნდოვნად და ორჭოფულად ჩაწერაო.

ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, დ. მეგრელაძის მოსაზრებას ამ საბუთების სიყალბის შესახებ, უარყოფს კიდევ ის გარემოებაც, რომ თუკი გამყალბებელმა სიმონ 1-ის 1594 წ. საბუთში ადრესატი განგებ ბუნდოვნად და ორჭოფულად დაწერა, რითაც შეიძლება წავიკითხოთ როგორც „ხვაძე", ისე „სკაძე", საკითხავია, იგივე ყალბისმქნელმა რატომ ასე ბუნდოვნად არ დაწერა ბოხვაძის გვარი გიორგი X-ის 1605 წ. საბუთში? ლოგიკურია, აქაც ხომ ასე უნდა მოქცეულიყო, რომ დავის შემთხვევაში მკითხველს გვარი „ბოხვაძედაც" წაეკითხა და „სააკაძედაც"? ამის შესახებ დ. მეგრელაძე საერთოდ დუმს.

რეცენზენტს მოჰყავს რ. პატარიძის აზრი გიორგი X-ის 1605 წელს ბოხვაძისადმი მიცემულ საბუთის ქაღალდზე. რ. პატარიძემ ამ საბუთის ქაღალდზე XVII ს-ის ჭვირნიშანი შეიცნო და საბუთის ქაღალდი XVII ს-ის I ნახევრისად მიიჩნიაო (იქვე, გვ. 152). ესეც, ცხადია, ამტყუნებს დ. მეგრელაძის აზრს ამ საბუთების სიყალბეზე, თითქოსდა ყალბისმქნელის მიერ ამ საბუთების შედგენაზე XVIII ს-ის II ნახევარში (როგორც ამას შემდეგ იგი ამტკიცებს). მაგრამ იგი აქაც ეძებს გამოსავალს და ამბობს: რა ვუყოთ, ყალბისმქნელები ძველ ქაღალდზე ადგენდნენ საბუთებსო. (იქვე, გვ. 152-153). ე. ი. გამოდის, რომ ყალბისმქნელს XVIII ს-ის II ნახევარში ჰქონია თითქმის ორი საუკუნის ქაღალდი, სახელდობრ, XVI ს-ის II ნახევრისა და XVII ს-ის დასაწყისის ქაღალდები, რათა შეედგინა სიმონ 1-ის 1594 წლის და გიორგი X-ის 1605 წლის ყალბი საბუთები! მაგრამ ამის რაიმე დამადასტურებელი საბუთი რეცენზენტს ვერ მოაქვს. ამასთან როგორც ზემოთ დავინახეთ, დ. მეგრელაძემ თავდაპირველად ყალბისმქნელი „წიგნიერ" კაცად წარმოგვიდგინა, რომელსაც „სათანადო სკოლაც" ჰქონია გავლილი. შემდეგში კი იგი წარმოგვიდგინა უწიგნურად, რომელმაც „არ იცის არც ქორონიკონის დაანგარიშება და არც ასოთა რიცხვის მნიშვნელობა"! ამჟამად, კი მან იგივე ყალბისმქნელი პროფესიონალად გამოიყვანა, რომელიც ძველი ქაღალდების კარგი მცოდნეც ყოფილა. ასეთი და ამდენი ულოგიკობა განა შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გიორგი X-ის მიერ 1605 წელს ბოხვაძისადმი ბოძებულ სიგელში მოხსენებულია ისტორიული პირები: მდივანი ნასრი თუმანიშვილი, სუმბატ მანუჩარიშვილი და ქიშვარი, რომლებიც ამ სიგელის მიხედვით, ადრე სიმონ მეფეს გამოუკითხავს ბოხვაძისადმი ლისის კუთვნილების თაობაზე. გვხვდება თუ არა ჩვენ რომელიმე მათგანი საბუთებში 1594-1605 წლების, ანდა ამ წლების მახლობელი დროის საბუთებში? გვხვდება. ეს არის ნასრი თუმანიშვილი, ქართლის სამეფოს კარის მწიგნობარი 1606 წელს. 1606 წელს სიმონ 1-ის ქვრივი დედოფალთ-დედოფალი ნესტანდაჯერანი, გიორგი X-ის ქვრივი დედოფალი თამარი და მათი მცირეწლოვანი შვილი ლუარსაბი (შემდეგში მეფე ლუარსაბ II) ბეჟან და გიორგი სოლოღაშვილ-ბებურიშვილებს მამისდაბას უბოძებენ (ზურაბ სოლოღაშვილის კერძ მამულს). წყალობის ეს სიგელი დაიწერა „კარის მწიგნობრის ნასრი თუმანიშვილის" მიერ (Hd 2091). როგორც ვხედავთ, ნასრი თუმანიშვილი, მდივნად მოხსენებული გიორგი მეფის მიერ ბოხვაძისადმი 1605 წ. ლისის განახლების წიგნში, კვლავ გვხვდება საბუთში ერთი წლის შემდეგ, როგორც სამეფო კარის მწიგნობარი.

კითხვა ისმის: შეიძლებოდა თუ არა ეს ნასრი თუმანიშვილი ყოფილიყო სიმონ მეფის დროს 1594 წელს? ცხადია, შეიძლებოდა.

დ. მეგრელაძე წერს, რომ ნასრი თუმანიშვილი საბუთებში გვხვდება 1606-1624 წლებში, „ე. ი. იგი ასპარეზზე ჩნდება გიორგი მეფის საბუთის თარიღიდან ორი წლის შემდეგ. ამიტომ სავსებით გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ მას სიმონ მეფე იმოწმებდა"-ო (იქვე, გვ. 155). საკითხავია, საიდან ასკვნის ამას ავტორი? საიდან იცის მან, რომ საბუთებში პირველად 1605 წელს მოხსენებული ნასრი თუმანიშვილი მანამდე არ მოღვაწეობდა? 1594 წლიდან 1605 წლამდე განა ჩვენ ყველა სამეფო სიგელი თუ სხვა ხასიათის დოკუმენტი შემოგვრჩა? შემოგვრჩა მხოლოდ ერთეულები, უამრავი კი განადგურდა! ამავე დროს, სიმონ მეფის რიგ საბუთებში არ წერია — საბუთი ვის მიერ არის დაწერილი.

საბუთებით (დედნები) სიმონ მეფის კარის მდივანმწიგნობრები 1580-1591 წლებში ჩანან: ნავროზ აღათანგელისძე 1580 წ. (ფ. 1448, საბ. 5569), შაჰველ თუმანიშვილი 1581, 1591 წლებში (ფ. 1448, საბ. 5510, Hd 8437), ზილყიყარ რევიშვილი 1583, 1588 წლებში (Hd:14416, 14427, 14444, 14653), ესტატე აბაშისძე 1586, 1590 წლებში (Qd:430, 8624). შემდეში კი, სახელდობრ 1594 წელს ვინ იყვნენ სიმონ მეფის მდივანმწიგნობრები, არ ჩანს.

და აი, ნასრი თუმანიშვილი, რომელიც 1605 წ. გიორგი მეფის კარის მდივანმწიგნობარია, შეიძლებოდა თუ არა 12 წლის წინათ ყოფილიყო სიმონ მეფის დროს კარის მწიგნობარი? ცხადია, შეიძლებოდა. კიდევ მეტი, შეიძლებოდა თუ არა მდივანმწიგნობარს ემოღვაწა 30 წელი? ცხადია, შეიძლებოდა. მაშ რით გვიმტკიცებს დ. მეგრელაძე, რომ ნასრი თუმანიშვილი, რომელიც პირველად საბუთში მდივნად 1605 წ. გვხვდება, „სავსებით გამორიცხულია შესაძლებლობა" რომ სიმონ მეფის დროს, 1594 წელს ყოფილიყო? — ვერაფრით.

მაგრამ დასაშვებია ისიც, რომ ნასრი თუმანიშვილი, რომელიც 1605 წ. საბუთში მდივნად იხსენიება, სიმონ მეფის დროს, 1594 წელს, კარის მდივანმწიგნობარი არ ყოფილიყო და შემდეგ გამხდარიყო მდივანმწიგნობარი. სამამულე საქმეში მოწმე სავალდებულო არ იყო თანამდებობის პირი ყოფილიყო. გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი X-ის მიერ ბოხვაძისადმი 1605 წ. მიცემული ლისის კუთვნილების გახახლების წიგნში აღნიშნულია, რომ სიმონ მეფეს „მოკითხული ექნა“ და მოწმეებს მდივან ნასრი თუმანიშვილს, სუმბატ მანუჩარიშვილს და ქიშვარს ფიცით უთქვამთ, რომ „ლისი უკლებლივა ამ ბოხვაძისა“ არისო. გიორგი X-ის საბუთში აღნიშნული „მდივანი ნასრი თუმანიშვილი“ არ ნიშნავს, რომ იგი სიმონ მეფის დროს, 1594 წელსაც უეჭველად მდივანმწიგნობარი იყო. თუმცა ისიცაა შესაძლებელი რომ ყოფილიყო.

ამავე დროს ისიცაა შესაძლებელი, რომ 1605-1624 წლების მდივანმწიგნობარი ნასრი თუმანიშვილი სხვა იყო, ხოლო 1594 წელს, სიმონ მეფის დროის ნასრი თუმანიშვილი, — კიდევ სხვა.

ამასთან სამეფო კარს მდივანმწიგნობარი ერთი როდი ჰყავდა. ერთი მწიგნობარის არსებობისას, მისი ავადმყოფობის შემთხვევაში ხომ სამეფო სიგელების გაცემის საქმე შეჩერდებოდა. მეფე ლუარსაბ II-ის დროს, სახელდობრ, 1607-1609 წლებში, ერთდროულად, ნასრი თუმანიშვილის გარდა, სამეფო კარის მწიგნობრებია აგრეთვე თუმანიშვილი თაყა 1607 წელს (Hd-14 417) და რევიშვილი ქუმსი 1608-9 წლებში (Hd:13052, 13179, 2283.).

ასე, რომ, გიორგი ბოხვაძისადმი მიცემული საბუთის გარდა რომც გვქონდეს კიდევ სიმონ მეფის 1594 წლის სხვა რომელიმე საბუთი ვინმე კარის მწიგნობრის მიერ დაწერილი, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს შესაძლებლობას ნასრი თუმანიშვილის კარის მწიგნობრობას იმავე 1594 წელს, თუმცა, როგორც აღინიშნა, სრულიად არ იყო სავალდებულო ნასრი თუმანიშვილი კარის მწიგნობარი ყოფლიყო 1594 წელს, როდესაც იგი, როგორც ეს გიორგი X-ის 1605 წ. საბუთშია ნათქვამი, სხვებთან ერთად მოწმედ დაუდგა გიორგი ბოხვაძეს ლისის კუთვნილებაში.

დ. მეგრელაძე აღნიშნავს, რომ სიმონის მეფობის წლებში (1558—1600) ვერც ს უ მ ბ ა ტ ი და ვერც ქ ი შ ვ ა რ ი ვერ ვნახეთ საბუთებშიო და მათი გამოკითხვა სიმონ მეფის მიერ გამორიცხულიაო (იქვე, გვ. 156).

ეს მოსაზრება იმდენად უსუსურია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სიმონის მეფობის 42 წელიწადში, 1558—1600 წლებში, ქართლში უამრავი ს უ მ ბ ა ტ ი და ქ ი შ ვ ა რ ი იქნებოდა! მაგრამ რამდენი ისტორიული პირი თუ ჩვეულებრივი ფეოდალი გაქრა და არ აისახა საბუთებში! — აურაცხელი. ამასთან, ისიც ხომ საქვეყნოდ ცნობილია ათასობით საბუთები გახადგურდა და არ შემორჩა.

5. გიორგი X-ის 1605 წ. საბუთის სიყალბის დასადასტურებლად დ. მეგრელაძე წერს: გაუმართლებელია ქართლის სამეფო კარიდან გამოსულ დოკუმენტზე დასაწყისში ეწეროს „ნეფეთ-ნეფემა“ (გვ. 156). ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ყალბისმქნელი არ დაწერდა „ნეფეთ-ნეფემა“-ს. ამასთან, დ. მეგრელაძის მოსაზრებას აქ უარყოფს სხვა გარემოებაც: იგი წერს, რომ ორივე საბუთი ერთმა ყალბისმქნელმა შეადგინა ერთდროულადო. თუ ეს ასეა, მაშინ ყალბისმქნელმა სიმონ მეფის 1594 წ. საბუთში რატომ ჩაწერა გამოთქმა „მეფეთ მეფემან“, ხოლო მეორეში, გიორგი X-ის საბუთში „ნეფეთ ნეფემა“? აქაც ისე გამოდის, რომ თურმე ყალბისმქნელი თავის გასამტყუნებელ საბუთებს შეგნებულად განგებ წერდა, რაც ყოვლად გამორიცხულია.

ამასთან ცნობილია, რომ „ნეფე“ იგივე „მეფეა“ და, თუ იშვიათად ასეთი გამოთქმის („ნეფე“) შემცველი საბუთიც შეგხვდება, არ უნდა გაგვიკვირდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი X-ის 1605 წ. საბუთის გარდა, ამას ადსტურებს სიმონ I-ის 1582 წ. საბუთიც, სადაც ვკითხულობთ: „ჩ უ ე ნ ნ ე ფ ე თ ნ ე ფ ე მ ა ნ და თვით ქელ-მწიფემან პატრონმან სვიმონ“ (ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 40). კიდევ მეტი, არსებობს ისეთი დოკუმენტიც, სადაც ერთდროულად არის ორივე გამოთქმა: „ნეფე“ და „მეფეთ მეფე“ (იხ. „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, II, № 45). ასე რომ, ასეთი გამოთქმები და საბუთის მთელი რიგი სხვა მხარეები და ნიუანსები დამოკიდებული იყო მწიგნობრის სტილზე და ხელწერაზე.

6. დ. მეგრელაძე წერს: გიორგი X-ის საბუთში ეჭვს იწვევს გამოთქმა „გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულს ყმას ბოხვაძეს“. აქ ბოხვაძე სახელის გარეშეა მოხსენებულიო, რომ „ასეთი ხასიათის დოკუმენტებში მოიხსენებიან ხოლმე პირები არა მარტო გვარითა და სახელით, არამედ საბუთში შეტანილი არიან ხოლმე ძმები, ბიძაშვილები, არსებული და არარსებული მომავალი შვილები და შვილიშვილები და ა. შ“, „ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ბოხვაძე არაა რეალური პიროვნება“-ო (იქვე, გვ. 156).

დ. მეგრელაძე აქაც არაა მართალი და მისი ეს მოსაზრებაც მცდარია.

არის მთელი რიგი წყალობის თუ ნასყიდობის საბუთები, სადაც ადრესატის მხოლოდ გვარი და სახელია მოხსენებული და სხვა არავინ. მაგალითისათვის, ასეთი საბუთებია: სიმონ მეფის მიერ 1583 წელს მ ო ლ ა ვ ს მამულის წყალობის წიგნი ი ო ვ ა ნ ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი, სადაც ადრესატად მხოლოდ და მხოლოდ იოვანე ბარათაშვილია ნახსენები (Hd 14.653). საბუთი დედანია და ბეჭდიანი. ასევე, გიორგი X-ის მამულის წყალობის წიგნი ზაქარია ავალიშვილისადმი 1605 წელს, სადაც საბუთში ადრესატი მხოლოდ და მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ა ნახსენები (Hd 1327). საბუთი დედანია. ასევე, მხოლოდ პირადად, სახელით და გვარით არის მოხსენებული ს ი ა უ შ ს ა ა კ ა ძ ე (გიორგის მამა) კახთა მეფის იასეს მიერ 1580 წელს და სიმონ მეფის მიერ 1588 წელს მიცემულ მამულის წყალობის წიგნებში (Hd: 14441, 14416, 14444), მიუხედავად იმისა, რომ 1588 წელს სიაუშ სააკაძეს შვილები ჰყავდა. საამისო საბუთები უამრავია.

გარდა ამისა, შეიძლებოდა თუ არა საბუთში ადრესატი ზოგჯერ მხოლოდ გვარით მოეხსენებიათ? შეიძლებოდა. ამის ერთი მაგალითი, როგორც ვნახეთ, გიორგი X-ის საბუთშია „გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულს ყმას ბოხვაძეს“. ზოგჯერ კი არა მარტო გ ვ ა რ ი თ, არამედ კიდევ მეტი, მ ხ ო ლ ო დ ს ა ხ ე ლ ი თ ან მხოლოდ ზედწოდებით არიან მოცემულნი საბუთში ესა თუ ის პირი-ადრესატი. საამისო საბუთებიც ბევრია.

დავით IX-ის 1365 წლის წყალობის სიგელში ნათქვამია „ეზოს ჩუხჩრახ ო პ ი პ ო, გორს ქისიყელისეული მამული გვიბოძებია“. ადრესატის არც გვარი და არც მამის სახელი, არც შვილები საბუთში ნახსენები არაა (ქართული სამართლის ძეგლები (შემდეგში: ქსძ, II, 35).

1438 წელს მეფე ალექსანდრე მამულის წყალობის განახლების სიგელს აძლევს ვინმე უ რ დ ო ე ლ ს და მის შვილს სუმბატს. ურდოელი აქ უფრო ზედწოდება ჩანს და არც სახელით და არც გვარით იგი აქ მოხსენებული არ არის (ქსძ, II, 42). დღეს კაცმა არ იცის ვინ იყო ეს ურდოელი.

1658-1675 წლებში მეფე შაჰნავაზმა დაამტკიცა განჩინება გ ო შ ფ ა რ ი ს და მისი განაყოფის მამულის საქმეზე. ვინ იყო ეს გოშფარი — ან გვარით, ან მამის სახელით, ან თანამდებობით, — საბუთში სრულიად არაფერია ნათქვამი (ქსძ, IV, 72).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე, მხოლოდ სახელით მოიხსენებიან მეფე-კათალიკოზთა და დედოფლის მიერ გაცემულ წყალობის სიგელებში ადრესატები: 1607 წელს „სახლთუხუცესი ზურაბი (Hd 14.417), 1612 წ. სახთუხუცესი ვინმე რევაზი (ქსძ, III, 85), 1645 წ. ვინმე ხოსრო და მისი მამის-ნაცვალი დარჩა (ქსძ, II, 75), 1657-60 წწ. ვინმე იოანე (ქსძ, III, 124), 1705—41 წწ. ბერძენაულის მოურავი ვინმე სოლომონი (ქსძ, III, 253).

არც გვარით, არც მამის სახელით, არც შვილებით, არც შვილიშვილებით, ხოლო რიგი მათგანი არც თანამდებობით, ეს პირები მოხსენიებულნი არ არიან წყალობის სიგელებში. ასეთი საბუთები ბევრია.

დ. მეგრელაძის შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ, ზემოაღნიშნული ყველა საბუთი, რომლებიც დედნებია (თანაც ზოგი მათგანი ბეჭდიანი), მაინც ყალბად უნდა ჩაითვალოს, რადგან მათში არ არიან შეტანილი „ძმები, ბიძაშვილები, არსებული და არარსებული მომავალი შვილები, შვილიშვილები და ა. შ." და ვისაც ასეთი შეხედულება აქვს, ანდა სურს განწყობით რომელიმე საბუთი ყალბად გამოაცხადოს, იტყვის: ვინ არიან ესენი: „ჩუხჩერახი პიპო", „ურდოელი", „ხოსრო", „იოვანე", „სახთუხუცესი ზურაბი", „სახთუხუცესი რევაზი", „მოურავი სოლომონი", „გოშფარი" და ა. შ. ესენი რეალური პიროვნებები არ არიანო!

უნდა დავასკვნათ: დ. მეგრელაძის მოსაზრებას და მოთხოვნას მამულის თუ სხვა სახის წყალობის დოკუმენტის შედგენისას უთუოდ ჩაეწერათ არა მარტო ადრესატის გვარი და სახელი, არამედ მისი ძმები, ბიძაშვილები, შვილები, შვილიშვილები და არარსებული მომავალი შთამომავლობა, ქართველი მეფეები და კათალიკოსები არ ასრულებდნენ და ჩვენ მიერ ზემომოტანილი მრავალი საბუთი-დედანი უარყოფს მის აღნიშნულ ამ შეხედულებასაც.

ისმის კითხვა: რატომ არის მეფის ან კათალიკოსის მიერ გაცემულ წყალობის თუ სხვა ხასიათის რიგ დოკუმენტებში ისტორიული (რეალური) პირები მხოლოდ სახელით ან მხოლოდ გვარით, ან კიდევ მხოლოდ ზედსახელით? ეს იმიტომ, რომ საბუთის შემდგენელნი და გამცემნი წერდნენ თავისი დროისათვის, თავისი დროის გასაგებ ენაზე და არა XX ს-ის ქართველი ისტორიკოსებისათვის. ასე რომ, როდესაც ისინი საბუთს წერდნენ, იმ დროს ყველამ კარგად იცოდა ვინ იყვნენ საბუთებში ეს ადრესატი პირები, მოხსენიებულნი მხოლოდ და მხოლოდ გვარით და სახელით, კიდევ მეტი, მოხსენიებულნი მარტო გვარით, ან მარტო სახელით თუ ზედსახელით: „სიაუშ სააკაძე", „გიორგი ბოხვაძე", „ერთგული ყმა ბოხვაძე", „იოვანე ბარათაშვილი" „სახთუხუცესი ზურაბი", „სახთუხუცესი რევაზი", „ჩუხჩერახი პიპო", „ურდოელი", „ხოსრო", „იოვანე", „მოურავი სოლომონი", ვიღაც „გოშფარი და ა. შ.

ვფიქრობთ ნათელია. როდესაც 1594 წელს ქართლის მეფე სიმონ I ლისის წყალობის განახლების წიგნს აძლევს გიორგი ბოხვაძეს, ხოლო 10 წლის შემდეგ სიმონის შვილი გიორგი X ლისის კუთვნილების წიგნს კვლავ უახლებს „ჩვენს ერთგულ ყმას ბოხვაძეს", ლისისა და საერთოდ თბილისის პირა სოფლების რეგიონში და, შესაძლოა, მის ფარგლებს გარეთაც, იმ დროს ყველამ იცოდა (განსაკუთრებით ფეოდალთა კლასმა), თუ ვინ იყო ლისის მფლობელი ეს ბოხვაძე, ისე როგორც თავის დროს სათანადო რეგიონებში ყველამ იცოდა ვინ იყო „ჩუხჩერახი პიპო", „ურდოელი", „ხოსრო", „იოვანე", „მოურავი სოლომონი", ვიღაც „გოშფარი" და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დ. მეგრელაძე აღნიშნავს, რომ სიმონ I-ის და გიორგი X-ის საბუთების (Hd 1810, Hd 2435) შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ ერთნაირია, მათი სტილი, სტრუქტურა, წინადადების წყობა და ლექსიკაც-კი (იქვე, გვ. 156). ეს გარემოება ჩვენ ადრე გვაქვს აღნიშნული ჩვენს წერილში. მაგრამ დ. მეგრელაძეს ეს ვითარება მიაჩნია დოკუმენტების სიყალბის ერთ-ერთ მოწმობად. ეს აზრიც მცდარია. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან მამულის განახლების ახალ საბუთში დამწერი-მწიგნობარი ხშირად იმეორებდა მის ხელთ არსებული წინა საბუთის შინაარსს, სტილს და წინადადების წყობასაც კი.

დ. მეგრელაძეს სურს ამ ორ დოკუმენტს შორის დაინახოს წინააღმდეგობაც. სახელდობრ, გიორგი X-ის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მამა ჩვენს", ე. ი. სიმონ მეფეს, ადრევე „მოკითხული ექნა" მოწმეები ლისის ბოხვაძისადმი კუთვნილების შესახებო. გიორგი X-ის საბუთში ეს მოწმეები ჩამოთვლილია, ხოლო სიმონ მეფის საბუთში კი არც „მოკითხულის ქნა" არის ასახული და არც მოწმეებია მითითებულიო (იქვე, გვ. 157). არც ეს აზრია სწორი. სიმონ მეფის საბუთში სავალდებულო სრულიად არ იყო მოწმეების ჩამოთვლა, რადგან მამულის კუთვნილების ძირითად მოწმობას საბუთი წარმოადგენდა. და ეს საბუთები („წიგნები") გიორგი ბოხვაძემ, როგორც თვით დოკუმენტშია აღნიშნული, წარუდგინა სიმონ მეფეს. რაც შეეხება „მოკითხულის ქნას", ანუ მოწმეებს, ესეც ასახული ჩანს სიმონ მეფის საბუთში, სადაც წერია: ლისი „შევიტყვეხით რომ შენის გვარის კაცის ყოფილა"-ო. ამ „შეტყობინებაში" „წიგნების" გაცნობის გარდა, ჩანს მოწმეებიც იგულისხმება. მაგრამ ეს რომც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, რა უფლება გვაქვს ჩვენ მეფეს მოვთხოვოთ, მოწმეები ჩაეწერა თუ არ ჩაეწერა საბუთში!

ის, რომ სიმონ I-ის 1594 წ. საბუთში მოწმეები ჩამოთვლილი არ არის, ხოლო გიორგი X-ის 1605 წ. საბუთში მოწმეები ჩამოთვლილია, პირიქით, სწორედ ეს გარემოებაც მიუთითებს იმას, რომ ეს საბუთები ყალბი არ არის, რადგან ისინი ყალბისმქნელს რომ შეედგინა, მაშინ იგი ნასრი თუმანიშვილს, სუმბატ მანუჩარიშვილს და ქიშვარს, რომლებიც დასახელებულია გიორგი X-ის 1605 წ. საბუთში, როგორც ბოხვაძის მოწმეები სიმონ I-ის დროს, ჩაწერდა სიმონ I-ის 1594 წლის გიორგი ბოხვაძისადმი გაცემულ საბუთშიც, რათა ვინმეს ამ საბუთების სიყალბეში ეჭვი არ შეეტანა.

როგორც ვხედავთ, დ. მეგრელაძის არც ერთი მოსაზრება სიმონ I-ის და გიორგი X-ის მიერ ბოხვაძისადმი ლისის წყალობის განახლების საბუთების სიყალბის შესახებ სწორი და არგუმენტირებული არ არის.

*

* *

V. დ. მეგრელაძე სვამს კითხვას: ვისი იყო სოფ. ლისი და იყო თუ არა იგი სადავო გიორგი სააკაძის დროს.

დ. მეგრელაძეს ამ კითხვაზე მოაქვს ცნობილი წყაროები იმის შესახებ, რომ სოფელი ლისი გიორგი სააკაძეს ეკუთვნოდა და მის შემდეგაც იგი სააკაძე-თარხნიშვილთა მფლობელობაში შედიოდა გასაბჭოებამდეო (იქვე, გვ. 157-162). ეს საქვეყნოდ ცნობილია და ამაზე არავინ დაობს. ეს გარემოება ჩვენს წერილშიც არის აღნიშნული. საამისოდ მის მიერ მოტანილი რიგი წყაროები სტატიაში სრულიად ზედმეტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ქ მ ი ს მ თ ე ლ ი ა რ ს ი ა ქ ი ს ა რ ი ს, თ უ რ ა დ რ ო ი დ ა ნ მ ო ე ქ ც ა ლ ი ს ი გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა შ ი. მთელი ყურადღება და მსჯელობა ამ საკითხზე უნდა იყოს გადატანილი.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, იმისათვის, რომ დაამტკიცოს სიმონ I-ის მიერ გიორგი სააკაძისადმი ლისის წყალობა 1594 წელს, დ. მეგრელაძეს აქ მოაქვს ბერი ეგნატაშვილის მიერ „ახალი ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილი ერთი ეპიზოდი: მარაბდის ომის შემდეგ გიორგი სააკაძე ნოსტეს მივიდა. ამ დროს „...გამოსულიყვნენ ქალაქის ციხიდამე მარბეველნი თარეშნი თათარნი და ლ ი ს ი მოერბიათ. მაშინ წარვიდა მოურავი. რ̄ ლისი იმისი იყო ბატონის წყალობა" (იქვე, გვ. 157). დ. მეგრელაძე წერს: სიტყვა „ბატონში" აქ იგულისხმება მეფე სიმონ I და „ვფიქრობთ, ამ ცნობაში იგულისხმება სწორედ სიმონ მეფის მიერ გიორგი სააკაძისათვის ლისის წყალობა" (იქვე, გვ. 157), „ბერი ეგნატაშვილის ცნობა, რომ „ლისი ბატონის წყალობა იყო", ჩვენ უეჭველად მოგვაჩნია და, როგორც ზემოთაც ითქვა, ეს უნდა მომხდარიყო 1594 წ". (იქვე, გვ. 162).

დ. მეგრელაძის ეს მოსაზრებაც მცდარია, რადგან „ქართლის ცხოვრების" ასეთი კომენტარი ტექსტის არასწორი გაგების შედეგია. აქ მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: ბერი ეგნატაშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებაში" მონათხრობ ეპიზოდში, კონტექსტში ნათქვამ სიტყვა „ბატონში" („ბატონის წყალობა იყო") მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ თეიმურაზ I იგულისხმება და არა სიმონ I, რაზედაც ჩვენ შემდეგში შევჩერდებით.

გარდა ამისა, თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად დ. მეგრელაძე აქვე წერს: „თუ 1604 წ. გიორგი მეფემ ლისი ბოხვაძეს უბოძა, მაშინ როგორ მოხდა რომ 1. ლისი სააკაძისაა თეიმურაზის დროს („ახალი ქართლის ცხოვრებისა" და იოსებ თბილელის ცნობა), 2. 1653 წ. როსტომ მეფემ იორამ სააკაძეს დაუმტკიცა ლისი", და 3. მთელ შემდგომ ხანაში, გასაბჭოებამდე, ლისი სააკაძე-თარხნიშვილებს ეკუთვნოდათ (იქვე, გვ. 162).

ვფიქრობთ, კვლევას ცოტა მეტი სიღრმე ესაჭიროება. რა არის აქ გასაკვირი? 1604 წლის შემდეგ, ნებისმიერ დროს, ხომ შესაძლებელია გიორგი ბოხვაძე ან მისი შვილი ამოვარდნილიყო, ან ბუნებრივი სიკვდილით, ანდა რომელიმე ბრძოლაში დაღუპულიყვნენ, ვთქვათ, 1609 წ. ტაშისკარის, ანდა მარტყოფის — 1625 წელს, მემკვიდრე ვაჟი არ დარჩენოდათ და მათი ეს ბეითალმანი მამული ლისი 1605-1626 წლების პერიოდში რომელიმე მეფეს გიორგი სააკაძისათვის ეწყალობებია, ვიდრე იგი თურქეთში გარდაიხვეწებოდა (1626 წ.). ანდა ისიცაა შესაძლებელი გიორგი სააკაძეს სყიდვით მიეღო ეს მამულ ბოხვაძისაგან, განსაკუთრებით თბილისის მოურავად ყოფნის პერიოდში; ანდა, კიდევ, ქართლის ფაქტიურ მმართველად ყოფნის დროს 1619-26 წლებში, გიორგი სააკაძეს, როგორც უძლიერეს ფეოდალს, შეეძლო ლისი, როგორც მოსაზღვრე სოფელი, თავის სამფლობელოსთვის მიეერთებინა, თუ ბოხვაძე ამოვარდნილი იყო.

1652 წ. როსტომ მეფის მიერ გიორგი სააკაძის შვილის იორამისათვის დაბრუნებულ მამულების რიცხვში რომ სოფ. ლისია, ეს, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ლისი გიორგი სააკაძის იყო, მაგრამ საკითხის მთელი არსი ის არის, თუ რა დროიდან, რომელი წლიდან ეკუთვნოდა მას სოფ. ლისი. არა და არ იქნა ამის გაგება! სიმონ I-ის მეფობის დროს კი ლისი გიორგი სააკაძის არ არის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რადგან, როგორც უკვე არაერთხელ ნათლად გაირკვა, სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი გაცემულია არა გიორგი სააკაძეზე, როგორც აქამდე შეცდომით თვლიდნენ, არამედ გიორგი ბოხვაძეზე. სოფ. ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში გადასული ჩანს 1605-1626 წლებში, კონკრეტულად კი, რომელ წელს და რომელი მეფის დროს, — ცნობილი არაა.

თავისი აზრების გასამყარებლად სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტზე დ. მეგრელაძე იმოწმებს დიპლომატიკის სპეციალისტებს, მაგრამ ეს საბუთი არაა. ზოგჯერ სპეციალისტებიც ცდებიან. რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილის დამოწმებას, ეს ვერაა მართებული, რადგან, როგორც თვით დ. მეგრელაძე წერს, საინვენტარო დავთარში Hd ფონდის 1809 ნომრამდე (საბუთამდე) დოკუმენტები გაუტარებია ნ. ბერძენიშვილს (იქვე, გვ. 159). სიმონ მეფის საბუთი კი არის მომდევნო ნომერი Hd1810. მაშასადამე, იცნობდა თუ არა ნ. ბერძენიშვილი Hd 1810 საბუთს (სიმონ I-ის 1594 წ. საბუთს ბოხვაძეზე გაცემულს), —ცნობილი არაა.

VI. და, აი, ასეთი კვლევის შემდეგ დ. მეგრელაძე აღნიშნავს, რომ „ჩვენი ძიების არე“ დავიწროვდაო, ჩვენმა ძიებამ „ფარდა ახადეს საიდუმლოს“-ო(!) — „კონკრეტულად როდის და ვის მიერ“ იქნა „შედგენილი ნატყუარი დოკუმენტები“-ო (იქვე, გვ. 162).

როგორც ვხედავთ, რეცენზენტის განცხადებით, მან მიაკვლია სიმონ I-ის 1594 წ. საბუთის პერსონ-გამყალბებელს! და ვინ„ აღმოჩნდა“ ეს? დ ა რ ე ჯ ა ნ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, რომელსაც სიმონ I-ის და გიორგი X-ის „ყალბი“ საბუთები „შეუდგენია“ 1752-53 წლებში.

მაინც, აი რა ყოფილა: 1751 წელს ვინმე ზაზა თარხნიშვილი უვაჟოდ (უმემკვიდრეოდ) გარდაცვლილა. თეიმურაზ II-ეს მისი ყმამამული ჯერ სახასოდ დაუდვია, ხოლო 1752 წ. მაისის ბრძანებით თარხნიშვილებისთვის დაუბრუნებია. 1752-53 წლებში თარხნიშვილებს ზაზას ბეითალმანი მამული გასანაწილებლად საერთო ჯამში ჩაუგდიათ. ზაზას მამულები იყო სოფ. ლისშიც, რომელიც თარხნიშვილებს ექვს წილად გაუყვიათ. ზაზას ქვრივი დარეჯახი თურმე ცდილობს „ქმრის ქონებიდან“ „დაინარჩუნოს რაღაც წილი“ და აი, აქ მას, როგორც დ. მეგრელაძე წერს, „დაებადა იდეა ლისის წყალობის გაყალბებისა“. დ. მეგრელაძე განაგრძობს, რომ ამ მიზნით დარეჯან „ყალბისმქნელი ქმნის დოკუმენტს, რომ ლისი ძველითგან ბოხვაძისა ყოფილა“ (გიორგი X-ის წყალობის საბუთი ბოხვაძისადმი). ამავე დროს იგი მიდის „დიდ რისკზე“, სპობს სიმონ მეფის 1594 წ. საბუთის დედანს (რითაც სიმონმა გიორგი სააკაძეს ლისი უწყალობაო) და მის ნაცვლად კვლავ ქმნის მეორე ახალ ყალბ დოკუმენტს, „სადაც გვარის წაკითხვა საეჭვო იქნება“-ო. ეს მოხდა 1752-53 წლებშიო (იქვე, გვ. 162-164). აი ის, რითაც დ. მეგრელაძემ „მიაგნო“ სიმონ მეფის 1594 წლის და გიორგი X-ის 1605 წლის „ყალბი“ საბუთების „შემდგენელს“ დარეჯან თარხნიშვილს.

კითხვა ისმის: რით ამტკიცებს დ. მეგრელაძე დარეჯან თარხნიშვილის მიერ ამ „ყალბი“ საბუთების შექმნას? როგორც ვხედავთ ვ ე რ ა ფ რ ი თ, ვერც პირდაპირი და ვერც არაპირდაპირი საბუთებით. პირდაპირი საბუთი, ცხადია, იქნებოდა დოკუმენტური ან სხვა სახის ცნობა იმის შესახებ, რომ დარეჯან თარხნიშვილმა სიმონ და გიორგი მეფეების 1594 და 1605 წლების ყალბი საბუთები შეადგინაო, ხოლო სიმონ მეფის ლისის წყალობის საბუთი გიორგი სააკაძისადმი მიცემული, — მოსპოო. არაპირდაპირი კი ის, რომ, ვთქვათ, გვქონდეს ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააკაძე-თარხნიშვილთა საგვარეულო საბუთები დარეჯან თარხნიშვილთან ინახებოდაო და, ამასთან ვინმეს რაიმე საჩივარი, დარეჯან თარხნიშვილმა სიმონ და გიორგი მეფეების რომელიღაც საბუთები მოსპო და რაღაც ახალი ყალბი საბუთები შექმნაო და სხვა ამგვარი. მსგავსი არაფერი გვაქვს. ამიტომ დ. მეგრელაძის მსჯელობა დარეჯან თარხნიშვილის მიერ სიმონ 1-ის და გიორგი X-ის „ყალბი“ საბუთების შედგენის შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

მკვლევარს არც კი დაუსვამს ასეთი კითხვა: რაში გამოადგებოდა 1752 წელს დარეჯან თარხნიშვილს სიმონ და გიორგი მეფეების 1594 და 1605 წლების ლისის წყალობის ყალბი საბუთების მიმღებად ვიღაც ბოხვაძე და ამოუკითხავი ადრესატი გამოეყვანა?! ვინ რას მისცემდა მას ვიღაც ბოხვაძეზე და უცნობ ადრესატზე გაცემული ყალბი საბუთების შედგენით?!

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: თეორიულად თითქმის ყველაფერი დასაშვებია საბუთების სიყალბე-ნატყუარობის შესახებ, თვით მეფის ბეჭდიანი საბუთების მიმართაც-კი, რადგან ასე თეორიულად და ფანტაზიით ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ მდივანმა და ბეჭდის მცველმა ბოროტად გამოიყენეს თანამდებობა და მეფის დაუკითხავად დაწერეს რაიმე საბუთი და ბეჭედიც დაუსვეს. ასეთნაირად ყველა საბუთი შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ, რაც, ცხადია, სწორი როდია. მაშასადამე, თეორიულად საბუთების მიმართ ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ ყოვლად დაუშვებელი და გამორიცხულია ყალბისმქნელს გაწგებ თავის გასამტყუნებელი საბუთი შეედგინოს, როგორც დ. მეგრელაძის განცხადებით დარეჯან თარხნიშვილი მოქცეულა. მას ისეთი ყალბი საბუთი შეუდგენია თურმე, სადაც ადრესატის გვარის წაკითხვა საეჭვო და ორჭოფული იქნებოდა, სადაც გვარი თურმე შეიძლებოდა წაეკითხათ „სააკაძედაც“ და „ბოხვაძედაც“, რის გამოც ყალბისმქნელი, რომელიც ყოველთვის ცდილობს მის მიერ შედგენილი ყალბი საბუთი ორიგინალს დაამსგავსოს, თურმე დაინტერესებული ყოფილა თვით გამომჟღავნებულ-გამტყუნებულიყოს! ყოვლად გაუმართლებელი აშკარა ულოგიკობაა!

მაგრამ დავანებოთ თავი ყველაფერს და გიორგი ბოხვაძისადმი გაცემული სიმონ I-ის 1594 წ. საბუთი, რომელიც სიმონის საბუთებისთვის დამახასიათებელი სინგურით იწყება და ზედ სიმონის ხელრთვაა, თეორიულად დროებით დავუშვათ მისი სიყალბე. ასეთ შემთხვევაშიც-კი ამ საბუთთან სააკაძეს არავითარი კავშირი არ ექნებოდა რადგან არავითარი სააკაძე საბუთში არ წერია. ყალბი საბუთის მოთავე კი იქნებოდა გიორგი ბოხვაძე, რადგან საბუთში ლისის წყალობა განახლებულია გიორგი ბოხვაძისადმი. საბუთის სიყალბის დამტკიცების შემთხვევაში დასკვნა მხოლოდ ასეთი იქნებოდა: ყალბი საბუთი შეუდგენია ვინმე გიორგი ბოხვაძეს, რომელსაც ლისის მითვისება-დაუფლება ნდომებია. მაგრამ, ეს მხოლოდ თეორიულად.

მაშასადამე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და დროებით რომც დავუშვათ კიდეც სიმონ მეფის 1594 წ. ბოხვაძისადმი გაცემული საბუთის სიყალბე, განა ასეთ შემთხვევაშიც-კი დამტკიცდებოდა სიმონ მეფის მიერ 1594 წელს გიორგი სააკაძისადმი ლისის ბოძება? არა! რადგან არავითარი სააკაძე სიმონ I-ის 1594 წლის აღნიშნულ საბუთში არ წერია და არავითარი საბუთი ან რაიმე წყარო სიმონ I-ის მიერ 1594 წელს გიორგი სააკაძისადმი ლისის ბოძების შესახებ არ არსებობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



VII. ჩვენს ადრე გამოქვეყნებულ წერილში სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის წიგნს რომ ეხება, საჭიროდ არ ვცანით შეჩერება იმაზე, თუ რა დროიდან უნდა მოსულიყო გურული გიორგი ბოხვაძის წინაპარი ქართლში, როდის უნდა გადასულიყო ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში და როდის და ვის უნდა გაეყალბებია სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვაძეზე გაცემული. ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა ვრცლად შევჩერდეთ მასზე.

სიმონ I-ის და გიორგი X-ის აღნიშნული საბუთებით გიორგი ბოხვაძე, ცხადია, რეალური პიროვნებაა. სიმონ მეფის საბუთით ლისი ბოხვაძის წინაპრისათვის ბაგრატ მეფეს უწყალობებია. გურიიდან მათი ქართლში მოსვლა, რასაც გიორგი X-ის საბუთი გვამცნობს, გასაკვირი არაა. საინტერესოა რა დროიდან არის სავარაუდებელი მათი მოსვლა გურიიდან ქართლში.

„მატიანე ქართლისა“-ში მოგვეპოვება ცნობა „გურიელნი აზნაურნი“-ს შესახებ, რომლებიც XI ს-ში ბაგრატ IV-ის ლაშქარში მსახურობენ სხვა კუთხეების მოლაშქრეებთან ერთად. სახელდობრ, „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: ლიპარიტ ბაღვაშთან დაზავების შემდეგ კვლავ გაძლიერდა ბაგრატ მეფე, წავიდა ლაშქრით დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელების მიერ მიტაცებული ანაკოფიის ციხის ასაღებად. ამ დროს, 1046 წელს, თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა და „თბილელი ბერები“ ბაგრატთან მივიდნენ და მას თბილისის სასწრაფო აღება შეთავაზეს. მეფემ ანაკოფიის მოალყე „აფხაზეთის ლაშქრის“ მეთაურად დატოვა ქვაბულელ ჭაჭასძე ოთაღო, ხოლო თვითონ თბილისის ასაღებად წამოვიდა. ბაგრატ IV-ემ „ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა საშოქალაქოსა ლაშქარი, და გ უ რ ი ე ლ ნ ი  ა ზ ნ ა უ რ ნ ი და ლომსიანნი მოიყვანა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს. და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მჴმობელნი ბერნი ტფილელნი“. მეფემ თბილისი აიღო („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, გვ. 299).

XI-XII საუკუნე საქართველოში ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური დუღილის ეპოქაა. ქვეყანა ერთიანდება. ბრძოლა წარმოებს „ქართლსა ზედა“ — ქვეყნის ცენტრის დაუფლებისათვის. ქართველ ფეოდალთა კლასი, განსაკუთრებით საშუალო და წვრილი აზნაურობა, ისწრაფვის მეფის ლაშქარში იყოს, მეფისთვის გაწეული სამსახურით დაწინაურდეს, ყმამამული მიიღოს. ცენტრისკენ (ქართლი) სწრაფვის გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიდის ფეოდალთა კლასის — აზნაურების დიდი მიგრაცია ქართლში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან (იხ. ს. ჯანაშია, „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“). და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ბაგრატ IV-თან სხვა კუთხეების მოლაშქრე მსახურ-აზნაურებთან ერთად არიან „გურიელნი აზნაურნი“-ც. მოლაშქრე-აზნაურები მას თან დაჰყვებიან. გაერთიანებული საქართველოს მეფეები დასავლეთ საქართველოდან მოვიდნენ და, ბუნებრივია, მათ თან გადმოჰყვა ფეოდალთა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყოველივე ამის გამო, სავსებით დასაშვებია, გურიის აზნაური ბოხვაძე ქართლში გადმოსულიყო, მეფის სამსახურში მდგარიყო და სამუქფოდ სოფელი ლისი ეწყალობებიათ მისთვის, ხოლო სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს საბუთის მიმღები გიორგი ბოხვაძე მისი შთამომავალი იყო. ასეც ხომ არის ეს აღნიშნული სიმონ I-ის და გიორგი X-ის საბუთებში — ბოხვაძეების გურიიდან ძველი დროიდან მოსვლა და მათთვის ლისის ასევე დიდი ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ ბოძება. ბოლოს და ბოლოს, რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ დ ო კ უ მ ე ნ ტ ს, მაშინ როდესაც ნარატიულ წყაროებსა და ზეპირ გადმოცემებს ვეხდობით.

ამრიგად, დოკუმენტურად ლისი ბოხვაძეთა ხელშია ძველი დროიდან, სავარაუდოა ბაგრატ IV-ის დროიდან, ვიდრე 1605 წ. მაისამდე მაინც, რადგან გიორგი X-ემ ბოხვაძეს ლისის მფლობელობა საბუთით განუახლა 1605 წ. 12 აპრილს (Hd 2435), და, მაშასადამე, აქამდე მისი ქონება სააკაძეთა ხელში გამორიცხულია.

მიუხედავად ამისა მაინც დავსვათ კითხვა: შეიძლებოდა თუ არა ლისი ეწყალობებიათ გიორგი სააკაძისათვის სიმონ 1-ის მეფობის პერიოდში, სახელდობრ, 1594 წელს? არა, არ შეიძლებოდა. ამის ყველაზე ძლიერი საბუთი უპირველეს ყოვლისა ის გახლავთ, რომ 1594-1606 წლებში სააკაძის ფეოდალური სახლის უფროსი კვლავ არის ს ი ა უ შ ი, გიორგის მამა. პირველად კი სიაუშ სააკაძე სამოღვაწეო ასპარეზზე ჩანს 1580 წლიდან (Hd 14441). იოსებ თბილელი გვამცნობს, რომ 1606 წელს სიაუშმა 13 წლის მეფე ლუარსაბ II-ეს თავისი ვაჟი, 20 წლის გიორგი სააკაძე წარუდგინა, აშკარაა, სახელმწიფო სამსახურში გასამწესებლად.

„ოცი წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდინ“ — ათქმევინებს იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს. მაშასადამე, გიორგი სააკაძის მამა სიაუში 1606 წელსაც ცოცხალია. (ასეთივე აზრისაა გ. ჯამბურია ნაშრომში „გიორგი სააკაძე“, 1964 წ., გვ. 56). 1588 წ. კი სამეფო ტახტის აზნაური სიაუშ სააკაძე მეფის უახლოესი მრჩეველი-„მუსაჰიბია“ (Hd:14 416, 14 444). არსებობს მოსაზრება, რომ იგი თბილისის მოურავიც იყო და ეს თანამდებობა თავის შვილ გიორგიმდე მას ეკავა (გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, იქვე). გიორგი სააკაძე კი თბილისის მოურავად (ამირთ-ამირად) მხოლოდ 1608 წლიდან ჩანს. როგორც ვხედავთ, 1580-1606 წლებში სააკაძის ამ შტოს გაუყრელი ფეოდალური სახლის უფროსი მეფის მრჩეველი ს ი ა უ შ სააკაძეა. და თუ სიმონ მეფე 1594 წელს ლისს უწყალობებდა სააკაძეთა ამ სახლს, უფრო უწყალობებდა ამ ფეოდალური სახლის უფროს სიაუშ სააკაძეს და არა მის მცირეწლოვან შვილს გიორგის. ეს აშკარაა. შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ა რ ა ა, რომ 1607 წლამდე, ვიდრე სიაუში ცოცხალია და ვიდრე თავისი შვილი გიორგი არ წარუდგინა ლუარსაბ მეფეს, არავითარი რომელიმე მეფის (სიმონი 1-ის გორგი X-ს) რაიმე წყალობის ანდა ნასყიდობის ან სხვა სახის საბუთი გიორგი სააკაძეზე გაცემული ან, თვით გიორგის მიერ ვინმეზე მიცემული, არა გვაქვს.

არ გვაქვს იმიტომ რომ, როგორც აღინიშნა, იოსებ თბილელის პირდაპირი ცნობით, 1606 წ. გიორგი სააკაძე 20 წლისაა. მაშასადამე, ამ პირდაპირი ცნობით იგი დაბადებულა 1585-6 წლებში. 1594 წელს კი გიორგი სააკაძე იქნებოდა 8-9 წლის ბავშვი. 8-9 წლის ბავშვისთვის კი, და, გნებავთ, 14 წლის ბავშვისთვისაც, თუ დავუშვებდით გიორგი სააკაძის დაბადებას 1580 წელს, შეუძლებელია სიმონ მეფეს სამეფო სოფელი ლისი ებოძებინა და საბუთში „თავდადებით ნამსახური ყმა“ ეწოდებინა. არავითარი სხვა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ცნობა გიორგი სააკაძის დაბადებისა და ასაკის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. ხოლო დიდი ცთუნებების შემცველი რაღაც სუსტი არაპირდაპირი მინიშნებებით (გიორგის „ქალების“ ასაკის ვარაუდი, „სპეტაკი წვერი“, „სურათი“ და სხვ.) სიმონ I-ის მეფობის დროს, 1594 წელს, გიორგი სააკაძის გამოყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოწიფულად და სიმონ მეფის უახლოეს თანამებრძოლად, არაფრით არ დასტურდება.

ეს გარემოებაც დამატებით ადასტურებს იმას, რომ 1594 წელს სიმონ მეფის მიერ ლისის ბოძება გიორგი სააკაძისათვის გამორიცხული იყო.

მაგრამ ასეც რომ არ იყოს ზემოაღნიშნული გარემოებანი და, რომც დავუშვა სიმონ I-ის დროს გიორგი სააკაძის მოწიფულობა, ესეც, ცხადია, ვერაფრით ვერ დაამტკიცებდა სიმონ მეფის მიერ 1594 წელს ლისის ბოძებას გიორგი სააკაძისათვის, რადგან საამისოდ აბსოლუტურად არავითარი საბუთი ან რაიმე წყარო არ არსებობს.

VIII. ამჟამად ისმის კითხვა: როდის უნდა გადასულიყო სოფ. ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში.

სიმონ I-ის და გიორგი X-ის საბუთებით (Hd: 1810, 2435) 1594-1605 წლებში ლისი ბოხვაძისაა. სიმონ I-ის 1594 წ. საბუთით გიორგი ბოხვაძეს ვაჟი ჰყოლია. საბუთში, თუ ეს ფორმულა არაა, ნათქვამია: ლისი „არც შენ და არც შენ შვილს არ მოგეშალოს“-ო. რა მოუვიდა გიორგი ბოხვაძეს ან მის ვაჟს (თუ ჰყავდა) 1605 წლის შემდეგ, არ ჩანს. შესაძლოა გიორგი ბოხვაძე უძეოდ გადაშენდა, ანდა ბრძოლაში დაიღუპა თითონ, ან მისი ვაჟი (თუ ჰყავდა), ანდა ორივენი 1605-1626 წლებში, სახელდობრ, ტაშისკარის (1609), მარტყოფის, მარაბდის (1625) ან სხვა რომელიმე ომში.

ლისი სამეფო სოფელი იყო და ამიტომ ბოხვაძეებისაგან, ან მის შემდეგ გიორგი სააკაძეს იგი უნდა მიეღო სყიდვით ანდა ბოძებით, გამორიცხული არაა სხვა გზით დაუფლებაც. მაინც ვის უნდა ებოძა, ანდა როდის, რომელი მეფის დროს უნდა დაუფლებოდა იგი ლისს?

თეორიულად დასაშვებია, რომ ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში გადავიდა გიორგი X-ის მეფობის ბოლო 1605-6 წლებში, თუ ამ დროს ლისის მფლობელი ბოხვაძეები ამოწყდა მამაკაცის ხაზით. უფრო კი ლისი გიორგი სააკაძის ხელში უნდა გადასულიყო გიორგი X-ის შემდეგ, სახელდობრ, 1606-1626 წლებში. შესაძლოა, ლუარსაბ II-ის დროს, როცა იგი თბილისის მოურავი იყო, ასევე, შესაძლოა, ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის მეფობის დროს— 1625-26 წლებში (გავიხსენოთ, სააკაძის სიტყვები თეიმურაზისადმი: „თქვენც კარგა მაპატივებდით, — ცა წყალობითი მთოველი“-ო.). მარტყოფის ომის შემდეგ სააკაძემ თეიმურაზი მოიწვია და გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ დასვა. ამიტომ თეიმურაზის მხრივ ლისის წყალობა მისთვის დიდი ამბავი არ იყო. სააკაძეს კი, აშკარაა, სურდა ლისს დაუფლებოდა, რადგან იგი მისი ფეოდალური მამულის მოსაზღვრე და თანაც ქალაქისპირა სოფელი იყო. ამავე დროს არც ისაა გამორიცხული, რომ ადრე, თბილისის მოურავობის პერიოდში, ანდა შემდეგ ქართლის ფაქტობრივი გამგებლობის დროს, 1619-1626 წლებში, როდესაც გიორგი სააკაძე დიდი გავლენით სარგებლობდა, იგი ბოძებისა და სყიდვის გარეშეც დაუფლებოდა ბეითალმან ლისს.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი პირდაპირი წყარო, თუ ვინ უწყალობა ლისი გიორგი სააკაძეს. ეს არის „ახალი ქართლის ცხოვრება“, ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია ეპიზოდი მარაბდის ომის შემდეგ თბილისელი მეციხოვნე ყიზილბაშთა მიერ ლისის დარბევის შესახებ, გიორგი სააკაძის იქ მისვლაზე და ყიზილბაშებზე გამარჯვებაზე. აქ ნათქვამია: მარაბდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის შემდეგ „*ბატონი* თეიმურაზ და ქართველნი შეიქცეს თჳს-თჳსად, და რა მივიდა მოურავი ნოსტევს, მაშინ შემოიყარა, რალაც გარდარჩომოდა, ჯარი თჳსი. და მას ჟამსა გამოსულიყვნენ ქალაქის ციხიდამე მარბეველნი თათარნი და ლისი მოერბიათ. მაშინ წარვიდა მოურავი, რამეთუ ლისი იმისი იყო, *ბატონის* წყალობა“, და ყიზილბაშები სასტიკად დაამარცხაო („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 409, ს. ყაუხჩაშვილის გამოცემა). რა გამოდის აქედან?

ა) ჯერ ერთი, რაც მთავარია, ბერი ეგნატაშვილის ნათქვამში „ლისი იმისი (გ. სააკაძის, — დ. გ.) იყო, *ბატონის* წყალობა“-ო, აქ კონტექსტის სიტყვა „ბატონში“, ადრეც აღვნიშნეთ, იგულისხმება *მხოლოდ და მხოლოდ* თეიმურაზ I. აქ 3-გვერდზე („ქ-ის ც-ბა“, II, გვ. 407-409), ტექსტში მეფეებიდან მხოლოდ თეიმურაზ I-ზეა ლაპარაკი და იგი „ბატონობით“ მოიხსენიება.

ბ). მეორეც, გარდა ამისა, ბერი ეგნატაშვილს ლისის მწყალობელში სიმონ I ან ლუარსაბ II რომ ეგულისხმებინა, ან სხვა რომელიმე ქართლის მეფე, მაშინ ასე კი არ იტყოდა: „ლისი იმისი იყო *ბატონის* წყალობა“-ო, არამედ იტყოდა: „ლისი იმისი იყო მეფის წყალობა“-ო, თანაც იტყოდა რომელი ქართლის მეფის, რადგან კონტექსტში სულ „კახთ ბატონ“ თეიმურაზზეა ლაპარაკი და მოულოდნელად ქართლის მეფის ჩართვა მოითხოვდა მის ვინაობასაც.

ბერი ეგნატაშვილი, როდესაც ქართლის ხელმწიფეებს ახსენებს, ყველგან და ყოველთვის „მეფედ“ მოიხსენიებს და არა „ბატონად“. რატომ? იმიტომ, რომ იგი, ისე როგორც ქართლის მეფეები, ერთიანი საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ, კახეთის და იმერეთის ხელმწიფე-ბაგრატიონებს, იურიდიულად არ ცნობდნენ კანონიერ მეფეებად. ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას და მის იდეოლოგს ბერი ეგნატაშვილს საქართველოს ერთადერთ კანონიერ მეფეებად ქართლის ბაგრატიონთა შტოს მეფეები მიაჩნია. თავის თხზულებაში ბერი ეგნატაშვილისთვის ეს დამახასიათებელია. ამიტომ არის, რომ ბერი ეგნატაშვილი კახეთის მეფე თეიმურაზ 1-ს, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველგან „კახთ ბატონს“ უწოდებს და არა „კახეთის მეფეს“, ისე როგორც იმ პერიოდის იმერეთის მეფე გიორგის ყველგან „იმერეთის პატრონს“ ან „იმერეთის მპყრობელს“ უწოდებს და არა „მეფეს“. კიდევ მეტი, მარტყოფის აჯახყების შემდეგ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს „მეფეს“ მაინც არ უწოდებს და კვლავ „კახთ-ბატონად“ იხსენიებს.

ასე რომ, ბერი ეგნატაშვილის ნათქვამში „ლისი იმისი იყო *ბატონის* წყალობა“-ო, აქ სიტყვა „ბატონში“, როგორც ბერი ეგნატაშვილისეული „მეფის“ და „ბატონის“ ტერმინების შინაარსით, ისე, *რაც მთავარია, კონტექსტით*, გამორიცხულია ქართლის რომელიმე მეფე, მათ შორის სიმონ I, და მხოლოდ და მხოლოდ „კახთ ბატონი“ თეიმურაზ I იგულისხმება.

სხვა საკითხია, რამდენად ზუსტია აქ ბერი ეგნატაშვილი, ე. ი. ლისი გიორგი სააკაძეს მართლა თეიმურაზ I-მა უწყალობა თუ არა. მაგრამ ამასთან ისიცაა აღსანიშნავი, რომ, მართალია, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ნარატიული წყაროა, მაგრამ თუ-კი ბერი ეგნატაშვილის სხვა ცნობებს ვღებულობთ და ვენდობით, რატომ არ უნდა მივიღოთ მისი ზემოაღნიშნული პირდაპირი ცნობა, ლისი გიორგი სააკაძეს თეიმურაზ I-მა უწყალობაო, მით უმეტეს, როდესაც სხვა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ცნობა მასზე ჩვენ არა გვაქვს.

IX. დაბოლოს ისმის კითხვა: რატომ და როგორ აღმოჩნდა სიმონ I-ის მიერ გიორგი ბოხვაძისადმი გაცემული 1594 წ. ლისის წყალობის განახლების

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბუთი (Hd 1810) სააკაძეთა ხელში და ვის და როდის უნდა გაეყალბებიათ იგი.

1. ბოხვაძის საბუთი რომ სააკაძეთა ხელთ აღმოჩნდა ეს გასაკვირი არაა. სყიდვის ან ბოძების შემთხვევაში ადგილ-მამულის ძველი, ყოფილი პატრონის მფლობელობის საბუთი მის ახალ მფლობელს გადაეცემოდა. ახალი მფლობელი კი, როგორც ძველ, ისე ახალ საბუთებს ადგილ-მამულზე ინახავდა ვინმე რომ არ გამოდავებოდა. ბეითალმანი ლისის ძალით დაუფლების შემთხვევაში კი სააკაძეს შეეძლო საბუთები ლისის მფლობელობისა მოეთხოვა ოჯახში დარჩენილი წევრებისგან, ან სხვა რიგადაც მოხვედრილიყო საბუთი მის ხელთ.

2. ვის და როდის უნდა გაეყალბებიათ სიმონ მეფის ბოხვაძისადმი გაცემული საბუთი? ერთი ცხადია: საბუთი გაუყალბებიათ სააკაძე-თარხნიშვილებს. მისი გაყალბების დროს დადგენა კი ძნელია. მაინც, როდის უნდა გაეყალბებიათ საბუთი?

ა) ბეითალმანი ლისის ძალით დაუფლების შემთხვევაში, სააკაძეებს მაშინვე შეიძლებოდა გაეყალბებიათ საბუთი.

ბ) ასევე, ლისზე კანონიერი საბუთის უქონლობის შემთხვევაში, შესაძლოა საბუთის გაყალბება მოეხდინათ გიორგი სააკაძის დაღუპვისა და მისი შვილის იორამის თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, ვიდრე იორამი 1652 წელს გიორგი სააკაძის ფეოდალური სახლის ადგილ-მამულთა მფლობელობის ძველ საბუთებს წარუდგენდა როსტომ მეფეს.

თუ ბერი ეგნატაშვილი სწორია და ლისი თეიმურაზ I-მა უწყალობა გიორგი სააკაძეს, ასეთ შემთხვევაშიც, დასაშვებია, იორამს არ გააჩნდა საამისო საბუთი. ასეთ თუ სხვა შემთხვევაში, აშკარაა, მას ხელთ ჰქონდა სიმონ I-ის ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვაძეზე და როსტომ მეფისადმი წარდგენის წინ, შესაძლოა, მან საბუთში გვარის გადაკეთების ცდა მოახდინა.

გ) დაბოლოს, ასევე, სავარაუდო ჩანს სიმონ I-ის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების საბუთი გიორგი ბოხვაძისადმი გაცემული გაეყალბებიოთ თარხნიშვილებს, გიორგი სააკაძის პირდაპირ შთამომავლებს, XIX ს-ის I მეოთხედში, და აი, რატომ. საქართველოს რუსეთის მფლობელობაში მოქცევის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ ქართველ თავადაზნაურობას მოთხოვა წოდებრივი ღირსებისა და ყმამამულის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა დაიწყეს სამამულო დოკუმენტების წარდგენა ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებაში. ბევრს ასეთი დოკუმენტები არ გააჩნდა და ზოგი-ვინმეს ყალბი საბუთები და ქართველი მეფეების ყალბი სასიგლე ბეჭდებიცკი გაეკეთებია (იხ. დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, 1971, გვ. 96-99). სამამულო დოკუმენტები რუსულ მმართველობაში წარადგინეს გიორგი სააკაძის შთამომავლებმაც — თავადებმა დავით და დიმიტრი თარხნიშვილებმა 1821 წელს. ლისზე მათ, აშკარაა, არ გააჩნდათ მფლობელობის საბუთი. სამაგიეროთ მათ ჰქონდათ სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვაძეზე და, შესაძლოა, ამ დროს გაეყალბებინოთ იგი. ზემოჩამოთვლილ სამივე შემთხვევაში (დროს), როცა საბუთი გააყალბეს, სააკაძე-თარხნიშვილებმა საბუთში „ბოხვაძეს“ გვარის „სკაძეს“ („სა(ა)კაძეს“) გვარად გადაკეთების ცდა მოახდინეს: ამოფხიკეს წინა ორი ასო „ბო“, „ხ“-ანს შუაწელი ამოფხეკით გაუხსნეს და „ს“-ანს დაამსგავსეს, ამავე დროს შეეცადნენ „ვ“-უნის ხაზზედა მოკაუჭებული თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ამოფხეკასაც, რათა „ვ"-ინი „კ"-ანად ექციათ, მაგრამ ვერ განახორციელეს. „ვ"-უნის ხაზზემო მოკაუჭებული (ნახევრად წრისებური) ნაწილი ამოფხეკის მიუხედავად მკრთალად, მაგრამ კვლავ დარჩა საბუთში. რაც მთავარია, საბუთში დარჩა „ვ"-უნის წელსქვემო ო რ ს ა ფ ე ხ უ რ ი ა ნ ი ტანი (საბუთის „კ"-ანისგან აშკარად განმასხვავებელი), რომელმაც საბუთის გაყალბების მცდელი დღეს საბოლოოდ გამოააშკარავა. საბუთში ბოხვაძის გვარი, წინა ორი ასოს ამოფხეკის მიუხედავად, იკითხება „...ხვაძე"-დ და ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არავითარი სააკაძე საბუთში არ წერია, ხოლო სიმონ მეფის შვილის გიორგი X-ის მიერ 1605 წ. ბოხვაძისადმი მიცემულმა ლისის წყალობის განახლების საბუთმა (Hd 2435) საბოლოოდ დაადასტურა, რომ სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების საბუთი მიცემულია გიორგი ბოხვაძისადმი.

კითხვა იმის: ჰქონდათ თუ არა ხელთ სააკაძე-თარხნიშვილებს გიორგი X-ის მიერ 1605 წ. ბოხვაძისადმი მიცემული ლისის წყალობის განახლების საბუთი და, თუ ჰქონდათ, რატომ არ გააყალბეს ისიც, რატომ არ სცადეს აქაც ამოფხეკით „ბოხვაძე" გადაეკეთებინათ „სკაძედ" („სა(ა)კაძედ)? ჯერ ერთი, ცნობილი არაა, სააკაძე-თარხნიშვილებს ჰქონდათ თუ არა გიორგი X-ის აღნიშნული საბუთი. მეორეც, რომც ჰქონოდათ იგი, მასში „ბოხვაძის" „სააკაძედ" გადაკეთება არ კმაროდა, რადგან ამ საბუთში ნათქვამია ბოხვაძეთა წინაპრების გურიიდან მოსვლაზე. სახელდობრ, საბუთში ბოხვაძეზე ნათქვამია: „ცხოვრებაშიაც ეწერა რომე გ უ რ ი ი დ ა მ ე მოსულხართო"-ო. საბუთის გაყალბების შემთხვევაში საჭირო იყო არა მარტო გვარი ბოხვაძის სააკაძედ გადაკეთება, არამედ მთელი ზემოაღნიშნული წინადადების ამოფხეკა-წაშლაც, რადგან ქვეყანამ იცოდა სიაუშ და გიორგი სააკაძეები გურულები რომ არ იყვნენ და სააკაძეებს გურიიდან მოსვლას არავინ დაუჯერებდა. ხოლო საბუთში ბოხვაძის გვარის გადაკეთებასთან ერთად მთელი ამ წინადადების წაშლა-ამოხფეკა საბუთის გაყალბებას ყველასთვის აშკარად გახდიდა. ამიტომ ეს საბუთი, თუ იგი სააკაძე-თარხნიშვილებს ხელთ ჰქონდათ, გაყალბებისათვის გამოუსადეგარი იყო და ისინი, ადრევე, თუ გვიან ხანაში, სიმონ მეფის მიერ გიორგი ბოხვაძისადმი გაცემული 1594 წ. ლისის წყალობის განახლების საბუთის გაყალბების ცდას დასჯერდნენ და ეს საბუთი წარუდგინეს რუსეთის ადგილობრივ მთავრობას საქართველოში, ადრე კი შესაძლოა, იორამმა როსტომ მეფესაც.

თითქოს ძნელი დასაჯერებელია როსტომ მეფის მდივანმწიგნობრებს ვერ შეემჩნიოთ საბუთის ასეთი გაყალბება, მაგრამ გამორიცხული არც ესაა. ასევე, მიხვდნენ თუ არა რუსულ ხელისუფლებაში რუსი და ქართველი მოხელენი საბუთის გაყალბების ცდას? ძნელია ამის თქმა. საბუთის verso-ზე აღნიშნული კომისიის მოხელეებიდან რუსი კუნიცკი, ცხადია, ამას ვერ მიხვდებოდა, ქართველი თავადი გაბრიელ რატიევი (რატიშვილი) კი შესაძლოა მიხვდა, მაგრამ თავისი კლასობრივი თანამოძმის სასარგებლოდ დუმილი არჩია და საბუთის დედნიდან (Hd1810) „გიორგი..ხვაძის" მაგივრად კოპიოში (სცია, ფ. 1450, წიგნი 27 საბუთი 203) „გიორგი საკაძე" (სა(ა)კაძე) დაწერა. მაგრამ სრულიად არაა გასაკვირი, ვერც რატიშვილი მიმხვდარიყო საბუთში ბოხვაძის გვარის გაყალბების ცდას.

დ ა ს კ ვ ნ ა. ამრიგად,

1. სიმონ მეფის 1594 წლის ლისის წყალობის განახლების წიგნი, რომელიც სიმონის საბუთებისათვის დამახასიათებელი სინგურით იწყება, დედანია, გაცემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია გიორგი ბოხვაძეზე და აბსოლუტურად არავითარი სააკაძე იქ არ წერია. არავითარი დამოკიდებულება გიორგი სააკაძეს ამ საბუთთან არა აქვს.

2. არავითარი რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი საბუთი იმისა, თითქოს სიმონ მეფეს ლისი ეწყალობებიოს გიორგი სააკაძისათვის, თანაც 1594 წლის 10 ოქტომბერს, არ არსებობს. მოსაზრება ასეთი საბუთის თითქოსდა თავის დროზე არსებობის, ხოლო შემდეგში, 1752-53 წლებში, ვინმე დარეჯან თარხნიშვილის მიერ მისი მოსპობისა და მის საფუძველზე თითქოს ყალბი საბუთის (Hd 1810) შედგენის შესახებ, სადაც ყალბისქმნელის აზრით ადრესატის გვარი უნდა წაეკითხათ ორჭოფულად: ბოხვაძედაც და სააკაძედაც — სწორი არაა, არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვს, რადგან საამისოდ არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი საბუთი, ან რაიმე მინიშნებაც-კი არ არსებობს. ყალბისმქნელი არასდროს განგებ, შეგნებულად, ისეთ საბუთს არ ადგენდა, რომელსაც იგი უნდა გაემტყუნებია.

3. ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში გადასულია ბოხვაძეების დაღუპვის ან მათი უძეოდ (უმემკვიდრეოდ) ამოვარდნის შემდეგ, 1605-1626 წლებში, ბაზალეთის ომამდე და გიორგი სააკაძის თურქეთში გადახვეწამდე — სყიდვით, ბოძებით, ანდა როგორც ძლიერი გავლენიანი ფეოდალის გიორგი სააკაძის მიერ მისი დაუფლების გზით. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით კი ლისი გიორგი სააკაძეს უწყალობა თეიმურაზ I-მა.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ საბუთების კორპუსის გამოცემისას, ცხადია, საბუთი უნდა დაიბეჭდოს ისე, როგორიც იგი არის — დედანი, — სადაც სიმონ მეფის მიერ 1594 წელს ლისის წყალობის განახლება მიცემულია გიორგი ბოხვაძისადმი.

5. ასევე დედანია გიორგი X-ის 1605 წლის საბუთი (Hd 2435), რითაც ლისის წყალობის განახლება მიცემულია ბოხვაძისადმი.

Д. А. ГОГОЛАДЗЕ

## ЕЩЕ РАЗ О ЖАЛОВАННОЙ ГРАМОТЕ ЦАРЯ СИМОНА I 1594 ГОДА И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОЙ ДИПЛОМАТИКИ

Резюме

В статье на сей раз подробно доказывается, что жалованная грамота села Лиси (под Тбилиси) царя Симона I 1594 года дана Георгию Бохвадзе, а не известному герою Грузии Георгию Саакадзе, как это до сих пор ошибочно считалось в грузинской историографии. В связи с этим в статье рассмотрены также некоторые вопросы грузинской дипломатики.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ოთარ ჯაფარიძე

## დიდი მეცნიერის ხსოვნას

### (აკად. ბ. კუფტინის დაბადების 90 წლისთავის გამო)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ბორის კუფტინს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. დიდია მისი დამსახურება ქართული და საერთოდ კავკასიური არქეოლოგიის წინაშე. მან სრულიად ახლებურად გააშუქა და გაიაზრა საქართველოს და საერთოდ კავკასიის ძველი ისტორიის ბევრი ძირეული საკითხი. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლამდე ბ. კუფტინი უფრო მეტად ცნობილი იყო როგორც ეთნოლოგი, ეთნოგრაფი, მაგრამ სწორედ აქ კარდინალურად იცვლება მისი მეცნიერული ინტერესები. ამიერიდან იგი ძირითადად შეისწავლის ქართულ და საერთოდ კავკასიის უძველეს კულტურას და შედარებით მოკლე დროში ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი, ავტორიტეტული მეცნიერი ხდება. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ახლებური საფუძველი დაუდეს და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ქართული კულტურის კვლევის საქმე.

ბორის ალექსანდრეს ძე კუფტინი დაიბადა ქ. სამარაში. მამა სამხედრო პირი იყო კაპიტნის ჩინით, დედა პედაგოგი. 1909 წ. მან დაასრულა ქ. ორენბურგის რეალური სასწავლებელი და იმავე წელს შედის მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910—1912 წწ. სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იგი უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და მიემგზავრება ემიგრაციაში საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1914 წელს ბოტანიკის სპეციალობით და იწყებს მუშაობას ასისტენტად ბოტანიკის კათედრაზე. 1916—17 წწ. კითხულობს ბოტანიკის კურსს სახალხო უნივერსიტეტში და მუშაობს ციტოლოგიის განხრით მოსკოვის ბოტანიკურ ბაღში. 1916—17 წწ. ბ. კუფტინი დამატებით გამოცდებს აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და გეოგრაფიის განხრით. და დატოვებულ იქნა პროფ. დ. ანუჩინთან „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. 1818—19 წწ. მას ირჩევენ ასისტენტად ანთროპოლოგიის და გეოგრაფიის კათედრაზე, იგი მოღვაწეობს მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, ხელმძღვანელობს განყოფილებას—შუააზიის და ციმბირის ხალხთამცოდნეობის ცენტრალურ მუზეუმში. გარდა ამისა იგი მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია ეთნოლოგიის განყოფილებაში. 1919 წ. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტია. 1928 წ. მას ირჩევენ პროფესორის თანამდებობაზე ხალხთმცოდნეობის განხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ ხანებში ბ. კუფტინი დიდ ინტენსიურ საველე სამუშაოებს ატარებს. იგი მონაწილეობს მრავალ ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ამ პერიოდში იგი ფართო მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მრავალმხრიობით. ნაშრომთა ციკლისათვის 1927 წ. მას მიენიჭა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი.

1930 წ. ბორის კუფტინი ტოვებს მოსკოვის უნივერსიტეტს და საცხოვრებლად ქალაქ ვოლოგდაში გადადის. 1933 წ. დეკემბერში იგი იწყებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობაზე არქეოლოგიის განყოფილებაში. მას საქართველოში სამუშაოდ იწვევს პროფ. გ. ნიორაძე, რომელთანაც ერთად იგი მოსკოვში მუშაობდა ანუჩინთან. სწორედ იმ ხანებში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები დიდი არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად და ბ. კუფტინი მაშინათვე ჩაერთო ამ სამუშაოში.

საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ბორის კუფტინის საქმიანობა მთლიანად ქართულ არქეოლოგიას უკავშირდება. უკვე 1934 წ. შემოდგომაზე იგი მონაწილეობას იღებს აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რომელსაც სათავეში აკად. მეშჩანინოვი ედგა. იგი იკვლევს ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, კერძოდ დოლმენებს. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი სამუშაოები თრიალეთში, სადაც ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წყლით უნდა დაფარულიყო წალკის პლატოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს საქართველოში ახალმშენებლობასთან დაკავშირებით პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია იყო, იმდროისათვის საკმაოდ ფართო მასშტაბის. აკად. ი. ჯავახიშვილის წინადადებით ამ სამუშაოს შესრულება ბ. კუფტინს დაევალა.

ბ. კუფტინმა თრიალეთში თავიდანვე ფართო საველე სამუშაოები გაშალა. 1936—40 წწ. ისწავლებოდა სხვადასხვა ხასიათისა და დროის ძეგლები მოკიდებული ბარმაქსიზის ქვის ხანის სადგომიდან, ვიდრე ადრე შუა საუკუნეების სამაროვნებამდე. ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლინდა მეტად საყურადღებო ძეგლები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს ქართული უძველესი კულტურის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ თრიალეთის მასალების საფუძველზე გამოყოფილი მანამდე უცნობი გვიანბრინჯაოს ხანაზე უწინარესი კულტურები მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის. მოსალოდნელი იყო, რომ ბ. კუფტინი წესისამებრ ჯერ თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალების ანგარიშს გამოაქვეყნებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნებოდა შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი. მაგრამ, პირიქით მოხდა, უკვე 1941 წ. გათხრების დაწყებიდან ხუთი წლის თავზე, ჯერ ალბათ მასალაც კი წესრიგში მოყვანილი არ იქნებოდა ბორის კუფტინი აქვეყნებს თავის შესანიშნავ ნაშრომს „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, 1 ,ძეგლების პერიოდიზაციის ცდა, რომელსაც იგი ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას უძღვნის. ამ ნაშრომმა პირველად საბჭოთა არქეოლოგიაში 1942 წ. სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს ნაშრომი არ არის მხოლოდ თრიალეთში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერილი. ბ. კუფტინი ფართოდ იყენებს საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა მუზეუმებში დაცულ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალებს და საერთოდ ცნობილ ძეგლებს კავკასიიდან. ფართო და ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ იგი იძლევა პერიოდიზაციის ცდას ქვის ხანიდან მოკიდებული, ვიდრე შუა საუკუნეების დამდეგამდე. ამიტომაც არის რომ ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა და ძირითად სამაგიდო წიგნად რჩება ყველასთვის, ვინც საქართველოს და საერთოდ კავკასიის ძველი ისტორიითაა დაინტერესებული. ამიერიდან საქართველოს და კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება. საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხლობდა აზრი, რომ კავკასია შედარებით გვიან, ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპიდან ჩანს დასახლებული და მანამდე თითქოს აქ ადამიანს არ უცხოვრია. ამიტომაცაა, რომ ექსპედიციის შედეგებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის ძეგლების აღმოჩენა იყო, რომლებიც თავისი ფესვებით, ბ. კუფტინის აზრით, ადგილობრივ ენეოლითში მიდიოდნენ. მოპოვებული მასალების და მუზეუმებში დაცული კოლექციების საფუძველზე მან გამოყო ბრინჯაოს კულტურის განვითარების ყველა საფეხური ენეოლითიდან მოკიდებული, ვიდრე რკინის ხანამდე. გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნების გარდა ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი იყო შესანიშნავი ყორღანული სამარხები, რომელთა ინვენტარიც საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე ცნობილ სამარხეულ კომპლექსებისაგან. ერთი დიდი ჯგუფი ყორღანებისა მდიდარი, შესანიშნავი სამარხეული ნივთებით, მან შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა და წინააზიური მასალების მოშველიების საფუძველზე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა და თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა" უწოდა. მეორე ჯგუფი ყორღანებისა, შედარებით ღარიბი ინვენტარით, მან ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა — ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს. ყორღანული კულტურა თავისი ფესვებით ადგილობრივ ენეოლითურ კულტურაში მიდიოდა.

1944 წ. ბ. კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს დისერტაციის დაუცველად მას ანიჭებენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. 1946 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია.

თრიალეთში მოპოვებული მასალების და მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციების საფუძველზე ბ. კუფტინმა სამხრეთ კავკასიაში პირველად გამოყო თავისებური კულტურა, რომელიც გასაოცარ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს თავისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე. მან ეს კულტურა ენეოლითის ხანას მიაკუთვნა და დაათარიღა ძვ. წ. III ათასწლეულით. შემდეგში ბ. კუფტინი სპეციალურად შესანიშნავ ნაშრომს უძღვნის ამ ბრწყინვალე კულტურას და მისი გავრცელების ძირითადი რაიონის მიხედვით „მტკვარ-არაქსის" კულტურას უწოდებს. ეს სახელი იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, რომ შეეცვალათ ეს დასახელება, მას დღემდე შემორჩა ეს სახელი. ბ. კუფტინმა ამ ნაშრომში თავი მოუყარა დიდძალ მასალას. გაირკვა, რომ საქართველოს მუზეუმის ფონდებში დიდხანს ინახებოდა ადრე აღმოჩენილი ამ კულტურის შესანიშნავი მასალები. მან ბრწყინვალე დახასიათება მოგვცა ამ კულტურისა, გამოყო წამყვანი ტიპები, განსაკუთრებით კერამიკაში და აღნიშნა, თავისებური, სრულიად დამოუკიდებელი ხასიათი მტკვარ-არაქსის კულტურისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლურ სამყაროს ყველა სინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონულ კულტურებისაგან. შემდგომმა მუშაობამ დაადასტურა ბ. კუფტინის მიერ წამოყენებული თითქმის ყველა ძირითადი დებულება. დღეს, როგორც ცნობილია, ამ კულტურის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. საგრძნობლად გაიზარდა მისი გავრცელების ტერიტორია, გასცდა მტკვრისა და არეზის ორმდინარეთს. სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული მისი წარმომავლობის და მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის შესახებ და სხვ. მაგრამ, ბ. კუფტინისეული დახასიათება ამ კულტურისა ძირითადად მაინც ძალაში რჩება.

ბ. კუფტინი თავიდანვე დიდი გულისყურით შეუდგა საქართველოს მუზეუმში დაცული მდიდარი ფონდების შესწავლას. ყოფილ კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი იყო შესანიშნავი მასალები მთელ კავკასიიდან და შეიძლება ითქვას, რომ ბ. კუფტინამდე ეს უმდიდრესი კოლექციები საგანგებო შესწავლის საგნად არავის გაუხდია. მუზეუმის ძველი კოლექციებიდან მან ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილის მიერ შეგროვილ კოლექციას საჩხერიდან. უკვე თავის პირველი ნაშრომის — „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში" — შესავალ ნაწილში იგი საგანგებოდ განიხილავს საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე მოპოვებულ ლითონის ინვენტარს. სწორედ ფონდებში მუშაობის შედეგად იბადება მისი ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება ბრინჯაოს კულტურის შესწავლას კავკასიაში—„ქართული კულტურის უძველესი ფესვების საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით", რომელშიც არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე წამოყენებულია დებულება, თუ სადაა საძებარი ქართული კულტურის უძველესი ფესვები. ბრინჯაოს კულტურის ყველა სტადიაზე იგი გამოყოფს ლითონის ნივთების წამყვან ტიპებს. იძლევა ღრმა ანალიზს და ნაჩვენები აქვს ახლო კავშირები წინააზიურ სამყაროსთან ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპებზე. მას შესწავლილი აქვს და სისტემაში მოყვანილი თითქმის მთელი იმდროისათვის ცნობილი მასალა და იძლევა ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურებს საქართველოს ტერიტორიაზე და საბოლოოდ სრულიად მართებულად დაასკვნის, რომ ქართველი ერის მშვენიერი სამშობლო იმავე დროს მისი კულტურის უძველეს სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ბ. კუფტინმა არქეოლოგიური მასალების საფუძველზე პირველმა წამოაყენა დებულება, რომ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის ფესვები ადგილობრივაა საძებარი.

1945 წელს ბ. კუფტინი ახორციელებს სამარშრუტო ექსპედიციას შიდა ქართლში, სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე და იმერეთში. ამ ექსპედიციას, იგი ცალკე ნაშრომს უძღვნის, სადაც განიხილავს დაზვერვითი ხასიათის სამუშაოების დროს მოპოვებულ მასალას და მუზეუმში დაცულ კოლექციებს სამხრეთ ოსეთიდან. იგი ნულის კოლექტიურ სამარხებში მოპოვებულ შუაბრინჯაოს ხანის მასალას სწავლობს, ცხინვალის ნაცარგორაზე შეგროვილ კოლექციას, თლიში და სხვ. აღმოჩენილ მასალას. იგი სწავლობს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს საჩხერეში — ნაჩერქეზევზე, ცარცის გორაზე. აქ ბ. კუფტინმა ჯერ კიდევ 1939 წ. იმუშავა და ადრევე მოპოვებული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში ყვირილას აუზში უნდა არსებულიყო მძლავრი მეტალურგიული კერა.

1947 წ. ბ. კუფტინმა განაახლა მუშაობა თრიალეთში, წალკის პლატოზე, სადაც მან ბრინჯაოს ხანის სამაროვანი და ყორღანი შეისწავლა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მწვანე ყორღანი" და თოფქარ № 2. სადაც მან თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტური"-ს დროინდელი შესა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნიშნავი, მდიდრული მასალები აღმოაჩინა და ამ სამუშაოებს ცალკე წიგნი მიუძღვნა.

დიდია ბ. კუფტინის ღვაწლი დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლაში. მან კოლხეთის სიძველეებს შესანიშნავი ორტომიანი გამოკვლევა უძღვნა „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის". მან პირველმა მეცნიერულად შეისწავლა კოლხეთის დაბლობის ადრეული ნამოსახლარები. იგი იკვლევს აფხაზეთის დოლმენებს და პირველი იძლევა მათი სწორი დათარიღების ცდას. დიდია მისი დამსახურება კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში და სხვ.

ორმოციანი წლების დასასრულს ბ. კუფტინი მიწვეული იყო შუა აზიაში, სამხრეთ თურქმენეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. იგი აქ სწავლობდა ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანა ნამოსახლარს ამაგზა-თეფეს. მან დიდი გატაცებით დაიწყო მუშაობა, დიდი გეგმებიც ჰქონდა. სამწუხაროდ, აქ მან მხოლოდ ორი თუ სამი წელი იმუშავა, მაგრამ ამ მოკლე დროშიც დიდი საქმის გაკეთება მოასწრო. გამოქვეყნებულ წერილებში მას მოცემული აქვს ნამაზგას კულტურის პერიოდიზაცია, რომელიც იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ძირითადად ბ. კუფტინის მიერ შექმნილი პერიოდიზაციით სარგებლობენ ახლაც.

ძნელია ილაპარაკო ბორის კუფტინზე და არ მოიგონო მისი მეუღლე და მეგობარი, თითქმის ყველა არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ცნობილი პიანისტი ვალენტინა კონსტანტინეს ასული სტაშჩენკო-კუფტინა, რომელიც ხშირად გამოდიოდა სოლო კონცერტებით. სტაშჩენკო-კუფტინა ამავე დროს დიდ, ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა და საგანგებოდაა აღსანიშნავი მისი მშვენიერი სქელტანიანი მონოგრაფია, რომელიც მან ფლეიტა პანოს მიუძღვნა კუფტინების ოჯახი იმ დროს დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მოწინავე ადამიანებთან, განსაკუთრებით მხატვრებთან, მუსიკოსებთან, მწერლებთან.

აკად. ბ. კუფტინს დიდი მიზნები ჰქონდა, მაგრამ უდროო, ტრაგიკულმა სიკვდილმა არ დააცალა მათი განხორციელება, ბევრი ოცნება აუხდენელი დარჩა. იგი 1953 წლის ზაფხულში გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# НОВАЯ КНИГА ОБ И. А. ОРБЕЛИ

Об академике И. А. Орбели писалось и пишется немало. Еще при его жизни появилось несколько статей библиографического характера, был опубликован аннотированный перечень его трудов. Вскоре после смерти ученого, последовавшей 2 февраля 1961 г., автор настоящих строк ознакомился с его личным архивом и на основании архивных документов, равно как и доступных печатных материалов подготовил и опубликовал научную библиографию выдающегося востоковеда[1]. В эту книгу включены также воспоминания И. А. Орбели, представляющие исключительную важность для истории науки. Широкое распространение получила книга Ашота Арзуманяна[2]. И вот недавно увидела свет новая книга, посвященная жизни ученого[3]. Книга содержит всестороннюю характеристику жизни и деятельности И. А. Орбели, автор останавливается на вкладе ученого в современное востоковедение, в особенности в такие его разделы как арменистика, грузиноведение, курдоведение. Специальная глава посвящена работам И. А. Орбели по руствелологии, в приложении же публикуется текст его выступления «Великий певец гуманизма». В книгу включены воспоминания об И. А. Орбели, да и вся она написана не только по архивным материалам и публикациям, но и по тем впечатлениям, которые автор вынес из личного общения с ученым. Это обстоятельство следует подчеркнуть особо. И. В. Мегрелидзе — доктор филологических наук, профессор, внесший собственный вклад в грузиноведение, в частности, в руствелологию. Ученик Н. Я. Марра, он с 1931 г. был в близких отношениях с И. А. Орбели, дружба продолжалась до последних месяцев жизни ученого. Отличное знание ленинградской, а также «петербуржской» востоковедной среды, позволяет автору правильно расставить акценты при определении места И. А. Орбели в развитии нашей науки. Собственные научные интересы И. В. Мегрелидзе достаточно близки к интересам И. А. Орбели, так что автор вполне профессионально оценивает вклад последнего в науку. Каждый, кто интересуется прошлым отечественного востоковедения, кого волнует, в частности, история кавказоведения, кто стремится глубже узнать атмосферу, в которой жили и творили классики нашей науки в первые десятилетия XX века, прочтет книгу И. В. Мегрелидзе с пользой и интересом[4].

---

1 К. Н. Юзбашян. Академик Иосиф Абгарович Орбели. М., 1964; то же на армянском языке: Ереван, «Айастан», 1971.

2 Ашот Арзуманян. Братья Орбели. Ереван, кн. I, 1976. — Содержит беллетризованную биографию И. А. Орбели. О художественных достоинствах этого труда судить не берусь, но как исторический источник он требует особо критического отношения.

3 И. В. Мегрелидзе. Иосиф Орбели. Тбилиси, 1983.

4 Автор в целом точен при изложении фактов и лишь в нескольких случаях необходимо внести уточнения. Так, касаясь генеалогии Орбели, И. В. Мегрелидзе полагает, что дедом И. А. Орбели был безвестный священник Овсеп Тер-Петросов из сел. Лаилаши Лечхумского округа Кутаисской губернии (с. 13—16). В действительности дед И. А. Орбели по отцовской линии Иосиф Иоакимович Орбели был священником в Астрахани, Москве, Петербурге, впоследствии в Тбилиси, где скончался и похоронен. Выпускник Лазаревского института, он, вопреки обстоятельствам, некоторое время посещал университеты в Москве, Петербурге, Дерпте, занимался медициной и юриспруденцией. И. И. Орбели — автор многих опубликованных книг по богословию и другим сюжетам. В Петербурге в кадетском корпусе был законоучителем и преподавателем армянского языка. Его биография хорошо известна, сохранился пространный послужной список (Центральный государственный историчес-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



В книге И. В. Мегрелидзе И. А. Орбели выступает прежде всего как общественный и научный деятель, глава больших коллективов, ученый, обремененный множеством официальных обязанностей, имеющий дело по характеру своих должностей с десятками государственных учреждений. Напомню, что в 1935 г. И. А. Орбели был избран действительным членом АН СССР, в 1943 г. он стал академиком АН Армянской ССР и первым президентом этой Академии. С 1934 по 1951 г. он был директором Государственного Эрмитажа, в 1955 — 1960 гг. он возглавлял Восточный факультет Ленинградского университета в качестве его декана, а в ноябре 1956 г. стал заведующим созданного по его инициативе Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР и оставался в этой должности до конца своих дней. Он был выдающимся организатором науки, и новая книга расширяет наши представления об этом аспекте деятельности И. А. Орбели.

Но и в периоды творческого подъема и в те времена, когда общественные обязанности становились препятствием на пути собственных изысканий, И. А. Орбели неизменно оставался исследователем, делающим науку собственными руками. И в Эрмитаже, и на Восточном факультете, и в Ленинградском отделении Института востоковедения ему приходилось иметь дело с десятками представителей далеких от него специальностей, приходилось касаться разделов науки, отдаленных от его собственных научных интересов. И то обстоятельство, что в собственной области он был хозяином, подлинным ученым-исследователем, позволяло ему правильно ориентироваться и в других областях науки и всегда правильно понимать нужды и требования ее служителей. Во всех коллективах, которые ему пришлось возглавлять, он пользовался огромным авторитетом, но то был в первую очередь авторитет ученого с богатой и яркой научной биографией, автора ставших классическими трудов. Книга И. В. Мегрелидзе позволяет выявить новые черты И. А. Орбели-исследователя.

ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის მოკლე ისტორიოგრაფიულ ნარკვევში მ. ქანთარიამ მოახერხა მეტ-ნაკლები სისრულით მოეცა მთური ფეოდალიზმის შესწავლის სადღეისო მდგომარეობა. ავტორი მიმოიხილავს უახლეს შეხედულებას კავკასიური „მთური ფეოდალიზმის“ შესახებ, მოაქვს აღნიშნული ცნების დეფინიცია და ახასიათებს მის ძირითად ნიშნებს ყაბარდოსა და ჩრდილო კავკასიის მეზობელი კუთხეებიდან მოტანილი საკუთარი ეთნოგრაფიული მასალებით. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ავტორის მსჯელობა ჩრდილო კავკასიაში კარგად ცნობილი ბათირის—კაიყმის ინსტიტუტის შესახებ, რაც ადრეკლასობრივი საზოგადოების ზედა ფენის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს გზას — ორგანიზატორული ფუნქციის მატარებელი ხალხის გამოყოფას და მათ პრეროგატივად ქცევას შეეხება. ნაშრომში მოტანილი მასალები მოწმობენ, რომ განვითარების შემდგომ ეტაპზე სწორედ თემის წიაღიდან გამოსულმა ამ ზედაფენამ აღმართა ხელი სათემო საკუთრებაზე და იწყო სათემო მიწების დატაცება. ფეოდალური საკუთრება ყაბარდოსა და საერთო კავკასიის მთიანეთში თემური საკუთრების ბაზაზე, მის წიაღში წარმოიშვა, რის შედეგადაც მოხდა თემურ-ფეოდალური საკუთრების სახეობათა ერთგვარი გადახლართვა და სპეციფიკური თანაარსებობა. საბოლოოდ ფეოდალური ზედაფენის ფორმირების ეს დუალური საწყისები სარეცენზიო ნაშრომში ახსნილია კავკასიური თემის ტრადიციული ბუნებითა და მისი გადმონაშთური ფორმების ხანგრძლივი შემონახულობით, ჩრდილო კავკასიის, კერძოდ კი ყაბარდოს პირობებში მეურნეობის თავისებური პროფილითა და გარეშე პოლიტიკური ვითარებით, რამაც განაპირობა ამ რეგიონის სოციალური დიფერენციაციისა და ადრეკლასობრივი ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათი.

სოფლად ქონებრივი დიფერენციაციის, შეძლებული კულაკური ფენის გამოყოფისა და ექსპლუატაციის ჩასახვა-განვითარების პროცესები კიდევ უფრო ნათლად ჩანს მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანებისა და ურთიერთდახმარების ფორმებში, რომელიც ყაბარდოში ძე//ზაძეის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მრავალფერო-

ვანი მასალიდან ავტორს ყაბარდოში დადგენილი აქვს შრომითი გაერთიანების სამი ძირითადი ფორმა, რომელიც განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ. პირველ და შესაბამისად ყველაზე ტრადიციულად ავტორს მიაჩნია ზაძეის ის ფორმა, რომელიც შედგენილია არათანაბარი სამუშაო ძალით, მაგრამ გულისხმობს გაერთიანების მონაწილეთა სამუშაოს მთლიან შესრულებას. მეორე ფორმა ასევე ითვალისწინდებს მონაწილეთა მთლიანი ფართობების მოხვნას, მაგრამ აქ უკვე აუცილებელია მოდგმაში თანაბარი ძალით შესვლა. რაც შეეხება მესამე, ყველაზე განვითარებულ ფორმას აქ ალოების განაწილება ზუსტად დადგენილი ექვივალენტის — სამუშაო ძალის მიხედვით ხდება. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს ფორმა, იქცა ულარიბესი ლეხობის ექსპლუატაციის საშუალებად, რომლის დროსაც მეტი სამუშაო ძალის პატრონი მეტ წილს ღებულობს, ხოლო გუთნის მეპატრონის შრომა კიდევ დამატებითი შეღავათებით ნაზღაურდება.

ნაშრომის ამ ნაწილში ავტორს მოცემული აქვს ყაბარდოში გავრცელებული შრომის გაერთიანების სხვა სახეებიც, რაც ახოს ალების, თოხნის, ლეწვისა თუ მკის მოკლევადიანი სამუშაოებისას მეზობლურ ურთიერთდახმარებას — ნადს გულისხმობს. მასალის სიახლისა და ორგინალობის მხრივ მეტად საყურადღებოა ე. წ. ვ ა ყ ო თ ე ყ ი ს ინსტიტუტი, რომელიც მოდგამის ფაქტობრივ წინამძღოლს წარმოადგენს და გადამწყვეტი უფლებები აქვს ამ გაერთიანების ორგანიზაციულ-ეკონომიკური საკითხების მოგვარების საქმეში. ავტორის შენიშვნით მსგავსი ინსტიტუტი კავკასიის სხვა ხალხებში დღემდე არაა დამოწმებული, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ნაშრომში ვაყოთეყის შესახებ მოტანილი მასალისადმი.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე დასკვნითი თავი ეძღვნება ყაბარდოელთა აგრარული კულტების საკითხებს, რომელთა კვლევა ასევე გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა. პირველ ყოვლისა მკვლევარს უნდა გაეთვალისწინებინა ამ კულტების მატარებელი ხალხის მიგრაციის რთული პროცესები, წარმართულ დანაშრევებზე ჯერ ქრისტიანული, ხოლო შემდეგ მაჰმადიანური რელიგიის გავლენები. უნდა ითქვას, რომ მ. ქანთარიამ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანასაცა და დასძლია ის სირთულეები, რაც ყაბარდოში ეთნოდემოგრაფიული ძვრებისა და რელიგიური სინკრეტიზმის ამ თავისებურებებით იყო გამოწვეული.

ყაბარდოს აგრალური კულტების შესწავლას მ. ქანთარია იწყებს ხვნის წინ გამართულ რიტუალების კვლევით. ავტორი ადგენს, რომ ეს რიტუალები ტრადიციულად ახალი წლის (23 მარტი) დღეობათა ციკლში უნდა შესრულებულიყო როცა ხდებოდა მამაზეციურისადმი ცხვრისა და თხის შეწირვა და ცეკვა — როკვის სხვა რიტუალები. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ადიღეს ის აგრალური კულტები, რომლებიც მიწათმოქმედების მფარველი (მოსავლის სიუხვე, ნაყოფიერება) ღვთაებების სახითაა წარმოდგენილი. ზოგადად ეს კულტები ქართული ლაზარობა-გონჯაობის ანალოგიურია, რომლის დროსაც რიტუალურ ქალის ფიტულს სოფლის გოგონები კარდაკარ დაატარებენ, სანოვაგეს აგროვებენ და შემდეგ მდინარეში წუწაობენ. მზის ჩასვლის შემდეგ იწყება ნადიმი. სიმბოლო ავტორის აზრით ასე იხსნება: გოგონების შეგროვება→ღრუბლების შეგროვება→გაწუწვა→ღრუბლების მიერ წვიმის გამოშვება და ა. შ. მ. ქანთარია ეთანხმება ო. ნაჰოდილის შეხედულებას, იმის შესახებ, რომ ეს ღვთაება მატრიარქატის ეპოქის კულტად მივიჩნიოთ, მაშინ როცა ქალი მიწათმოქმედებაში წამყვანია, ეს უკანასკნელი კი თოხის მეურნეობის სახეს ატარებს.

ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული აგრეთვე ჰექა-ქუხილის ღვთაებაც, რომელიც ყაბარდოში ცაზე ელვის ანალოგიურად დაკლაკნილი გველის სახითაა წარმოდგენილი. ნაშრომში მოტანილია საინტერესო მასალა მეხის დაცემის, მეხით მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიალის, მრავალდღიანი ფერხულების, გვალვის დროს მეხით მოკლულის საფლავზე გამართული რიტუალებისა და სხვ. შესახებ, რომელთა ანალიზის საფუძველზე მ. ქანთარია არკვევს ამ კულტის სინკრეტულ ხასიათს, რაც მის ჰექა-ქუხილისა და ნაყოფიერების ღვთაებების გაორებულ ბუნებაში იყო ასახული.

ყაბარდოს აგრარული კულტების კვლევას მ. ქანთარია ასრულებს ხვნის დამთავრებისადმი მიძღვნილი საკარნავალო დღესასწაულით, რომელშიც მთავარი ადგილი ეჭირა ბაიარაღს — ბ ა რ ა ყ ს ა და მის ირგვლივ ჩატარებულ მრავალფეროვან რიტუალებსა და ცერემონიალებს. საინტერესო და საყურადღებოა სარეცენზიო ნაშრომში მოტანილი საველე ეთნოგრაფიული მასალების ბარაყის რიტუალის მთავარი პერსონაჟის — ა ჟ ე ღ ა ფ ა ს ა და საერთოდ ამ დღესასწაულის საკარნავალო მხარეების შესახებ. ავტორს მოაქვს ვრცელი პარალელები სვანურ მურყვამობასა და აჭარულ ფადიკოს საკარნავალო ცერემონიალებთან, რომლებიც ფალოსისა და შესაბამისად შვილიერება-ნაყოფიერების კულტს განასახიერებენ. უდავოდ მართალია მ. ქანთარია, როცა ბარაყის დღესასწაულის ქართულ ბერიკაობა-ყეენობას — აგრალურ საგაზაფხულო დღეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკავშირებს. აღნიშნული მისტერის მაგიური ხასიათი, განაყოფიერების, სიკვდილის, გაცოცხლებისა და ა. შ. აქტებით, რომლებიც რიტუალური პურობისა და ნადიმის ცერემონიალებით მთავრდებოდა, უთუოდ ბუნების ძალთა განახლების, ნაყოფიერებისა და სიუხვის მასტიმულირებელ ხასიათს ატარებდა.

ასეთია ძირითადად სარეცენზიო მონოგრაფიაში დასმული ის პრობლემები, რომლებიც ავტორს განხილული აქვს ყაბარდოს სამიწათმოქმედო ყოფის ტრადიციულ ფორმებთან დაკავშირებით. ნაშრომის გაცნობის პროცესში წამოგვეჭრა ზოგიერთი შენიშვნა და სურვილიც, რომელთა გათვალისწინება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ ღირსებებს შესძენდა მონოგრაფიას.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორს მოტანილი აქვს სათანადო მონაცემები ჩრდილო-კავკასიურ-ამიერკავკასიური პარალელების შესახებ ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქიდან, მაგრამ მას თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი ბრინჯაოს ხანის კოლხურ-ყობანიერი კულტურების ახლო ურთიერთობის შესახებ, მით უმეტეს რომ ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე აღმოცენებული ეს პარალელები სწორედ სამიწათმოქმედო ყოფაში გამოყენებული იარაღებისათვის (ბრინჯაოს ცულები, ნამგლები და ა. შ.) იყო დამახასიათებელი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სარეცენზიო ნაშრომში ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და თავისი წვლილი შეიტანა კავკასიური მთური ფეოდალიზმის გაშუქების საქმეში. მიუხედავად ამისა, როგორც სარეცენზიო, ისე პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებული სხვა უახლესი ნაშრომების გაცნობა გვიჩვენებენ, რომ კავკასიური მთური ფეოდალიზმის რაობისა და ბუნების მრავალი ასპექტი ჯერ კიდევ საბოლოოდ აუხსნელი რჩება. როგორც ჩანს, მარტო კავკასიური მასალით მისი ახსნა გაძნელდება, ამ პრობლემის კვლევა კი, სამწუხაროდ, დღემდე ვერ გასცდა კავკასიის რეგიონალურ ფარგლებს. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ამ პრობლემის ფართო ასპექტით კვლევით არ დაინტერესებულან ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის მკვლევრებიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, განვითარებული ქართული ფეოდალური ურთიერთობის კვლევას წარმოაჩენენ ევროპულ თუ აზიურ ფეოდალურ ურთიერთობებთან შედარებით — ისტორიული და ტიპოლოგიური კვლევის შუქზე. და თუ გამოვალთ ჩვენი კვლევის ინტერესების სფეროდან, ვფიქრობთ, შეუძლებელია ევროპულ განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებს არ ახასიათებდეთ ისეთი თანმხლები ფენომენი, როგორიცაა კავკასიური მთური ფეოდალიზმი, ამასთან ერთად, მით უფრო აუცილებლად გვეჩვენება ეს პრობლემა არ იყოს სათანადოდ ასახული სპეციალურ ლიტერატურაში.

მიგვაჩნია, რომ ურიგო არ იქნებოდა ამ პარალელებისა და ტიპოლოგიური სახესხვაობების ძიება სწორედ კონკრეტულ კლიმატურ-პირობებში შექმნილ და ჩამოყალიბებულ მეურნეობის ფორმათა და დარგთა სპეციფიკიდან დაგვეწყო, რაც, როგორც კავკასიურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ასე უშუალო გავლენას ახდენს სოციალური ურთიერთობების, მათ შორის ფეოდალური ურთიერთობების თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყაბარდოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთის ამ მასალის შედარება ევროპის მთიანეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, მეტად საინტერესო გასაღებს მოგვცემს კავკასიის მთური ფეოდალიზმის რაობისა და ბუნების მრავალი ასპექტის ახსნისა და გაშუქების საქმეში.

ასეთია ჩვენი ზოგადი შენიშვნები და სურვილები სარეცენზიო ნაშრომის მიმართ. ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, სრულიადაც ვერ ამცირებენ მ. ქანთარიას მონოგრაფიის ღირსებას. რეცენზიაში დასმული საკითხების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ავტორმა წარმატებით გადაწყვიტა ყაბარდოს სამიწათმოქმედო კულტურის გენეზისისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მდგომარეობის მსხვილი მეცნიერული პრობლემა, რომელსაც დიდი თეორიული, პრაქტიკული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს არა მარტო საკუთრივ ყაბარდოს, არამედ ზოგადად კავკასიის აგრალური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი საკითხების შემდგომ კვლევაში. ნაშრომს აქვს დიდი პრაქტიკული ღირებულებაც, რამდენადაც კონკრეტულ კლიმატურ-ეკოლოგიურ გარემოში აღმოცენებული და ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო კულტურის ტრადიციულ ფორმათა ობიექტური შემეცნება და ხალხის შრომა-საქმიანობასთან დაკავშირებული მდიდარი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ყაბარდოსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიის მომიჯნავე რაიონების სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კერძოდ მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის საქმეს.

ვახტანგ შამილაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# К. К. КУРДОЕВ, З. А. ЮСУПОВА. КУРДСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ (СОРАНИ), М., 1983

Современный курдский язык имеет две литературные нормы: одна на курманджи и другая — на сорани, в основу которой положен сулеманийский диалект. Обе нормы отличаются некоторыми фонетическими особенностями и рядом важных форм выражения грамматических категорий. Отличаются они также и в письменности.

На южном диалекте — сорани говорят курды Ирака (в районах Сулеймание, Эрбиля, Ревандуза, Койсенджака, Киркука) и курды Иранского Курдистана (в районах Мехабада, Ушну, Бане, Сенендежа). На северном диалекте — курманджи говорят курды Турецкого Курдистана, Сирии, часть курдов Иракского Курдистана (в районах Акры, Амадии, Дехока и Синджарских гор), курды северо-западных районов Иранского Курдистана (в районах на запад от оз. Урмия, начиная от г. Хоя до юго-западного побережья озера), районов Буджнура, Кучана и др. (в Хорасане), а также курды Советского Союза в Закавказье и в Средней Азии. Курманджи пользуется латинским алфавитом, сорани — арабским. На курманджи издано значительно больше курдско-иноязычных и иноязычно-курдских словарей, чем на сорани. В Советском Союзе, где проживает более 100 тысяч курдов, изданы два курдско-русских и один русско-курдский словарь диалекта курманджи[1], тогда как мы не имели ни одного русско-курдского и курдско-русского словаря сорани. Достоинство его состоит в том, что он является, во-первых, первым курдско-русским словарем, отражающим лексику современной литературы курдов Ирака и значительную часть областной лексики, во-вторых, в нем курдские слова арабского написания транкрибированы принятым в Советском курдоведении латинским алфавитом, которым пользуются носители курманджи-курды Турции, Сирии, частично Ирака. Безусловно, транскрипция в словаре латинским алфавитом значительно облегчает пользование словарем курманджи.

Структура словаря и характер расположения слов, отдельных идиоматических выражений, устойчивых словосочетаний, а также фразеологических единиц и их русский перевод отвечают современным требованиям к составлению восточно-русских словарей. Перевод достаточно хорошо раскрывает и передает все прямые и переносные значения курдских слов, идиом и фраз. В словаре отражены фонетические варианты и различные написания слов. Русский перевод курдских слов-синонимов и слов-омонимов дан в наиболее распространенном и употребительном их варианте. К словам пассивного запаса дается отсылка на слова или варианты наиболее употребительные. К курдским словам даны соответствующие пометки, характеризующие стилистические и грамматические их употребления.

Словарь составлен на основе современной орфографии курдской письменности, которая подвергалась и подвергается изменению и совершенствованию. Однако по словарным статьям трудно представить себе, какие изменения произошли в курдской орфографии на основе арабского алфавита. Желательно было бы в предисловии настоящего словаря осветить историю развития курдской орфографии.

Словарь имеет большое научно-практическое значение. Он содержит массу этнографических терминов, отражающих материальную культуру (с. 37, 38), брак и семью, систему родства (с. 40), календарные и религиозные празднества.

Впервые в истории отечественного курдоведения составлен словарь языка зарубежных курдов, необходимый в деле изучения языка и культуры курдского народа.

В заключение хочется пожелать авторам издать в скором времени русско-курдский словарь диалекта сорани.

**Л. Б. ПАШАЕВА**

---

1 Ч. Х. Бакаев. Курдско-русский словарь. М., 1957; К. К. Курдоев. Курдско-русский словарь, М., 1960; И. О. Фаризов. Русско-курдский словарь, М., 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა და ინფორმაცია

## ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ლენინგრადში

ჩვენი საუკუნის 80-იანი წლებისათვის ისტორიული მეცნიერების განვითარების შედეგად მედიევისტიკის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ფართო და მრავალფეროვანი გახდა: დღეს სპეციალისტები ისტორიულ წყაროდ იყენებენ შუა საუკუნეების ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოებებს. მაგრამ წარსული მოვლენების სურათის რეკონსტრუქციისათვის კვლავ შეუცვლელი რჩება საკუთრივ ისტორიოგრაფიული თხზულებების როლი და მნიშვნელობა. ამიტომაა, რომ ამჟამად მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია ისტორიოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი კულტურული ფენომენის, პრობლემების კვლევა.

1983 წლის 6—8 ივნისს ქ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პალესტინის საზოგადოების ლენინგრადის განყოფილების თაოსნობით ჩატარდა სამეცნიერო სესია: „ისტორიოგრაფიის ჩასახვა და განვითარება ახლო აღმოსავლეთში (ბიზანტიური კულტურული წრე)“. ლენინგრადელების გარდა მეცნიერებათა ამ თავყრილობაზე მიწვეული იყვნენ სპეციალისტები მოსკოვიდან, ერევნიდან, ბაქოდან.

თბილისიდან სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ რევაზ კიკნაძემ და ამავე განყოფილების თანამშრომლებმა გიული ალასანიამ და მარინა ჩხარტიშვილმა.

სესიაზე წაკითხული იქნა ოცდასამი მოხსენება, რომელთაგან ნაწილი ეძღვნებოდა საკუთრივ ბიზანტიურ და ბიზანტიური კულტურული წრის ისტორიულ ლიტერატურას, ნაწილი კი მის წინამორბედ პარალელურ, დამოუკიდებელ, მაგრამ სინქრონულ ისტორიოგრაფიას.

რა არის ახლო აღმოსავლეთის ისტორიოგრაფია, სად არის ამ დარგის საზღვრები ახლო აღმოსავლეთის მედიევისტური ლიტერატურის შიგნით, როგორია შუა საუკუნეების ავტორის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ტრადიციებისადმი, მისი წერის მანერა, პრინციპები, მეთოდები — აი, მოკლედ საკითხების ის წრე, რომლებიც მრავალფეროვანი მასალების საფუძველზე განხილული იქნა სესიაზე.

ბუნებრივია, რომ სესიის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საკუთრივ ბიზანტიური ისტორიოგრაფიის პრობლემების განხილვას. სესია გაიხსნა ი. ლუბარსკის (ლენინგრადი) მოხსენებით „ბიზანტიური ისტორიოგრაფიის შესწავლის ახალი ტენდენციები“. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ბოლო ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში გაჩენილ ტენდენციებზე განხილული იქნას ბიზანტიური ისტორიოგრაფია არა მხოლოდ როგორც ისტორიული წყარო. არამედ, როგორც დამოუკიდებელი კულტურული და ლიტერატურული ფენომენი. ეს ახალი საფეხურია ამ დარგის კვლევის ისტორიაში.

ი. ჩიჩუროვი (მოსკოვი) მოხსენებაში „ადრებიზანტიური ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბება“ შეეცადა დაკვირვებოდა IV—IX სს ბიზანტიური ისტორიული ლიტერატურის განვითარებას ავტორისა და ლიტერატურული გმირის სახის ცვლილებების გათვალისწინებით. მომხსენებლის აზრით, შეიმჩნევა ავტორის თვითშეგნების შესუსტების ტენდენცია, ხოლო ლიტერატურული გმირი კარგავს ინტელექტუალურ და სამხედრო ღირსებებს და პირველ პლანზე წამოიწევს ღვთისმოსაობა, რომელიც გაგებულია მართლმადიდებლობად.

ბერძნულ-ბიზანტიური შუა საუკუნეობრივი ისტორიოგრაფიის ერთ კერძო საკითხს შეეხო ი. ლებედევა (ლენინგრადი) მოხსენებაში „მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ძველბერძნულ ქრონიკებში“, რომელშიც ნაჩვენები იყო თუ შეცვლილი ისტორიული პირობების შესაბამისად როგორ იცვლის სახეს ძველი ანტიკური და ადრექრისტიანული ისტორიოგრაფიის ცნობილი კონცეფცია ოთხი მონარქიის შესახებ.

ბიზანტიური ისტორიოგრაფიის წინამორბედს — ანტიკური და ელინისტური ხანის ისტორიოგრაფიას — სესიაზე მიეძღვნა ლენინგრადელ მკვლევართა ორი მოხსენება. ე. ფროლოვმა („პროვინდენციალიზმის იდეა ანტიკურ ისტორიოგრაფიაში“) აჩვენა, რომ უკვე ჰეროდოტესთან ამ იდეას აქვს განვითარებული სახე და ჩამოყალიბებულია თავისებურ ისტორიოგრაფიულ კონცეფციად. ამრიგად, პროვინდეციალიზმის იდეა, რომლის ზეგავლენა ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინოა მთელ შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაზე, ანტიკური წარმოშობისაა. ი. შ ი ფ მ ა ნ ი ს მოხსენებაში „ეთნიკური და პოლიტიკური სოციუმი ელინისტურ ისტორიოგრაფიაში" განხილული იყო ელინისტურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ტიპის სოციუმების (ხალხურობა, სამოქალაქო კოლექტივი, მეფობა) აღქმის თავისებურებანი.

ნ. ს ე რ ი კ ო ვ მ ა (მოსკოვი) მოხსენებაში „ბიზანტიური სულიერი კულტურის შეჭრის გზები მუსლიმურ აღმოსავლეთში: ბარ ებრეი და ბიზანტიური ისტორიული ტრადიცია" კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით აჩვენა თუ როგორ გავლენას ახდენდა ბიზანტიური ლიტერატურა სირიულ და არაბულ ისტორიოგრაფიაზე და რა შედეგს იძლევა ორი კულტურის შერწყმა.

გავლენების საკითხი ისტორიოგრაფიაში პრობლემატურია და, როგორც ირკვევა, თვით ბიზანტიური კულტურული წრის ხალხებშიც არ არის საყოველთაო: მაგალითად, ეთიოპიაში და კოპტებში ისტორიოგრაფია არ ჩამოყალიბებულა ბიზანტიური ისტორიული ლიტერატურის გავლენით. აღნიშნულის შესახებ საუბარი იყო ლენინგრადელი მეცნიერების ს. ჩ ე რ ნ ე ც ო ვ ი ს („ეთიოპური ისტორიოგრაფიის გენეზისი") და ა. ხ ო ს რ ო ე ვ ი ს („ჰქონდათ თუ არა კოპტებს ისტორიოგრაფია?") მოხსენებებში.

ე. მ ე შ ჩ ე რ ს კ ა ი ა ს და ა. პ ა ი კ ო ვ ა ს (ლენინგრადი) მოხსენებაში „სირიული ისტორიოგრაფიის პრობლემები" განხილული იქნა ის ამოცანები, რომლებიც დგას დღეს სირიული ისტორიოგრაფიის მკვლევართა წინაშე: ავტორთა მსოფლმხედველობის, თხრობის მანერასა და ძეგლთა კომპოზიციურ-სტრუქტურული თავისებურებების გამოვლენა, ტექსტების კრიტიკული გამოცემა, თარგმნა, წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, შედარება ბერძნულ-ბიზანტიურ ისტორიოგრაფიასთან.

სირიული ისტორიოგრაფიის კვლევის ცდას წარმოადგენდა ი. ჯ ა ფ ა რ ო ვ ი ს (ბაქო) მოხსენებაც „ჰუნთა ქრისტიანიზაცია ზაქარია მიტილენელის „ქრონიკაში", რომელშიც განხილული იყო კავკასიის ალბანეთის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და საინტერესო ისტორიოგრაფიული ძეგლი ფსევდო-ზაქარია მიტილენელის „ქრონიკა".

სესიაზე წარმოდგენილი იქნა ლენინგრადელ მეცნიერთა რამდენიმე მოხსენება არაბული ისტორიული ლიტერატურის შესახებ. ო. ბ ო ლ შ ა კ ო ვ ი ს „არაბული ისტორიული ლიტერატურის ჟანრები", ვ. ლ ე ბ ე დ ე ვ ი ს „შუა საუკუნეების არაბული ისტორიოგრაფია და ფოლკლორი", ა. ლ უ ნ დ ი ნ ი ს „წინასწარმეტყველ მუჰამედის კანცელარია", რომლებშიც განხილული იყო არაბული ისტორიული მწერლობის წარმოშობა, მისი ურთიერთმიმართება სხვადასხვა წყაროებთან, კერძოდ, არაბულ, კოპტურ, სირიულ, ბერძნულ, სპარსულ ფოლკლორთან, აგრეთვე, არაბული ისტორიოგრაფიის წერილობითი ფიქსაციის ტრადიციის დამადასტურებელი მასალები.

ა. კ ო ლ ე ს ნ ი კ ო ვ ი ს (ლენინგრადი) მოხსენება „ისტორიული ცოდნა სასანურ ირანში" ეძღვნებოდა სასანიანთა დროს (224—651 წწ.) ოფიციალური ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბების საკითხს. ოფიციალური ისტორიოგრაფია საბოლოოდ ფორმდება ირანში ე. წ. „მეფეთა წიგნში", რომლის იდეოლოგიურ კონცეფციაში ასახვა ჰპოვა ზოროასტრიზმის ტრადიციამ, დინასტიურმა ლეგიტიმიზმმა, ირანელთა ეთნიკური განსაკუთრებულობის მტკიცებამ.

ფართოდ იქნა წარმოდგენილი სესიაზე შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფია. V—VII სს. სომხური ისტორიული თხზულებების შესახებ ისაუბრა კ. ი უ ზ ბ ა შ ი ა ნ მ ა (ლენინგრადი). სხვა საკითხებთან ერთად მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ძეგლების წყაროდ გამოყენებისას ანგარიში აუცილებლად უნდა გაეწიოს მათ ჟანრობრივ თავისებურებებს, შესწავლილი იქნეს ამა თუ იმ ავტორის წერის მეთოდები, სტილი, გათვალისწინებულ იქნეს, რომ ისტორიოგრაფია არის სხვადასხვა ჟანრის (ეპოსის, ჰაგიოგრაფიის, საკუთრივ ისტორიული მწერლობის და სხვ.) თავისებური შერწყმა.

ა. ა კ ო ფ ი ა ნ ი (ერევანი) მოხსენებაში „მოვსეს კალანკატვაცის „ალბანეთის ისტორიის" ადრეული წყაროები" შეეცადა განესაზღვრა აღნიშნული ძეგლის წყაროების შედგენილობა და ხასიათი, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ალბანური ისტორიოგრაფია ეთნო-კულტურული ასპექტით იყო სომხური.

ა. ს ა რ გ ს ი ა ნ მ ა (ერევანი) მოხსენებაში „მოვსეს ხორენაცის და ოვანეს დრასხანაკერტცის ისტორიოგრაფიული პრინციპების კრიტიკისათვის" გამოავლინა დრასხანაკერტცის ზოგიერთი შემოქმედებითი პრინციპი, კერძოდ ის, რომ ისტორიკოსი უთითებს პირველწყაროს და არა თავის უშუალო წყაროს.

ბიზანტიური კულტურული წრის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია სლავი ხალხების კულტურა.

რუსული მატიანე („ლეტოპისი") როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრი, ჩამოყალიბდა XI—XII სს-ში წარმართული ზეპირი და ქრისტიანული წერილობითი ლიტერატურის შერწყმის შედეგად. მან ქრისტიანულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიოგრაფიული ფუნქციის გარდა მიიღო ფუნქცია აღეწერა მთავართა სახლის ისტორია, რამაც განაპირობა რუსეთში ჟამთააღმწერლობის ზოგი თავისებურება. ამის შესახებ იყო საუბარი გ. პროხოროვის (ლენინგრადი) მოხსენებაში.

„ბიბლიის" გარეშე წარმოუდგენელია ქრისტიანი მწერალი, თავისი ისტორიული კონცეფციის აგებისას იგი მუდამ ემყარება მას. მაგრამ რა არის ისტორიული „ბიბლიაში"? ამ პრობლემის გარკვევას მიუძღვნა თავისი გამოსვლა კ. სტარკოვამ (ლენინგრადი).

ცხოველი ინტერესი გამოიწვია სესიაზე მოხსენებებმა ქართულ თემატიკაზე. რ. კიკნაძემ მოხსენებაში „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება" დიდი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე აჩვენა ქართული წყაროთმცოდნეობის გზა V ს-დან დაწყებული XIX სს-მდე. XX ს. დასაწყისში, უცხოურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში თეორიული ნაშრომების შექმნის პარალელურად მიმდინარეობს ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარება, რომლის მიღწევების შეჯამებასა და განზოგადებას წარმოადგენს ი. ჯავახიშვილის ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" (წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა). ამ ფუნდამენტური გამოკვლევით, რომელიც მიეძღვნა ქართული ისტორიული მწერლობის წარმოშობასა და განვითარებას, წყაროთმცოდნეობის თეორიულ-მეთოდიკურ პრობლემებს, ძირითადად დასრულდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება კვლევის სრულიად განსაზღვრული საგნითა და მეთოდებით.

მოხსენებაში „ძველი ქართული ისტორიოგრაფიის კლასიფიკაციის საკითხები". გ. ალასანიამ „ქართლის ცხოვრების" მასალაზე დაყრდნობით ქართული ისტორიოგრაფიის ჩასახვის პროცესი დაუკავშირა ქრონიკალურ ჩანაწერებს და აღნიშნული კრებულისა და ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ჟანრების, კერძოდ, ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის შედარებითი შესწავლით აჩვენა მისი შემდგომი განვითარების გზა. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული იყო შემდეგი მაჩვენებლები: I. ერთპლანიანობის შეცვლა მრავალპლანიანობით, II. ზეპირ და წერილობით ტრადიციათა ურთიერთშეფარდება, III. განზოგადების დონე, IV. დათარიღების წესი და სხვ.

ძველქართული ისტორიული თხზულებების კრებულის „ქართლის ცხოვრების" ისტორიოგრაფიული განხილვის ცდას წარმოადგენდა მ. ჩხარტიშვილის მოხსენებაც „წყაროებზე მითითების წესი „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილის მიხედვით". მომხსენებლის დასკვნით, „ქართლის ცხოვრებაში", კერძოდ, ლეონტი მროველთან, წყაროების მითითება ატარებს არა შემთხვევით ხასიათს, არამედ გაკეთებულია გარკვეული კანონზომიერებით. ისტორიკოსი წყაროს ასახელებს შემოკლების ან ციტირების დროს, ხოლო მასალის რედაქციული შეცვლისას მასთან წყაროზე მითითებას ვერ ვხვდებით. ირკვევა, რომ ამ მოვლენას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეებში ისტორიული წყაროსა და ისტორიული ფაქტის თავისებური გააზრება.

გ. წულაიას (მოსკოვი) მოხსენებაში „ფეოდალურ საქართველოში ისტორიული ცოდნის დაგროვების ადრეული ეტაპი და მისი ეთნო-კულტურული ტენდენცია" განხილული იქნა შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის შინაარსობრივი მხარე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფონზე.

მოხსენებების შემდეგ იმართებოდა კამათი. თვალსაჩინო გახდა, რომ შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიოგრაფიის პრობლემების კვლევა შეუძლებელია ბიზანტინოლოგთა, სლავისტთა, არაბისტთა, ირანისტთა და სხვ. გაერთიანებული ძალების გარეშე, რადგან თითოეული ისტორიოგრაფიის შესწავლა, სრული „წაკითხვა" უნდა მოხდეს იმ ფართო ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს, როგორც საერთო აღმოსავლურ ქრისტიანული ისტორიოგრაფიის კომპონენტი. ასეთი ძიებების გზაზე ლენინგრადში ჩატარებული სამეცნიერო სესია უთუოდ გარკვეულ ნიშანსვეტად იქცევა.

დიდია ამგვარი მეცნიერული კონტაქტების მნიშვნელობა კონკრეტულად ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიისათვის. ისინი საშუალებას იძლევიან არა მარტო წარმოაჩინონ მთელი კავშირის მასშტაბით ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევები, არამედ ქართული მასალით დააინტერესონ ორიენტალისტები, რასაც ქართველოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული დადებითი როლის შესრულება შეუძლია.

**მარინე ჩხარტიშვილი**

13%/94

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 30 კაპ. ინდექსი 76197